

ლუარა სორდია

**ედგარ ჰოს რემინისცენციები
გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში**



**გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022**

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ტიტე მოსია**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ნინო ვახანია**
ფილოლოგიის დოქტორი **ლელა მირცხულავა**

© ლ. სორდია, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაინას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-357-6

შინაარსი

ედგარ პო — გალაკტიონ ტაბიძის „აჩრდილი თანაზიარი“ 4

თავი I. ესთეტიკის საკითხები

ედგარ პო და გალაკტიონი — ოქროს და ძვირფასი თვლების დაუცხრომელი მაძიებლები	11
შემოქმედება — აღმოჩენა, გამოგონება, შექმნა	18
საღვთო სიბრძნის ადებტები	27
სიზმრის კონცეპტი	32
ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა	44
თრობის აპოლოგია	49
ხელოვნების ფსიქოლოგიის ერთი პრობლემა	58
გარდასხეულებისა და მოგონების თეორია	65

თავი II. ფილოსოფიური პრობლემები

ბედისწერის რჩეულები	72
წუთისოფელი და მარადისობა	84
ბედნიერების უბედურება	90
აჩრდილებისა და ლანდების სამყარო	96
სიკვდილი ფერებში	108
ზარები	111
წინასწარმეტყველური ინტუიციით მომადლებლები	112

თავი III. სახისმეტყველების საკითხები

ედგარ პო და გალაკტიონი — ზღვარგადამლახველი მეზღვაურები და მოგზაურები	122
ყორანი და მისი ვარიაციები ამერიკელი და ქართველი პოეტის შემოქმედებაში	135
ედგარ პოს ლენორას გამოცხადება გალაკტიონის პოეზიაში	143

ედგარ პო – გალაკტიონ ტაბიძის „აჩრდილი თანაზიარი“

დიდი ამერიკელი მწერლისა და პოეტის ედგარ პოს პიროვნება და შემოქმედება უჩვეულო, შოკისმომკვრელი მოვლენა იყო როგორც ამერიკის, ევროპის, ისე მსოფლიო მასშტაბით.

გამაოგნებელი იყო მისი „მეფური ცნობიერება, რომელიც შიშით უყურებს ველური ქაოსის გარდუვალობას“ (1,14).

ედგარ პო შემთხვევით როდი საუბრობდა მილიარდ წლებზე, ოდესღაც რომ გამოველო მის სულს. შემთხვევით როდი აინტერესებდა სიბილა. ის იყო „ბრძენი მაგის“ ყოვლისმხილველობის ძალით აღჭურვილი, ხილულისა და უხილავის განზომილებებში სულით მთარული, „მიღმეთის ბინდის“ საიდუმლოებების მაძიებელი, ფანტომების სამყაროსთან, უხორცოთა სავანესთან გაშინაურებული, სულის ჩაკეტილი გასაღების გამძები, გალაადის მთაში ოქროს საწმისის მაძიებელი მოხეტიალე რაინდი, მალშტრემის დინებაზე გამარჯვებული.

„ყორანის“ ავტორმა ახლებურად დაგვანახა ადამიანის სული, ხელოვანის ფსიქიკის ჩაკეტილ სიღრმეებში ჩაგვახედა. მისი „ქვეცნობიერის რებერვუარი“ სავსე იყო უცნაური ხატებით... მწერალმა საინფორმაციო ველში შეაღწია ნათელმხილველის მზერით, ნათელსმენის ფენომენით გამორჩეულმა მოისმინა ისეთი ხმები, რომლის მოსმენა მხოლოდ ერთეულთ, უზენაესის ხელდასხმულთ ხელეწიფებათ.

წინასწარმეტყველური ინტუიციით მომადლებულმა უცდომლად განჭვრიტა როგორც თავისი თანამედროვე ამერიკის, ისე მსოფლიოს მოვლენები, საკუთარი აღსასრული.

ედგარ პოს თავის სახლად მიიჩნდა უდაბნოეთი, გამოქვაბული, ზღვა, ზეცა, უსაზღვროება, ცის სილაჟვარდე. იხედებოდა ქვეწარმავალთა, ნადირ—მხეცთა საბუდარში.

აჩრდილების ველზე იარა, ასტრალებს, უხორცოთა პლანეტას გაუშინაურდა, შეუცნობი ხაზები გაავლო, მარადიული მშვენიერება გააუკვდავა,

ზეციური ღირა ააჟღერა, გრძნეული ხმები გამოაცემინა, მოისმინა ცის ზარი, სფეროთა მუსიკა.

ედგარ პო იყო ოქროს საბადოში — ელდორადოში მოხეტიალე სიტყვის ოქროს მაძიებელი სიბრძნის დემონი, წინასწარმჭვრეტი „თეთრი ყორანი“, მუდმივად დაპირისპირებული ამერიკის ოქროსმოყვარეობას, პრაგმატიზმს, ცრუ დემოკრატიას.

სამართლიანად ითქვა, რომ მწერალი იყო „კოლუმბივით ახალი სამყაროს აღმოჩენი ადამიანის სულში“ (კ. ბალმონტი), რომლის კეთილისმყოფელ გავლენას ვერ გაექცნენ ვერც მისი თანამედროვენი, ვერც შემდგომი თაობები, როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ედგარ პოს პიროვნება და შემოქმედება ღირსსახსოვარი იყო როგორც ქართველი სიმბოლისტებისთვის, ისე გალაკტიონ ტაბიძისთვის.

პოეტური ინტეგრალების დიდოსტატმა გალაკტიონ ტაბიძემ სულის თვალთ მოიხილა „აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთის თუ სამხრეთის“ გზები, პოლუსები. „ყველა სიმზე“ დაკვრის ხელოვნებას დაუფლებულმა პოეზიის გლობუსზე ახალი მერიდიანი გაავლო თავისი რენესანსული შემოქმედებით და პლანეტის ამრთა საჭეთმპყრობელებს შეეხმინა.

ქართველი პოეტების მეფეს აინტერესებდა „მსოფლიო მუსიკის, მსოფლიო ორკესტრის“ ვირტუოზები, ბედთან შეურიგებელი, შეუცნობის, უხილავის, „დაფარული ფერების“ მაძიებელი, დინების წინააღმდეგ მავალი „მსოფლიო გზის გედები“, განახლების პაროლით მოვლენილნი, ნიჭთა მბოძებული სულიწმინდის მადლით გამორჩეულნი და ასეთებად ესახებოდა რუსთაველი, დანტე, ბაირონი, შელი, გოეთე, ვერლენი, ბოდლერი, ჰაფიზი. განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებდა მსოფლიოში გახმაურებული შედევრის — „ყორანის“ ავტორს, რომელიც არასოდეს გადაუფასებია.

გალაკტიონი ჭეშმარიტი ხელოვნების უპირველეს კრიტერიუმად მიიჩნევდა რელიგიურობას, ამიტომაც მის მიერ გამორჩეული პოეტები არიან „ტრუბადურები სიყვარულის, სიხარულის, გაზაფხულის, ძველი ღვინის“, რითაც მინიშნებულია მათი შემოქმედების უმთავრეს მახასიათებლები — რწმენის პრიმატზე (კოსმიური ორკესტრი) (2, 241-245).

წმინდა წერილში „ღმერთი სიყვარულია“ (1 იოანე, 4,8)(3,320).

ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა, 2,10)(3,113).

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული საღმრთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სამსუქნე“ (ფსალმუნი, 64,12) (3,588).

წმინდა წერილში ძე ღმერთის მოვლინება წარმოისახება, როგორც ნადიმი, რომელზედაც ადამიანებს მიერთმევათ „ძველი, დაწმენდილი ღვინო“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,16) (4,91).

გალაკტიონის არაერთ ლექსში გამოვლინდა ინტერესი ედგარ პოს პიროვნებისა და შემოქმედებისადმი.

დიდი ამერიკელი პოეტი „კოსმიური ორკესტრის“ ავტორისათვის იყო „აჩრდილი თანაზიარი“, განწირულთა შავი პოეზიის ჯადოქარი, „უცხო სტუმარი“, რომელიც ხშირად ეცხადებოდა საშინელებით, იდუმალებით, მიღმური სამყაროს საიდუმლოებით დანიტერესებულს: „ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი, როცა საუბარი ედგარ პოეზია. აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი დასდევს განწირულთა შავი პოეზია“ (საუბარი ედგარზე) (2, 94).

გალაკტიონის თვალსაწიერში ექცეოდა ამერიკა, ნიუ—იორკი, ენატრებოდა უიტმენი, ედგარ პოს კოსმიური პოეზია, მისი მარადიული მშვენიერების იდეალი, „უმაღლესი, უდიადესი ცის“, ცის სილაჟვარდის იდუმალება (მწოლარე) (2,411).

ქართველი პოეტი „ოქროსფერ ნავში“ თავის გვერდით წარმოიდგენდა ნოვალისს, ედგარ პოს (ის ადგილები) (2,409).

ენატრებოდა „ოკეანეთა ნისლის სუდარის“ გაფანტვა, ამერიკაში შეღწევა, განსხვავებით ამ კონტინენტის სიმდიდრეს დახარბებულთაგან, უიტმენის, ედგარ პოს მარადიული პოეზიის შეგრძნება—აქმა (ჩემი სამშობლო მანჰატანია) (2, 476).

ქარის თარეშის, სანთლის ჩაქრობის, მტრების მოვლინების მოლოდინი, დაღუპვის შიშის მოძალევა გალაკტიონის მიერ სახელდება, როგორც „ქარობა და ედგარობა“ (ქარებს ქარობა“)(2,94).

ევროპაში, რუსეთში, საქართველოში ედგარ პო მიჩნეულია სიმბოლისტების წინამორბედად. ედგარ პოს „ზარების“ კ. ბალმონტისეული თარგმანის მიხედვით რახმანინოვმა მუსიკალური პიესა დაწერა.

გალაკტიონის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მისი ესთეტიკური კრედოს ზოგიერთი ასპექტი აშკარა ნათესაობას ავლენს ედგარ პოს შემოქმედებასთან.

გალაკტიონი ეკუთვნოდა სიმბოლიზმის იმ სახეობას, რომელიც კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს აგრძელებს შემოქმედებითად, ახალი სახეებით, სიმბოლურ-იგავური ხერხით.

მათთვის მთავარი იყო მუსიკის, სიმბოლოების პრიმატი, მარადიული მშვენიერების იდეალი, ინტერესი უხილავის, იდუმალის, შეუცნობის, ქვეცნობიერისადმი, სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, ახალი ნიუანსების მიგნება, „აღმოჩენა, გამოგონება, შექმნა“. (გალაკტიონი).

საყურადღებოა ფერების დაკავშირება მსოფლმხედველობასთან, ერთდროული ინტერესი ინტუიციური და რაციონალური შემეცნებისადმი, „ძალა გულისა და გონების“, „ზუსტი მათემატიკური გაანგარიშება“ (გალაკტიონი), „ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა“ (პოლ ვალერი).

ედგარ პოსთვის მშვენიერება ერთადერთი პოეტური თემისი იყო (კომპოზიციის ფილოსოფია) (1, 215).

„პოეზიაში მთავარია მუსიკალობა, რადგან ტკბილი ბგერა ჩვენთვის ყველაზე მიუწვდომელია. სიამის აღმნიშვნელ იდეასთან გაერთიანებული მუსიკა — პოეზიაა“, წერდა ედგარ პო (პოეტებსა და პოეზიაზე) (1, 201).

გალაკტიონის უმთავრესი კრედო იყო: „მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“ (მიყვარდა ჰანგი) (2, 151).

ქართველი პოეტი მშვენიერებას კლასიკური პოეზიის მთავარ მოთხოვნად მიიჩნევდა: „მარადია ერთადერთი — მშვენება“ (ვილანელი, მახსოვს, ცად აზიდულა, ვით მარმარილო, მეზღვაურს, ჩემი ვარსკვლავი).

სიმბოლიზმი ამერიკიდან მოველინა ევროპის კონტინენტს. ედგარ პოს უშუალო გავლენას განიცდიდნენ ფრანგი და საერთოდ ევროპელი დეკადენტები. ..ედგარ პოს თავისი ქვეყნის ლიტერატურაზე არ მოუხდენია ისეთი დიდი ზეგავლენა, როგორც ევროპულ ლიტერატურაზე... მუსიკალურ პრინციპს ინგლისური ენის ისტორიაში არასოდეს ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ედგარ პოს შემოქმედებაში. ამიტომაც გამოიწვია

მისმა პოეზიამ ის საყოველთაოდ ცნობილი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელმაც ქართულ ლიტერატურაშიც ჰპოვა გამოძახილი.

„მაგრამ ამერიკული ლიტერატურის ორგანიზმს ვერ შეესისხლხორცა სიმბოლიზმის მამამთავრის შემოქმედება. ვეება ახალშენების, მძიმე ინდუსტრიის და ფენომენალური, ტექნიკის ქვეყანაში... უკმარი აღმოჩნდა კამერული ლირიკა. „წმინდა ხელოვნების“ იდეები შეცვალა უხეშმა ჟურნალიზმმა, ხოლო ედგარ პოს რაფინირებული სალექსო სტრიქონი უიტმენის თავისუფალმა ლექსმა“ (ზვიად გამსახურდია. XX საუკუნის ამერიკული პოეზია) (5,45).

ედგარ პოს და გალაკტიონს ანათესავებთ ალეგორიები, იგავები, სიმბოლოები, ენიგმებისადმი, ინტელექტუალური რებუსებისადმი ინტერესი.

„მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“, აცხადებდა გალაკტიონი.

ასეთივე კოსმიური, გლობალური ინტერესით გამოირჩეოდა ედგარ პო.

გალაკტიონის პოეზია იყო საკაცობრიო მოვლენების, მარადიული ჭეშმარიტებების ახალი, განუმეორებელი სახეებით აღმოჩენა: „აღმოვანინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი“.

პოს სამართლიანად უწოდეს „კოლუმბივით ახალი სამყაროს აღმომჩენი“.

ედგარ პოს სული მოგზაურობდა „მირიად წლებში“, სულეთის ბინადრებთან, გაშინაურებული იყო უხორცოთა სავანესთან.

„საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა“, წერდა დასაბამიდან სამყაროს მოვლენებს სულით ადევნებული გალაკტიონი.

„მარტო მე — მავალი უდაბნოს გზებზე“, წერდა ედგარ პო.

„ეს უდაბნოა და მარტო მე ვარ“ — ჩიოდა გალაკტიონი.

ედგარ პოს აღიზიანებდა უსულო, არასრულფასოვან ადამიანებთან ცხოვრება: „ცხოვრობ იქ, სადაც არ არის ადამიანის კვალი“.

„ადამიანი არ ჩანს სრულიად, გარშემო სუფევს ქარი და ნისლი“ — წუხდა გალაკტიონი.

ამის მიუხედავად, პოს მთელი სამყარო აინტერესებდა, მსოფლიო თავის სახლად მიაჩნდა.

გალაკტიონის „მსოფლიო გლობუსის“ დამტევი სული იყო „უსახლო“.

ედგარ პოს სამყარო სავსეა დემონებით, ლუციფერებით, ზღვის ბობოქრობით.

„ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა შეეჩვია და სიმღერაც მხოლოდ მათთან სჯერა“, ასე აფიქსირებდა თავის ინტერესთა სამყაროს გალაკტიონი.

ედგარ პო ეძებდა სამოთხეს, გალაკტიონისთვის ხელოვნება იყო „ქვეყნიური სამოთხე“.

ედგარ პოს გამოარჩევდა „მეფური ცნობიერება“, გალაკტიონს „მეფური ლექსი“.

პოს ქალაქი ზღვაზე იყო, ანუ ცოდვილ სავანეში, გალაკტიონისა — წყალზე.

„ჩემი ცხოვრება იყო სიზმარი სიზმარში“ გვამცნობდა ედგარ პო.

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“, აცხადებდა გალაკტიონი.

ედგარ პოს იზიდავდაა „არაქაური სახეები, არაქაური სილამაზე“, გალაკტიონს — „რაღაც მღვრიე, რაღაც არაქაური“, მას ესმოდა „ზექვეყნიერი ხმები“.

მათ გამოარჩევდათ საღვთო სიბრძნე, საღვთო სიყვარული, ესმოდათ სფეროების მუსიკა.

არაჩვეულებრივი ინტუიციით მომადლებულები, წინასწარ ჭვრეტდნენ მოვლენებს, იყვნენ ნათელხილვის, ნათელსმენის ფენომენით მომადლებულები.

გალაკტიონმა უცდომლად განჭვრიტა თავისი ეპოქის, საუკუნის მომავალი წარმატებებიც და ტრაგედიებიც.

გალაკტიონი იყო „ქარის პირდაპირ“, დინების წინააღმდეგ მავალი.

„ედგარ პო იყო „მეამბოხე შემოქმედი, ვერ იტანდა თავის თანამედროვე პურიტანულ საზოგადოებას, რომლის პრაქტიციზმითა და პრაგმატიზმით შეზავებული თავმომწონება მას, მეამბოხე შემოქმედს, სულს უხუთავდა“ (ლელია გამსახურდია, ედგარ ალან პოს ლირიკის თავისებურება).

ამერიკელი პოეტის თანამედროვენი ყურადღებას ამახვილებენ მის „უცნაურ გამოხედვაზე“, „უცნაურ, შემაშინებელ ლიტერატურაზე“.

გალაკტიონი აცხადებდა: „შენ საუკუნე გიცქერის შიშით“, ეს იყო, სი-
დიადის, სიმადლის, ცნობიერების შეუღწევველ ლაბირინთებში შეღწევის
შიში.

დამოწმებანი

1. ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, თბ., 1989
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
5. ამერიკელი პოეტები, ინგლისურიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ, თბ., 1971
6. ედგარ ალან პო, რჩეული ლირიკა, „დიოგენე“, თბ., 2001

თავი I

ესთეტიკის საკითხები

ედგარ პო და გალაკტიონი — ოქროს და ძვირფასი თვლების დაუცხრომელი მაძიებლები

ცნობილია, რომ 1848 წელს ამერიკაში ოქროს ციებ-ცხელება დაიწყო.

ედგარ პო ელდორადოში, გალაკტიონი კოლორადოსა და კლონდაიკში ეძებდა ოქროს საბადოს.

ამერიკელი პოეტის ლექსის პერსონაჟი თავგანწირვით მიისწრაფვის ძვირფასი განძის საძიებლად, მაგრამ ვერ პოულობს და კითხვაზე: „სად არის ოქროსფერ მზის ქვეყანა ელდორადო?“ — ასეთ პასუხს ღებულობს: „იარე გზებით მთვარეულ მთების, სად მეფობს წყვედიანი მარტო, არ დაშვრე დარდით, თუ მართლა გწამს ელდორადო“ (თარგმანი კოტე ჯანდიერის).

ეს ადგილი ასეა თარგმნილი ინოლა გურგულიას მიერ: „მთვარეზე ადი, დაბლობში ჩადი, მერე ამალღდი მთადო, თუ გინდა ოდესმე ნახო ლამაზი ელდორადო“ (ელდორადო) (1,137).

ლექსში ძიების ორიენტირად ისახება როგორც სიმაღლე (მთვარე, მთა), ისე დაბლობი.

„ოქროს ქვეყნის სიმბოლო ელდორადო ედგარ პოსთან ჭეშმარიტების ძიების მეტაფორად არის გადაქცეული“ (კოტე ჯანდიერი) (1,111).

ამერიკელი პოეტის „მდუმარების მდინარეში“ და მის სიღრმეში მოიხილება „წარუვალი ელვარების მარგალიტი“, „ოქროსა და ვერცხლის თევზები“ (ელეონორა) (2, 74, 81).

ლექსში „ოდესდაც, იქ“ მარგალიტი აშკარად მხატვრულ სიტყვას უკავშირდება. „...სიტყვები, პარაბოლები, როგორც მარგალიტის მძივი“ (1,4).

„თვალ-მარგალიტს“ ეძებდა ზეცაში, უსაზღვროებაში ფრენდა ედგარ პო (სონეტი მეცნიერებას) (1,37).

„თვალ-მარგალიტი“ სიბრძნეა და მის მოსაპოვებლად საჭიროა დიდი ძალისხმევა, ზეცაში ასვლა, ქვეყნიერების მოვლა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ედგარ პოს „ყორანში“ ნახსენებია „გალაადის მთა“ და „ოქროს საწმისი“, ოქროს ძიება „კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის „ღვთისმშობლის ძიებაა“ (ზვიად გამსახურდია) (3,38).

გალაკტიონი ეძებდა ოქროს საბადოს — კლონდაიკს, ახალ კლონდაიკს, „ოქროს მიწაში, ოქროს წყალში, ოქროს ტალახში“, „სხვა ოქროს“ — პოეტურ სიბრძნეს: „თანამედროვე, სხვა ოქროს შექმნას კედელი, — არ დაიღლება ქალაქების ოქრომჭედელი“ (ოქრო) (4,324–325).

პოეტი ასე აზუსტებს სათქმელს: „არ მინდა ოქროს პოვნა, რაც მსოფლიოში არი, ჟღერს სამშობლოს ხსოვნად ძვირფასი ოქროს ქნარი“ (ოქროს ქნარი) (4, 253–254).

გალაკტიონის ცხოვრების წესი, მისი შემოქმედებითი კრედო აბსოლუტურად განსხვავდებოდა პრაგმატისტების, მილიონზე დახარბებულ მედროვეთა მდაბალი ინტერესებისგან: „თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი, თქვენ გინდათ გახდეთ მილიარდერი, მე კი ვარჩევდი გზას უნაპიროს, ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს“...

„უნაპირო გზის“, „სიყვარულის“ არჩევანი პოეტის უკიდევანო იდეალებზე, ღვთისნიერობაზე მდალადებელია.

პოეტის იდეალი იყო „საკუთარი შტამპით მოჭრილი ოქრო“ (იდეა), ანუ ინდივიდუალური, ორიგინალური ელფერით გამორჩეული შემოქმედება.

გალაკტიონი „ოქროს“ „ლაჟვარდებში“ ეძებდა, „სხვა სინამდვილე, სხვა ოცნება“ ანუ ზეცით ინსპირირებული, ხელოვნებაში დაუნჯებული მარადიული სინამდვილე აინტერესებდა (შედულება ოცნებისა და სინამდვილის“).

ასევე შეეძლო პოეტს ზღვაში „ოქროს თევზის“ მოხელთება, რაც სიტყვის ოქროს, ჭეშმარიტებას გულისხმობს.

ლექსში „გზა არ ღირს დავიდარაბად“ (5, 23). მილიარდერად გვეცხადებოდა: „...მართლა ვარ მილიარდერი“ და, ცხადია, თავის შედეგებს გულისხმობდა.

გალაკტიონი „დაკეტილი განძის“ მოხელთებას ცდილობდა (დღითა და ღამით) და ეს განძი იყო სიტყვის ოქრო, ოქროს ზღაპარი, ოქროს ლანდი, ლაჟვარდის ოქრო ანუ თავისი ღრმააბროვანი გამონაგონი, პოეტური წარმოსახვები.

პოეტს აინტერესებდა „ხმები... ჯადოსნურად მოოქრული“ (ხმები, ხალხში ყურმოკრული) (4,64).

ზღვა, ოკეანე პოეტის გენიის სიმბოლოა, რომელშიც „ოქროს თევზს“ ეძებდა და ეს აბედნიერებდა (იქ პოეზიის ფრიალებს დროშა) (6,161).

„მაღსტრომთა ძირით ვკრეფდით მარგალიტს“, წერს პოეტი „ზღვის ეფემერაში“ და მარგალიტიც მისი განუმეორებელი მხატვრული სიტყვის კოდია, როგორც „ხელოვნებაში“: „ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი, რას იშვიათად თუ მისწვდება კაცის გული, კაცის ხელი“ (6,9).

გალაკტიონი იყო „თვითშეცნობილი პოეტური გენია“ (მ. ლებანიძე) და სავსებით ობიექტურად აცხადებდა, რომ მისი შემოქმედება იყო რენესანსი მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში: „ბრწყინავს ჩვენი საუკუნე, ჩვენი ოქროს ხანა“ (6,219).

დარწმუნებული იყო, რომ „ძველისძველ ღვინოსთან“ ნაზიარებს, არც ოქროები აუთავდებოდა (ძველისძველ ღვინოს) (5, 38).

„ძველი დაწმენდილი ღვინო“ საღვთო სახელია წმინდა წერილში (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (4,91).

ანალოგიური შინაარსისაა გალაკტიონის „ცისფერი ღვინო“.

ქართველი პოეტი აქცენტს აკეთებდა რუსთაველის სიბრძნის ზღვაზე, „ოქროს ხანაზე“ და თვითონაც „ოქროს ქნარის“, „უზარმაზარი მსოფლიო ქნარის“ მფლობელი, ძველი ელადის, ძველი რომის ტრადიციებთან წილნაყარი, მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის რენესანსის უპირველესი წარმომადგენელი იყო. პოეტს კლონდაიკთან, ახალ კლონდაიკთან ერთად ეზმანებოდა ოქროს საბადო კოლორადო: „მონტევიდეო, ლურჯი პარიზი და კოლორადო“ (ხმოვანი კინო) (4,321).

„ისევ ის განძი და კოლორადო ვნახე წუხელის, პანორამა შორეული კოლორადოსი“, წერდა „აჭარის სილაჟვარდში“ (4,113).

გალაკტიონის იდეალი იყო წარსულის ოქროს საწმისი (არგონავტები ახალი დროის) (5, 132), იგივე გრაალი, რომელზედაც შექმნა შედეგები: „მზეო თიბათვისა“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“.

პოეტის სულის ხომალდი მუდამ „სიახლის ნაპირზე“ იდგა, „ახალი სამყაროს, ახალ სიტყვებში მყოფი სამყაროს“ არქიტექტორი და მშენებელი იყო, „ოქროს ხანის“ უპირველესი მესიტყვე.

ოქროსგან ნეოლოგიზმიც შექმნა — „ოქროეთი“ (ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი“ (3, 218–219).

„გრძნობათა მილიარდერს“ შეცნობილი ჰქონდა თავისი განსაკუთრებულიობა: „ანორმალობა! ამგვარ ჭადებით ათასში ერთხელ ილაგს პარტერი... საუკუნეში ერთხელ იდეებს ისვრის გრძნობათა მილიარდერი“ (წარსულში რაღაც ახალ ბალებით)(6,425).

„ლურჯა ცხენების“ ავტორს „მარგალიტების მთები“ ეგულეობდა აკაკი წერეთლის პოეზიაში, „მარგალიტთა დიდთა მტევნად“ ესახებოდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

გალაკტიონისთვის სიტყვის მარგალიტის ძებნა იყო ბედნიერება: „...ძებნა მარგალიტის მიხარის, ვით მიხაროდა“...

ქართველი პოეტის „ხმები... ჯადოსნურად მოოქროულია“ (ხმები, ხალხში ყურმოკრული) (4,64).

ამასთან, გალაკტიონს არ ავიწყდება ოქროს გადაგებულთა, სიმდიდრისთვის სინდისის დამვიწყებელთა „სასახლეების ოქროები, საგნების მოოქროება, ეტლთა. ქანდაკებათა, თასის, ზარების ოქრო, მოოქროვილი ჩარჩოები, ფეოდალთა ოქრო, პარიზის ცეცხლოვანი ოქრო“ და ასკვნის: „რაც ამ დიდებულ სასახლეებს ჰქონია ოქრო, ნუ გეგონება ის უმანკო და უჯადოქრო“ (ოქრო) (4, 327–325).

უსაზღვრო თვალსაჩინოების პოეტი „მალსტრომთა ძირით მარგალიტს“ ეძებდა (ზღვის ეფემერა).

„ლალისა და ბრილიანტის“ პოვნა ხელეწიფებოდა: „...ო, უსაზღვრობავ,... მდულარე ჩნდეს ლალი და ბრილიანტი“, ნათქვამია ლექსში „რომ შექმნა რამე დიადი“ (6,138–139).

უეჭველია, ამ ძვირფასი თვლების ადრესატი მხოლოდ და მხოლოდ მისი განუმეორებელი შედეგების სტრიქონებია.

„გულით ვგრძნობ ყველა მდიდარ სალაროს, ვხედავ ასპარეზს სასპასალაროს“, აცხადებდა პოეტი და ეს სალარო იყო მისი ხილვების, ფიქრების, მიგნებული სახეების სალარო.

სიტყვებს „აღმასებად, იავუნდებად, ლალებად“ მოიხსენებდა.

ანალოგიური შინაარსისაა ზღვაში მოხელთებული „ოქროს თევზი“ ლექსში „იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“ (6,61).

„ულევი ოქრო“ პოეტის მიერ მიგნებული ჭეშმარიტების კოდია.

თვითშეცნობილი გენიის ობიექტური განაცხადია: „ოქროსა ვჭრი, როგორც ვჭრიდი საკუთარი შტამპით“ (იდეა).

„პოეზიის აურაცხელი ოქროა ახლა ამ შტამპით ბრუნვაში და მაშინვე, როგორც კი გალაკტიონის ოქროს სხვის ჯიბეში მოკრავენ თვალს, მავანნი და მავანნი იწყებენ მტკიცებას, რომ არ არსებობს სხვა ფული, მაგრამ ამ აზრს უმთავრესად ხელმოცარული ადამიანები ავრცელებენ.

„გალაკტიონი ხან ოქროს მაძიებელია, ხან კი, ალქიმიკოსი... არსებობს სხვა ფულიც — მოჭრილი სხვადასხვა შტამპით! — არსებობენ სხვა პოეტები და მათი არსებობა გალაკტიონის დამსახურებაცა“ (ტარიელ ჭანტურია, ალქიმიკოსიც, ოქროს მაძიებელიც (7, 141-149).

ოქროს ეროვნულობის აქცენტიც გააჩნია გალაკტიონის შემოქმედებაში. პოეტს ეროვნულ დროშაზე ოქროდ ესახებოდა ივერია: „ხელში არმოხვრად დროშა სჭერია, რომელზედ ოქროდ ჩნდა ივერია“ (მშვიდობის წიგნი).

პოეტს ხიბლავდა ბათუმის „ოქრორეულ ლაჟვარდთა ბლონდი, მთელი ედემი ზურმუხტისა და ოქროს ფერებით“ (ბათუმი). ამიტომ უწოდა ბათუმის ლექსების ციკლს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში — ოქრო“.

მარგალიტიც განსხვავებული ნიუანსებით წარმოჩნდება, რომელთაგან უპირველესია მისი მიმართება მშობლიურ ფენომენტთან. ლექსში „აწმყოს დიდება დიდი“ — საქართველოა მარგალიტის ადრესატი: „წინ, ახალ—ახალ ნათელ გამარჯვებისკენ მხარევ! განადგურებულს ძველი ციხით, სუსხით და თოშით — აწ მარგალიტად გთვლიან“.

„ცხადი ოცნების თვალმარგალიტს“ უწოდებს აჭარას (ოქროს ნავი).

საუბარია „მარგალიტებით მოსილ ჩრდილზე“, „წვიმის ზურმუხტ-მარგალიტზე“, „ცრემლით მოთვალმარგალიტებაზე“. ნეოლოგიზმია „მოთვალ-მარგალიტება“.

ქართველმა პოეტმა კონტინენტის ოთხივე მხარეს მიაწვდინა მზერა და არა მხოლოდ დასავლეთს.

გალაკტიონის ფიქრის სასახლეს (პროფესორ თამარ ბარბაქაძის მიგნებული გამოთქმით „რითმების სასახლეს“) ათასწლოვანი ბურჯები ამაგრებს, მისი სამკაულებია ქართული სიტყვის იაგუნდები, ალმასები, მარგალიტი. მასში ქარივით მომწყვდეულია ქართული „სურნელოვანი სული“ და „რიონისპირული აბრეშუმისანი სიო“ უბერავს ამ მარადიული ნაგებობის შემოგარენს, ამასთან მსოფლიოს „მღვრიე ქარებიც“ ეხლებიან.

პოეტის ოცნების ხომალდი კი სიტყვის აფრთხილებს მიაპობს წუთისოფლის ზღვას, სულის ჩირაღდნით ანათებს პლანეტარულ ქაოსს, მიესწრაფვის კოსმიურ სინათლეს.

მხოლოდ დიდ პოეტებთან იგულვებდა გალაკტიონი „აღვარებულ მარგალიტებს“: „ჯალალ ედინ რუმი, ნიზამი, ომარ ხაიამი, საადი სავსე პეშვებით ისვრიან ავღარებულ მარგალიტებს გაზღვებისას“ (გაბელა).

მორწმუნეობა, მაღალი მორალი, ობიექტურობა, დიდი ძალისხმევა, დინების წინააღმდეგ სვლა, გულგრილობა სიმდიდრის, მიწის ოქროს მიმართ იყო საჭირო სიტყვის ოქროსა და მარგალიტის მოსახელთებლად, რისთვისაც იყენებდა დამაშვრალი ედგარ პო და გალაკტიონი.

დიდი პოეტების ეს მრწამსი ნასაზრდოები იყო წმინდა წერილის სიბრძნით.

„იგავთა წიგნი“ ვკითხულობთ: „...სიბრძნე უმჯობეს არს ოქროსა და ანთრაკის პატიოსნისა მსოფლიოს, ხოლო სიტყვანი ჩემნი უფროსი ოქროსა რჩეულისა“ (8, 288,19) (8, 568).

„უმჯობეს არს იგი მოგებად, ვიდრე ოქროსა და ვერცხლის საუნჯეთა“ (იგავთა წიგნი, 281,14).

„მართუენი სიბრძნისანი უფროსი და უმეტეს ოქროსა, ხოლო მართუენი გონიერებისანი ურჩეულეს უფროსი ვერცხლისა“ (იგავთა წიგნი, 300,16).

წმინდა წერილში ნათქვამია: „დავაფასებ კაცს ხალას ოქროზე მატად და ადამიანს ოქროს ზოდზე მეტად“ (ესაია წინასწარმეტყველი, 13, 12) (9,83).

დავით წინასწარმეტყველი მიმართავს უზენაესს: „შევიყუარენ მცნებანი შენნი უფროსი ოქროსა და ანთრაკისა“ (ფს. 118,126) (10,143).

ამქვეყნიურ ამოებათა დათმობა, სულიერი სისპეტაკე, ზნეობრივი სრულყოფა ნეტარი ავუსტინეს მიერ მიიჩნევა, როგორც „მარგალიტი კეთილი მრავალსასყიდლისა და არა ოქრო—ვერცხლი თუ ძვირფასი ქვები“ (აღსარება) (11,190,251,418).

მიქაელ მოდრეკილი, ბასილი ნეოკესარიელი, იოანე მტბევარი, იოანე ოქროპირი საუბრობენ „ოქრენ სიტყვაზე“. ასევე, ქართულ ბიზნოგრაფიაში ოქრო სულიერი თვისებების სიმბოლოა.

იგივე, აზრია იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბეში“, ხოლო ამათი შთამავლებელია სახარება, ქრისტეს სიტყვები.

„უფანაშიდების“ მიხედვით, „ჭეშმარიტებაა ოქრო“.

„ნეემირებული ძლისპირის“ (გამოქვეყნდა 1982 წელს) მარიამ ღვთისმშობელი მოიხსენება, როგორც „სამეუფო მარგალიტის მტვირთველი“.

„უძველეს იადგარში“ (გამოცა 1980 წ. XVI ს. რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით), ძე ღმერთის დედას ეწოდება „საუნჯე დაბეჭდილი“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამი მოიხსენება, როგორც „უსასყიდლო მარგალიტი“, ანრაკ-ალმას-საფირონი, იავუნდი, ლალი, ოქრო“ (12,42,45,103).

სამართლიანად ამბობდა გალაკტონზე გიორგი ლეონიძე: „მარგალიტად დასხმულია ხალხის გულში შენი სიტყვები“ (13,84).

ამ პოეტების მრწამსის წყაროა წმინდა წერილი: „მიიღე ჩემი შეგონება და არა ვერცხლი, ცოდნა მეტია ხალას ოქროზე.

„რადგან სიბრძნე უკეთესია ძვირფას თვლებზე...“

„სიბრძნის შეძენა ოქროზე უკეთესია, ჭკუის მოხვეჭა ვერცხლზე უმჯობესი“ (ივაკე სოლომონისა, 8,10,11,16) (ბიბლია, თბ., 2013, გვ. 466,471).

ედარ პოსა და გალაკტიონის წარმატების გარანტი იყო არა ოქრო, როგორც პრაგმატისტთა ძვირფასი მადანი, არამედ ძვირფასი ლითონების სახეში მოაზრებული კოსმიური სიბრძნე, მარადიული ჭეშმარიტებები.

დამოწმებანი

1. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, „დიოგენე, თბ., 2001
2. ედგარ პო, მოთხრობები, ზაურ კილაძის თარგმანი, „პალიტრა L“, თბ., 2011
3. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, წერილები, ესსეები, „ჯვარი ვაზისა“, თბ., 1991
4. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
6. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 2011

7. გალაკტიონოლოგია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი, თბ., 2003
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990
9. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
10. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
11. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ., 1995
12. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო „სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996
13. კრ. „სადღეგრძელო იყოს მისი“, თბ., 1973

შემოქმედება — აღმოჩენა, გამოგონება, შექმნა

გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკური შეხედულებები ახალი ეტაპია ესთეტიკური აზრის განვითარებაში. პოეტი ავსებს და ამდიდრებს მოდერნიზმის (იმპრესიონიზმის, სიმბოლიზმის) ესთეტიკას, შემოქმედების ფსიქოლოგიას და ფილოსოფიას. გალაკტიონი ქართული სიტყვის ახალი შესაძლებლობების აღმოჩენია, ფიქრთა, გრძობათა, სულიერი ცხოვრების დიდი მესაიდუმლე.

პოეტის ლირიკის უმთავრესი ნიშანია მოვლენათა დანახვა ახლებურად. მისი დევიზი იყო: „სიახლის ნიაღვარი“, „ყოველი დღის მარადისი სიახლე“. სიახლეს კი განაპირობებდა შემოქმედის განწყობილებათა ცვალებადობა, საგანთა, მოვლენათა ხილვა არა სტატიკურსა და ერთ ჭრილში, არამედ მრავალნაირ განასერში. ერთი შეხედვით ერთფეროვან მოვლენებშიც კი არაჩვეულებრივ ნიუანსებს ავლენდა მისი გენია, ნათელმხილველის მზერა, ნათელსმენის უნარი.

„ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი „ხმათა აღორძინებას“, „ხმათა განახლებას“ ისახავდა მიზნად და ჩვეულებრივი მშერისთვის მიუწვდომელს, შეუცნობელს ეძებდა: „...როგორც ასომთავრულს, მუდამ შევამჩნევ ცაზე სხვისთვის უხილავ — ფარულს“.

ცნობილია, რომ ჭეშმარიტი შემოქმედების არსი პირველადმოჩენა და პირველშექმნაა, შემოქმედება კი განუმეორებელი ბუნების მოვლენაა.

შემოქმედება ახლის შექმნა და არსებობს ამ სიახლის სამგვარი გაცემა, რომელთა მიმართ შემოქმედების ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში სამგვარი ტერმინი გამოიყენება: „აღმოჩენა“, „გამოგონება“, „შექმნა“.

ადამიანური ყოფიერების, სულიერი ცხოვრების ჯერაც შეუღწეველ სიღრმეში შეჭრა, ახალი ფორმალური საშუალებების მიგნება პოეტს საფუძველს აძლევს თავის პოეტურ მიღწევებს აღმოჩენა უწოდოს: „აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მოუკვლეველი“ (დადგა აგვისტო) (1, 247) ხოლო, „ჯერ ყველასაგან მოუკვლეველი სიყვარულის“ აღმოჩენა გულისხმობს საღმრთო სიყვარულს, რაც განდევნილი იყო ათეისტურ ეპოქაში, კოსმიური მასშტაბის ჰუმანიზმს, რომლის გარეშეც არ არსებობს სრულფასოვანი ხელოვნება.

პოეზიამ, ხელოვნებამ ჰუმანური პოზიციებიდან, უპირველესად, ადამიანი, მისი მრავალფეროვანი არსი უნდა აღმოაჩინოს: „ყოველი კაცი ქვეყანაზე არის ის განძი, რომელსაც უნდა აღმოჩენა და დაფასება“, შეგვახსენებს — პოეტი.

პოლ ვალერი წერდა: „მე იმისთვის ვარსებობ, რომ რაღაცას მივაკვირო. მწერლობა ჩემთვის არაფერია, თუკი აღმოჩენის შთაბეჭდილებას არ ახდენს ჩემზე“ (2, 291).

გალაკტიონის მიერ „გულის ახლოს“ აღმოჩენილი „ახალი მხარე“ ფიქრთა, გრძნობათა საიდუმლოებებია, „გრძნობათა მეცნიერების“ დონემდე აყვანილი.

პოეტისთვის მთავარი იყო თანამედროვეობის პრობლემების შეცნობა, ეპოქის შესაფერისი სიახლეების აღმოჩენა: „საუკეთესო ახალში ვცხრებით, ვიპოვეთ თანამედროვე ცხოვრების გრძნობა, მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი“ (სტანსები) (1, 281).

პოეტმა მართლაც შეძლო „ქართული პოეტური სულის ახალი აღმოჩენა“ (3, 195).

გალაკტიონი უდიდეს ძიებებს მიმართავდა ახალი ფორმების აღმოჩენისთვის. მის შემოქმედებაში მრავალგზის არის აქცენტირებული ცნება „შექმნა“: „ვიყოთ, ვიმღეროთ, შევქმნათ“ (წიგნი) (4, 341).

შექმნაში იგულისხმება მოვლენათა არსის შეცნობა, ახალი მხატვრული რეალობის დამკვიდრება: „მე მინდა ჩანგი ხმაურობდეს კვლავ ალტაცებით, რომ შექმნას დიდი ისტორია უახლეს გრძნობის“ (ტყვარჩელთან) (4, 317).

ხელოვნების მიზანი დიადის შექმნაა: „რომ შექმნა რამე დიადი“...

დიადი კო დროსთან კავშირს გულისხმობს, გალაკტიონის სიმღერები „საუკუნეთაგან შექმნილი სიმღერებია“.

გოეთეს შემოქმედებითი ყოვლისშემძლეობის ადამიანი ღმერთის ადგილს იჭერს და ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნის უნართაა მომადლებული: „აწ აღარ მართებს ალაჰს ქმედება, ჩვენ თავადაც ვქმნით სამყაროს მისას“ (5, 48-49).

შემოქმედებითი ექსტაზი ათქმევინებს გალაკტიონს: „ახლა ყველაფერს, ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი“ (წუთი) (6, 136).

ხელოვნების მაგიური ძალით განღმრთობილი პოეტი მთელი სამყაროს, ბედისწერის მეუფეა, რომელიც ტრაფარეტის დარღვევით, ჩვეულებრივი ადამიანისათვის დაწესებული საზღვრების მიღმა მიისწავფის (ბედს იქით) (6, 152).

გალაკტიონი ფატალურად გაგებულ ბედს პოეზიით სძლევედა, მისთვის ბედი გარდუვალობა, ფატალურობა როდი იყო (მე მიძღები ვარ, შენ კი სტუმარი) (4, 179).

თუ გოეთესთან ვაცს ძალუძს „აქციოს წამი წარუდინებლად“, გალაკტიონის დევიზია: „წამის გადიადება“, „წამის გასაუკუნება“, „ასწლად წამიერი“. ქართველი პოეტი გვეცხადება, როგორც „უდროობის გმირი“.

„ლურჯა ცხენების“ ავტორისთვის პოეზია გამოგონებაა, მიგნებაა და მისი ღირსება განუმეორებლობასა და შემოქმედებით ინდივიუალობაშია: „ეხლანდელი პოეტიც გამომგონებებია, იქ ზოლივით იშლება მიგნებათა მორევი, იქ არ გამოიხარებს გრძნობა ნამეორევი“ (თვითეული პოეტი) (4, 167).

გამოგონება კი ტრადიციების შემოქმედებითი გათავისების ბაზაზე უნდა ხდებოდეს: „გამოყენებულ იქნას ყველა წინანდელი გამოცდილება, ეს იქნება მტკიცე საძირკველი. საჭიროა ახალი ფორმები, ახალი სიტყვები. პლანეტარული ქაოსის გამოხატვა, ნაციონალური იდეები“ (პოეზია უპირველეს ყოვლისა) (1, 477-479).

„მხატვრული გამონაგონი მხატვრული ასახვის კანონიერი ელემენტი და იგი ასახვის სისწორეს ხელს არ უშლის“ (1, 450).

ერნესტ ჰემინგუეი აცხადებდა: „თუკი რამ დაწერილა კარგი, ყველაფერი შეთხზული და წარმოსახვითია. სიმართლედ სწორედ ამიტომ

იქცევა. თუკი რამ კარგი დაუწერია, ყველაფერი გამონაგონი იყო“ (მწერლობის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1981, № 14).

კონსტანტინე გამსახურდიას ასე წარმოედგინა გამონაგონისა და სინამდვილის კავშირი: „მწერალი, პოეტი, მეცნიერისგან განსხვავდება ერთი უმთავრესი ნიჭით. ამ ნიჭს ეწოდება ფანტაზია... მაგრამ პოეტური გამოგონება ყოველთვის უსისხლო და უსხეულო გამოვა, თუ მას მიწიერების ნელსურნელება არ დაჰკრავს“ (კონსტანტინე გამსახურდია, ტ. VIII, თბ., 1959, გვ. 473).

პოლ ვალერი ყურადღებას ამახვილებდა „მოცემულის დანაწევრებასა, რეალობის ხელახალ კომბინირებასა და ამ სიახლის თავიდან აღმოჩენასა და გამოგონებაზე“ (2, 283).

გალაკტიონი ზოგჯერ ამ ორი პრინციპის სინთეზირებასაც ახდენდა და ზომიერების ბეწვის ხიდს წარმატებით გადიოდა.

პოეტის შეხედულებით, „ყველაზე დიდი გენია ფანტაზიაა, ფანტაზიის მერანზე მჯდარი ყველგან იმოგზაურებ, ფანტაზია ტიტანური ანგელოზია“ (1, 182-183). მისი გენია ფანტაზიით ქმნიდა ახალ მხატვრულ სინამდვილეს.

ამასთან, გალაკტიონი ზემთაგონებას ყოველთვის შრომას უკავშირებდა (ლირიკა).

აღმოჩენის, გამოგონების, შექმნის ცნებებს მიემართება მის შემოქმედებაში მეტაფორული თქმები: „ახალი კართაგენის აგება“, „მოულოდნელად აღმოჩენილი კაპიტალი“, „მილიონების, მილიარდების პოვნა“, ხოლო „საკუთარი შტამპით მოჭრილი ოქრო“ საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის რწმენაა.

გალაკტიონის პოეტურ კრედოს წარმართავდა ტრიადა: „მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“, „მშვენება, გრძნობა და სილამაზე“. მისი იდეალი იყო ჭეშმარიტებასთან, სიბრძნესთან დაკავშირებული სილამაზის გაუკვდავება: „კვდომა ბუნების წესია, მაგრამ ჩემს გულში ასეა, ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“ (იმ სივრცეს) (4, 126).

მშვენიერებას ჭეშმარიტებასთან აკავშირებდა: „ჭეშმარიტებათ ძიება და გამოვლინება“ (საუბარი ლირიკის შესახებ) (6, 842-848).

ანალოგიური იყო გოეთეს კრედოც: „დიადი აზრი ჭეშმარიტების, რაიც იფერებს, სამკაულად მხოლოდ მშვენიერს“ (ხელოვანთა ჰიმნი) (5, 48-49).

გალაკტიონის აზრით, ხელოვნების მშვენიერება სინამდვილეზე მაღლა დგას, იგი „ჩვენს მიმკრთალ ცხადზე უფრო წარმტაცი და დიდებულია“, რადგან „მუდმივი, დაუჭნობელი სილამაზე და სინარნარე“ მხოლოდ ხელოვნებას შეუძლია შექმნას (ცად აზიდულა, ვით მარმარილო).

„მშვენიერება ყველაფერს ნიშნავს, მხნედ მთარული“, აცხადებდა პოეტი.

„მშვენიერებას რომელი დიდი ქალაქი შეედრება, ან პირამიდა?“ — კითხულობდა ბოდლერი.

გალაკტიონის პოეზია გვიცნობიერებს „ლამაზის“, „მშვენიერის“, „უკვდავის“ კატეგორიებს. ლამაზი ფორმა ჭეშმარიტ აზრთან შეთანხმებით მშვენიერებად იქცევა, თაობათა ესთეტიკურ იდეალად, უკვდავად, „უკვდავება კი არ არსებობს უსიყვარულოდ“.

ამასთან, მშვენიერებაზე მეუფების უნარი გულისხმობს „სუფთა სინდისს“.

უდიადესი მიზნები ვერ წარმოიდგინება გამბედაობის, სითამამის, თავისუფლების გარეშე: ამასთან, მთავარია „კეთილშობილება უმაღლესი თავისუფლების გრძნობაში“ (1, 86).

გოეთე ზომიერებითა და წესით განსაზღვრულ თავისუფლებას ცნობდა: „დასაზღვრის წესი გამოავლენს დაოსტატებას და მხოლოდ წესი მოგვანიჭებს თავისუფლებას“ (ბუნება და ხელოვნება) (5, 78).

პოეტური თავისუფლება ნიშნავს უნარს — სიტყვას, გარდა კომუნიკაციის ფუნქციისა, მიანიჭო ფერი, მუსიკალობა, შექმნა ურთულესი სინთეზი, გალაკტიონის თიქმით, „სახება დიდი ერთიანობის“, რასაც გოეთე „მრავალთ ერთობას“ უწოდებდა.

ჭეშმარიტი შემოქმედება ესთეტიკური გამოსახვის, შემეცნების ახალი საფეხურია. არსებობს სიახლის სამგვარი გაგება: სიახლის სუბიექტური განცდა, სიახლე რომელიმე კულტურული რეგიონის თვალსაზრისით და სიახლე ობიექტურად, მსოფლიო პოეზიის პირველმინალწევარი“ (7, 39-41).

გალაკტიონის სიახლე ობიექტური სიახლეა, საკაცობრიო კულტურის განუმეორებელი ნაკადი. იგი გამგრძელებელი კი არა, თვით იყო შემქმნელი და მონაწილე გლობალური პოეტური პროცესების, ამიტომაც ამბობდა: „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“. ის მართლაც „ახალ მერიდიანს“ ავლებდა მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე (ეფემერა) (1, 179).

„გალაკტიონი ხშირად განიცდიდა დიდი აღმოჩენებით გამოწვეულ ბედნიერებას, იმდენად ბევრჯერ, რომ ჩვენ ოდისევსივით ხანგრძლივი ხეტიალი მოგვიწევს მის სამყაროში, რათა გავამთლიანოთ პოეტის მიერ აღმოჩენილი იმედის მდინარეები“ (ჯანსუღ ღვინჯილია) (8, 422).

„მას მომადლებული ჰქონდა იშვიათი ნიჭი, ნიჭი გამომგონებლობისა, რასაც კანტი გენიოსის უპირველეს ატრიბუტად მიიჩნევს“ — წერს ნოდარ ტაბიძე (1, 15).

„ემპირიული სინამდვილის ამსახველი პოეზია გალაკტიონს არ აკმაყოფილებდა... პოეტმა ახალი სამყარო აღმოაჩინა. ის მიწაზე კი არა, ცაშია.

„შორი მუსიკა, წმინდა პოეზია, წმინდა მუსიკა ახალი პოეზიის კონტინენტია შემოქმედისა“ (თეიმურაზ დოიაშვილი, გზა არტისტული ყვავილებისკენ) (9, 33).

თავის პოეზიას ქართველი პოეტების მეფემ სამართლანად უწოდა „პოეტური ინტეგრალები“, რაც მსოფლიოს სიბრძნის მართებული გათავისება და ინტეგრირება ანუ გაერთიანება საკუთარ სულსა და შემოქმედებაში.

დიდი ამერიკელი პოეტი ედგარ პო სამართლიანად არის მიჩნეული ევროპელი და რუსი სიმბოლისტების წინამორბედად, მსოფლიო მასშტაბის შემოქმედად. ედგარ პო პოეზიას მუსიკას ადარებდა. მისი „ზარების“ ბალმონტისეული თარგმანის მიხედვით ვ. რახმანინოვმა მუსიკალური პიესა დაწერა.

„პოეზია პირველადვე სიბრძნისაა ერთი ღარგი“ და შემთხვევით როდია, რომ ლირიკული პოეზიის შედევრში „ყორანი“ ლექსის ავტორი ყურადღებას ამახვილებს თავის კაბინეტში ათენა პალადის — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, სიბრძნის ქალღმერთის არსებობაზე. მიუთითებენ, რომ ეს ბიუსტი მართლაც ჰქონდა პოეტს.

ედგარ პო უჩვეულო მოვლენა იყო როგორც ამერიკის, ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

გაოცებას იწვევდა მისი „მეფური ცნობიერება“, რომელიც შიშით უყურებს ველური ქაოსის გარდუვალობას“ (10, 14).

ის იყო „ბრძენი მაგის“ ძალით აღჭურვილი, ხილულისა და უხილავის განზომილებებში მოარული სული, „მიღმიეთის ბინდის“ საიდუმლოებათა

შემცნობი, ფანტომების სამყაროსთან გაშინაურებული, „ცნობიერების ჩაკეტილი გასაღების“ გამღები, გალაადის მთაში ოქროს საწმისის მაძიებელი რაინდი, მალშტრემის დინებაზე გამარჯვებული, რომელმაც მოაჯადოვა მთელი მსოფლიო, ახლებურად დაგვანახა ადამიანის სული, ხელოვანის ფსიქიკის ისეთ სიღრმეები გამოავლინა, არავის რომ არ დაუღანდავს და არ გაუცნობიერებია.

როგორც თვითონ ამბობდა, პოეტს თავის სახლად მიაჩნდა უდაბნოეთი, გამოქვაბული, ზღვა, უსაზღვრება, ქვეწარმავალთა საბუდარი თუ ცის სილაჟვარდე.

აჩრდილების ველზე იარა, ასტრალები იხილა, უხორცოთა პლანეტას გაუშინაურდა, შეუცნობი ხაზები გაავლო, მარადიული მშვენიერება გაუკვდავა, ზეციური ღირა ააჟღერა და გრძნეული ხმები გამოაცემინა, ესმოდა ცის ზარი, საღვთო მუსიკა...

ედგარ პო მოიხსენება, როგორც „კოლუმბივით ახალი სამყაროს აღმომჩენი ადამიანის სულში“, რომლის კეთილისმყოფელ გავლენას ვერ აცდა ვერც ერთი მისი თანამედროვე თუ მომდევნო ეპოქების კლასიკოსი.

ის იყო სიტყვის ოქროს მაძიებელი „ბრძენი მაგი“. სიბრძნის დემონი, წინასწარმეტყველი „თეთრი ყორანი“, მუდმივად დაპირისპირებული ამერიკის პრეგმატიზმს, ოქროსმოყვარეობას, ცრუ დემოკრატიას.

მისი „ქვეცნობიერის რებერვუარი“ სავსე იყო უცნაური და საშინელი ხატებით.

ედგარ პოს ეპოქა რენესანსის წინამორბედად არის მიჩნეული. მან ახლებურად დაინახა მთელი მსოფლიო, ადამიანის სული, ხელოვანის ფსიქიკა.

„მე ვერ მივაწერ ჩემს ბედს მიწიერს, ცოტა რამე აქვს მას მიწიერი“ (ედღენება) (11, 40), აცხადებდა პოეტი და, მართლაც, ის იყო ღვთისგან, სულიწმინდისგან ხელდასმული ჭეშმარიტი შემოქმედი, რომელმაც მრავალგზის ახადა ფარდა მიწის, უდაბნოს, მიწისქვეშეთის, ასტრალური სამყაროს, ზეცის საიდუმლოებებს, გაგვაოცა ინტელექტუალური რებუსებით, სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნებით, მუსიკალობით, მშვენიერებით, სიბრძნით.

გატაცებული იყო მეცნიერებით, ასტრონომიით, ოკულტიზმით, იდეალისტური ფილოსოფიით, რაც ადამიანის ცნობიერების სიღრმეში

შელწევის შესაძლებლობას აძლევდა, როგორც დიდი ინტუიციით მომადლებულს.

ედგარ პო ხაზს უსვამდა პოეზიაში მუსიკალობის აუცილებლობას, ამასთან მის კავშირს იდეასთან, მშვენიერებასთან: „პოეზიაში მთავარია მუსიკალობა, რადგან ტკბილი ბგერა ჩვენთვის ყველაზე მოუწვდომელია. სიამის აღმძვრელ იდეასთან გაერთიანებული მუსიკა-პოეზიაა. იდეაგამოცლილი მუსიკა უბრალოდ მუსიკაა, იდეა მუსიკის გარეშე არის პრობა თავისი დიდი განსაზღვრებით“ (პოეტებსა და პოეზიაზე) (12, 97-203).

ამასთან, ედგარ პო მიიჩნევდა, რომ მშვენიერება ერთადერთი კანონიერი სფეროა ლექსისა „... ყოველგვარი მშვენიერების უმაღლესი გამოვლენა მუდამ ცრემლს ადენს მგრძნობიარე მკითხველს. ამიტომაც მეღანქოლია ყველაზე უფრო კანონზომიერია პოეტური ინტონაციებიდან“ (1, 209). და ისმება კითხვა: „არის კი ყველაზე მეღანქოლიური ყველაზე პოეტურიც?“ პასუხი ასეთია: „ასე მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სიკვდილი მშვენიერებას უკავშირდება“.

ედგარ პოს პოეზია, პრობა იყო გამოგონება, ოღონდ ისეთის, რომელიც სამყაროს, ადამიანის ფსიქიკის, სულის საიდუმლოებებში ღრმად იჭვრიტება და მთლიანად შეძრავს მკითხველის ცნობიერებას, ახლებურად დაგვანახებს ყველაფერს, რაც ჩვეულებრივი მშერისთვის მიუწვდომელია, მაგრამ საოცრად დამაჯერებლადაა ნაჩვენები დიდი მწერლის მიერ.

როგორც მიუთითებენ, მწერალმა კოლუმბივით აღმოაჩინა ადამიანის სულის, ქვეცნობიერის საიდუმლოები, თუ მიღმური სამყაროს საიდუმლოებები. განჭვრიტა ქვეცნობიერების, ადამიანის ფსიქიკის ისეთი საიდუმლოები, რომელშიც მანამდე არავის შეუღწევია.

ამ დიდმა შემოქმედმა პრობაშიც და პოეზიაშიც სათავე დაუდო ისეთ ხილვებს, რაც აბსოლუტურად ახალი იყო და ახალი რენესანსის სათავედ მიიჩნევა.

ედგარ პო თავის ფანტასტიკურ, მაგრამ საოცრად დამაჯერებელ პოეტურ პლანეტას ქმნიდა უჩვეულო ხილვებით, სიმბრებით, ფანტომებით, ქვეცნობიერის ხატებში შეღწევით და ვრწმუნდებით, რომ იგი თავიდან ბოლომდე რეალისტურიც არის, ალეგორიულ-სიმბოლური, ეკუთვნის ფანტაზიას, ამასთან, რეალურ სამყაროს. ასე ღრმად, ასეთი ხერხებით

მანამდე არავის შეუღწევია ადამიანის ფსიქიკის, ფილოსოფიის, სოციალური ცხოვრების სფეროებში.

გალაკტიონი დინების წინააღმდეგ, „ქარის პირისპირ“ სვლას ქადაგებდა, მაგრამ ბოლომდე ვერ რჩებოდა სიმართლის, სინდისის აპოლოგეტად, რადგან ტოტალური ეპოქის რეპრესიებით იყო დაშინებული და კომპრომისებსაც უშვებდა თავის გადასარჩენად.

ედგარ პოსთვის უცხო იყო თეთრის შავად წარმოჩენა, მან ბოლომდე ამხილა ამერიკის უკეთური მოვლენები, დემოკრატიის სახელით მოსული იმპერიის დემავოგია, პრაგმატიზმი, რაც დიდ რისკებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რითაც სიმართლის, დემოკრატიის მსახურთათვის იქცა ეტალონად.

„ედგარ პო, რომელიც წერდა თავის დროზე და თავის ქვეყანაზე, გახდა მსოფლიო ხელოვანი“ (ნ. ანასტასიევი) (10, 11).

დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „განათლება“, 1989
2. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
3. გიორგი მერკვილაძე, ფიქრები პოეზიაზე, თბ., 1971
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „მერანი“, თბ., 1982
5. გერმანული ფილოსოფიური ლირიკა, თსუ, 1981
6. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 15 ტომად, ტ. I, ლექსები, პოემები, 1908–1914, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2016
7. ოთარ ტაბიძე, შემოქმედების არსი, თბ., 1980
8. ჯანსუღ ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ., 1983
9. გალაკტიონოლოგია, ტ. I, თბ., 2008
10. ედგარ პოს ოთხტომეული, ტ. I, თარგმანი ვ. ბალმონტის, მოსკოვი, 1911
11. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ., 2001
12. ესეები, თარგმანი პაატა და როსტომ ჩხეიძეების, თბ., 1989

საღვთო სიბრძნის ადებტები

დიდი ხელოვნება, პოეზია, წილნაყარია რწმენასთან, სიბრძნესთან, მშვენიერებასთან, ჭეშმარიტებასა და სიკეთესთან.

წმინდა წერილი გვასწავლის, რომ „თავად უფალია სიბრძნე და ის უმაღლეს ცნობიერებას ანიჭებს მხოლოდ ღვთისმოსავეებს“ (ისო ზირაქი, 44,33) (1,66).

სიბრძნე „ეწვევა უბიწო სულებს თაობიდან თაობაში და ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად განამზადებს მათ, რადგან ღმერთს არავინ უყვარს, გარდა იმისა, ვინც სიბრძნით ცხოვრობს“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,27,28) (1,24).

„უკვდავებაა სიბრძნესთან წილნაყარობა“ (სიბრძნე სოლომონისა) (8,17) (1,24).

პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველგვარი ნიჭი, მათ შორის წინასწარმეტყველების უნარი სულიწმინდის მადლია (I კორინთელთა, 12,4-11)(2,374-375).

ამასთან, ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია.

მთავარია „რწმენა, იმედი, სიყვარული. მათგან სიყვარულია უმეტესი“ (I კორინთელთა, 14,13) (2,376).

დავით წინასწარმეტყველი ეძებდა „დაფარულ სიბრძნეს“ (ფს. 50,8,9)(2,575)..

ბიბლიაში მხილებულნი არიან ცრუ წინასწარმეტყველები, მისნები, რომელთაც დასჯით ემუქრება უფალი (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 3,3-6, 9-11) (2,203).

განარჩევნ „ხორციელ სიბრძნეს და ღვთის მადლს“, „მიწიერ, მშვიდიერ, ეშმაკულ სიბრძნეს“ და „მაღლიდან გარდმოვლენილ, წმინდა, მშვიდობიან, წესიერ, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელ და უთვალთმაქცო სიბრძნეს“ (იაკობი, 4,15,17) (2,298).

ანრი ბერგსონი, კარლ გუსტავ იუნგი განასხვავებენ ცოდნის ორ სახეს: ინტუიციურს და რაციონალურს. ინტუიცია წარმატებით წყვეტს იმ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა არ შეუძლია გონებას. ამასთან, უფსკრული როდია ინტუიციისა და გონებას შორის.

იუნგის მიხედვით, „არაცნობიერისა და ცნობიერის მნიშვნელობა თითქმის თანაბარია“ (3,256).

რუდოლფ შტაინერი საუბრობს „სულიერი თვალის, უმაღლესი გრძნობის გახსნაზე“, „სულიერი სამყაროს ჭვრეტაზე“ და მიიჩნევს, რომ „მეცნიერის გონებრივი შრომა უდავოდ უწყობს ხელს აღნიშნული ძალებისა და სულიერი ხედვის განვითარებას“.

ანთროპოსოფიის ფუძემდებლის აზრით, გრაალის ბარძიძის შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო — ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის მომნიჭებელია და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (4, 51).

მეცნიერული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო ახორციელებს ლოგიკურ აზროვნებას, მარჯვენა კი ინტუიციურს, რომელთაც ეწოდებათ ჰიპოფიზი და ეპიფიზი.

სიბრძნე კი არის ეგოტერიკული და ეგოთერიკული. პირველი ფართო მასებისთვის არის მისაწვდომი, მეორე — მხოლოდ ხელდასხმულთათვის (5, 172).

გიორგი გურჯიევი საუბრობდა ნიჭით, ძალისხმევით ადამიანურ შესაძლებლობებზე ამაღლების შესახებ: „როდესაც მზე ამოდის და მთის მწვერვალზე მალღდება, ხეობა და ველი კვლავ სიბნელეშია ჩაფლული. ამასვე ჭვრეტს გონების თვალი, როდესაც გასცდება, ამაღლება ადამიანური სიტუაციის ფარგლებზე, ხედავს ღვთაებრივ სინათლეს მაშინ, როცა იმათთვის, ვინც ქვემოთ ცხოვრობს, ყოველივე ბინდითაა მოცული. როცა გონება, ინტელექტი ერთიანია, მთლიანია... ადამიანის გონება, ინტელექტი მძლავრი კვლევითი ინსტრუმენტის უნარს იძენს. მთავარია ნებელობა და ბედი, ხვედრი განგების, ბედისწერის... ეს ორი ზემოქმედების სფერო“ (5, 140-141).

დანტემ „სიყვარულის და სიბრძნის ნიჭი“ შესთხოვა მაღალ სულს, ედგარ პოსთან „ტროფობის ღმერთია“ სიბრძნის მეუფე.

ცაში, ცეცხლოვან ჰანგში დიდი ძალისხმევით ხდება „სიბრძნის სასუფევლების“ მიგნება ედგარ პოს პოეზიაში: „...ო, მგოსანო ზეცის, იბრაფელ, ცას ცდომილნი აუმიღერე, შენ უცეცხლო ჰანგი დაგმე, ელი მუდამ ამაყ დაფნებს, რადგან სიბრძნის სასუფევლებს ოდენ ვნების ძალა აგებს“ (იბრაფელ).

პოეტისთვის მთავარი იყო „ზეცის ჰანგის“ მიგნება, სულის თვალთ ჭვრეტა „სიბრძნის უფსკრულში“.

„ღრმა აზროვნება მხოლოდ ცაში ასულთა ხვედრია, სად სიყვარული უკვე ღმერთია“.

ამერიკელი პოეტის იდეალია „ბრძენთა შორის უჭკვიანესი“ (იზრაფელ, თარგმანი ლეილა გამსახურდიასი) (6, 51-53).

ედგარ პოს ლირიკული პერსონაჟის მიზანია „ცის ლაჟვარდების ახმიანება ქნართი“.

„იზრაფელი მემუსიკე ანგელოზია, რომელიც საკუთარი გულის სიმზე უკრავს, ე.წ. „ვნებიან პოეზიას“ განასახიერებს, რითაც უპირატესობა ენიჭება გრძნობას, ირაციონალურ საწყისს“ (კ. ჯანდიერის კომენტარები) (6, 103).

„ყორნის“ პერსონაჟი ინტელექტუალური, მარადიულ სიბრძნესთან წილნაყარი ადამიანია, რომელიც გატანჯულია ჭეშმარიტების ძიებით და ამბობს: „დავოსდი ძველი სიბრძნის წკვარამით“ (თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის) ((7,200-206).

პოეტის ფართო თვალსაწიერი ეფუძნებოდა როგორც რაციოს, ისე ინტუიციას. მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ მიწაზე დავანებულთა ცრუ, მოჩვენებითი, ჭეშმარიტი შემეცნებისგან შორს მყოფი ცოდნა.

ედგარ პოს პოლემიკა ჰქონდა ისეთ ცოდნასთან, რომელიც მესამე თვალთ, გულის თვალთ კი არ იხედებოდა ადამიანის სათუთ სულში, არამედ „ქორის ბრჭყალებით“, რაც „ელფერს უკარგავს ყველა საგანს, რასაც განჭვრიტავს... ქორის თვალებით კორტნის პოეტის გულს და მოსაწყენი რეალობის ფრთებით დაფრინავს“ (სონეტი მეცნიერებას) (6,131).

„ლიგეაში“ მთავარია „ტრანსცენდენტური საიდუმლოს წვდომა“; სიბრძნის ბილიკების ღვთაებრივ ნაკრძალთან მისვლა: „მივიკვლევდი გზას მეტაფიზიკური გამოკვლევების ქაოსურ სამყაროში... სულ შეუჭირვებლად, თანდათანობით გადამეშლებოდა ნათელი თვალსაწიერი და წინ მიმავალი, შორი, მზიანი, მთლად გაუკვალავი ბილიკი სიბრძნის კარიბჭესთან, ესოდენ ფასდაუდებ, ღვთაებრივ ნაკრძალთან რომ მიმიყვანდა“ (8, 90-102).

„ნაპარავ წერილში“ დაგმობილია „ტყუილი ბრძნობა, როგორც საძულველი“ (8, 134).

ედგარ პოს სულს გამოვლილი ჰქონდა „სიბრძნის სასუფეველები“.

ამერიკელი ავტორის აზრით, გარდასულ ჟამთა ცოდნის მახასიათებელია შეზღუდულობა, ტრიალი მოსაწყენ რეალობაში, შებოჭილობა მიწით მაშინ, როცა ზეცაშია საძიებელი სიბრძნის თვალმარგალიტი: „რად შეგიყვაროს, ან ჩავთვალოს უჭკვიანესად მან, ვისაც ბოჭავ, მოიაროს ქვეყნიერება, თვალ-მარგალიტის საძებნელად ავიდეს ზეცად, ვინც დაფრენს ლაღად, ირაოებს არ ერიდება?“ (6,87).

გალაკტიონი უცდომლად განარჩევდა „ცრუ სიბრძნეს და უკვდავ აზრის ბჭეს“ (იბრწყინე მარად), ის იყო „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“.

„ახალი სხივის“, „ახალი ღმერთის“ სიყვარულით, „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“ პოეტი წინსვლის გზებზე იდგა, მარმარილოს საფეხურებით მაღლდებოდა ზეცამდე (უმშვენიერეს კიბეზე) (9,204).

პოეტს „სიბრძნეს სიბრძნეზე“ მატებდა რწმენა და სწორედ ეს იყო მისი გამარჯვების გარანტი (1950) (8,364–365).

ზეციურ, მარადიულ სიბრძნესთან წილნაყარს, საღვთო ჰანგები ესმოდა, ცის კარი და მიწის გული, ქვეყნის კარი და „სიბრძნის კარი ეხსნებოდა: „გაოცებით მწყემსი წყნარი ისმენს ციურ დაირასა... ვინა სთქვა, რომ სიბრძნის კარი სამუდამოდ დაირაზა?“ (ვინა სთქვა) (9,301).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, გალაკტიონის ლექსის მიხედვით, „შრიალებს ფრთები ელადათა სიბრძნის დემონის“ (პოემა ვეფხვისა) (10, 312–316).

„გადავეში სიბრძნის ზღვაში, სიბრძნეს ვეყმო, სიბრძნეს ვეძმო“, ათქმევინებს გალაკტიონი მეოცე საუკუნის ქართული რენესანსული პოეზიის გენიალურ წინამორბედს — შოთა რუსთაველს (შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად) (10,239–241).

პოეტების მეფის შემოქმედებაში „მეომარი, ბრძენი, პოეტი“ „ცეცხლის სანახავიდან“ ხედავენ მოვლენებს, ანუ წილნაყარი არიან რწმენასთან, რადგან ცეცხლი საღვთო სახელია (მოადგა ნაპირს ათასი ნავი) (10,41).

გალაკტიონისთვის ჭეშმარიტი პოეტი, არტისტი ყოველთვის ბრძენთან, მოგვთან ასოცირდება (საღამოხანად) (11,174).

ლექსში „მშრობლიურო ჩემო მიწავ“ ხაზგასმულია სამშობლოს „შრომა, სიბრძნე, მისი დიდი ხელოვნება“ (11,27–32).

„არსებობის გული ხელოვნებაა ბრძნული“, ამბობს ლექსში „დიმიტრი გულიას“ (11,54).

გალაკტიონის სიბრძნე არა მასების „ახსნილი და გასაგები“, მშრალი სიბრძნე იყო, არამედ „ნისლში გამქრალი“ საიდუმლო სიბრძნე, სიმბოლურ — მეტაფორული, იგავური ხერხით გადმოცემული ჭეშმარიტება (დღიურ პროზიდან) (10,304).

პოეტის იდეალი იყო რწმენასთან წილნაყარი მარადიული, მზის სხივივით ელვარე სიბრძნე: „მარადის სიბრძნის აშუქებდნენ სხივნი მზისანი“ (საუბარი ლირიკის შესახებ) (9, 39-128).

ედგარ პოსა და გალაკტიონის სიბრძნე ეპოტერული სიბრძნე იყო.

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიმბრები, თბ., 1995
4. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (ზ) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ., 1994
5. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა, თბ., 2006
6. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ., 2001
7. ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია, ინგლისურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გიორგი ნიშნიანიძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985
8. ედგარ პო, მოთხრობები, თარგმანი ინგლისურიდან ზაურ კილაძის, „პალიტრა L“, თბ., 2011
9. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1994
10. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 1, თბ., 1992
11. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 1993

სიზმრის კონცეპტი

ედგარ პოსა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მიხედვით

უძველესი დროიდან მომდინარეობს აზრი, რომ ჭეშმარიტ არსებობას, სულის სიწმინდეს, რწმენის, სიკეთის მსახურებას ადამიანის სული სიკვდილის შემდეგ მიჰყავს მარადიულ სასუფეველში, მიწიერი სიცოცხლე კი ხანმოკლე სიზმარია, წარმავალი ილუზია.

ძველ აღმოსავლურ პოეზიაში „ცხოვრება ესე მაიაა, ნაცარია მისი არსება“ (1, 89).

ჩინური პოეზიის მრწამსი ასეთია: „სად დაგვეკარგა სიყვარულის, ხალისის ჟამი? აწ იგი ჩვენთვის ჩრდილია და სიზმარი ღამის“ (1, 155).

ანალოგიურია კორეელი პოეტის აზრი: „კაცთა ცხოვრება სიზმრის მსგავსია“ (1, 172).

ფრანგული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი შარლ ბოდლერი წერს: „თითქოს ილუზიას ვემსახურები“ (ხმა) (2,90).

ანდრე ბელის თქმით, „სიზმარია ეს ცხოვრება — უცხადესად ხილული“ (ხმა) (3,90).

ვლადიმერ სოლოვიოვისთვის ერთროულად ძილ-ღვიძლია ცხოვრება: „ისევ ძილ-ღვიძილს ერთვის ცხოვრება“ (3,102).

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ გვამცნობს: „სიზმარში ვხედავ მოსალოდნელ სიმძიმის და სიხარულსაც. განა ჩვენი სინამდვილე თვით სიზმარზე უსიზმარესი არ არის?“ (4, 182).

ყოფნის სიზმარეულობის არსს ასე ხსნის რაჯნეში: „პრობლემას წარმოადგენს არა მოქმედება, არამედ ყოფიერება. როდესაც თქვენ გაიგეთ თქვენი შინაგანი ყოფიერება და სინათლე, თქვენ უკვე არაამქვეყნიური ხართ. ის, რაც წარსულში მოხდა, ფაქტიურად სიზმარში მოხდა. აი, რატომ ამბობენ ინდოელები, რომ მთელი ცხოვრება სიზმარია, მხოლოდ თქვენ არა ხართ სიზმარი, მხოლოდ სიზმრის მაყურებელი არ არის სიზმარი, ყველაფერი დანარჩენი სიზმარს წარმოადგენს, მხოლოდ სიზმარია... სიზმრის მაყურებელი შეუძლებელია სიზმარი იყოს. სხვა შემთხვევაში სიზმარი არ იარსებებდა“ (ბჰაგვან შრი რაჯნეში, „ტანტრა. უდიდესი შეცნობა“)(5,285).

ედგარ პოს შემოქმედება ნაზავია სინამდილის და ოცნების, სიცხადის და სიზმრის.

ამერიკელ პოეტს „სიზმრების ქვეყანა“ თავის სახლად მიანჩნდა, რომელშიც დასახლებული იყო მხეცები, გველები, ბაყაყები, ავი სულელები, ჯადოქრები. აქ იყო უდაბნო, ველები, გამოქვაბული, გიგანტური ხეები, ნიაღვრები, ზღვა, უსაზღვროება (6, 31).

პოეტი მოგზაურობდა „ჯადოსნური სიზმრების ველზე“.

„მე მესიზმრება ჯადოსნური სიზმრები შენზე“, მიმართავდა ედგარ პო თავისი ოცნების იდეალს და „სიყვარულის სიზმრებით“ იოკებდა უდაბნოს, მხეცების შიშს „სამწუხარო გზაზე ეულად მავალი“ (6, 23).

„ბნელ ველზე“ ელანდებოდა „ლილისფერი თოვლივით თვალები, როგორც სიზმარი“ (განგაშის ველი) (6, 6).

„ულალუმში“ „წმინდა ნათელს“ ხედავდა, გეციურ შუქში სიბილას გზება ეჩვენებოდა მსხნელად და ამბობდა: „მას უნდა მივენდოთ, სხვა გზა სიზმარია“ (7, 130-132).

ლექსში „ანაბელ ლი“ ნათქვამია: „მთვარე მასიზმრებს საოცარ სიზმრებს“ (7, 139).

პოეტის „წმინდა სიზმარი“ შორი სხივივით ნაზია, დღის ჭეშმარიტებაზე უფრო მანუგეშებელი, გზის მანათობელი, რადგან მისი პოეტური გამონათგონის, ფანტაზიის იდენტურია და ცხოვრების არსში მჭვრეტელი: „ოჰ, ეს სიზმარი, წმინდა სიზმარი, მთელი ქვეყანა როცა მკიცხავდა, ვით ნაზი სხივი, ჩემი სტუმარი, მარტოსულ ყარობს გზას მინათებდა. შორი სხივი... რით ვერ დაჯახნის შუქის სიწმინდით დღით განათებულ ჭეშმარიტებას?“ (სიზმარი) (7, 33).

ედგარ პოს ფანტომები, ფანტასმაგორიები, სიზმრები ისევ და ისევ ცხოვრების, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობას და გახსნას ემსახურებოდა: „ცხადში სიზმრის მხილველებილა შენიშნავენ იმას, ღამეული სიზმრის მნახველებს რომ გამორჩებათ. ბუნდ ზმანებაში მარადიულობის გაეღვებას მოჰკრავენ ისინი თვალს და თრთოლა აიტანთ გაღვიძების ჟამს, რაკი მიხვდებიან, უდიდესი საიდუმლოს სამანზე ყოფილან თურმე. მეცვსეულად სიბრძნისას რაღაცას ეზიარებიან, იმას, რაც სიკეთეა და იმასაც, რაც ჩვეულებრივ ცოდნაზე მეტია—ბოროტებას“ (ელეონორა) (8, 74-80).

„პაემანში“ ნათქვამია: „ეს სიზმარეული სურათები მალე მაზიარებს ახდენილ ოცნებათა ქვეყნის ხილვებს, საითკენაც ახლა მივისწრაფვი“ (8,73).

ედგარ პო იზიარებდა ყოფნის სიზმარეულობის აზრს: „რაც გვეჩვენება, ან გვხვდება თვალში, არის სიზმარი, მხოლოდ სიზმარი“.

ცხოვრებას აღიქვამდა, როგორც ხელში მოქცეული ქვიშის მარცვლებს, რომელიც ზღვაში ვარდება, იძირება და კითხულობდა: „ნუთუ რაც მოჩანს, ან გვხვდება თვალში, არის სიზმარი, მხოლოდ სიზმარი“ (სიზმარი სიზმარში) (7,31).

პოეტს ესიზმრებოდა სიკვდილის სამეფო, უფსკრულები, მწუხარე, უსხივო ქალაქები, ბნელი, გაქვავებული გარემო. „სამინელი სიზმრები, ბოროტი სიზმრები“ უწამლავდა სულს (ქალაქი ზღვაზე) (6,10).

სიზმარში ხედავდა ნაადრევად გარდაცვლილ სატრფოს და სჯეროდა, რომ ვერც დემონები, ვერც ანგელოზები ვერ დააშორებდნენ ძვირფას არსებას (ანახელ ლი) (7, 91-93).

ზოგჯერ, მელანქოლიასთან ერთად, სინათლეს ევლინებოდა, მაგრამ ეს იყო „სიზმარი, მხოლოდ სიზმარი“. „დღის სიზმარი“ აღვიძებდა „წამებისთვის“ (ოქროს ხოჭო) (8,8).

ედგარ პოს „სიზმარი სიზმარში“ გამოქვეყნდა 1824 წელს.

აღნიშნავდნენ, რომ ლექსის ავტორს ემჩნევა სემუელ კოლრიჯისა და ჯორჯ გორდონ ბაირონის აშკარა გავლენა.

„მოსაწყენი რეალობის შემცველი მშვენიერი სიზმრის მოტივი ხშირად გვხვდება პოს ადრეულ ლირიკაში. სიზმრისა და სინამდვილის ურთიერთჩანაცვლება და დაპირისპირება საერთოდ ინგლისური და ამერიკული რომანტიზმის აკვიატებული, მუდმივი თემაა. ამას კოლრიჯმა დაუდო სათავე.“

„ედგარ პოს ლექსებში გამოვლენილია აზრი სიზმრისეული რეალობისა და სინამდვილის თანაბარძალოვნებისა და ურთიერთშენაცვლების შესახებ“ (კ. ჯანდიერი, კომენტარები) (7,98).

ყველა შემოქმედთან გვხვდება სიზმარი, ზღაპარი, ლანდი, როგორც შემოქმედებითი პროცესის მახასიათებელი, მხატვრული გამონაგონის სიმბოლო.

ბოდლერი ამბობს: „შენნაირ სიზმრებს ვერასოდეს იხილავს ბრძენი“ (ხმა), რაც ხაზს უსვამს სიზმარ-გამონაგონის სიდიადეს.

აღ. ბლოკი გამონაგონს „არამიწიერ „სიზმარს“ უწოდებდა.

„სინამდვილე — ზღაპარია, ლეგენდა, მითი. ხელოვანი თვალშია სიზმარშია გახვეული“, წერდა გრიგოლ რობაქიძე (ერის სული და შემოქმედება) (9).

გალაკტიონისთვის „ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია და სინამდვილედ მიჰყვება სიზმარს“.

პოეტი სიზმარში ხედავდა „მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზისა და სინარნარის მხარეს“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (9,51).

ყოფნის სიზმარეულობა ამოკითხება გალაკტიონის ლექსებში: „სიზმრები, საუბარი ედგარზე, მეტეხი იდგა რუხი, პიტალო, როგორც სინათლე მოხეტიალე, მთვარე მთას ამოეფარა, მე მესიზმრება“.

პოეტების მეფე იდეალს სიზმრით, ოცნებით უახლოვდებოდა: „ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს გადაზნექილი სიზმრების წელი“ (ალვები თოვლში) (10, 67).

„სიზმარი პიროვნების შინაგანი მდგომარეობის გამოვლენაა, ხშირად ალევორიული, არაპირდაპირი, მაგრამ მაინც შინაგანი ძალებით ამოძრავებული და პიროვნებისული“.

გამოიყოფა „განცდილის, მომასწავებელი, წინასწარმეტყველური“ სიზმრები (რ. ნათაძე) (11,56).

განწყობასთან დაკავშირებული სიზმრებია გალაკტიონის ლექსებში „პატარა პიერი“, ბავშვს ჩაეძინა“.

ყოფნის სიზმარეულობის განცდაა „სამი ღრუბლის“ ფრაზაში: „ო, ღრო, გამახსენდება შენი გზა სიზმარეული“.

ერთგან „მწარე სიზმარი“ — მზის ჩაქრობა — სიკეთის გლობალურ დაკნინებაზე მიგვანიშნებს: „მე დამესიზმრა მწარე სიზმარი, მაგრამ მთლად როდი იყო სიზმარი, უეცრად ჩაქრა მზე ელვარებით და სიდიადით ნათილისმარი“ (მე დამესიზმრა მწარე სიზმარი) (12,780).

სიზმარში სამშობლოს ბედზე შფოთვა ლუციფერს მოაზმანებდა: „...ჩვენ გვესიზმრება ჩვენი სამშობლო, სამშობლო შავი ლიუცეფერის“ (სამშობლო შავი ლიუცეფერის) (12,139).

პოეტი იგონებდა ცხოვრებას, როგორც „სიზმარეულ გზას“ (ნამდვილი და ხელოვნური ყვავილები) (12, 513).

ლექსში „ფელეტონების შემდეგ“ ირონიის საგნად არის ქცეული უამრო სიზმრებში გართულთა არაადეკვატურობა.

„მცინვარში“ პოეტი დასცინის ლიტერატურის ტურისტებს, კუბისტებს, ფუტურისტებს, რომლებიც „ნიბლიასავით“ „სიზმრებში“ არიან გართულნი, სინამდვილეში „მცინვარზედაც უახლოესი ააქვთ ტალახი“ (13,418).

გალაკტიონის სიზმარი ფანტაზიის, აღმაფრენის, სინამდვილეზე უფრო ძლიერი გამონაგონის სიმბოლოა.

პოეტს თითქოს ჩაესმის „ნიავის ჩურჩული: „სიზმარს უნდა ყურის გდება“ (მე და ზამბახი) (14,135).

გალაკტიონის პოეტური გამონაგონი ცხად სიზმარში მოლანდებულის ხორცშესხმა იყო, ასეთ დროს მისი „სიზმრები“ ფრთებს ასხამდა მშვენიერებაზე ოცნებას (მთაწმინდის მთვარე) (12, 66).

„სიზმარიან ჩვენებით“ დაქრიან გალაკტიონის ლურჯა ცხენები, მის სიზმარს „ციდან ცამდე“ აქვს ფრთები გაშლილი, ამიტომ საუბრობს „სიზმრების სიდიადეზე“, ხოლო როცა ფანტაზია, წარმოსახვა ღალატობს, აცხადებს: „ყვავილნი არ არიან, არც შვება—სიზმარია“ (ლურჯა ცხენები) (12,65).

„არტისტული ყვავილების“ ავტორის შემოქმედებაში ფიქსირდება „მაისის სიზმარი, სიზმარი ყვავილნარევი, მარადი სიზმარი, ოცნება—სიზმარი, სიზმრების სიდიადე, სიზმრების ფრთები, სიზმარეთის კოშკები“.

გვხვდება „დაღალული სიზმარი, ავი სიზმარი, ნასიზმრევი სიზმარი, სხვა სიზმარი, სიზმარეული სიცოცხლე“.

გალაკტიონის პოეზიაში შეინიშნება ამ ცნებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა. ერთ შემთხვევაში გვაფრთხილებს: „არ დაუჯეროთ სიზმარს, სიზმარს ადვილი არ უნდა ჰქონდესო, „ამავე დროს, ლაპარაკობს სიზმრების სიდიადეზე, იდუმალ და ნაზ სიზმრების მხარეზე, სიზმრების ფრთებზე, სიზმარეთის კოშკებზე“. სიზმარს გამოღვიძებას, გათენებას, ახალ მხატვრულ სინამდვილეს უკავშირებს: „ბევრს ეშიინოდეს ჩემი სასტიკი, უღმობელი გამოღვიძების, ვით გათენების, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ (მე მძინარე ვარ) (143).

„ხანმოკლე სიზმრის გზა სწორზე სწორი“ (სახელწოდება პუშკინის სახლის) აღნიშნავდა პოეტი, რომელსაც სიზმარი ამცნობდა გარდატეხის, აღორძინების მოვლენას: „ტკბილ სიზმრებში მე მომესმის გარდატეხათ ხეტიალი“ (მაღალ მთაზე) (12,476).

„მთაწმინდის მთვარის“ სტრიქონს: „თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები“ — თვით გალაკტიონი ასე განმარტავდა: „ძალა აღმაფრენის, პოეზიის, რომანტიზმის“ (საკუთარი ლექსების შესახებ) (15,15).

პოეტის ლექსში „მარხია მოჩვენება სიზმარული, სული შეშლილი და ბედნიერი“ (მეტეხი იდგა რუხი, პიტალო) (12,376).

„შეშლილი“ ანუ ჩვეულებრივთა ცნობიერების საზღვრის იქით გაღწეული, „ბედნიერი“ — ჭეშმარიტების, სიბრძნის, სილამაზის მოხელთება — გაუკვდავებით.

„კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა“ (ეფემერა) უნდა ნიშნავდეს სათქმელის, გამონაგონის მიგნება — დაკონკრეტებას, რადგან „სიზმარეთის კოშკები“ პოეზიის სიმბოლოა. გალაკტიონის პოეზიის გამორჩეულობის აქცენტირება განაცხადი: „კოშკი ჩემი მაღალი აღის დროთა ქროლამდის, მას მრავალი ბურჯი აქვს, ყველა მხოლოდ ფოლადის“...

გამუდმებული ჭიდილი აზრთან, საკუთარი ფანტაზიისა და წარმოსახვის ლანდებთან, ყოველდღიური, ყოფითი წვრილმანების იგნორირება, პოეტური ცხოვრებისადმი ფიზიკური რეალობის დამორჩილება ათქმევინებდა: „ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია და სინამდვილეც მიჰყვება სიზმარს“.

გამონაგონის, წარმოსახვის რეალურისმაგვარობა ზოგჯერ ზღვარს შლიდა რეალურსა და არარსებულს შორის და პოეტი კითხულობდა: „ეს მართლა ხდება თუ მესიზმრება?“

ზღაპრის, სიზმრის, გამონაგონის რეალურთან შედუღებით აღწევდა პოეტი იდუმალებას და განახლებას: „განვახლდებოდი იდუმალ და ნაბ სიზმრების მხარეში“ (ფანტაზია) (12,674).

„სიზმარ-ცხადი“, „ოცნება-სიზმარი“ გალაკტიონის პოეტური მანერის მოუცილებელი ინგრედიენტებია. პოეტი თვით გვიმხელს თავისი შემოქმედების საიდუმლოებას, როცა წერს: „რისთვის ბუნებამ მშობა პოეტად, რომ გავყოლოდი ოცნება-სიზმარს?“ (რისთვის) (12,365).

შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკას, პოეტური განცდის ტკივილებს პირდაპირ გვიცნობიერებს გალაკტიონის ერთი გვიანდელი ლექსი:

„როდემდე ვივლით ასეთ ტკივილით? როდემდე უნდა მივყვეთ ზმანებებს? ყოველდღიური სიზმრების ნატურით როდემდე ვივლით ასეთ ტკივილით? შემოქმედება, აზრი, გონება?“

სხვაგან — „მუზა ცის ტკბილი სიზმარია“.

პოლ ვალერი წერდა: „სიცხადესა და სიზმარს შორის ირხევა პოეტური ქანქარა... თუმცა არასწორია სიზმრისა და პოეზიის ცნებების აღრევა... სიზმარი და ზმანება შეიძლება პოეტური იყვნენ, მაგრამ შემთხვევის წყალობით შექმნილი სახეები მხოლოდ შემთხვევით არიან ჰარმონიულნი“ (16,228).

გალაკტიონმა „შექმნა საკუთარი ქვეყანა თოვლის, ზღაპრისა და სიზმრებისგან, რომელთანაც თითქოს არც აპირებდა გამოთხოვებას“ (17,14).

გალაკტიონის თქმით, ნიკორწმინდა „ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“ (ქებათა ქება ნიკორწმინდას).

ლექსში „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“ — „სიზმრის აბარია ველი შენაფერი, ახლა ყველაფერი ოქროს ზღაპარია“.

გალაკტიონის თანამდევნი იყო „უნებური სიზმარი“ (მოვა, მაგრამ როდის?) „მარადი სიზმარი“ — შთაგონება (ოთხი დემონი), „სიმაღლეების ზამბახეული სიზმრები“ (ზამთრის მოტივებიდან), ის იღწვოდა „სიზმარეთის კოშკების“ ასაგებად.

მისი „მეფური ლექსი“ „უნებური სიზმრით“ იყო გამორჩეული: „ზრდილი ნაზი და მეფური ჩემი ძვლისძველი ლექსი არის უნებური სიზმრით შემმოსველი“ (მოვა, მაგრამ როდის?).

„არტისტული ყვავილების“ ავტორის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს „გადამწევი სიზმრების წელი, სიმაღლეების ზამბახეული სიზმრები, მარადი სიზმარი, სიზმრების სიდიადე, სიზმარეთის კოშკები, მთვარეული სიზმარი, უცხო სიზმარი“, რაც რეალურ, ტრფიალურ სინამდვილეზე მაღლებული მხატვრული სამყაროს მახასიათებელია.

სიზმარში „მუდმივი, დაუჭკნობელი სილამაზისა და სინარნარის“ ხილვა ლექსში „ცად ამიდულა, ვით მარმარილო“.

ანალოგიური მნიშვნელობისაა გალაკტიონის ზღაპარი, გამონაგონი, რომელიც პოეტს უმზადებდა არა ზეცის, არამედ ოცნების გვირგვინს:

„გვირგვინი ზეცის არ გაბარია, მეფეთა მეფეთა ეს ზღაპარია ოცნებათ სხვათა და სხვანაირთა“ (ქარის პირისპირ).

რეალური სინამდვილის არსის გამხსნელი სიზმარ-ხილვების ძიება, ადამიანის შესაძლებლობების შორს გაწევა — „შეშლილობა“ იყო, პოეტის ბედნიერების წყარო.

„სიზმარეთის კოშკები“ პოეზიის სიმბოლოა „ეფემერაში“, ხოლო „სიყვარულით აშენებული კოშკის“ ნგრევა ათეისტური რევოლუციონერების მიერ რწმენის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან კოშკი უზენაესის სიმბოლოა.

დავით წინასწარმეტყველი მიმართავს ღმერთს: „...შენა ხარ ჩემი მფარველი, ძლიერი კოშკი ხარ მტრისგან დამცველი“ (ფს. 61,4).

„ლოენგრინეს სიზმარი“ ფიგურირებს ლექსში „ეს მშობლიური ქარია“, „სიზმარივით მღევარი ზამთარია“ „თეთრ პელიკანში“.

ერთი შეხედვით ამ მისტიურ ცნებას პოეტმა გამომსახველობის ამოუწურავი და წარმოუდგენელი ნიუანსები დაანათლა და მეტაფორებით გაგვაოცა: „დღემ სიზმრებამდე გადაამეტა შედამებული დილების ლანდი“, „აღმოსავლეთის სიზმრების ღვარი“ (აღმოსავლეთი) (12,219).

სტეფან ცვაიგი დოსტოევსკის სამყაროს „წუთისოფლის ყველაზე სრულყოფილ ჰალუცინაციას, სულის მომლანდებელ ღრმა და წინასწარ-მეტყველურ სიზმარს“ უწოდებდა, რომელიც „სინამდვილესაც კი ჯაბნის, მაგრამ ეს მანაც რეალიზმია, საკუთარი საზღვრებიდან ფანტასტიურში რომ გადასულა“ (18,243).

ბლოკი საუბრობდა „წმინდა სიზმარზე, ბრწყინვალე სიზმარზე, საუკუნეთა სიზმარზე“.

გალაკტიონი „სიზმრების ფრთებზე“ აკეთებდა აქცენტს (აკაკის, ლანდი) (13,52-55).

იდუმალება ბოლომდე გაჰყვა გალაკტიონის სიზმარს: „მე ვდგავარ როგორც ტყვე უცხოეთში, როგორც სიზმარში უცხო სიზმარი“ (მთვარე მთას ამოეფარა).

ერთგან „მთის ზღაპრად“ გვევლინება.

უოტ უიტმენი ამბობდა: „და ჩემს სიზმარში მემბანება სხვათა სიზმარი, სხვათა ზმანება“ (19,54).

რევამ თვარაძე გალაკტიონის ფრაზას — „სიზმარში უცხო სიზმარი“ — უკავშირებს ედგარ პოს ლექსს — „სიზმარი სიზმარში“, რომელშიც იკითხება:

„ყოველივე სიზმარეულია და ცხადიც არის ოდენ სიზმარი სიზმარში“.
„თანვედრა იმდენად აშკარაა, რომ განმარტებას არ საჭიროებს“, ასკენის
მკვლევარი (20,71).

ფროიდის თქმით, „პოეზია — მღვიძარე სიზმარია. ამის გამო ყოველივე
სიზმარეულია“, აკი ვალაკტიონიც ამბობს: „ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია
და სინამდვილედ მიჰყვება სიზმარს“, ე.ი. წაშლილია ზღვარი სიზმარ-ცხადს
შორის, ამასთან, ეს „სიზმარი“ (პოეტური გამონაგონი, ზმანება, ხილვა)
ცხადია, პოეტური სინამდვილეა ამ სიზმრად დასახულ ცხოვრებაში.

პოეტი სიზმრით ახლოვდებოდა იდეალს (მე მოვალ) (12, 171).

შემოქმედებითი ტკივილი, ზმანებები და ყოველდღიური სიზმრების
ნატვრაა ლექსში „ღრმა მწუხარება“ (20,399).

„მკრთალი სიზმარია“ ლექსში „ნანგრევს იქით, კოშკის იქით“ (გორა-
გორა, ვაზი-ვაზი) (12,141).

ხან სიზმარში მოვლენილი საყვარული და სიზმარს დამგვანებული
ცხოვრებაა ნუგეში: „...მე სიყვარული მესიზმრებოდა და მე ვიყავი, როგორც
სიზმარი“ (როგორც სიზმარი) (13,112,113).

ზოგჯერ „ტანჯვა—წამების ჯადოს“, „მწარე და ველური სახის“
გამოცხადებაა (დაღლილ წაშლამქვეშ) (13,129).

ოცნებისა და სიზმრის ახდენაა „მეცხრე სიმფონიის“ კომპოზიტორთან
ქართული სიტყვის კომპოზიტორის შემოქმედებითი შეხვედრა: „...ოცნება
მგონია, სიზმარი მგონია... ქართული მოტივი—მეცხრე სიმფონია“ (მეცხრე
სიმფონია) (13,294).

პრაგმატული, მიწიერი ინტერესების უგულვებელყოფელ პოეტს
ესიზმრებოდა „რალაც წმინდა, შორი, ქვეყანა“, ჩაესმოდა „ანგელოზთა
ციური ნანა“ (მე მესიზმრება) (13,125).

გვახსენდება ბიბლიური წინასწარმეტყველი: „შენი თვალები იხილავენ
მეფეს თავის მშვენებაში, დაინახავენ შორეულ ქვეყანას“ (ესაია
წინასწარმეტყველი, 33, 17) (21,97).

კიდევ უფრო ღრმამაზროვანი და საოცარია ვალაკტიონის მიერ
სიზმრებში მოსმენილი „ხომალდის რჩევა“, „იალქნების ნანა“: „ხომალდისას
ვისმენ რჩევას, როგორც ძვირფას მცნებას და ოცნებას მიცემული ვიგრძნობ
დავიწყებას. ტკბილ სიზმრებში მე მომესმის იალქნების ნანა, იალქნების

შრიალი და ჟრჟოლა გრძნობისთანა“ (ხომალდისას ვისმენ რჩევას) (13,358).

ხომალდიც მრავალმნიშვნელოვანი სახეა გალაკტიონის შემოქმედებაში, ამ კონტექსტში ეკლესიის სიმბოლო უნდა იგულისხმებოდეს. ტაძარი — მარიამ ღვთისმშობლის სახელია. იალქანი, აფრა, ანძა შთავგონების მომნიჭებელი სულიწმინდის მეტაფორაა ლექსში „მთაწმინდის მთვარე“, „ეს მშობლიური ქარია“, „918“.

ცხოვრების ამაოების, სიზმარეულობის განცდას გალაკტიონი ამარცხებდა ბრძოლით, შემოქმედებითი ყოვლისშემძლეობით: „შენ სცოდავ, თითქო სიცოცხლე სიზმარია და მტვერია, რომ ბრძოლა სისულელეა, არ ბრძოლა ყველაფერია“ (შენ სცოდავ) (12,402).

დამოწმებული მაგალითები გვარწმუნებს, რომ გალაკტიონი ამ ასპექტშიც რჩებოდა არა ვინმეს ეპიგონი, მიმბაძველი, არამედ პრობლემის ძირისძირამდე გამთავისებული, უფრო მეტი, საკითხის ახალ-ახალი ნიუანსებით გამცნობიერებელ—გამამდიდრებელი.

„სიზმარეულია, შთავგონებასთან დაკავშირებულია პოეტის გზა (სამი ღრუბელი) (13,274).

„მარადი სიზმარი, გმანებათა ფერხული, გადაზნექილი სიზმრების წელი“ ასდევნებია შემოქმედს (ოთხი დემონი) (13,35).

„სიმაღლეების ზამბახეული სიზმრებია“ ლექსში „გამთრის მოტივებიდან“.

ბედუინივით მოხეტიალე პოეტს სიზმარში უხილავს „მუდმივი, დაუჭვნობელი სილამაზის და სინარნარის მხარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (13,28).

გალაკტიონის ხვედრი იყო „გმანებები, ყოველდღიური სიზმრები“ (ღრმა მწუხარება აღარ მანებებს) (15,338–339), „სიზმარეთის კოშკების“ აღმართვა (ეფემერა), ხოლო „სიყვარულით აშენებული კოშკები“ დედა—ძის ხატებაა, რომელსაც ებრძოდა ათეისტური ეპოქა (კოშკი).

„ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“, აცხადებდა პოეტი, რაც შემოქმედების, ხელოვნების ფსიქოლოგიის უცდომელი განჭვრეტაა, რადგან მხატვრული გამონაგონის, ნიჭის მომმადლებელი „შორეული მზის“ — უზენაესის გარეშე, „შორეული ცის სილაჟვარდის“, ანუ ცათა ცის მოხილვის, სულის თვალის გარეშე არ

არსებობს ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა, საერთოდ, ამაღლებული, სულიერებით გამორჩეული ხელოვნება.

„გალაკტიონის პოეზია სავსეა ჩვენებებით, ხილვებით, სიმბრებით, წარმოდგენებით, თითქოს პროექციაა საიდუმლოებით მოცული სხვა სამყაროსი“ (თამაზ ჭილაძე, პოეტის იუბილე) (22,140-152).

ოთარ ჭილაძე ყურადღებას ამახვილებს პოეტის „ბედნიერების მაუწყებელ სიმბარზე“ და „ბედნიერ ტანჯულს“ უწოდებს გალაკტიონს (23,144-145).

ლევან ბრეგაძის აზრით, „მთაწმინდის მთვარეში“ მოქმედებს „სიზმრის ლოკვა“ (რეალობის მონატრება — მთაწმინდის მთვარე) (23,57).

„თოვლი...ეს არის სიზმრისეული რეალობის ფერწერული ხატება“, წერს მაია ჯალიაშვილი (სიზმრისეული რეალობა) (24,4).

„სიზმარი არის სიმბოლური. სიზმარში შეიძლება მთელი ისტორიების დანახვა. განსაკუთრებული შინაგანი სენსიტიურობის მქონე ადამიანთან სიზმარი მოქმედებს, როგორც წინასწარმეტყველება.

„საკუთარი სიზმრების მეშვეობით ადამიანი შემეცნებას იძენს. სიზმრებში ასევე შეიძლება გადმოიცეს ზენა სამყაროთა ზეგავლენები... შთაბეჭდილებები ზენა სამყაროებიდან სიზმრებს ჰგავს“, წერდა შტაინერი (25,117-118).

„ხელოვნებაც ხომ თავდაპირველი სიზმრისეულ-ხატებრივი სულის განცდიდან ამოიზარდა“ ასკვნიდა ანთროპოსოფიის ფუძემდებელი (ჩემი ცხოვრების გზა) (26,423).

„სიზმარი განიხილება, როგორც მისტიკური სამყაროს კარიბჭე... ძილის მდგომარეობა ტელეპათიური ცნობის მიღებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია“, აცხადებდა ზიგმუნდ ფროიდი (27,254).

ზღაპარი, „უშორესი ზღაპარი“ ავსებდა გალაკტიონის სულს მუზის გამოცხადებისას: „ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად“, ნათქვამია ლექსში „ვერხვები“.

ნიავის, ქარის, აფრის მოვლინება სულიწმინდის — შთავგონების, ნიჭის მომნიჭებელი მესამე წევრის გამოცხადებას მოასწავებს, ვერხვი სიცოცხლის ხის, ანუ უზენაესის სიმბოლოა, პოეტის მორწმუნეობის დასტური, რომლის გარეშეც არ არსებობს მარადიული მხატვრული სიტყვის მოხელთება.

ზღაპარი, როგორც სიზმარი, მისი წრეშეუწერელი პოეზიის მხატვრული გამონაგონის, სინამდვილეზე უფრო ძლიერი სინამდვილის კოდია.

ედგარ პოს და გალაკტიონის სიზმარ-ზღაპრებზე დაფუძნებული ნაწარმოებები უმაღლესი ხელოვნების კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

დამოწმებანი

1. აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, თბ., 1981
2. ფრანგი პოეტები, თარგმანი გივი გვეგეჭკორის, თბ., 1984
3. მარადი დღე, თბ., 1984
4. კონსტანტინე გამსახურდია, თხზ. 20 ტომად, ტ. II, თბ., 1992
5. ჟურნალი „საუნჯე“, თბ., 1991, №3
6. ედგარ პო, ოთხტომეული, ტ. I, მოსკოვი, 1995
7. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ., 2011
8. ედგარ პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, თბ., 2011
9. შერისხულნი 15 ტომად, ტ. II, თბ., 1994
10. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982
11. რევაზ ნათაძე, რა არის სიზმარი, თბ., 1948
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
13. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „პალიტრა L“, თბ., 2014
14. გალაკტიონოლოგია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი, VII, თბ., 2014
15. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ.12, თბ., 1975
16. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
17. ავაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1969
18. სტეფან ცვაიგი, „ფანტასტიკური ღამე“, თბ., 1966
19. უოტ უიტმენი, ბალახის ფოთლები, თბ., 1966
20. ჟურნალი „ცისკარი“, თბ., 1980წ. №9
21. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
22. გალაკტიონოლოგია III, თბ., 2004
23. გალაკტიონოლოგია II, თბ., 2003
24. გალაკტიონოლოგია IV, თბ., 2008

25. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ., 2014
26. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კ. (უმცროსი) გამსახურდიასი, თბ., 1994
27. ზიგმუნდ ფროიდი, „ფსიქონალიზი“, მთარგმნელი და რედაქტორი ვიტალი კაკაბაძე, თბ., 2002
28. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვავილები“, ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა, „იანუსი“, თბ., 1992

ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა

ედგარ პო არ ეთანხმებოდა იმათ, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ქმნიან „ექსტაზური ინტუიციით“ (კომპოზიციის ფილოსოფია) (1, 206).

მწერალი ამუსტებდა: „ყორნის“ კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური... ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტით და სიმკაცრით არის განსაზღვრული“ (1,207).

ედგარ პოს წინასწარ გათვლილი ჰქონდა, რა სიდიდის უნდა ყოფილიყო „ყორანი“.

„ლექსი იმდენად არის ლექსი, რამდენადაც ძლიერ გვაღელვებს და სულს გვიმაღლებს“ (1, 207).

„ლექსის სიდიდეს შესაძლოა მათემატიკური დამოკიდებულება ჰქონდეს მის ღირსებასთან..., ჭეშმარიტ პოეტურ შემოქმედებასთან. სიმოკლე პირდაპირ პროპორციული უნდა იყოს სასურველი ზემოქმედების სიმძაფრისა. დროის გარკვეული მონაკვეთი მთლიანად არის საჭირო... შთაბეჭდილების შესაქმნელად“ (1,208).

„ყორანი“, მისი ავტორის გათვლით, დაახლოებით ას სტრიქონიანი უნდა ყოფილიყო.

პოეტმა მთავარ მიზნად დაისახა ნაწარმოები ყოფილიყო ყველასთვის გასაგები: „მშვენიერება ერთადერთი კანონიერი სფეროა ლექსისა... ჭეშმარიტება სიცხადეს თხოულობს, ვნება—უბრალოებას“.

„...კონტრასტის მეშვეობით უნდა შეიბუროს მშვენიერება“ (1, 209).

ასევე მთავარი იყო ინტონაციის შერჩევა: „გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ინტონაცია სევდიანი უნდა ყოფილიყო. ყოველგვარი მშვენიერების უმაღლესი გამოვლენა მუდამ ცრემლს ადენს მგრძობიარე მკითხველს. ამიტომაც მელანქოლია ყველაზე უფრო კანონზომიერია პოეტური ინტონაციებიდან“ (1,209).

პოეტი აღიარებდა რეფრენის მნიშვნელობას, ამ მიზნით ერთი სიტყვა შეარჩია — „აღარასოდეს“. ამისთვის კი არჩევანი გააკეთა არა ადამიანზე, არამედ ყორანზე, ავისმომასწავებელ ფრინველზე მელანქოლიური განწყობილების შესაქმნელად, ხოლო ყველაზე მელანქოლიური თემა შეიძლებოდა ყოფილიყო სიკვდილი, თანაც ის უნდა ყოფილიყო ყველაზე პოეტურიც, ამიტომ დაუკავშირა სიკვდილი მშვენიერებას, ულამაზესი ქალის სიკვდილი, ამაზე კი ყველაზე უკეთ სატრფოდაკარგული“ მიჯნურის ბაგენი დაღადაბენ“ (1,212).

ლექსში მიჯნური დაკარგულ სატრფოს გლოვობს, ყორანი კი გამოდმებით იმეორებს სიტყვას „არასოდეს“. ეს იყო ეფექტის შექმნის შესაძლებლობა.

პოეტის უპირველესი მიზანი იყო ორიგინალობა. ხოლო „ორიგინალობა დიადი გონების მქონეთა გარდა, არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება... იმპულსისა თუ ინტუიციიდან მომდინარედ. საერთოდ, რათა აღმოვაჩინოთ ჩვენი ორიგინალობა, ბეჯითად უნდა ვეძიოთ ის, მიუხედავად იმისა, რომ ამაღლებულის მისაღწევად უარყოფა უფროა საჭირო, ვიდრე გამომგონებლობა“ (1,214).

ასევე, მიგნებულად შეარჩია პოეტმა მოქმედების ადგილი, ჩაკეტილი გარემო, როგორც განმარტოების ეფექტის შემქმნელი.

ედგარ პოს მოსაზრებით, „მშვენიერება ერთადერთი პოეტური თეზისია“. „ყორანში“ ცნობისმოყვარეობის გამძაფრება ხდება ფრინველის შემოყვანით, მოულოდნელობით, ყორანი პალადას ბიუსტზეა, მიჯნურის განსწავლულობის საჩვენებლად (1, 215).

პოეტი აუცილებლად მიიჩნევდა „გარკვეული ოდენობის სირთულეს“ და, მეორე მხრივ, „გარკვეული ოდენობის მრავალმნიშვნელოვნებას, რაღაც წყალქვეშა დინებას აზრისას“.

„გადაჭარბებული ახსნა პოეზიას პროზად გადააქცევს“...

ყორანი პოეტის „მგლოვიარე და დაუსრულებელი მოგონების სიმბოლოა“ (1,218).

რიცხვისადმი ინტერესით ყურადღებას იქცევს ანტიკური პითაგორეიზმი, შუა საუკუნეების მისტიკა, არსებობს რიცხვების პოეტური ალეგორია, მეცნიერული ახსნა.

გუსტავ ფლობერი, ევგენი ვანოკუროვი, პოლ ვალერი ამტკიცებენ, რომ რიცხვთა კანონი განაგებს როგორც მეცნიერებას, ისე პოეზიას.

პოლ ვალერი წერდა: „რიცხვი და ჰარმონია ქმნის არითმეტიკის კატეგორიებს პოეზიაში.

„ზუსტი გათვლისა და გაანგარიშების გარეშე ნაწარმოები მდარეა, მდორე. ჭეშმარიტი პოეზია გონების ზუსტ ქმედითობას გულისხმობს“.

პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, პოლ ვალერი ასკვნის, რომ მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობა საჭიროებს „ათასგზის გაანგარიშებას, შერჩევას, ამოკრებასა და სინთეზს, რომელთა გარეშე მუზისა თუ შემთხვევის ყველაზე დიდი ძღვენიც კი უქმია ისევე, როგორც ძვირფასი მასალა უარტიქეტოროდ მიმდინარე მშენებლობაზე“.

ჭეშმარიტი ხელოვნებისთვის საჭიროა „ზოგიერთი მათემატიკური ორამბრონების სიტკობა, სიზუსტე, რომელსაც სულის იდუმალ ხვეულებში ჩხრეკით შეიძლება მიაღწიოს კაცმა“ (2,74).

ედგარ პოს შემოქმედებაში, პოლ ვალერის განაცხადით, შერწყმულია „ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა“ (2,257).

პოლ ვალერს განსხვავებული აქვს ლექსის ორი სახეობა: „ლექსი მოცემული და ლექსი გაანგარიშებული. გაანგარიშებული ლექსი... ყოველთვის გადასაჭრელი პრობლემის სახით გვევლინება“.

ანდრეი ბელის აზრით, „მეტრი პოეზიის ალგებრაა, რიტმი მისი არითმეტიკა“.

სტეფან მალარმეს მიხედვით, ლექსი „ყოველთვის გაბომილ-გაანგარიშებული იშვიათობაა“ (მუსიკა და მწერლობა) (3, 155-171).

პოლ ვალერის შეფასებით, „წინამორბედთა მიამიტურ სწრაფვას, ინსტინქტებს... მალარმემ შეუნაცვლა გულდასმით გააზრებული და თავისებური ანალიზის შედეგად მიღწეული ხელოვნური კონცეფცია“ (2,25).

ხორხე ლუის ბორხესი წერდა: „... ჩვენ გვმართებს შიგნით მივმართოთ მგერა და ურთულესი ასტრონომიული გათვლები მოვახდინოთ გულის

თვალუწვდენელ სიღრმეებში, რისთვისაც სასიკვდილოდ თავი დადო უფალმა... ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვხედავთ ირმის ნახტომს, რომ ის ნამდვილად არსებობს ჩვენს სულში“ (4,48).

„ლექსის კომპონენტების საკუთარ არქიტექტურაზე“ ამახვილებდა ყურადღებას გალაკტიონი (5, 71).

გალაკტიონ ტაბიძის იდუმალი პოეზია, მისი ესთეტიკურ კრედიო კავშირშია მათემატიკასთან, გაანგარიშებასთან. მის შემოქმედებაში დაფიქსირებულია „ჰანგთა რიცხვი, ლოდინი და რიცხვი, მშრალი რიცხვი, გადაუხდელთა იმედთა რიცხვი, პოეტი და გეომეტრი, ფხიზელი მიზანი და ანგარიში, დროის ბარომეტრი, აზრის ციფერბლატი, თეზისები, კლასიფიკაცია, პოეზიის ინტეგრალი“ ...

შემთხვევითი არც აინშტაინისადმი ინტერესი იყო, რაც პოეზიისა და მათემატიკის, ფანტაზიისა და სიზუსტის, ჰარმონიის მოთხოვნაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს (თუ ბრძოლა არ არის) (4, 299).

საპროგრამოა გალაკტიონის ლექსი „თუ ბრძოლა არ არის“. მასში პოეტი გულისტკივილით ეთხოვება ბოდლერს, შელის, ჰიუგოს, მიუსეს, ვერლენს, ღმერთს თუ კაენს და ბურუსებში აინშტაინის გამოჩენას მიესალმება.

ერთი მოსაზრებით, აქ გალაკტიონი აყენებს „პოეზიისა და მეცნიერების თანამშრომლობის იდეას“ (მიხეილ კვესელავა).

„ლურჯა ცხენების“ ავტორის შემოქმედებაში გვხვდება „პოეტი და გეომეტრი“, რაც ირონიაა ლეფელთა მიმართ, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირებდნენ პოეტი ფსიქოლოგისა და პოეტი გეომეტრის ცნებას, უკანაქნელის უპირატესობაზე ხაზგასმით (6, 137).

გალაკტიონისთვის მთავარი იყო „ოცნებათა შემოწმება“, „ფხიზელი მიზანი და ანგარიში“, უფრო ზუსტად, ანგარიშის გარეშე უტყუარი გაზომვა მოვლენების, როგორც სტეფან ცვაიგი წერს დოსტოევსკის შესახებ (სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი“) (7, 243).

გალაკტიონი ზემთავონების ამარა არ რჩებოდა, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომას: „...შრომა ყველგან შემოქმედების ღვიძლი ტომია“.

ედგარ პოსტვის „მშვენიერება ერთადერთი პოეტური თეზისი“ იყო (კომპოზიციის ფილოსოფია) (1, 215).

„პოეზიაში მთავარი მუსიკალობაა, რადგან ტკბილი ბგერა ჩვენთვის ყველაზე მიუწვდომელია. სიამის აღმნიშვნელ იდეასთან გაერთიანებული მუსიკა პოეზიაა“ (პოეტებსა და პოეზიაზე), წერდა ედგარ პო (1, 204).

გალაკტიონის უმთავრესი კრედიო იყო: „მუსიკა, გრძნობა და სილამაზე“ (მიყვარდა ჰანგი) (8, 151).

ქართველი პოეტისთვის მშვენიერება კლასიკური პოეზიის მარადიული მოთხოვნა იყო: „მარადია ერთადერთი მშვენიერება“.

ანალოგიური აზრია მის სხვა ლექსებშიც (ვილანელი, მახსოვს, ცად აზიდულა, ვით მარმარილო, მეზღვაურს, ჩემი ვარსკვლავი).

ამ პოეტებს გამოარჩევდათ ნათელხილვა, ნათელსმენა.

გალაკტიონი წერდა: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების. მისი ლექსი „მუსიკა უეცარი“ სფეროების მუსიკის შეგრძნება—მოსმენის დასტურია.

ასეთი მაღალი გადასახედიდან ზომავდნენ ჭეშმარიტი პოეზიის თავისებურება — განსაკუთრებულობას გენიოსები — ამერიკელი ედგარ პო და ქართველი გალაკტიონ ტაბიძე.

დამოწმებანი

1. ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, თბ., 1989
2. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983
3. სტეფან მალარმე, ლექსები და პროზა, წიგნი შეადგინეს გასტონ ბუაჩიძემ და მიხეილ ქურდიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები გასტონ ბუაჩიძის, „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 1979
4. ხორხე ლუის ბორხესი, ენიგმათა სარკე, თარგმანი თამაზ ჩხენკელის, თბ., 1996
5. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 12, თბ., 1975
6. სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002
7. სტეფან ცვაავი, „ფანტასტიკური ღამე“, თბ., 1966
8. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი ხუთ ტომად; ტ.1, ლექსები, „საქართველო“ თბ., 1993

თრობის აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა და ედგარ პოს შემოქმედებაში

გალაკტიონი იყო მზითშემოსილი („მე სხვა მზე მმოსავს“), სიხარულ-შემოსილი, გაზაფხულშემოსილი („მე სიხარული მე მოსა და გაზაფხულის ოცნება“).

მზე, სიხარული, გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღვთო სახელებია, რაც ქართველი პოეტის მორწმუნეობას უკეთებს აქცენტს.

გალაკტიონის პიროვნებისა და პოეზიის შესახებ შექმნილი ლეგენდებიდან განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი ბახუსისმოყვარეობის ვერსია, რაც კიდევ უფრო მეტ შთამბეჭდაობას სძენდა ენიგმების დიდოსტატის სახეს, რადგან მკითხველს მრავალგზის უწევდა შეხვედრა როგორც ღვინით, ისე, პოეზიით გაბრუებულ დიონისოს ქართველ ორეულთან.

გონიერი თანამემამულენი იმთავითვე ცდილობდნენ თრობის ცნებაში დაფარული ქვეტექსტების, არაერთმნიშვნელოვანი აზრის ძიებას და მხატვრული სიტყვის მეტრის „ლოთობას“ არასოდეს აიგივებდნენ ჩვეულებრივთა ღვინისმოყვარეობასთან.

ამ ლეგენდის ქვეშ შეფარული აზრი გვამცნობდა, რომ ერის სათაყვანო პოეტს პრიმიტიული გონის სატანისტური ხელისუფლება არათუ ვერ უგებდა, ფიალას დარდით, შხამით, საწამლავებით უვსებდა.

ეს „გაუგებარი გენიის“ პოეტი ხშირად თვითონვე ირგებდა ლოთის, ღვინით გაღეშილი, აპოლიტიკური, გულუბრყვილო ადამიანის ნიღაბს, რათა ნიჭით გამორჩეულ, მოუთვინიერებელ, დინების წინააღმდეგ მავალ დიდოსტატებზე მონადირე ხელისუფლების ჭანგებს ამ გზით მაინც დასხლტომოდა. მაგრამ მეფისტოფელის საუკუნეში „ქორის თვალიდან“ ამოფრქვეული მრისხანება რჩეულთა ბედისწერა გამხდარიყო.

პოეტის თანამედროვეთ არავინ ეხილათ ამ ზომამდე, ამდენი რამით მთვრალი, რაც სფინქსის საიდუმლოთა ამოცნობის სურვილს კიდევ უფრო ამძაფრებდა.

გალაკტიონის ლექსებში გამუდმებით კეთდებოდა აქცენტი ღვინის საათზე, თრობის საათზე, ყოფნით თრობაზე, ცეცხლით თრობაზე, მოგონებით თრობაზე, დარდებით თრობაზე, „ცისფერი ღვინოების“ მონატრებაზე.

ესაია წინასწარმეტყველი ღვინის და ნადიმის სიმბოლური სახით ასე წარმოგვიდგენს ძე ღმერთის მოვლინებას სამყაროში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (25, 6) (1, 546).

„სულიერი ღვინო, ზეციური ღვინით საზრდოობა განწმენდს სულიერი წყლულების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს“, შეგვაგონებს წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი (2, 162-163).

გალაკტიონის მიზანი არა ჩვეულებრივთათვის დამახასიათებელი თრობა იყო, არამედ „ცისფერ ღვინოსთან“ ზიარება, რაც ტანჯვის გზით მუსიკალურ სიტყვას აზიარებდა: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით და შემდეგ უცნობ პიანინოებს ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით“ (3, 190).

ბიბლიის „დაწმენდილი ღვინის“ ტოლფარდია გალაკტიონის ღვინო, როგორც მას ახასიათებს, „ცისფერის“ ეპითეტით მოაზრებული.

ანალოგიური ჩანაფიქრია პოეტის „ძველისძველი ღვინის“ სახემიც: „ძველისძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს, ფეერიულად მკრთოლავ აკიდოს სვამს და თავისთვის თვალყურს ადევნებს, რომ თვალებს რული არ მოაკიდოს. გამოფხიზლება მისი უდაო სხვა მოგონებებს უტოვებს სირცხვილს, რადგან წარსულმა მას დაუტოვა გადაუხდელთა იმედთა რიცხვი“ (ძველისძველ ღვინოს) (3, 331).

პოემა „მშვიდობის წიგნში“ ყოველგვარი სენის მკურნავი „ძველი ღვინო“ — ღმერთი: „... ხომ კაცს რაც რომა არ სჭირდეს სენი — ძველი ღვინოა მისი მომრჩენი“ (4, 286).

აქვე „ღვინო“ და წმინდა ნინოს ჯვარია სიხარულის წყარო: „გულსა კაცისას ახარებს ღვინო, ჯვარს თლის ვაზისას თვით წმინდა ნინო“ (4, 46).

გალაკტიონი წუხდა: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მანც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“ (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით) (5, 122).

ყოფნა, ცხოვრება ქრისტეს სახელია სახარებაში: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14, 6) (6, 211).

უსხეულო ცეცხლი, მარადიული ცეცხლი, უჩინარი ცეცხლი, ფარული ცეცხლი, წმინდა ცეცხლი საღვთო სახელებია.

ცეცხლით და ყოფნით თრობა რწმენასთან ზიარებას უსვამს ხაზს. ლექსში „მოგონებები“ ძვირფასი ღვინის მიგნება ხდება თასით და წიგნით: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით, ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე და ჩვენ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო: შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“ (მოგონებები) (5, 781).

„ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო“ ქრისტეს სიმბოლოა, „მემარნე“ და „წიგნი“ — მამადმერთის, თასი — მარიამ ღვთისმშობლის.

სხვაგან მამადმერთი წარმოისახება, როგორც „მეღვინე“, ძე დმერთი — „ღვინო“: „შენ მეღვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება, ფიქრები გვაქვს ასვერ ასი, როგორც ღრუბლის დინება“ (ეს მძინარე მთა და ველი) (5, 219).

პოეტი თვრებოდა პოეზიით, მოგონებებით და ქვითინებდა ათეისტურ ეპოქაში დაკარგულ რწმენაზე: „დამატობელი, როგორც ჩემი მოგონებები, წინ მიდგას ღვინო, ლალისფერი და ძველი ღვინო, ვსვამ განუწყვეტლივ, ვსვამ, რომ დავთვრე მოგონებებით, რომ მეც საზარლად ვიქვითინო და ვიქვითინო...“

ლექსის პერსონაჟის სასოწარკვეთილების მიზეზი ახსნილია რწმენის, ყვავილების დაკარგვით: „ოჰ, რად მომეცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი, რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე, სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა, ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე“ (ელეგია) (7, 30).

აქვე საუბარია „გაბაფხულის მზიანი ჩრდილის“ გაქრობაზე, რაც რწმენის უარყოფაზე მიგვანიშნებს, რადგან წმინდა წერილში გაბაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღვთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 68, 12)(1,588).

ყვავილები უფლის სიმბოლური სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვირგისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა) (1, 448).

ღვინით, პოეზიით ან სულის სილამაზით თრობაზე გალაკტიონის წინამორბედი ფრანგი პოეტი შარლ ბოდლერიც მოგვიწოდებდა, აკი უკვდავყო კიდევ ქართველმა პოეტმა მისი სახელი ლექსში „რომელი

საათია“: „იყო შარლ ბოდლერი: მწარე და ძვირფასი თრობის საათია, ღვინის საათია!..“ (8, 70).

„ბორტების ყვავილების“ ავტორისთვის მთავარი იყო „ღვინით, სათნოებით, ან პოეზიით თრობა“ (ითრობოდეთ) (9, 34).

ბოდლერთან იხსენება „ღვინის სული, მთვრალი მზერა, მიჯნურთა ღვინო, მარტოკაცის ღვინო“ (8, 174, 175, 186).

ფრანგი სიმბოლისტი პოეტის — პოლ ვერლენისთვის „მთვრალი სიმღერა არის ძვირფასი — ნათელ ბოდვაში მიეჩანება“. მისი მთავარი მოწოდებაა: „გამოაქროლე ლექსი ჭალებით — მთვრალი სურნელთა იდუმალებით“ (10, 422-423).

არტურ რემბოს შედეგის — „მთვრალი ხომალდის“ შესახებ აღნიშნულია, რომ „რემბო თვითონ იყო ეს მთვრალი ხომალდი“ (11, 586).

ღვინის ფიალას ოცნებით თრობას უკავშირებს სულით თბილი გალაკტიონი: „... „ხანდახან ღვინით სავსე ფიალით მოკლე ხნით გათრობს ოცნებათ ზოლი, მაგრამ რას აქნევ წუთიერ შვებას, შენ სულითა ხარ ქვეყნად თბილი“ (რა წამებაა).

საოცარი ენიგმები: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით“ (ალვები თოვლში), ან „გემი, მიჩვეული გრიგალთ თრობას“ (ქალაქი წყალზე).

თრობის ასპექტში ყურადღებას იქცევს წმინდა წერილი: „განმადლო მე სიმწარითა, დამათრო მე ნაღვლითა“ (გოდება იერემიასი) (1, 3, 15) (1, 612).

რწმენა, ღვინის სახეში მოაზრებული ღმერთი იყო გალაკტიონის მფარველი — „ფარი“: „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ... დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ღამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება. ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები... უეცრად გრიგალმა დაალო კარები და ბინა პოეტის გადიქვა ქვითინად. ... მე თვალთ ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“ (ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ) (5, 287).

ლექსში საღმრთო სახელებია ღვინო, სანთელი, ცისფერი ვარდები.

პოეტი ეძებდა „ზამბახის პრინცესას“, ანუ ძე ღმერთის დედას, რომელიც წმინდა წერილში მოიხსენება, როგორც „დედოფალი, „მეფის ასული“ (ფს. 44, 10, 14) (1, 569).

გრიგალი სიმბოლოა ურწმუნოების. სულიერი კატაკლიზმების ჟამს პოეტის „ფარი“ იყო „ღვინო“, ანუ ღმერთი, რწმენა უზენაესის.

ფსალმუნში ღმერთს ეწოდება „ფარი“, „ფარი ხსნისა“ (ფს. 17, 31, 36) (1, 538).

„ძლიერ ღვინოს“ პოეტი ეზიარებოდა „ალის თასით“: „...ალის მომეცით თასი, სახვე ძლიერი ღვინით“ (ალის თასი) (7, 54).

„ძლიერი ღვინო“ და „ალი“ (ცეცხლი) ქრისტეს სიმბოლოებია, თასი — მარიამ ღვთისმშობლის.

რელიგიური მნიშვნელობისაა ღვინო, მტევნები, ცეცხლი, მზე, გაზაფხული, სიხარული ლექსებში: „მივაშუროთ, მზის სადღეგრძელოს, აღემატება ყოველგვარ ძალას, დადგა აგვისტო, შემოდგომაა“, ხოლო ამავე ნიმუშებში თასი, ჭიქა, აზარფეშა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

„ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა, ო, მებრალემა მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“, ნათქვამია ლექსში „მაისის ისრით“ (5, 422) და აშკარა ხდება, რომ თრობას (რწმენით) ქრისტიანულ მორალს, მტრის შენდობას, მიტევების პრობლემასაც უკავშირებდა პოეტი. ანალოგიური შინაარსია მისივე გახალხურებულ ფრაზებშიც: „ხანჯლებს დავფარავ ისევ ივებით“...

თრობა სიყვარულით, ყოფნით, ცეცხლით, ვარდებით, მაისის თვალეზით, ძველი ღვინით რწმენით თრობაა, რადგან ეს სახელები უზენაესის სიმბოლოებია წმინდა წერილში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო პროზასა და პოეზიაში.

ტერენტი გრანელი „ჯავრით თრობაზე“ აკეთებდა აქცენტს.

ხელოვნებისთვის შეწირული გალაკტიონი ტკივილების, დარდის დასავიწყებლადაც თვრებოდა: „ისევ ერთად მივალთ მთვრალი მე და ჩემი ძველი დარდი“, წერს ერთგან.

დარდის, ტკივილის, გულის სისხლის ,მსხვერპლის გაღების გარეშე არ იქმნება ხელოვნების შედევრები.

უკიდევანოა გალაკტიონის შემოქმედებაში თრობის არეალი. „შემოდგომის დღეში“ საუბარია „ყვითელ ფოთლებით თრობაზე“, პოეზიით, მუსიკით თრობაზე (7, 222).

„მოგონებით თრობა“ იქცევს ყურადღებას ლექსში „ავრორა“.

„ღვინის ფიალით და „ოცნების ზოლით“ თრობაზე საუბარი ლექსში „რა წამებაა“.

ერთგან წერს: „გემი, მიჩვეული გრიგალით თრობას“ (ქალაქი წყალზე) (7, 258).

„ნეტარ წუთებით მთვრალ სიყმაწვილის ბედნიერი დღეებია“ ლექსში „სიზმარში ვნახე ყვაილებს ვკრეფდი“.

საოცარი იდუმალებით სავსე ლექსია „გობელენი“, რომელშიც საუბარია „იქაურ ცაზე“ (ცათა ცაზე), სულამითზე (ქებათა ქების პერსონაჟზე), ნისლის წამოსასხამზე, ღამის ღამით თრობაზე, უხილავ გზებზე: „...ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის ღამით უხილავ გზებით შთავა ყოველი“ (7, 195).

პოეტი მთვრალი იყო საღვთო სიყვარულით, ის „სავსე ფიალით“ ეწაფებოდა ოცნებას, მშვენიერებას (იმედთა ნაცვლად) (5, 47).

არსებითად, რას გულისხმობდა გალაკტიონი თრობის ცნებაში, ამის პასუხი კარგად ჩანს მის წერილში „ნარკოზი და ხელოვნება“: „ხელოვნება საუკეთესო ნარკოზია ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით... არაყი და ღვინო... ვერ შექმნის შინაგან შეგნებას. ფსიქოლოგიური მომენტი ნარკოზის ხმარებისა არის ცხოვრებით უკმაყოფილება, სადაც ხელოვნების სახელით იკრიბებიან ადამიანები, იქ ადვილი არა აქვს მთვრალ კომპანიას... სადაც აყვავებულია ხელოვნება, იქ შესაფერისადვე ისპობა მთვრალობა. ხელოვნება სდევნის, აძევებს ალოკოპოლს... ხელოვნება ამრავალფეროვნებს ცხოვრებას... აახლოებს სინამდვილეს იდეალთან და ამსუბუქებს ცხოვრებით უკმაყოფილების გრძობას“ (12, 273–274)

გალაკტიონისთვის უპირველესი იყო ზეციური ვაზი, რომლის „ღვინოსაც“ (რწმენას) პოეტი გამუდმებით ეწაფებოდა.

საგულისხმოა ნოდარ ტაბიძის განაცხადი: „სიშორის შენის სიახლოვე“... ასეთი ლექსები ანატომიურ ჩხრეკას კი არა, ინტუიციურ წვდომას და თრობას მოითხოვენ.

„გალაკტიონის პოეზია იყო სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუცია, ხოლო მათი ავტორი — კაცი გამოცანა, კაცი ლეგენდა“ (12, 10–12).

ასევე, გვახსენდება გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლიდან მურმან ლებანიძის ასეთი ღრმააზროვანი სტრიქონები: „...ის მთვრალი იყო,

როგორც ყოველთვის... თვისი სიდიდით ის იყო მთვრალი“ (ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ) (13, 9).

პოეტების მეფის ტრიადა: „მუსიკა, ღვინო და ყვავილები“ ასევე აქცენტირებაა მხატვრული სიტყვის რელიგიურობაზე.

განაცხადი: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“ — ხაზგასმაა „მთაწმინდის მთვარის“ ავტორის ღვთაებრივ სიწმინდეზე.

ზაზა აბზიანიძე იმოწმებს გალაკტიონის პატარა ლიტერატურულ ჩანახატს მამია გურიელის „მემთვრალეობაზე“: „ის სვამდა ღვინოს, მაგრამ ლოთი არ იყო. სვამდა მისთვის, რომ თავდავიწყებას მისცემოდა, რომ გალუცინაციებში შეჭრილიყო, შეიძლება იმიტომაც, რომ ამით მოესპო სიცოცხლე და ფორმალური თვითმკვლელობით გამოწვეულ სკანდალებს აცილებოდა, ვინ იცის?!“

„... ვინ იცის, მხოლოდ მამია გურიელი იგულისხმება გალაკტიონის ესკიზში, თუ მისივე ცხოვრების ქარგა უნებლიედ კარნახობდა პოეტს ამ ნაღვლიან სიტყვებს“, აცხადებს მეცნიერი (14, 29).

გალაკტიონის ლირიკით მონუსხულებს, ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ამ სიტყვის ჯადოქარის „პოეზიით თრობა“ (იაკობ ბობოხიძე, მისი პოეზიით მთვრალეები) (15).

აი რას წერს გალაკტიონის სიმთვრალეზე მიხილ კვესელავა: „ასეთი თრობა ხომ პოეტური ალეგორიაა... გალაკტიონი მუდამ მთვრალი იყო... პოეზიით, შინაგანი შემოქმედებითი დაძაბულობით, მწუხარებით, სილამაზით, სიკეთით, სიყვარულით, საკუთარი სიდიადის შეგნებით. სრულყოფილი მშვენიერების ხილვის სიხარულით და... ზოგჯერ ღვინითაც, რა თქმა უნდა“ (16, 326).

პრობლემას ასე ეხმიანება ემზარ კვიციანიშვილი: „გალაკტიონის ლექსებში ხშირადაა ნახსენები თრობა, ცისფერი ღვინოები, დაუღვეველი სადღეგრძელოები. ეს თრობა სხვა თრობა იყო. უმაღლესი პოეზიის ნეტარი წუთებით გაბრუება. მის ხელთ ნაჭერი უძველესი თასიც ღვინით ვი არა, ფიცით იყო საესე, მამულისთვის თავდადების ურყევი ფიცით“ (დაკვირვებები გალაკტიონის ლირიკაზე) (17, 85).

გალაკტიონს გათავისებული ჰქონდა ჰამლეტის, დონ კიხოტის, ფაუსტის ნიღბები („ჩემი როლი ნიღაბით იყო სული ნიღაბის“), მაგრამ თავის გადასარჩენად ლოთის ნიღაბიც, რევოლუციონერის იმიჯიც სჭირდებოდა და

„თხზავდა რევოლუციის მომღერალი, აბობოქრებული მასათა ტრიბუნის პორტრეტს... უნიჭო პროპაგანდისტული ლექსები დაეხვავებინა, ლოთის ნილაბი მოერგო“ (როსტომ ჩხეიძე) (18, 99, 100, 285, 883, 884).

დიდ ამერიკელ შემოქმედს, მხატვრული სიტყვის განუმეორებელ ოსტატს — ედგარ პოს არ დაჰკლებია გიჟის, გადარეულის, ალკოგოლიკის, ნარკომანის ეპითეტები.

„ყორანის“ ავტორი თვითონვე აღიარებს, რომ სიამოვნების გამო კი არ ეტანებოდა სმას, არამედ იმისთვის, რომ გაქცეოდა „მტანჯველ მოგონებებს, დაუძლეველი მარტოობის შეგრძნებებს და გაურკვეველი ბედისწერის წინაშე ძრწოლას“ (19, 538).

ლექსში „ულალუმი“ პოეტი ასე მიმართავს გარდაცვლილი სატრფოს სულს: „...ჩვენ განვიბანოთ სპეტაკი ალით და შევიმოსოთ უწმინდეს ალით. სიბილას ცეცხლით ჩაგვეკოცნება ხარბი თვალები, იმედით მთვრალი“ (11, 400-401).

„სპეტაკი ალი“, „უწმინდესი ალი“, „იმედი“ საღვთო სახელებია და ასეთი თრობა ხაზს უსვამს ედგარ პოს მორწმუნეობას, რწმენასთან ზიარებას და ეთანაბრება გალაკტიონის განაცხადს: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“...

ამერიკელი პოეტი, როგორც „ლურჯა ცხენების“ ავტორი, თვრებოდა კოლიზიუმთან — „სიდიადით, მწუხარებით, დიდებით, ჩრდილით, დილებით“ (კოლიზიუმი) (20, 18).

„პაემანში“ საუბარია „ბრწყინვალეებით თრობაზე“ (21, 61-74).

„ზარებში“ ნათქვამია: „როცა ქალი მთვარით თვრება“ (22, 135).

მთვარე საღვთისმშობლო სახელია, ანუ აქაც რწმენით თრობაზეა მინიშნება.

ნიჭი, მორწმუნეობა, ობიექტურობა, სიკეთე იყო ამ პოეტების უკვდავე-ბის უპირველესი გარანტი.

დამოწმებანი

1. ბიბლია, თბ., 2013
2. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., 1990
3. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
4. გალაკტიონ ტაბიძე, 12 ტომად, ტ. 11, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოპოლში, 1992
7. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ I, „საქართველო“, თბ., 1993
8. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვაველები“, თარგმანი დავით აკრიანის, თბ., 1992
9. შარლ ბოდლერი, ლექსები პროზად, თარგმანი ზვიად გამსახურდიასი, თბ., 1991
10. ფრანგი პოეტები, თარგმანი ფრანგულიდან გივი გეგეჭკორის, თბ., 1997
11. ვალერიან გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივიდან, თბ., 1990
12. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული ლექსები, პოემები, მიმოწერა, „განათლება“, თბ., 1989
13. მურმან ლებანიძე, ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ, თბ., 1990
14. გალაკტიონოლოგია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი, თბ., 2003
15. გალაკტიონოლოგია, III, თბ., 2004
16. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977
17. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბ., 1981
18. როსტომ ჩხეიძე, „კომიკოსი ტრაგედიაში“, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 2016
19. ესეები, თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, თბ., 1989
20. ედგარ პო ოთხ ტომად, ტ. II, თარგმანი ინგლისურიდან კ. ბალმონტის, მოსკოვი, 1911
21. ედგარ პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, „პალიტრა L“, თბ., 2011
22. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, „დიოგენე“, თბ., 2001

ხელოვნების ფსიქოლოგიის ერთი პრობლემა ედგარ პოსა და გალაკტიონის შემოქმედების მიხედვით

დიდ შემოქმედთა უმეტესობის ცხოვრებას გიჟის, გადარეულის, შეშლილის ცნებები აემგზავრა.

გამონაკლისი არც ედგარ პო ყოფილა. მიუთითებდნენ, რომ ის იყო „ალკოგოლიკი“. რეალურ ცხოვრებას გაურბოდა. შეშლილობა იქვე ჩასაფრებოდა და მან იცოდა ეს. ერთხელ უთქვამს: „მტრებმა ჩემი შეშლილობა სმას დააბრალებს და არა სმა შეშლილობას“ (როსტომ ჩხეიძე, ედგარ ალან პო) (1, 538).

დიდი ამერიკელი შემოქმედი განმარტავდა: „მე არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებს ეს სპირტიანი სასმელები, რასაც ხანდახან ასე ვეტანები. ტკბობისადმი ლტოლვის გამო კი არ დავიღუპე ცხოვრება, რეპუტაცია და გონება, არამედ ეს იყო უიმედო ცდა, გავქცეოდი მტანჯველ მოგონებებს, დაუძლეველი მართობის შეგრძნებას და გაურკვეველი ბედისწერის წინაშე ძრწოლას“.

ედგარ პოს სიცოცხლეშივე შეიქმნა ლეგენდა შეშლილ მანიაკზე, ალკოგოლიკზე, ნარკომანზე. საიდუმლო იყო მისი აღსასრული.

როცა ქუჩაში წაიქცა, ექიმს წერილი გაუგზავნეს, გონებაზე შერყეულიაო. პოეტი ეგლო ჭუჭყიანი, უგონო, სხვისი ტანსაცმლით და ბოდავდა კედელზე არსებული სპექტრული საგნების შესახებ. არ ამბობდა, რა დაემართა. ორი დღის შემდეგ, სიკვდილის წინ წამოიყვირა: ღმერთო, უშველე ჩემს ტანჯულ სულს“ (1, 542).

მრავალი ნეგატიური ეპითეტით შეუმკიათ დიდი მწერალი, მაგრამ ფაქტია: მისმა ნაწერებმა შესძრა მსოფლიო, დაამარცხა სიკვდილი და მარადიულობაში დაამკვიდრა მათი ავტორი.

ედგარ პოს მოთხრობაში „გული გამოქმედი“ ერთმანეთისგან გარჩეულია ნერვიული აშლილობა და ფსიქიკური შეშლილობა, თითქოს თავის თავზე ეთქვას ამ ნაწარმოების ავტორს: „ღიახაც! ვიყავი და ვარ კიდევაც ნამეტნავად, ნამეტნავად ნერვიული, მაგრამ ახლა არა თქვათ, გიჟია ეს კაციო. ავადობამ კი არ დამიჩლუნვა და შემიმუსრა, პირიქით, მთლად ამიღესა გრძნობა. ყურთასმენა გამიხადა უფრო მახვილი... ყველაფერი

მესმის ცისა და ბარის, ბევრი ჯოჯოხეთისაც. რა გიჟი, რის გიჟი? როგორ ცდებით, გიჟი რომ გგონივართ ასეთი ცხოველი გრძნობების კაცი“ (2, 128).

„ელეონორაში“ წუხილია, რომ სიგიჟის ცნებას ერთმნიშვნელოვან გააზრებას აძლევენ და მის ნამდვილ არსს, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება, ბერეულედ ეკიდებიან: „ჩამომავლობით მეც იმათაგანი ვარ, ვინც დაჯილდოებულია ძალუმი ფანტაზიით და მგზნებარე ვნებით. გიჟს მეძახდა ხალხი. საკითხავი კი ის არის, იქნება, უმაღლესი ჭკუა-გონებაა სიგიჟე, იქნებ, ბევრ რამეს, რაც დიდებულია, ყოველივე იმას, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა აქვს საფუძვლად — ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის ვიდევ მეტი ამაღლება გონიერების წარხოცის საფასურია.

„ვთქვათ და მართლაც გიჟი ვარ. ორგვარია ჩემი სულელური მდგომარეობა: მდგომარეობა ნათელმოსილი გონიერებისა, რაც უდავოა, ვით მოგონებები ჩემი სიცოცხლის პირველი წლებისა და ჩემს ახლანდელ ყოფასთან დაკავშირებული ბინდისნაირი და უმტკიცო მდგომარეობა, ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის ხსოვნა. სწორედ ამიტომ უნდა დაიჯეროთ მონათხრობი ჩემი ადრეული ყოფიერების შესახებ, ხოლო უფრორე გვიანდელ ამბავს ისეთი ნდობით მოეკიდოთ, როგორსაც იგი იმსახურებს... ოიდიპოსის მსგავსად ამოხსენით ეს ამოცანა“ (2, 74-75).

ედგარ პოს ლექსში „იზრაფელ“ აქცენტირებულია „გიჟური ვნება“ (3, 51-53).

„ჩვენ ვმღეროდით ანაკრეონტის სიმღერას, სიმღერას სიგიჟეზე“ ნათქვამია „აჩრდილში“ (3, 82-86).

„შეშლილი მოჩვენებები“ იქცევს ყურადღებას ლექსში „ახლახან, იქ“ (3, 40).

„ის იყო უცნაური და მგზავრი შეშლილი“, წერს ერთგან (4, 9), ან „ის ბოდავს, როგორც გიჟი“ (ოქროს ხოჭო) (2, 181-182).

„წითელი სიკვდილის ნიღაბში“ არის ასეთი ფრაზები: „ზოგიერთები მას თვლიდნენ შეშლილად. ახლობლებმა იცოდნენ, ნამდვილად რომ ასე იყო“ (2, 9).

„ოვალურ პორტრეტში“ ნათქვამია: „...ის იყო მგზნებარე და უცნაური შეშლილი“.

ჭეშმარიტი ოსტატისთვის სიყვარულზე მაღლა დგას ხელოვნება, რომელიც საჭიროებს ისეთ მსხვერპლს, ძალისხმევას, „გიჟურ თავდავიწყებას“, რომელსაც ვერ უძლებს ჩვეულებრივი ადამიანი (5, 9).

მალშტრემის დინების მაყურებელ ადამიანს უცნაური ფანტაზიები ეწვევა და ფიქრობს: „ჭკუა დამაკარგვინა ხომალდის ბრუნვამ“ (2, 22-37).

მწერლის ბიოგრაფები, ნაცნობები ყურადღებას ამახვილებენ ედგარ პოს „უცნაურ გამოხედვაზე, უცნაურ, შემაშინებელ ლიტერატურაზე“ (ოქროს ხოჭო) (5, 4).

ტრაგიკული იყო ედგარ პოს თავგადასავალები. პოეტი ვერ შეეგუა ამერიკული ცხოვრების საქმიან რიტმს, აწვალებდა შავი მელანქოლია, საშიშ მემამბოხეობაში გადაბრდილი. სვამდა, ნარკოტიკებს ეტანებოდა, ამიტომაც უყურებდნენ, როგორც გიჟს და ვიზონერს. გამოირჩეოდა ცინიზმით, გაღიზიანებით, დემონური სიამაყით.

აღიზიანებდა თანამედროვეთა საუბარი, რომ ის არ იყო ამერიკელი მწერალი (ბრეტ გარდი, ჰემინგუეი). ამერიკა მისთვის იყო კოლოსალური, გაუნელებელი აუტოდაფე“ (ნ. ანასტასიევი) (4, 4).

თვითონ ედგარ პოს სიგიჟე, როგორც კლინიკური ავადმყოფობა კი არ აინტერესებდა, არამედ ჩვეულებრივთა საზღვარს იქით გაღწეული, უზენაეს სიბრძნესთან კონცენტრირებული გონი, რომლის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება. ამ პრობლემას მრავალჯერ უბრუნდება ედგარ პო: „გიჟს მეძახდა ხალხი. საკითხავი კი ის არის, იქნებ უმაღლესი ჭკუა-გონებაა სიგიჟე. იქნებ ბევრი რამე, რაც დიდებულია, ყოველივე იმას, რაც ღრმაა, ფიქრის ავადობა აქვს საფუძვლად, ისეთი მდგომარეობა გონისა, რომლის კიდევ მეტი ამაღლება გონიერების წარხოცის საფასურია. მეხსიერების ჩრდილებს, ლანდებს უსასრულობის საზღვრის გადალახვა იწვევდა. მრავლისთვის შეუმჩნეველი, ჰაერში მოლივლივე, გულის ამღვრევი ხილვები ევლინებოდნენ, რაც ჰგავდა სიგიჟეს, იმ სიგიჟეს, აკრძალული ამბის მოგონებისას რომ მოიცავს გონს“ (მთხრებელი და ქანქარა) (2, 103-118).

გულისხმობს რა შემოქმედთ და უპირველესად, ედგარ პოს, ზვიად გურული გვამცნობს: „მათ უცნაურობაში არაფერია უცნაური.

„აბა როგორ შეიძლება „ნორმალურ“ ადამიანს დაეწერა „კლდოვანი მთების ზღაპარი?!“ ვერც „მთხრებლისა და ქანქარას“ დაწერდა თუნდაც უდიდესი, მაგრამ მინც ჩვეულებრივი მწერალი...

„ვინ იყო ედგარ პო — გიჟი, ნარკომანი, ლოთი, დიდი მწერალი თუ ყველაფერი ერთად?!“

„ალბათ, ალბათ, თუმცა, ყველაზე ზუსტად თვითონ თქვა: „ღიას, მე სულთ ავადმყოფი ვარ, მაგრამ ხშირად სულის სიძლიერის მძიმე შეტევებიც მაქვს ხოლმე“ (ედგარ პო — „ლიტერატურის პიჩკოვი“, „კვირის პალიტრა“, 18-24 აპრილი, 2011 წ.).

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილის ცნებას და შეშლილ დემონს უწოდებდა ბეთხოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხოვოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მივხვდარვართ, საიდან ამობრწყინდება მზე“ (6, 102).

ლექსში „ედარებოდა შეშლილს“ — გალაკტიონიც შეშლილად მოიხსენებს ბეთხოვენს, რა თქმა უნდა, არა კლინიკური შეშლილობის ჭრილში, არამედ როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთა შესაძლებლობებზე ამადლების სიმბოლოს: „მაშინ ტოვებდა ყველას და ყოველს და ფეერიულ ალში მცურავი, ედარებოდა შეშლილ ბეთხოვენს დაუნდობელი და მომდურავი“... (ედარებოდა შეშლილს) (8, 186-187).

„ანორმალობა! ამგვარ ჭადებით ათასში ერთხელ ელავს პარტერი, საუკუნეში ერთხელ იდეებს ისვრის გრძნობათა მილიარდერი“, გალაკტიონის ამ განაცხადშიც არანორმალურობა, ჩვეულებრივ ადამიანთა შესაძლებლობებზე ამადლებას გულისხმობს, რაც აუცილებელია სულის, გრძნობის, ფსიქიკის, მილიარდი წლების საიდუმლოების წვდომისთვის.

ხელოვნების ფსიქოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც გენიალობასა და სიგიჟეს შორის შეხვედრას პოულობს და სიგიჟეს ნიჭიერების აუცილებელ პირობად გაიზარებს. ამ თვალსაზრისით, ძალზე გახმაურებულია იტალიელი ფსიქიატრის ჩეზარე ლომბროზოს წიგნი „გენიალობა და შეშლილობა“. მასში საპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც დევნის მანიაში, შიშში, მტრების მოლანდებაში, არყოფილის ნამდვილივით განცდაში, ხილვების, ჰალუცინაციების მოჭარბებაში, არაადეკვატურობაში გამოიხატება. ამ ნიშნით „არანორმალურებად“ მიიჩნევიან კაცობრიულ აზრთა გიგანტები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცშე, გოგოლი, ტოლსტოი (7).

ლომბროზოს გარდა, არსებობენ სხვა მოაზროვნეები, რომლებიც

ჩხრეკენ ნიჭიერთა „ავადმყოფობის“, პათოლოგიური გამოვლენების ფაქტებს და კატეგორიულ ტონს ანიჭებენ თავიანთ ნააზრევს, თოთქოს შემოლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლემ პასკალი, ერნსტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

შემოქმედება ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხეილ ზომშენკოს, ანრი ბერგსონის მიხედვით გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება, შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

შეშლილს, გიჟს, გადარეულს, მთელ რიგ შემთხვევებში აღმატებული გრძნობის სინონიმად გაიაზრებენ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი.

გალაკტიონი აცხადებდა, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“. ასეთივე შონაარსია მის განაცხადში: „მუსიკალური და გადარევის ეფემერები“ (მუსიკალური ფანტაზმა) (8, 221).

ეპითეტი „შეშლილი“ დადებითი ენერჯის მატარებელ ცნებად მიუსადაგა გალაკტიონმა თავის საყვარელ პოეტებს, მხატვრებს: „შეშლილი ვერლენი, შეშლილი ყაზბეგი, შეშლილი ბეთხოვენი, შეშლილი ფიროსმანი, ძეგლი ... შეშლილი და წინასწარმთქმელი“ ...

პოეტი „გრიგალია, შერყევა“, „ოცნება გიჟია“, დაფიქსირებულია „მოგონების შეშლილი ბოდვა“, „გრძნობათა მილიარდერის“ „ანორმალობა“ (წარსულში) (9, 425).

გალაკტიონის შემოქმედებაში შეშლილი ჰქვია ყოველივე აღმატებულს, უჩვეულოს: „შეშლილი სახით ჰკიოდა ქუჩა, ბადში შეშლილივით კვდება თებერვალი, სიგიჟემორეულ ზღვაში გადაშვება, შეშლილი ფერი...“

დაუძლეველი ტკივილიც შეშლილივით აფორიაქებს ლექსს: „მე სიმღერას შევივლებ დარდებს შებორკილივით, ჩემი არდაფარული მწუხარების სგანი, შეშლილივით დააღებს კარებს წივილ-კივილით, რომ უგულოდ ჩააქროს რამე გრძნობათაგანი“ (შეშლილივით დააღებს კარებს) (8, 176).

„ო, შეშლილია იგი, თუ წინასწარის მთქმელი?“ კითხულობს პოეტი ლექსში „ქუჩა“ (8, 370).

გალაკტიონის „სიგიჟე“ რეალურად იმაში გამოიხატებოდა, რომ ფანჯრიდან შემოსულ სხივს კოცნიდა, ერთდროულად ესმოდა რამდენიმე მუსიკოსის, რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტის და კოლოს წივილის ხმა: „ყურებში ხმაურობა მესმოდა: შუმანი, ბეთხოვენი, ჭიანური, როიალი — სულ

ერთად იყვნენ არეული! ხან კი კოლო დამწივოდა ყურთან. როდესაც ყოველივე ეს ვუთხარი ექიმს პონდოევს, მან თვალეები ფართოდ გააღო გაოცებისგან, მის სახეზე წავიკითხე: „შეშლილად საწყალი ვალაკტიონი“ (9, 338).

ვალაკტიონი მომსწრე იყო ფსიქიატრიული რეპრესიების, თავისუფალ მოაზროვნეთა იდეური დამუშავების. „ექიმობის“ შიში გასჩენია პოეტს 1949 წელს კარდიოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობისას, როცა იქიდან გამოსვლისას ხელი მოაწერინეს „შრომისუნარიანობის დაკარგვაზე“, რის გამოც გამუდმებით აწვალებდა მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის, გიჟის იარღიყის მიკერების და ამით სულიერი განიარაღების შიში. ეს აპრობირებული მეთოდი იყო ტოტალიტარული საბჭოთა სახელმწიფოში. ამის მაგალითი იყო ტერენტი გრანელის გამომწყვდევა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. პეტრე სამსონაძის მოთავსება სულით ავადმყოფთა პალატაში ბერიას აუგად ხსენების გამო და ცემით სიკვდილამდე მიყვანა.

ვალაკტიონის დღიურში მოიპოვება ასეთი ჩანაწერი: „რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ... არა, მე მდგმური არ მსურს ვიყო ამ საგიჟეთის“ (9, 459).

„ჰმ... ავად გაგხდინან, თუ მაგრად არ დაიჭირე თავი“, ჩიოდა პოეტი.

გიჟი, შეშლილი თავის ოდიოზურ შონაარსს იძენდა ტოტალიტალურ საბჭოთა სახელმწიფოში და ამ სახელით ინათლებოდნენ თავისუფალი მოაზროვნეები, სიმართლის მსახურნი.

„უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში თავისუფლებისაკენ სწრაფვა, უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით განამტკიცებდა მთარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობის და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია“ (10, 49).

შემთხვევით არ უთარგმნია ვალაკტიონს ედგარ პოს „გული გამთქმელი“, რომელზედაც ზევით გვექონდა საუბარი (11, 502).

„კედლებს რომ სინჯავს გრძნულ თითებით უკვდავებისთვის შეშლილი გონი“, ნათქვამია პოეტების მეფის ლექსში „იქ მარმარილოს მაღალი სვეტი“ (8, 80).

„სიბრძნის ზღვაში“ მოგზაური პოეტი „შორეულ მზეს“ — შთაგონების მომმადლებელ სულიწმინდას ელოდება და „სიგიჟემორეულ ზღვაში“ გადაშვებაც მხოლოდ ჭეშმარიტების, ხილვების, ქვეცნობიერის სამყაროდან სი-

ტყვის მარგალიტების მოხელთებაა: „... წინ! ბაწარზე ორეულ მზით აივსე პეშეგები, ან მზეს ნახავ შორეულს, ან სიგიჟემორეულ ზღვაში გადაეშვები“... (8, 62).

ეს „სიგიჟე“, ჩვეულებრივ მოკვდავთა შესაძლებლობების შორს გაწევაა, რომლის გარეშე არ იქმნება ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშები. ასეთი „სიგიჟე“ ბედნიერებაა და ამიტომაც ამბობს გალაკტიონი, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“ (მეტეხი იდგა რუხი, პიტალო) (8, 80).

ხელოვანის, შემოქმედის ზეცნობიერ სამყაროში შესვლის, მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრების გადალახვის სურვილით ატანილი ტერენტი გრანელი აცხადებდა: „თუ ვტოვებ გიჟის შთაბეჭდილებას, დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალა“...

დღეს ეჭვს აღარ იწვევს, რომ პოეზიისთვის ჯვარცმული, მოუთვინიერებელი, ხელისუფლების არაადამიანური პოლიტიკის მამხილებელი, „მემენტო მორის“ ავტორი ფსიქიატრიული რეპრესიების მსხვერპლი იყო.

გალაკტიონის „სიგიჟეს“ უნდა ვუმაღლოდეთ პოეტის მსოფლიო მასშტაბის შედეგების შექმნას, რადგან ამისთვის საჭიროა არა ჩვეულებრივი, არამედ ზესკნელ-ქვესკნელში მთარეული, პიროვნების განვითარებაში დაწესებული საზღვრის მიღმა გაღწეული გონი და მართლაც ბედნიერებაა ასეთი შეშლილობა, რომელსაც „ღვთაებრივ სიშმაგეს, შთაგონების ძალას“ უწოდებს ემზარ კვიტიანი (მარადიული ბავშვი) (12, 288).

გალაკტიონოლოგიის IV ტომში შეტანილია ვახტანგ ჯავახაძის — გალაკტიონისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის „უცნობის“ ავტორის წერილი „ისევ გალაკტიონი“, რომელშიც არის ასეთი ძალზე საგულისხმო ადგილი: „ერთხელ „მერანის“ ერთ-ერთ ოთახში შესულმა ფრიდონ ხალვაშმა ყური მოჰკრა კოლაუ ნადირაძის სიტყვებს: „გიჟი იყო! — თქვენ ამტკიცებთ, რომ იგი გიჟია? მეც ასე ვფიქრობ. დიახ, გიჟია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ გიჟმა ახალი პოეზია შექმნა“:

„კოლაუ ნადირაძის ბრალდება გალაკტიონს ეხება, ხოლო ანატოლ ფრანსის პასუხი — პოლ ვერლენს (გალაკტიონის დაღუპულ მამას).

„დიახ, ასე გამოესარჩლა ასი წლით ადრე ფრანგი მწერალი ქართველ პოეტს. „...არანორმალურია მისი ლექსების დიდი ნაწილი“ — ეს სიტყვებიც წარმოთქვა იმ დღეს კოლაუ ნადირაძემ, ნორმალურმა პოეტმა“ (13, 10-14).

დამოწმებანი

1. ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, თბ., 1989
2. ედგარ ალან პო, მოთხრობები, ზაურ კილაძის თარგმანი... თბ., 2011
3. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ., 2001
4. ედგარ პო ოთხ ტომად, ტ. IV, მოსკოვი, 1911
5. ედგარ პო, ოქროს ხოჭო, თბ., 1986
6. ალ. ალშვანგი, ბეთხოვენი, ა. გელოვანის თარგმანი, თბ., 1958
7. ჩეზარ ლომბროზო, გენიალობა და შეშლილობა, მოსკოვი, 1895
8. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტომი I, თბ., 1993
9. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტომი V, თბ., 1995
10. ზვიად გამსახურდია, დილემა კაცობრიობის წინაშე, თბ., 1995
11. ვახტანგ ჯავახიძე, უცნობი, თბ., 1991
12. კრ. გალაკტიონოლოგია, ტ. VI, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2012
13. გალაკტიონოლოგია, ტ. IV, თბ., 2008

გარდასხეულებისა და მოგონების თეორია

პლატონის „მენონში“, „ფედონსა“ და „ფედროსში“ განხილულია „მოგონების“ (ანამნესის, რემინისცენცია), როგორც თანდაყოლილი ცოდნის თეორია.

„მენონში“ გამოიყოფა პლატონის მრავალწახნაგოვანი ამრის შინაგანი განვითარების ათი საეტაპო საფეხური, ათი ძირითადი მომენტი, რომელთაგან ერთ-ერთია მეექვსე — მოგონების თეორია.

„მენონში“ სოკრატე იზიარებს სულის უკვდავების ორფიკულ—პითაგორულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლისმცოდნეა. ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,100).

„ცნებებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესისია“ —

მოგონებაა, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შექნილი კუთვნილება სულისა“ (ფედონი).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შექენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ „იმავეს ხელახლა შემეცნება“, ცოდნის შექენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება“ .

პლატონის აზრით, „ადამიანის სული წინასწარ ფლობს ამროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად საწყისს, რომელთაც ის მხოლოდ „იგონებს“ და ამრიგად, თავისთავად თავში პოულობს მათ“ (მენონი) (1,112).

„მენონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთან არის იდენტიფიცირებული, „მოგონებას“ კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება.

„სული, რომელსაც არასოდეს უხილავს ჭეშმარიტება, ვერ შეიმოსავს კაცის სხეულს, რადგან კაცი რომ იყო, უნდა გესმოდეს, რა არის იდეა, რომელიც მრავალი კერძო შეგრძნების მონაცემიდან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელობის გზით ერთ უზოგადეს მთლიანობად ირწყმის და ყალიბდება. ამ ერთობის წვდომა კი იმის მოგონებაა, რაც ოდესღაც უხილავს ჩვენს სულს, როცა ღმერთის თანამდევნი და თანამავალი, ზიზღით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქვეყნიურ არსთა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტ არსს. სრულყოფილების მიღწევა ხელეწიფება იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულქმნილების წმინდათა წმინდა მისტერიებს. კაცთა ფუჭ ფუსფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთისკენ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმეცარნი და დასცინიან. რა იციან საწყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ ზეშთაგონებულია“ („მენონი“) (1,193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,135).

გარდასხეულების მოძღვრება თავდაპირველად გავრცელებული იყო ინდოეთში. მეოცე საუკუნის მოაზროვნე ვივეკანანდა ამბობდა: მე შანკარნას (VIII-IX სს. ფილოსოფოსის) გარდასხეულება ვარო.

ფილოსოფია, პლატონისეული მოსაზრებით, სიკვდილისათვის მზადებაა, ე.ი. მას ევალება, იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ

დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაბრუნებას“ (2,110).

ქართულ ლიტერატურაში გარდასხეულების თეორიას იზიარებდნენ ვასილ ბარნოვი, გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ნოდარ დუმბაძე, ოთარ ჭილაძე, ნიკო სამადაშვილი.

გარდასხეულების და მოგონების თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკელი პოეტის ედგარ პოს შემოქმედებაში.

მოთხრობაში „მორელა“ საუბარია „სულების გადასახლების პითაგორისეულ თეორიაზე“ (3, 81-86).

„ელეონორაში“ საზგასმით არის ნათქვამი: „ჩემი არსებობის მეორე, უდიდესი ხანის ხსოვნა... უნდა დაიჯეროთ მონათხრობი ჩემი ადრეული ყოფიერების შესახებ“ (3,75).

„მირიადი წლების ცნობიერებით, სიბილას თვალებით“ გამორჩეულია კაპიტანი მოთხრობაში „ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი“ (3,43-57).

„სიცოცხლის პირველი წლებისა და ადრეული ყოფიერების“ შესახებ არის საუბარი „ბაემანში“ (3,61-73).

„მორელაში“ ნათქვამია: „ფიხტეს დაუოკებელი პანთეონი, სახეცვლილი სულების გადასახლება პითაგორელებისა და უფრო მეტად შელინგის მიერ აგრე საგულდაგულოდ შესწავლილი იგივეობის თეორია“... (3,81-86).

„ხილვებზე, მოგონებებზე, მესხიერების ჩრდილებზე“ საუბარი მოთხრობაში „მოთხრებელი და ქანქარა“ (3,102-117).

გალაკტიონი კოსმიური მასშტაბების პოეტი იყო, განსაკუთრებული ხედვის, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის უნარით მომადლებული: „...მინდა დავინახო ქვეყნის ყველა პოლუსები. ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, ათას ცხრაას ოცდასამ წელს და ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ (ეს იყო ოქტომბრის დამლევის) (4, 333-334).

საუკუნეებში მავალი პოეტის სული „უზენაესი ცეცხლის“ მადლით იყო გაალებული, ცეცხლი კი საღვთო სახელია: „...საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა... დადაფნულ გზაზე მიდიოდი, ვით კეისარი, შენს მოვლენაში კრთოდა ცეცხლი უზენაესი“ (მგლოვიარე სერაფიმები) (5,196).

გალაკტიონის ქნარი „მარადის ცეცხლის“ (ღმერთის) საგალობელი იყო (პოეტს) (6,231).

„მსოფლიო გლობუსს საკულეში თამამად ვიდევ“, აცხადებდა პოეტი და ეს პრეტენზია ესაძირკვლება ობიექტურ მონაცემებს.

გალაკტიონი საუბრობს ძვირფას მოგონებაზე (7,64), „მოგონების ნეტარებაზე“ (შეხვედრა) (5,13), „პირქუში ჟამის ხსოვნაზე“ (მუხა) (5,203). წინანდელ, „დიდი ხნის წინათ“ განცდილზე“ (ვერხვები 15), „პირველ, მეორე სიკვდილზე“ (ქალის ქანდაკება) (5, 138), „სხვადასხვა მხრიდან“ მოვლენილ „მოგონებათ შადრევანზე“ (დგას ხეივანი სახლის წინ) (5, 187) „მოგონებათა სიხარულზე და უხვ გრძნობაზე“ (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (5,223), ბეთხოვენთან შეხვედრაზე (მეცხევი სიმფონია) (5, 506), შოთა რუსთაველთან ნაცნობობაზე (თენდება, გათენდა) (5,515), „მოგონებათა თოვამზე“, (მოგონებათა თოვის) (5,510) „მოგონებები მოგზაურია ლამაზი ნავის“ (გადამწვანებულ მწვერვალებიდან).

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ „პოეტი იგონებს ღმერთის მიერ სამყაროს შექმნას, პირველ სახეებს, „ქვეყნის შექმნის დიდ წამს“: „...იყო ამ ქვეყნად ხილვა სხვა არის“, „ყველაფერის მთქმელი, მომგონებელი არის ეს ველი, გზა ძველისძველი“ (5, 158-159).

ეს „ველი“ საინფორმაციო ველია, სადაც ყველაფერი ინახება და რომელშიც შესვლა ხელეწიფება გენიოს პოეტს.

რეინკარნაციის თეორიაა გაზიარებულია გალაკტიონის შემდეგ ლექსებში: „მგლოვიარე სერაფიმები, მთვარის ნაამბობიდან, ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი, ძველ დღეებზე, ნიაფი, ია, ნარგიზი“.

გალაკტიონი ზედმიწევნით იცნობდა იოვების ფილოსოფიას, ორფეიმს, პითაგორას მოძღვრებას, ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას.

ადამიანი მრავალგზის იბადება დედამიწაზე ახალი სხეულებრივი სახითა და ახალი ამოცანით. ბედის ბორბალი აიძულებს მას, ყოველი ახალი გარდასხეულების ტვირთი ატაროს მანამ, სანამ მისი სული ბოლომდე არ განიწმინდება და სრულყოფილი არ გახდება.

სიკვდილი „დიადი გადასასვლელია“, იგი გაგებულია, როგორც ნაბიჯი უფრო სრულყოფილი სულიერი არსებობისკენ.

არსებობს მოვლენები, რომლებიც მხოლოდ სულთა გარდასხეულებით აიხნება. ადამიანებს მემკვიდრეობით აქვთ წარსული ცხოვრების, წინაპრების კვალი. ამ წინაპრების მესხიერება კოდირებულია ჩვენს გენებში.

ჩვენ ვღებულობთ სხვათა მეხსიერებას მემკვიდრეობით და ამის გამო ვიცით ბევრი რამ, რაც არ გვისწავლია.

რულოლფ შტაინერის მიხედვით, სიცოცხლე დედამიწაზე შემეცნების-თვის მიუწვდომელია და ამდენადვე გაუგებარი რჩება სიკვდილიც, რომლის წვდომაც მხოლოდ ზეგრძნობად სფეროებში ხარციელდება.

გარდასხეულების თეორია გაზიარებულია ინდურ რელიგიასა და ფილოსოფიაში, სპარსულ პოეზიაში, დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, დიდი ამერიკული პოეტის უოტ უიტმენის „ბალახის ფოთლებში“, ფრანგულ პოეზიაში.

ბლოკი აცხადებდა: „ჩავეკონები წარსულ დროებას, მახსოვს ნაცნობი ქვეყნის მირაჟი. კი, ჩვენ ვცოცხლობდით, მაგრამ სხვა მხარეს წავედით, ახლა აღარ ვებრდებით, მე მახსოვს, როგორ დამასამარეს და მომაცარეს შავი ბელტები“ (ბოდვა) (8, 205–206).

გალაკტიონი აცხადებდა: „საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა“ (მგლოვიარე სერაფიმები) (4, 87).

„მოვიარე მიწის კალთა, თან დამდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხე-ტიალთა“, გვამცნობდა „ათასის მხედველობის“, „ასი ათასის სმენის“ უნარით მომადლებული პოეტი.

ის იყო მარადიული მგზავრი, ქვეყნიერების, ზესკნელ-ქვესკნელის მომვლელი, ნათელხილვის და ნათელსმენის ფენომენებით გამორჩეული და გამოგნებელი იყო მისი განაცხადი: „მე მესმის წყნარი შრაილით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ (ვაგნერი).

ლექსში „მთვარის ნაამბობიდან“ რუსთაველის „ნაცნობობაზე“ კეთდება აქცენტი: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, მიცქეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (5, 452).

ანალოგიური შინაარსის შემცველი შემდეგი ფრაზაც: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“ (თენდება, გათენდა) (6, 515).

გვახსენდება ნოდარ დუმბაძის განაცხადი: „გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მშემდე აღზევებული“.

„რუსთაველი მახსოვს ბავშვი... ჟრუანტელი დაგივლის, როგორც კი ცხრა წლის რუსთაველს წარმოიდგენ.

„მას მართლა ახსოვდა რუსთაველი, რადგან იყო ყოველთვის — რუსთაველამდე და მის მერეც, ისევე, როგორც რუსთაველი იყო

ყოველთვის, როგორც თანამდევნი სული ქართველის — როგორც აკაკი იყო ყოველთვის.

„რუსთველი, აკაკი, გალაკტიონი! — აი, ქართული პოეტური სულის შეუცვლელი ტრიადა!“ — გვამცნობს საყოველთაოდ ცნობილი პოეტი ტარიელ ჭანტურია წერილში „ალქიმიკოსიც, ოქროს მაძიებელიც“ (10,141-143).

გალაკტიონი ხედავდა მარადიულ სულთა სავანეს: „...მყუდრო ღამეში მოხეტიალე ბედუნის სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭკნობელი სილამამბეა და სინარნარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (5,28).

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, აცხადებდა ქვეყნის ოთხივე განედის მომვლელი პოეტი და ამ მოგზაურობაში დაგროვილი სიბრძნე — გამოცდილების გათავისება მისი პოეტური ინტეგრალები: „ავერ მზის ამომთოვრება, მალლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა... და მესმის ხმა იდუმალი: წამოდექ, ძეო დილისა... ო, ძეო დილის, აწ განვლის გრძნობა სიბნელის ნაფლეთის, აღმოსავლეთის, დასავლის, ჩრდილოეთის და სამხრეთის“ (...ნიავი, ია, ნარგიზი) (4,78).

„საუკუნეთა შორი გრეხილის“ საიდუმლოებებში ჩაღრმავებულ პოეტს სიჩუმის ხმაც ესმოდა: „ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს“ (ქარიშხლის შემდეგ) (4, 128).

„ლურჯა ცხენების“ ავტორის შემოქმედებაში საუბარია მოგონების ნეტარებაზე, მოგონების თეთრ ნაკადებზე, მოგონებათ ხომალდზე, მოგონებათ ცაზე, სიმაღლეებისკენ მიმსწრაფ ფიქრის ოქროს ნავეებზე.

მოგონებები „ლამაზი ნავის მოგზაურებია“ (გადამწვანებულ მწვერვალებისკენ“) (9,304).

„...ჩემს ანგელოზ დას — ჩემს მოგონებას — პოეზიას“, წერს ლექსში „ფარდების შრიალი“.

„გარდაცვალების ხელოვნება, გარდაცვალების მეცნიერება, გარდაცვალებისთვის მზადება“ — ასე იწოდებიან სიკვდილის პრობლემისთვის მიძღვნილი შრომები.

გალაკტიონმა გადასწია სიკვდილის ფარდა და ჩაგვახედა მიღმური სამყაროს საიდუმლოებებში, მოგვასმენინა „რალაც არაქაური“, „სუნთქვა არაქაური“.

სულის მარადიულობას, მიღმური სამყაროს განჭვრეტას ეძღვნება მისი ლექსი „ნუ დაღონდები!“

არსებობა სულის მარადიული მოგზაურობაა „ზევით თუ სამარეში“.

გარდასხეულების თეორია, დედემიწაზე სულის მრავალგზის მოვლინების თეორიაა გაზიარებული სტრიქონებში“, „...მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ, ოცნება ნუ გშორდება, ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება“.

ქართველი პოეტი საუბრობს „მოგონებით შადრევანზე, მოგონებათ თეთრ ნაკადებზე, მოგონებათა გამაზე, ლურჯ მოგონებაზე“.

„ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათემა“, გვაუწყებს ლექსი „ფარულ ტკივილებით“ (5, 181).

შთაგონების მოვლინებას გვამცნობს „ეს მშობლიური ქარია“: „...ძილი მეგონება, უცებ ქაოსიდან მთვარე ამოზიდა ლურჯი მოგონება“ (6, 174).

მხოლოდ გარდასხეულების თეორიით თუ აიხსნება ედგარ პოს საუბარი „ადრეულ ყოფიერებაზე“, „მირიადი წლების ცნობიერებაზე“. გალაკტიონის მზერა „საუკუნეთა სათვალავში“, რუსთაველთან ნაცნობობა, მათი ჭვრეტა ზესკნელ-ქვესკნელის საიდუმლოებებში, რაც მხოლოდ ერთეულთა, რჩეულთა ხვედრია და ასეთები იყვნენ ამერიკელი და ქართველი პოეტი.

დამოწმებანი

1. პლატონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ., 1974
2. უილიამ გათრი, „პლატონი“, ბერძენი ფილოსოფოსები, თარგმანი გ. ნოდიასი, წინასიტყვაობა და რედაქცია გ. თევზაძის, თბ., 1983
3. ედგარ პო, მოთხრობები, ზაურ კილაძის თარგმანი, „პალიტრა L“, თბ., 2011
4. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, ლექსები, პუბლიცისტიკა, მიმოწერა, „განათლება“, თბ., 1989
7. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1993
8. მარადი დღე, თბ., 1984
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
10. გალაკტიონოლოგია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი, თბ., 2003

თავი მეორე ფილოსოფიური პრობლემები

ბედისწერის რჩეულები

როგორც ჭეშმარიტ პოეტს, გალაკტიონს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მისი მოღვაწეობის სფერო სიტყვიერი ხელოვნება უნდა ყოფილიყო და ეს განსაზღვრული იყო ზეცით, ბედისწერით: „... ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“ (ეფემერა) (1,157).

პოეტმა იმთავითვე განჭვრიტა, რომ დედამიწის მოვლა, ხეტიალი სულის ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სიღრმეებში მისი ბედისწერით იყო განსაზღვრული: „...მოვიარე მიწის კალთა, თან დამდევდა ბედისწერა ჩემთა უგზო ხეტიალთა“ (დაიჯერე, თუ არ გჯერა) (2, 301).

ლექსი „ბედისწერა“ პოეტის ძიების ორიენტირებს აკონკრეტებს: „ზღვას, უდაბნოს და დემონებს ჩემი ბედისწერა შეეჩვია და სიმღერაც მხოლოდ მათთან სჯერა“ (1, 150).

„საკაცობრიო გზათა ბრძოლაში“ ჩაბმული პოეტის „რჩეული ფიქრი“ განახლების მისიით იყო გამორჩეული (სტრიქონები) (1,136–137).

ეპოქის გრიგალებთან შერკინებულს, ეიმედებოდა „შემოქმედის“, „სიყვარულის სხივი“ „ანუ უზენაესი (შემოდგომა)“ (3,44).

„შემოქმედი“, „სიყვარული“ საღვთო სახელებია.

ცაზე ცისარტყელას ჭვრეტდა, როგორც ბედის წყალობას (ერთი გავარდნილი ვაცი) (1,301).

ცხოვრება ბედთან ბრძოლად ესახებოდა, მაგრამ ანუგეშებდა ბრძოლის შედეგი, „გამარჯვებათა უდიდესი ბედნიერება“ (გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი) (2,303).

ახალ ომებში ჩაბმულ „კეისარს“ „ბედისწერათა მწარე ფანტომი“ ასდევნებოდა (2, 60).

„ბურუსშიც, ქარშიც“ ხედავდა პერსპექტივას პოეტის ყოვლისმხილველი თვალი (ეხლა ის დრო არი) (3,360).

სულიწმინდის ხელდასხმულმა შექმნა „ახალ სიტყვებში მყოფი სამყარო“ (სტრიქონები) (3,136–134).

ლექსში „მარადისი იმედი“ პოეტს შეცნობილი ჰქონდა თავისი ბედის

ვარსკვლავის განსაკუთრებულობა, ხოლო „შუქს“ მოულოდნელად აღმოჩენილ „კაპიტალს“ ადარებდა.

შუქი სადღო სახელია: „უფალი ჩემი შუქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევეუშინდე?“ (ფს. 26,1)(4,547).

რაკი გულში „ია“ და „ვარდი“ ჩასახლებია, ქარიშხალთან შერკინების ძალა უბოძებია არსთაგანმრიგეს, ბედს არ ამუნათებს, უბედურად არ მიაჩნია თავი: „...გულში კვლავ ჰყვავის ია და ვარდი, მე კი ქარიშხალს არ ვერიდები... არა, ძვირფასო, ბედს არ ვემდური, ქვეყნად არც ისე ვარ უბედური“ (ოქტავები) (2, 320–321).

ია მარიამ ღვთისმშობლის, ვარდი ძე ღმერთის სიმბოლოა, ანუ ხაზი ესმება პოეტის მორწმუნეობას, რაც ქარიშხალთან, ცხოვრების სიბნელებთან ბრძოლის უნარის მომმადლებულია.

პოეტს ჩაესმოდა „ყრუ ძახილი უკვდავებისა“: „დროთ საზღვარს იქით, დროთ საზღვარს იქით!“ (შემოდგომა) (2,37).

შემოქმედებითი ყოვლისშემძლეობა „ბედს იქით“ გაღწევისკენ მოუწოდებდა (2,12).

„ბედის რჩული“ ჩვენს „მიმკრთალ ცხადზე უფრო წარმტაც და დიდებულ“ მხატვრულ სინამდვილეს ქმნიდა (პოეზია) (2,28).

ბიბლიური იაკობივით ებრძოდა პოეტი თავის გენიას — ღმერთს, რადგან მშვიდად, უბრძოლველად შეუძლებელია წარმატების მოპოვება: „...იგი, ღამის გენია, ისევ შემეჭიდება, მე — სხვა სულის ამარა, იგი გაბედითება“ (ბრძოლა ღმერთთან) (2,379).

მისი ბედისწერა იყო „მძიმე ოცნების ცაზე ატანა“, უდიდესი ტანჯვის, ძალისხმევის შედეგად მიღწეული წარმატება: „...მელანქოლიის ამ აკლდამაში ბედმა დიდება გამომატანა“, წერს პოეტი (ცისფერი) (2,34).

გალაკტიონისთვის ყველაფერი მეთრეხარისხოვანია, გარდა თავისი მისიის შეცნობა — მსახურების და გამარჯვების (არ ღირს ერთ ცრემლად) (2, 371–372).

თვითშეცნობილი პოეტური გენია აცხადებდა: „...და იშვიათად თუ მობრწყინდება სხვა საუკუნე გალაკტიონის“.

ლექსში „მიწა გამოჩნდა“ „მიარხევს ზვირთებს მრისხანე ბედი“, მაგრამ პოეტი ქარებს, ბედს — „გაბედითებას“ უპირისპირებს (აქ მარმარილოს მაღალი სვეტი) (1,363).

„ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია, ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“ — ასეთ მაღალ რეგისტრში აღიქვამდა ჭკმმარტი პოეტის მოწოდებას გალაკტიონი.

მისი ბედი პოეზია იყო, „ბედის გრიგალის“ მოვლინება გამოუთქმელი ძალას ანიჭებდა: „...ბედის გრიგალი მიახლოვდება, ჩემში უსაზღვრო აღტაცებას ვგრძნობ და მთელ სხეულში ძალა გროვდება“ (მე ვაკვირდები ამ უძირო ზღვას) (გალაკტიონოლოგია, VII, 2014, გვ. 92).

„უწრფელესი და გმირული“ იყო პოეტის „ოცნებათა უდიდესი გემი“ (უნდა იცოდეს) (5, 279).

მხატვრული სიტყვის ყოვლიშემძლეობას ეძღვნება „შემოქმედება“. „მობდება ხოლმე, ცა მიზიდავს განუსაზღვრელი, ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში არა მყავს ტოლი, ვბრძანებ: „ტყის შქერში გაჩუმდება ნიავი ნელი, ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა ვერხვის ფოთოლი, მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ ყოვლისმოქმედი, არე-მიდამო ნეტარების ცრემლით ივლება, ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი მძვინვარე ბედი, ქვეყნად ყოველი არსის სული მემორჩილება“ (2, 11-15).

„ვინც შემოქმედებით აქტს ასახიერებს, შემოქმედია, ხოლო შემოქმედი ღმერთის ერთ-ერთი სახელთაგანია.

ტიტანური შემართების წყალობით, პოეტს ხელეწიფება ახალი გზები გაკვალოს, ადამიანთათვის დაწესებულ საზღვრებს იქით გააღწიოს, ღმერთი საკუთარ სულში ჩიასახლოს და თვით შექმნას საკუთარი ბედისწერა: „...ღმერთი ჩემშივეა და მევე ვქმნი ბედისწერას“ (წუთი) (3,39).

„1910 წელს დაწერილ ლექსშიც „წუთი“ ის განცდაა ასახული, პოეტს მაშინ რომ ეუფლება, როცა ღმერთს ემსგავსება, საკუთარ თავში გრძნობს დემიურგს (შემოქმედს) და თვითონვე განაგებს თავის „ბედისწერას“ (ლევან ბრეგაძე, ხელოვნება და ხელოვანი გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაში) (გალაკტიონოლოგია, IV, თბ., 2007, გვ. 73,77).

თუ ღმერთმა სამყარო და ყოველი სულიერი შექმნა, პოეტი სულიერების, გმირული ძალისხმევის წყალობით ხდება განუსაზღვრელი შესაძლებლობების მქონე სიტყვიერი ხელოვნების სფეროში, რაც ათქმევინებს: „...ახლა ყველაფერს, ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი“...

გალაკტიონის ცხოვრების გზა ზეცაზე დაიწერა და თავისი მისიის სწორად შეცნობამ პოეტს ტიტანური ძალა მიანიჭა („მთებს და ველებს

ტიტანივით მოვევლები“), „ბედს იქით“ აპოვნინა მარადისობის გზა: „წავალ, გავყვები ამ სევდიან გზას, ზღვათა ქუხილით, წყალთა ლივლივით და დავამკვიდრებ დაღლილ სიცოცხლეს შორს, სხვა ედემში! შორს, ჩემს ბედს იქით!“ (ბედს იქით) (3,30).

როგორც ნათელმსმენს, „ზექვეყნიური, უკვდავი ხმები“ ესმოდა, „ყრუ ძახილი უკვდავების“ მოუწოდებდა: „დროთ საზღვარს იქით, დროთ საზღვარს იქით!“ (3, 84).

ნათელმხილველივით შეცნობილი ჰქონდა ბედისწერის საიდუმლოება, „შვიდფრად მოციმციმე ჟამის“ გამოღარების იმედი ასულდგმულებდა (4,316).

ბედისწერას მისი ერთი ცხოვრება ათასზე გადაემრავლებინა, სამყაროს შექმნისდროინდელი ქაოსის ხმა ესმოდა: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდების“.

პირველ სახეებს ხედავდა ღმერთის რჩეული, „დილის ძედ“ მოვლენილი: „...აგერ მზის ამოთოვრება, მაღლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათასზე გადაამრავლა... და მესმის ხმა იდუმალი, წამოდექ, ძეო დილისა“ ...) (ნიავი, ია, ნარგიზი) (5,78).

როცა ბედისწერაზე საუბრობს, რუდოლფ შტაინერი ორ გარემოებას მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

„წარსულის განცდები იქცევა მომავლის ბედისწერად. რასაც მე დღეს განვიცდი, ამას თავისი მიზეზები წინა ცხოვრებაში აქვს და რასაც დღეს ვაკეთებ, ის ქმნის ჩემს შემდგომ ცხოვრებას... ადამიანმა თავისი ბედისწერა წინა ცხოვრებაში მოამზადა.

„ყოველი ახალი წამოწყება ცვლის ბალანსს და ყოველი ახალი ქმედება ცვლის ბედისწერას.

„არაფერი უშლის ხელს ადამიანს, ახალი ფაქტი შეიტანოს სიცოცხლის წიგნში.

„კარმის კანონი ნების თავისუფლებას არ ზღუდავს. ქრისტიანული ეზოთერიკა იცნობს კარმის კანონს.

„თუ ჩემი ბედისწერა თავად დამიმსახურებია, მაშინ უნდა გამამხნევოს იმან, რომ ჩემი ბედისწერა თავად შემექმნია.

„გარეგანი ბედისწერა არის ის გარემო, რომელშიც ვიბადებით“ (6,61,63).

„კარმის მეუფე არის ქრისტე“.

„ღვთიური ძალები შემდგომი გარდასხეულებისას ისეთ გარემოში გვაგზავნიან, რომელიც ჩვენ ბედისწერას შეესაბამება.“

„ჩვენ შეგვიძლია გარდასული ბედისწერა გამოვასწოროთ და ასევე შეგვიძლია ადრინდელ გართულებებს დავამატოთ ახალი, რომელიც მომავალზე იქონიებს გავლენას.“

„ცხოვრებას ქმნის არა მარტო წარსულის წინასწარგანსაზღვრულობა, არამედ ახალი წამოწყებები, რომლებსაც მომავალში ჯერ კიდევ მოუწევთ ბედისწერის შექმნა.“

„თვით ადამიანის მიერ მომზადებული ბედისწერის ღვთაებრივი აღსრულება, აი, სამყაროული სამართლიანობის ჭეშმარიტი ხატი“ (7, 30–31).

გალაკტიონს არა ბედის მორჩილება, არამედ იმთავითვე გმირული ძალისხმევა გამოარჩევდა: „ჩემში აღმოჩნდა ბედის მკვეთელი, ჩემში აღმოჩნდა ამფეთქებელი“ (გეძებდი ყველგან).

ქვეყნის ოთხივე კიდეს მთარული პოეტის სულს გათავისებული ჰქონდა მსოფლიო სიბრძნე, რასაც „პოეტურ ინტეგრალებს“ უწოდებდა და რაც გამარჯვების გარანტიად, მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე ახალი მერიდიანის გავლების შესაძლებლობად იქცეოდა (ეფემერა).

გალაკტიონი იყო ადამიანური გონის უსასრულოდ შორს გამწვევი სიტყვის გიგანტი, „ბედის მკვეთელი, ამფეთქებელი“ (გეძებდი ყველგან) (3,72).

„ქარის პირდაპირ“ მავალი, „უსრულო საზღვარს“ სცილდებოდა, მზითუმოსილი, სიხარულშემოსილი, გაზაფხულშემოსილი (ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა) (3,391).

„ურთულეს ბრძოლის მიზანი — საკაცობრიო იდეა“ — ეს იყო პოეტის პროგრამა მაქსიმუმი (უმშვენიერეს კიბეზე) (3, 209–210).

„საბედისწერო ხმები“ ესმოდა (შიში), გრძნობდა საკუთარი ბედისწერის სირთულეს: „...გგრძნობდი შორს, შორს, მეტად რთული ბედისწერა ცურავდა“ (1940).

პოეტი დაცემის შიშს ამარცხებდა, მხოლოდ ამაოებაზე ამალღებით, გამარჯვებით ურიგდებოდა ბედს: „შენ ნუ დაეცემი, შენ ნუ შეშინდები, გულის უდაბნოსთან ბრძოლას ეგ არ იგებს, ჯერ არ შებინდდება, ყველა ამაოა, მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარიგებს“.

„შრომა შემოქმედების ღვიძლი ტომია“, რათა „გამოიჭედოს ახალი ბედი“ (იგი დაშორდა სამუდამოდ გადაბურულ მთას) (3,219).

ბედისწერას პოეტი დაესაჯა „მწარე უკვდავებისთვის“ (სული მწუხარე) (3,192). „წამების თასი“ უნდა დაეცალა მარადიულობის საფასურში, რადგან „ტკივილისაგან იბადება ცნობიერება... მატერიის ფარგლებში ცნობიერება იბადება ტანჯვის და ტკივილისგან... ცოცხალს ტანჯვა თუ არ შეეძლებოდა, ცნობიერება ვერასდროს წარმოიქმნებოდა... ტკივილისგან მუდმივად იბადება ცნობიერი ცხოვრება. ეს დაბადება, უმაღლესის ეს ქმნადობა კვლავ აისახება ცნობიერებაში, როგორც სიხარული, რომელიც არასოდეს იქნებოდა, თუ მანამდე არ იქნებოდა ტკივილი... ტკივილისგან იბადება უფრო მაღალი ქმნილება, იბადება სიხარული“ (რუდოლფ შტაინერი) (8, 109–111).

გალაკტიონი იყო ზღვარგადამლახველი, მზითუმოსილი, ნათელშემოსილი პოეტი: „უსრულო საზღვარს გადააცილე შენი ამაყი სულისკვეთება, მეტი მზის სხივი შემოგეხვევა, მეტი ნათელი შემოგედება“ (ჩემო სიმღერავ მაღლა, სულ მაღლა) (3, 105).

სასწაულებს ახდენდა პოეტის „ბუდით საზღვარს გადასული გული“ (თვითონ ღელვავც როს ნელდება) (4, 125).

მთავარი დევიზი იყო: „დროთ საზღვარს იქით, დროთ საზღვარს იქით!“

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, საინტერესოა რუდოლფ შტაინერის აზრი: „ხშირად ამბობენ: ადამიანის შემეცნებას დასმული აქვს გადაულახავი საზღვარი. ადამიანს არ ძალუძს ამ საზღვრებზე გადაბიჯება“. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანში გაიღვიძებს შემეცნების უნარი, ყოველივე შემეცნების საზღვრებს გადაღმა არსებული უკვე მთლიანად მოექცევა შემეცნების სფეროში. ოღონდ ამისთვის საჭიროა ცრურწმენებით დაუბნელებელი აზროვნება და გულწრფელი, თავისუფალი შეგრძნება ჭეშმარიტებისა. ადამიანის რაობას და დანიშნულებას გვასწავლის ზეგრძნობადი შემეცნება“ (8,9–10).

გალაკტიონს შეცნობილი ჰქონდა, რომ შრომის, მსხვერპლის, წამების გარეშე ვერ მიადწევდა სასურველ სიმაღლეს, ამიტომ შემოქმედებითი წარმატების საწინდრად ესახებოდა წამება, შთავგონების ცეცხლით წვა: „წამება... მე მასში ვეძებ თავისებურ ბედნიერებას, იგი სავსეა ძლიერებით, ვით ცეცხლის ქურა“ (როგორც აჩრდილი) (2, 125).

ტანჯვას, ჯვარცმას „ციურ წამალს“ უწოდებდა შარლ ბოდლერი და შემოქმედებითი წარმატება-ბედნიერების საწინდრად მიაჩნდა: „ბედნიერია, ვინც ჭმუნვა-ურევებს — უხვად რომ გვაწვიმს ყოფიერებით — გადალახავს და ძალუმი ფრთებით წმინდა სინათლის ზვრებს მიაშურებს“ (ამაღლება) (9,18).

ფრანგი პოეტის დევიზი იყო: „შესაძლებელის მიღმა, მიღმა უკვე ცნობილის“ (ხმა) (9,254-255).

ქართველი პოეტი მზად იყო „ბედთან არდარიდების თასი“, „წამების თასი“ დაეცალა პოეტური გამარჯვების საფასურში (რაა ახალი?) (3,99), ის ბედნიერებას ამ ქვეყანაში არ ეძებდა (მგზავრის სიმღერა) (6,102), „ჩუმი წამება“ მიაჩნდა გულის განწმენდის საშუალებად (ძალა — იარაღი) „განწმენდის ხმა“ ისმოდა მის პოეზიაში.

შეიცნო რა ზეციური ბედის პოწოდება, პოეტმა. დიდი ძალისხმევა გამოავლინა მიწაზე მისთვის მომზადებული ბედის წინაშე და მიწიურ ბედს — „სტუმარს“ შეუტია — „მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი“ (5,128).

მარკუს ავრელიუსის აზრით, თავის ბედისწერაში ადამიანსაც მიუძღვის წილი, მაგრამ „უბადრუკი წილი“ (ფიქრები) (10,VI,24).

გალაკტიონი უპირისპირდებოდა მიწიერთა ბედს, ცვლიდა მას და იმარჯვებდა ამ შემთხვევაშიც: „...ბედო, თუმცა კიდევ გამიძალიანდი, ჩვენი გამარჯვება მაინც უეჭვო“ (ჩემო ჩანვო) (5,141).

„...გაეხმაურე გულს, მომავალო, რომ იქ არ დარჩეს არც ერთი ფიქრი საბედისწერო და სავალალო“, წერს პოეტი (მამა და შვილი) (5, 161).

„ბურუსშიც და ქარშიც“ ხედავდა პერსპექტივას (ეხლა ის დრო არაა) (9,360).

„საკუთარ ძლიერ სიმღერის გრძნობა“, წამება, შემოქმედებითი ტკივილები ფრთად ექცეოდა „ყრმა მეოცნებე და გენიოსს“ და საზღვრის გადალახვის ძალას ანიჭებდა (რაა ეს გრძნობა?) (3,7).

პირადი ცხოვრების ტრაგედიები, მარტოსულობა, მატერიალური სიდუხჭირე, შეუცნობლობა და დაუფასებლობა უმნიშვნელო ხდებოდა „საერთო და სათვისტომო ომში“ ჩაბმული, „ოქროს ხანის“ შექმნელი, აღორძინების სიმაღლეს მიღწეული პოეტისთვის.

გალაკტიონის მერანი გამორჩეული იყო: „ჩვენს ბედს კი მხოლოდ ეხლა სჭირდება მერნების ქროლა მხნე, უუზანვო“ (არ გადაიქცა, არა, სიამედ) (3, 183).

სიკვდილს უბედურებად არ მიიჩნევდა, ფიზიკური სიკვდილი ყველა ადამიანის ხვედრად ესახებოდა, მაგრამ სჯეროდა, რომ უკვდავების სავანეში დაივანებდა მისი სული და შთამომავლობას ბედნიერებას მიანიჭებდა მისი გენიალური შემოქმედება (ეს წინათ იყო) (1,529).

ეპოქის ტრაგედიები აწამებდა, „საბედისწერო ხმები“ ესმოდა (შიში)

გალაკტიონი უცდომლად ჭვრეტდა „ბედის მღვრიე ტბორს“, რადგან „ათასის მხედველობა“ ჰქონდა, წამებით, შრომით, რაინდული შემართებით სძლევდა წინააღმდეგობებს, მისთვის უცხო იყო „უქმი და უგონო ცხოვრების სირცხვილი“, მისი წინამძღვარი იყო „სუფთა სინდისი“ (ახალი მოსახლეობა) (5, 180).

„ბედთან არდარიდება“, „საბედისწერო ბედის ბილიკის“ გადავლა ხელეწიფებოდა (მფარველი იალქნები, სადღევრძელო იყოს მისი) (3,180,181).

პოეტის დევიზი იყო „თავისუფალი, ლალი, ძლიერი ბედისთვის ომი“ (გრიგალი) (2, 248-254).

„ამქვეყნიური სული“ კი არა, „ზექვეყნიური სიყვარული“ ჩაენერგა, „იისფერ გზაზე“ დაეყენებინა, „განუჭვრეტელი ტევრის“ განჭვრეტა დაეხედებინა, „მელანქოლიის აკლდამაში“ გავლის შემდეგ დიდება ებოძებინა. „არააქაური სუნთქვა“ ჩაესმოდა, „ახალი დროის არგონავტს“, სიტყვის ოქრო უნდა მოეპოვებინა, მაგრამ „ბედითი ძერაც“ აედევნებოდა...

პოეტი ზეცით მომადლებულ ბედს ემადლიერებოდა, მაგრამ მიწაზე დავანებულ მოშურნეთა, მტრების ისრებიც უნდა აეცილებინა, ზედმიწევნით ჰქონდა გათვალისწინებული დიადი მიზნის მიღწევის სიძნელე: „ზღვაო, ოცნება პოეტის ლაჟვარდი, არაზვიადი... შენ უნდა გედარებოდეს, რომ შეჰქმნა რამე დიადი! ეძებდეს შენს მარგალიტებს, რომ შეჰქმნა რამე დიადი. ამ იალქნებით სცურავდეს, რომ შეჰქმნას რამე დიადი... მოსწიე ბედის მშვილდები, გზარავდეს გზა უნიათი — ნურასდროს ნუ დამშვიდდები, რომ შეჰქმნა რამე დიადი!“ (რომ შეჰქმნა რამე დიადი) (3, 235).

„ქარის პირდაპირ“, დინების წინააღმდეგ მავალ პოეტს უპირისპირდებოდნენ ხელმოცარული მიწიერები, მაგრამ არ ეპუებოდა „შავბედის წყრომას“ (აღმართი) (3,322-323).

თავისი გენიის ტოლფარდი შემართება ებოძებინა უზენაესს და იმის რწმენა აცოცხლებდა, რომ მომავალი ბედისწერა თავის კუთვნილ ადგილს

მიუჩენდა: „...მწამს და მჯერა, ბედისწერა გვიხსნის მარად“ (მზიან ქარად იქცა ცქერა) (3,318).

„ეპოქის გედი ოცნებას მღერის გაბედითებით“— ამ სტრიქონების ადრესატიც თვითონ იყო (3,57).

„ბედი ქროლვის გარეშე ჩემთვის არაფერია“, აცხადებდა „ეფემერაში“. მთავარი დევიზი იყო: „თავისუფალი, ლაღი, ძლიერი ბედისთვის ომი“ (გრიგალი), (3,348-254), „საბედისწერო ბედის ბილიკს გადავიარდი“, წერდა პოეტი (მფარველი იალქნები)(3,280), „მხოლოდ გამარჯვება ბედთან შეგვარიგებს“ (არ ღირს ერთ ცრემლად) (3,276), „ჩქარა წავიდეთ ზღვაზე, ვძლიოთ შავბედის წყრომა“ (აღმართი) (5,322-323), ასეთი შემართება იყო პოეტის წარმატების გარანტი.

„ბედის გრიგალის“ მოახლოება თავის სრულფასოვან არსებობაში არწმუნებდა (მე ვაკვირდები ამ უძირო ზღვას).

მარადისობაში დამკვიდრების საკუთარი კრიტერიუმები ჰქონდა, რაც განუზომელი წარმატებების საწინდარი იყო: „რა უშავს იმას, ვისაც არრა აქვს და არც დაეძებს ამ ქვეყნად რამეს, ვინც გზას უკაფავს უკვდავი სულის თავისუფლებას და სითამამეს... ვისაც არ ხიბლავს არც ეს ქვეყანა, არც ეს სოფელი, არც მძაფრი ვნება, ვისთვისაც საგანს არა შეადგენს და არც არავის ემორჩილება, ვინც ეჭვებისგან თავისუფლდება, ბრძოლას არ იწვევს წუთიერ დღეში და ასე წყნარად განისვენებს ის მარადისობის უფსკრულ-სიღრმეში“ (ბედისწერა).

ბედის რჩეულად მიაჩნდა ბარათაშვილი: „ხელში მიპყრია ბარათაშვილი, ლექსი — ეს არის ბარათაშვილი, ბედი უცქერდა მას, ვით ნაშვილებს. დრო სხვას ვერ მოგვეცემს ბარათაშვილებს. თუმცა ისრები ბევრმა დაშვილდა, მსგავსნი ვერ გახდნენ ბარათაშვილთა“ (გალაკტიონის უბის წიგნაკიდან, გალაკტიონოლოგია, ტ. 5, თბ., 2010, გვ. 10).

პოეტების მეფემ თავისი ფასიც იცოდა: „მე აღვაგე ტაძარი, ტაძარი ჩემი ტანჯვა-წამების, რომელშიც შესვლა არ შეუძლია ჩემს გარდა არავის“.

ვასტან ჯავახიძემ გალაკტიონისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში „უცნობი“ შეიტანა ეს აღსარება „ტაძარი ტაძარში“ 1996 წელს. (გალაკტიონოლოგია, IV, 2008, გვ. 13).

„ო, ფიქრებო მსვლელნო ტაძრად“, მიგნებულად არის სახელდებული ტაძრად მისი პოეზია (ქარი დაცხრა სიბოხოქრის“ (1, 535).

ხოლო „არტიტული ყვავილები“ „უცნაურ სასახლეს“ თამარ ბარბაქაძე 2002წ. „რითმათა სასახლეს“ უწოდებდა (გალაკტიონოლოგია, ტ. V, თბ., 2010, ნინო დარბაისელი, სამი ლექსი „არტიტული ყვავილებიდან“.

„მსახვრალი ბედის მხრიდან ხშირ-ხშირ დარტყმებზე“ საუბარი ედგარ პოს „ყორანში“.

უდიდესი ძალისხმევით ერკინებოდა ედგარ პო ბედისწერას და მსოფლიოში, სამყაროში მოარული ფათერაკებს დაპირისპირებული მისი სული „მარადისობის ნაპირს“ იყო მიღწეული, ის მიდიოდა „ქარის საწინააღმდეგოდ“, როგორც გალაკტიონი: „...ჩვენი ბედისწერა ეს უნდა იყოს, სასრულუქონელი ქროლვა მარადისობის ნაპირზე და არა საკუთარ ბედზე ფიქრი.

„მთელი ხომალდი და ყველაფერი, რაც აქ არის, მოუცავს სულს უხსოვარი დროისას, ვითარცა საუკუნეთა წიაღდანთქმული აჩრდილები წინ და უკან!“

პოეტის ბედისწერაა ამ თავზარდამცემი მხარის შეცნობა, რაც ამარცხებს სასოწარკვეთილებას და „ტანჯვით სულის ამოხდომისთვისაც მზად არის“ „გულწარმტაცი ცოდნის, ჯერხნობით დაგმანული „საიდუმლოს“ მიგნებისთვის.

„ქარის საწინააღმდეგოდ მოძრავი ხომალდი ზღვამ არ ჩაყლაპა“.

ზღვაზე, გემზე „ახალი გრძნობით, ახალი აზრით“ განიმსჭვალევა სული.

„ამ შემზარავ ხომალდზე შეიკრა სხივები ჩემი ბედისწერის“, ამბობს თავის უცნაურ ბედზე ჩაფიქრებული პერსონაჟი, რომლის მიზანია მარადისობასთან ზიარება.

სულის, სულიერების ძიება და პრიმატი, ბედისწერასთან ჭიდილი იყო მისი წარმატების გარანტი (ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი (11,43-54).

„ფერიის კუნძულში“ მარადიულად მიიჩნევა სამყარო, „შემეცნება სიამოვნებად, უსასრულობასთან არის წილნაყარი ასეთი ადამიანის ბედი“ (11,6).

უსასრულობის საზღვრისკენ, ჩვეულებრივთა ცნობიერების მიჯნების გადალახვისკენ მისწრაფებაა მწერლისთვის მთავარი.

მოთხრობა „მორელას“ პერსონაჟს, მეუღლე უკვდება, მაგრამ მისგან შვილი ჰყავს და გადაწყვეტს მის მონათვლას, თუმცა ისიც უკვდება, რის

შემდეგაც, როგორც თვითონ ამბობს, „ცაზე ჩაუქრება ბედის ვარსკვლავი“ (11,81-86).

„ყველგან ბედისწერის ხელი იგრძნობა“, ნათქვამია მოთხრობაში „ეიროსისა და ქარმიონის გასაუბრება“ (11,55-60).

„პაემნის“ პერსონაჟი მოთქვამს: „წყეულიიყოს ის დრო და ხანი, ბედის ტრიალმა რომ წამგლიჯა თვალი“ (11,61-73).

ბედის, განგების ნებაზეა საუბარი მოთხრობაში „მორელა“.

„შემზარავ ბედს“ ემდურის პატიმარი მოთხრობაში „მთხრებლი და ქანქარა“ (11,102-117).

ედგარ პოს გმირს ცაზე ჩაქრობოდა ბედის ვარსკვლავი, მისი მიზანი იყო გაქცეოდა „მტანჯველ მოგონებებს, დაუძლეველი მარტოობის შეგრძნებებს და გაურკვეველი ბედისწერის წინაშე ძრწოლას“ (მორელა) (11,81-86).

„ელეონორაში“ სიყვარულით ბედნიერი პერსონაჟი მდინარეში ხედავს „წარუვალი ელვარების მარგალიტის კენჭებს“ (11,75).

„წინააღმდეგობრიობის ჭინკაში“ საუბარია „წინასწარდასახულ ბედზე, დამბადებლის მიზნებზე“ (11,152).

„საბედისწერო ორთაბრძოლის ღრიანცელია“ „მისტიფიკაციაში“ (11, 239-248).

უბედურებასა და მხეცობას შორის კავშირზეა საუბარი მოთხრობებში „შავი კატა“ (11,181-186), „გული გამთქმელი“ (11,128-134).

„ბედი არასდროს შემოსწყრომია“ მთავარ პერსონაჟს მოთხრობაში „შენ ხარ კაცი იგი“ (11,167-180).

„უბედურებაზე“, „სასტიკ ბედზე“, „მტანჯველ ბედზე“ მინიშნება „ყორანში“ (თარგმანი გ. ჭიჭინაძის) (12,117).

ასევე „მსახვრალ ბედზე“, „ბედის სასწორზე შეგდებულ სისხლით მონაპოვარ განძზე“ კეთდება აქცენტი ამავე ლექსში (თარგმანი გ. ნიშნიანიძის) (13,200-206).

ამერიკელ პოეტს ბედისწერამ დაანათლა ფიზიკური და სულიერი ობლობა, მატერიალური სიღატაკე, ტანჯვა, ამავე დროს, დიდი ტალანტი, განუსაზღვრელი ძალისხმევა, სიძნელეთა, ოკეანის თუ ზღვის გადალახვის, სულიერ უდაბნოში რწმენის შეტანის უნარი, რისთვისაც ჯვარცმა იყო საჭირო, მაგრამ აღმოაჩნდა არაადამიანურ ტანჯვასთან გამკლავების ძალა, რამაც მსოფლიო სახელის მქონე სიტყვიერი ხელოვნების წარმომადგენ-

ლად, ქვეყნის ოთხივე კიდეს დაინტერესების საგნად აქცია მისი პირველ-
ხარისხოვანი შემოქმედება.

დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
2. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993
3. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1993
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
5. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.3, თბ., 1994
6. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნე-
ლები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო“, თბ., 2014
7. რუდოლფ შტაინერი, რწმენა, სიყვარული, იმედი, თარგმანი ნუნუ
კერესელიძის, თბ., 2012
8. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულების
და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფეროში. თარგმნეს ზვიად
გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წელს. რედაქტირებულია 1995წ.
„პითაგორა“, თბ., 1996
9. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, ფრანგულიდან თარგმნა
დავით აკრიანმა, „იანუსი“, თბ., 1992
10. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა,
წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1972
11. ედგარ პო, მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ,
„პალიტრა L“, თბ., 2011
12. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, „დიოგენე“, თბ., 2001
13. ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია,
ინგლისურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გიორგი ნიშნიანიძემ,
„საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985

წუთისოფლის ამაოება და მარადისობა

წუთისოფლის და მარადისობის, წარმავლობის და უკვდავების, მიწის და ზეცის, სულის და ხორცის, მდაბალის და ამაღლებულის მიმართების პრობლემა დასაბამიდან აწვალებდა მოაზროვნე კაცობრიობას.

არა ბრბო, მასები, არამედ ტალანტები, გენიოსები, მეცნიერები, გამომგონებლები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები მუდმივად ფიქრობდნენ ამ სატკივარზე და პასუხსაც ეძებდნენ.

წმინდა წერილში, წინასწარმეტყველთა ნააზრევში, ღვთისმეტყველებთან, მხატვრული სიტყვის ოსტატებთან ამქვეყნიური ცხოვრება, მიწიური ბედნიერება, პრაგმატული ინტერესები წარმავალი წუთისოფლის მსახურებაა და ასეთი არსებებისგან საბოლოოდ მხოლოდ მიწა და მტვერი რჩება.

ეკლესიასტე ჰგოდებს ყველაფრის ამაოებაზე, მიწიერი სამყაროს ბოროტებაზე, შურსა და გაუტანლობაზე, სიმდიდრის, ნივთის, მატერიის არაფრობაზე, მხოლოდ სიბრძნეს, ჭეშმარიტების ძიებას მიიჩნევს გონიერებად და ის ანუგეშებს, რომ „ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს და ბოროტს“ (12,14) (4,87).

მართალია, მტვრად იქცევა ხორცი, მაგრამ სული ღმერთს უბრუნდება და მარადიულია: „მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს, რომელმაც შთაბერა“ (ეკლესიასტე, 12,7) (1,487).

ყოველივეს სწრაფწარმავლობაზე ამახვილებს ყურადღებას წმინდა წერილი: „განთიადიდან საღამომდე იცვლება ჟამი და ყოველივე სწრაფწარმავალია წინაშე უფლისა“ (სიბრძნე ზირაქისა, 18,26)(1,512).

პავლე მოციქული შეგვაგონებს: „ქვეყნიერების სიბრძნე, ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურება ღვთის წინაშე“ (1 კორინთელთა, 3,19)(1,936).

წმინდა მამა მოგვიწოდებს: „უარყავით უღვთოება, ამქვეყნიური გულისთქმანი და ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში აზრიანად, სიმართლით და ღვთისმომიშებით“ (პავლე მოციქული ტიტეს, 3,2) (1,464).

„სწრაფწარმავალია ყველაფერი და ფოთოლცვენას ჰგავს წარმავლობა“, იმეორებს ბიბლიურ სიბრძნეს მარკუს ავრელიუსი (2, 252).

„ადამიანის ცხოვრება, მოკლე იქნება თუ ხანგრძლივი, საბოლოოდ სიკვდილით მთავრდება, მაგრამ მკვდარი მხოლოდ ამ ქვეყნიდან გადის, არა სამყაროდან“ (2,107).

მორწმუნე, კეთილმსახური, ჭეშმარიტების ერთგული ადამიანის სულის მარადიულობის რწმენას გვინერგავს ლაო-ძი: „ვინც წარუვალში გარდაიცვალა, მარადიულია“ (3,201).

„ბჰაგავად-გიტაში“ წუთისოფელს ეწოდება „ჭირთა წარმავალი საუფლო“ (წიგნი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, თბ., 1983).

გალაკტიონ ტაბიძე ცხოვრებას აფასებს როგორც „ვიწრო, ეკლებით შემოსაზღვრულ ბილიკს“ (და კვლავ იწყება ახალი წელი) (4,115).

პოეტს აღაშფოთებს წუთისოფლის ამაოება: „ეს ოცნება წუთიერი თან წაჰყვება დროთა ელვას, ვერ გადურჩეს ვერაფერი წუთისოფლის მარად ღელვას“ (ქალწულის ოცნება) (1,120).

შემოქმედს სულს უწამლავს „ქვეყნიური ვნების ხმები“, ქვეყნიური ტრფობა, უქმი დღეები, კაცთა ფუჭი დიდება, „უქმი და უგონო ცხოვრების სირცხვილი“ (ახალი მოსახლეობა) (4, 248).

„ამქვეყნიური სიბილწის, შურის, მტრობისგან განრიდება და ამაღლებული იდეალების მსახურებაა პოეტის მიზანი (მთვარე კაშკაშებს) (4,3).

ამაოა და მიუღებელი „წუთისოფლის მორევი, წუთისოფლის დიდება“ (წამი წამს ებიდება) (4, 390).

„ამაოა უსულგულო ბრუნვა და შრომა“, ნათქვამია ლექსში „როგორც კი დილა გათენდება“ (4,53-54).

„...მსხვერპლი ქვეყნიურ ძალის ასკეცის მტვერი იყავი, მტვერი გახდები“, შეგვასხენებს პოეტი (გეძებდი ყველგან) (4,176).

ლექსში „ვეზუვი“ ამაოება უგულო ქვასთან არის შედარებული: „ქვას გული არ აქვს, როგორც შენ არ გაქვს, ამაოებავ, დაუვიწყარო“ (ვეზუვი) (5,342).

ფულს, ოქროს დახარბებულთა, ამაოების მსახურთა მხილებაა ლექსი „ახმაურდეს“: „ეს ამაო და მდაბიო გატაცება იქ ბობოქრობს, სადაც ფულის ხარბი თვალი მოპრიალეს ხედავს ოქროს“ (ახმაურდეს) (5,348).

„ქვეყნიური ვნების მსახურნი“ განიკითხებიან და შევებას ვერსად იპოვნიან (ზვირთები რბიან) (4, 100).

პოეტი ყურს არ მიაპყრობს „ქვეყნიურთა ვნებათ ძახილს“, მას ეიმედება „წმინდა, შორი ქვეყანა“, ცათა ცა, ღმერთების, ანგელოზების სავანე (მე მესიზმრება) (4,125).

მიწიერთა ინტერესებისგან განრიდებულს, მსხნელად ზეცის, სილაჟვარდის მკვიდრნი ევლინება: „ქვეყნიურ ამაოებისგან დამიფარავდა ცის კალთა, ალერსი ანგელოზების და მდუმარება მწვერვალთა“ (ვაგნერი) (4, 154).

„ქვეყნიური გატაცებების“ უარმყოფელნი ერთეულები არიან, ისინი ყოველთვის მართო რჩებიან: „...ის ყოველთვის მართო არის, ვისი სული, ვისი გრძნობა ფაქიზია და ქვეყნიურ გატაცებებს ვერ ენდობა“ (თვით მიმოზა) (4, 119).

არა ფილისტერთა მხარეში, არამედ სილაჟვარდეში მიმინოსავით ფრენს მისი წმინდა, ძლიერი სული: „სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს, დასტივო მხარე, სადაც ყველა ფილისტერია, სილაჟვარდეში მიობროლოს და მიიმინოს“ (ჩემს გულში დაჰქრის) (5, 405).

უზენაესმა პოეტს ამაოების მსახურების ნიჭი კი არ დაანათლა, არამედ „ჭეშმარიტების ძიებათ და გამოვლინების“, ამიტომ ამქვეყნიური, მიწიერთა სანატრელი ბედნიერება არც უძებნია (მგზავრის სიმღერა) (5, 102).

სულიერების, სიკეთის, ჭეშმარიტების მსახური პოეტი მარადისობას მიელტვოდა და საკუთარი სულის შუქს წინასწარ ხედავდა ცაზე: „...შენ მხოლოდ მარადი სიმაღლე გიშველის, როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო).

წმინდა მამის მოწოდებაა: „...ვიფხიზლოთ და შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარულის აბჯრით და ხსნის იმედის მუზარადით“ (პავლე მოციქული, თესალონიკელთა, 5, 8).

წმინდა წერილის შეგონებას ასე ეპასუხება პოეტი: „მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“, რითაც ღმერთშემოსილობაზე კეთდება აქცენტი, რადგან სიხარული და გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღვთო სახელებია.

პოეტს თავის მისიად ესახება რწმენის, სიმართლის, ერის, მსახურება, „არყოფნისა და ყოფნის წიგნის“ საიდუმლოებათა წაკითხვა, (ხელოვნება), ზეციური, მარადიული ხმების მოსმენა: „...და ისმის ციური გალობა ნარნარი...ვინ იგრძნო სიცოცხლე ამაო, უმიზნო, ან შვება ვინ იგრძნო, ან ტრფობა ვინ იცნო“ (სალამო) (4, 114).

გალაკტიონი აფრთხილებს ქვეყნიურ ვნებაზე ორიენტირებულთ: „ვაი მას, ვისაც არ ასვენებდა ქვეყნიურ ვნებათ და ფიქრთა გროვა, ვისაც აქ

სურდა ბედნიერება, მაგრამ ნუგეში ვერსად იპოვა. საუკუნეთა შორი გრეხილი ზრახვათა იმათ გადაავიწყებს, გადაავიწყებს, რომ ნირვანაში სამავიერო არარა მისცეს“ (ზვირთები რბიან) (4,100).

როცა პოეტი სინამდვილეზე, როგორც არყოფილზე საუბრობს, იგულისხმება ტრივიალური სინამდვილე, ფუჭი ცხოვრება, რომელსაც ის არასოდეს მსახურებდა და გაორებისგან განრიდებული იყო: „სინამდვილეს არ ვემდური, არ ყოფილა თითქმის, არყოფილზე საყვედური არასოდეს ითქმის. და არც შიში გაორების არ მიგრძნია მწარე, მე ხომ მთელი გზა ცხოვრების ასე გავატარე“ (ამ ჩემს თმებში ვერცხლის სიმებს) (4, 198).

უანგარობის, ეროვნული გრძნობის უპირატესობის მაცნეა შემდეგი სტრიქონები: „არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე ერთ გაქროლება სამშობლო მხარედ“ (ჩვენში და მათთან) (5, 334).

ადამიანი მიწიერ სამყაროში იბადება, მაგრამ მარადიული პრობლემების მსახურებით ზეცამდე ამაღლება შეუძლია, არა ფუჭი, დროებითი დიდების, არამედ საუკუნეების დიდება-აღიარების მიღწევა ხელეწიფება: „...მგლის მუხლით და ფეხით ვთელო საწუთროება, მინდა ფეხით მოვიარო მთელი ხმელეთი... იმავე ფეხით რომ გავწიო დიდებისაკენ“ (ახმაურდეს) (5, 348).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი გვარწმუნებს: „ადამიანს ძალუძს წარმავალი საგნებისა და მოვლენების მარადიულ პირველწყაროებს ჩასწვდეს. წარმავალი ისტორიიდან ადამიანი წარუვალში აღწევს“ (6,178).

„ყოფიერების აზრი არ არის წარმავალში, არ არის ერთეულში. ამ წარმავალს უნდა უყურო, როგორც სიმბოლოს, როგორც ანარეკლს მარადიული ჰარმონიის ერთიანობისა“ (7,117).

წარმავლობაზე ამაღლებისათვის საჭიროა ზეცით მომადლებული ნიჭი, შრომა, ბრძოლა, პატიოსნება, გეგაცური ძალისხმევა, გულის სისხლის გაღება, ჯვარცმის ტოლფასი წამება, რისთვისაც მზად იყო ქართველი პოეტების მეფე.

არარაობისა და მარადისობის დაპირისპირებაზეა გალაკტიონის ლექსი „მე შენი წიგნი შემხვდა შემთხვევით“, რომელშიც საუბარია ღმერთის, ცის, სიბრძნის, ჭეშმარიტების — წიგნის მარადიულობაზე: „...არარაობად

შთანთქმულად რიგნი — უკმაყოფილო და კმაყოფილი, რა დარჩა? ფერფლი, ცა და ეს წიგნი“ (5, 199).

ქვეყნიურ ვნებებს, მიწიურ ამაოებას განრიდებული პოეტი „განწმენდის შუქს“ ეძებს (შუქი საღვთო სახელია) (პარალელი) (4, 288). „განწმენდის ხმა“ აინტერესებს და არა ფუჭი მიეთ-მოეთი.

ქართველი პოეტისთვის ქვეყნიური ვნებებისგან განრიდების უპირველესი მაგალითია მიქელ-ანჯელო (მიქელ-ანჯელო) (5, 206).

გალაკტიონის მიერ მარადისობაში გაღწევას, წუთისოფლის დამარცხებას ხაზს უსვამს მერაბ კოსტავა: „...სხვისთვის უხილავს ჭვრეტდი ეთერში, ამაოებას არ დაემონე... სული იყავ და სულადვე იქეც, მაკრო-კოსმიურ გადიქეც კაცად — ზოდიაქოებს მოედე ველად, სად წუთისოფლის დასასრულია, სიცარიელე ქრება სრულიად“ (გალაკტიონი) (8, 147-162).

ჭეშმარიტების, მარადიულობის მსახური, დღენიდაც სიბრძნის მაძიებელი ედგარ პო წარმოაჩენს წუთისოფლის, ამაოების, წარმავალი მოვლენების მსახურთა დროებით სიხარულს, რომლისგანაც არაფერი რჩება, ნუგეშად კი ისახება სიკეთე, რწმენა იმისა, რომ „სამარეშიც არ დაინთქმება ყოველივე უკვალოდ“ (მთხრებლი და ქანქარა) (8, 103-114).

ბედნიერების, სიყვარულის სწრაფწარმავლობაზე საუბარი ედგარ პოს მოთხრობაში „ელეონორა“. სიკვდილმა წარტაცა ადამიანს დიდი სიყვარული, მერე მის ხსოვნას უღალატა, მასში გაიღვიძა „ლტოლვამ საწუთროს ამაოებისადმი“ და სხვას დაუკავშირა თავისი მომავალი, მაგრამ შეუძლებელი გახდა იმ დიდი გრძნობის ხელახლა პოვნა (8, 44-81).

„მორელას“ პერსონაჟი ჩივის, რომ „წარმავალია მტვრის საუფლო“, მაგრამ მაინც ამ წარმავლობას ეპოტინება მისი სული (8, 81-88).

ადამიანს მხოლოდ სიყვარული მიუძღვის ღირსების გზაზე, მაგრამ ძვირფასი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ „ტანჯვით წუთისოფელ-ჩაშხამებული“ ვერ უძლებს მარტოობას, იწყება „ფუჭი წვრილმანების თაყვანისცემით გატაცება“, ახალი სიყვარულის ძიება, თუმცა მისთვის ნუგეში მხოლოდ წინა გარდაცვლილი მეუღლის სულის მოვლინება, მისი „სულისეული ლამპარია“ (ლიგეა) (8, 97).

მოთხრობაში „პაემანი“ ლამაზი, უმდიდრესი ნივთების, მსოფლიოში ცნობილი მხატვრობის შედეგების შეძენით გატაცებული ქალბატონი თავს

ვერ აღწევს ყველაფრის ამაოების განცდას, „სწრაფწარმავალ ვნებას“ და თავს იწამლავს (8,61-74)

„სწრაფწარმავალია კაცის ერთგულება“, ნათქვამია „შავ კატაში“ (8, 118-123). აქვე „ადამიანში „წარუვალი თვისებაა წინააღმდეგობრიობა“.

ამაოების, უგუნურების, წუთისოფლის ვნებების მსხვერპლია მონარქი, რომელსაც, როგორც სხვა უღირსთ, ჩამწარებით წუთისოფელი, თუკი არ ეყოლებოდათ გამართობი, დასაცინი მასხარა, მაგრამ ეს ღირსებაგათელილი ადამიანი შურს იძიებს უზნეო, უგუნურ ხელმწიფებე და მის ლაქია მინისტრებზე (სკუპ-სკუპ) (8, 181-183).

„ულალუმში“ თავისი შეყვარებულის სულთან ერთად მოგზაური გარდაცვლილი მიჯნურის მომგონებელი პოეტი წუთისოფლის სიმძიმეზე საუბრობს: „და ისევ მემძიმა მე წუთისოფელი, გულგვამი ერთიან ამევსო წრიალით“... (10,208)

ლექსში „იზრაფელ“ წუთისოფელი დახასიათებულია, როგორც „ტკბილის და მწარის შენარევი“ (თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის) (10,53).

ედგარ პოს მიზანი იყო „სასრულუქონელი ქროლვა მარადისობის ნაპირზე“ (ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი), ჯვარცმის ფასად უკვდავების მოპოვება, რასაც დიდი ძალისხმევის ფასად მიაღწია კიდევ და მსოფლიო სახელი მოიხვეჭა დამსახურებულად.

დამოწმებანი

1. ბიბლია, თბ., 2013
2. მარკუს აგრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინა-სიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1972
3. ლაო—ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983
4. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, „საქართველო“, თბ., 1992
5. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, „საქართველო“, თბ., 1992
6. რუდოლფ შტაინერი, აკაშა ქრონიკიდან, მთარგმნელები ი. კვარაცხელია, ა. კვარაცხელია, ასოციაცია „კოგიტო, თბ., 2017

7. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგძობადი შემეცნების სფეროში. თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ 1970წ. რედაქტირებულია 1995წ.
8. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
9. ედგარ პო, მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ, „პალიტრა L“, თბ., 2011
10. ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია, ინგლისურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გიორგი ნიშნიანიძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985

ბედნიერების უბედურება

დიდი ამერიკელი შემოქმედი ედგარ პო იყო უპოვარი, „ყორანში“ ჰონორარად ხუთი დოლარი გადაუხადეს, თუმცა პოპულარობა არ აკლდა. შეხვედრაზე ეპატიუბოდნენ, მაგრამ ვერ მიდიოდა იმიტომ, რომ რიგიანი ჩასაცემელი არ ჰქონდა. უნდოდა ოცი დოლარის სესხება ღონისძიების ორგანიზატორისგან, მწერლისა და კრიტიკოსის ჯონ კენედისგან, რათა აუდიტორიის წინაშე და ბანკეტზე გამოცხადებულიყო, მაგრამ ამასაც ვერ მიაღწია (ლეილა გამსახურდია, ედგარ ალან პოს ლირიკის თავისებურება) (1, 9).

მიუხედავად სიღარიბისა, არასოდეს მიუჩნევია ბედნიერებად ფინანსები, არასოდეს გამოუვლენია ანგარება, უსინდისობა, რათა პრაგმატული ინტერესები დაეკმაყოფილებინა. პირიქით, დაუნდობელი მამხილებელი იყო ამერიკელთა წვრილსულოვნების, სიმდიდრის კულტის. მატერიალური პრობლემა ხელს ვერ უშლიდა, ჰქონოდა გენიოსის შესაფერი სიამაყე, არასოდეს შეშურებია წვრილსულოვანი თოჯინების, რომლებიც ხელის ჭუჭყის საფასურში არანაირ უკეთურობას არ ერიდებოდნენ.

ხაზგასმით აღნიშნავდნენ ხოლმე მის უანგარობას: „პოს სულს უხუთავდა მავანთა პრაქტიციზმი და პრაგმატიზმით შეზავებული თავმომწონეობა, როგორც მემამბოხე შემოქმედს“ (ლეილა გამსახურდია) (1, 10).

ედგარ პო აცნობიერებდა, რომ ის მიწიერი ინტერესების კი არა, ზეციური, მარადიული იდეალების მსახურად იყო მოვლენილი. ნიჭის

მომადღებელ სულიწმინდას ემადლიერებოდა, რომ საღვთო სიბრძნის, საღვთო სიყვარულის მსახურად შეარჩია და ამ უზენაესი მოწოდების ერთგულად რჩებოდა. არ შურდა სულით ღატაკთა მიერ ბედნიერებად მიჩნეული სიმდიდრე: „მე ვერ მივაწერ ჩემს ბედს მიწიერს, ცოტა რამე აქვს მას მიწიური, რომ მან სიძულვილს მხოლოდ წუთების შესწირა წლების ტრფობა ძლიერი. არ ვჩივი იმას, ვინმე ბედკარული რომ ჩემზე უფრო ბედნიერია, განვიციდი, კარგო, რომ ნაღვლობ ჩემზე, ვინც მხოლოდ უცხო და გამვლელია“ (1, 199).

ჭეშმარიტი ხელოვანისთვის მთავარია რწმენა, სულიერება, შემოქმედებითი იდეალი, სხვა, მარადიული სამყარო, „ფანტომების სამეფო“. საბედისწეროა მისი გზები, სულის ცეცხლი, რომელსაც ვერ უძლებს ჩვეულებრივი ადამიანი, ხელოვანი კი ყველაფერს სწირავს გულის სისხლის ჩათვლით (ოვალური პორტრეტი) (2).

ედგარ პოს ერთი პერსონაჟი, ფანტასტიკური ხომალდის კაპიტანი, სამხრეთ პოლუსზე მავალი, იმდენად იყო ატანილი ცხოვრების, სამყაროს საიდუმლოების შეცნობის სურვილით, რომ მზად იყო დაღუპვისთვის, თუმცა სახეზე მცირე ნაოჭი ჰქონდა, „მირიადი წლების“ მაუწყებელი ცნობიერება გამოარჩევდა (ბოთლში ნაპოვნი ხელნაწერი) (3, 13).

ამერიკელი პოეტის შემოქმედების ერთი გმირი მარტო დამაშვრალა მხეცებით სავსე უდაბნოში სვლით, მაინც არ წუწუნებდა, პირიქით, მთელი არსებით ეძებდა ცხოვრების არსს და აცხადებდა: „ჩემი ბედნიერება მე მინათებს სხივად, მე — ბედნიერი — უპოვარი უდაბნოს გზებზე“ (3, 21).

„ფერიის კუნძულში“ საუბარია „ბუნების წიაღში მოხვედრის ბედნიერებაზე“ (3, 6).

„მორელას“ ავტორს ბედნიერებად ესახებოდა ამაღლებულზე ოცნება, სასწაულის ხილვა, არამიწიერი ბგერების გაგონება, სიყვარული, მისტიკური წუთები (3, 81-102).

ლექსში „ლინორ“ ბედნიერებად ითვლება „ამქვეყნიური ჯოჯოხეთისგან, წყეული დემონებისგან განშორება და ზეციურ სივრცეში დამკვიდრება“ (1, 49).

სიყვარულის ბედნიერებაზეა საუბარი „ელეონორაში“: „ბილიკსაც კი ვერ იხილავდით ჩვენს ბედნიერ საცხოვრისში შემოსაღწევად... მდინარეში

გაჩნდნენ ოქროსა და ვერცხლის თევზები. მერე გაისმა სიმღერა, რომელიც უფრო ღვთაებრივი იყო, ვიდრე ეოლისის ქნარი“.

და ბოლოს: „ანგელოზების მიერ დარხეული საცეცხლურების წკარუნი ისმოდა“ (3, 18, 79, 81).

ედგარ პოს ბედნიერება იყო ბედისწერით მომადლებული ხეტიალი, ცნობიერების გამდიდრება, მშვენიერებასთან ზიარება: „... ბედმა მარგუნა მეხეტიალა ქვეყანაზე, ბოლოს მეპოვნა კუთხე წარმტაცი, რალაც ველური მშვენიერებით, რამაც ამავსო საოცარი ბედნიერებით“ (1, 35).

ასეთივე განსხვავებული, ამაღლებული აზრია ჩადებული გალაკტიონის მიერ ბედნიერების ცნებაში.

ქართველი პოეტისთვის ბედნიერება იყო ედგარ პოს, ჰანრი რენიეს სამყაროს გაცნობა, მშვენიერებასთან, უმაღლესი ცის იდუმალებასთან ზიარება: „კითხულობდა პოეტებს: ედგარს, ჰანრი რენიეს და ლანდები ჩქარობდნენ ოცნებების კიდებე და ვერ წარმოედგინა ბედნიერს და მშვენიერს ცა უფრო უმაღლესი, ცა უფრო უდიდესი (მწოლარე) (9, 288).

ლექსში „ცხრაას თვრამეტი“ იმ „უბედნიერესი დღეების“ მოგონებაა, როცა პოეტმა გადაწყვიტა სიტყვის, პოეზიის ახალი კართაგენის აგება, „ლურჯი სტანდარტის“ უარყოფა.

გალაკტიონს დაჰბედებოდა არა მიწიერი ბედნიერების სიყვარული, არამედ სიტყვის სასახლის აგება, სხვა მხარეების ძიება: „სხვა მხარეები უხსოვარ ხნიდან მაწვალებს, მათრობს და მეფერება, თვით სამარემდე მათ ლანდს მივიტან, რადგან ვერ ვპოვე ბედნიერება“ (დგება შემოდგომა) (4, 248-249).

პოეტების მეფის ბედნიერება იყო „ნეტარი მხარის“, „წმინდა ცის“ ხილვა: „ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება. არის სადღაცა ნეტარი მხარე, არის წმინდა ცა შუქით მგზნებარე“ (გრძნობათა ფერფლი) (4,51).

შეგნებული ჰქონდა პრაგმატული ბედნიერების წარმავლობა, მისი მიზანი იყო წამებით განწმენდა, „განწმენდის ხმის“ მქონე სიტყვის ხელოვნების დამკვიდრება: „ტკბილია შხამი, თუ უმიზნოდ ბედნიერება მოიშხამება, კვლავ დაგვიბრუნებს ბედნიერებას და გულსაც განწმენდს ჩემი წამება“ (ოპ, ევა, ეა) (4, 94-95).

პოეტს წარმოდგენლად მიაჩნდა ქვეყნიერ ვნებებში, მიწიერ იდეალებში შვების პოვნა: „ვაი მას, ვისაც არ ასვენებდა ქვეყნიურ ვნებათ და ფიქრთა გროვა, ვისაც აქ სურდა ბედნიერება, მაგრამ ნუგეში ვერსად იპოვნა“ (ზვირთები რბიან)(4, 100).

„მგზავრის სიმღერის“ ავტორი პირდაპირ აკონკრეტებდა, რომ მისთვის მიუღებელი იყო წამიერი, წარმავალი ბედნიერების ძიება: „ბედნიერებას მე არ ვეძებ ამ ქვეყანაში, შვების ძებნაშიც ვტყუვდებოდი ქვეყნად ყოველთვის“ (4, 102).

დიდი პოეტის იდეალი იყო სიმალისკენ სწრაფვა, სფინქსის საიდუმლოებათა შეცნობა: „ასევე ვიბეებს, სადაც სფინქსი ქვეს ეფერება და შიშში გრძნობდე, რომ ახლოა ბედნიერება, — ოჰ, რამდენია სიცოცხლეში ასეთი წამი“ (მარმარილო) (4, 165).

მაგრამ ამაღლება მხოლოდ ტანჯვით, წამებით მიიღწევა: „როგორც ჩინარი — ისე პოეტი, მისთვის სიმალლე არის წამება, არა ღიმილით და ალოეთი, დაფარავს მტერთა ცილისწამება“ (ისევ ეფერმერა).

ზღვაში ოქროს თევზის, ანუ ცნობიერების ზღვაში ოქროს სიტყვის მოხელთება იყო ბედნიერების საწინდარი: „ზღვაში გადვისვი ბედითი ბადეს, რომ ოქროს თევზი მოჰყვეს ცბიერი, მისი დანახვა მრავალჯერ სცადეს, მე კი ნამდვილად ვარ ბედნიერი“ (იქ პოეზიის ფრიალებს დროშა) (5, 161).

„სამშობლო უპირველეს ყოვლისა“ — ეს იყო უპირველესი დევიზი, მაგრამ მამულს, როგორც ყოველთვის, მეოცე საუკუნეშიც მრავალი განსაცდელი ემუქრებოდა, მუხის (სამშობლოს) გულში ჭოტიც იბუდებდა, თუმცა ეიმედებოდა ეროვნული იდეალების პრიმატის, რწმენისკენ მიბრუნებას და ეს ანიჭებდა ბედნიერებას: „...არ დაღუპულა, ისევ იქავე დგას ასწლოვანთა ხეთა ჩერება, გულში სიმღერა ვერ შევიკავე და გადარჩენის ბედნიერება“ (არ დაღუპულა) (4, 386).

მრავლისმნახველი, მრავლისგანმცდელი იყო პოეტის სული: „...რა ღრიანცელში ვიდოდა გემი, რა საშიშარი იყო ტყე-ველი, ყველგან, ყოველში მარხია ჩემი სულის ნაწილი შეუმჩნეველი“ (რა ღრიანცელში ვიდოდა გემი) (4, 312).

ლექსში „ყვავილები-წუთები“ არის ასეთი განაცხადი: „...ნეტარ წუთებით მთვრალ სიყმაწვილის ბედნიერ დღეებს, ავსებულს ჟინით, ვუფრთხილდებოდი“ (4, 134).

ცხადია, ეს „ნეტარი წუთები“ შემოქმედებითი წუთებია, რომელზედაც მუდმივად იყო კონცენტრირებული პოეტის სული.

„ბედნიერია ის, ვინც კეთილი ხვედრი განუმზადა საკუთარ თავს. კეთილი ხვედრი კი კეთილმადრეკილებაა სულისა, კეთილი სწრაფვა, კეთილი საქმე“, აცხადებდა მარკუს ავრელუსი (6, 45).

გალაკტიონისთვის ბედნიერება იყო რწმენის, სულიერების, სიკეთის მსახურება, შემოქმედება იყო მისთვის ბედნიერების, უკვდავების გარანტი. ასეთი ადამიანი უკვდავების მხარის ბინადარი ხდება, გარდაცვალება კი ხელახალი დაბადებაა, მარადიულობაა სიტყვიერი ხელოვნების მსახურება (ეს წინათ იყო) (5, 156–157).

„ქვეყნის ყველა პოლუსის“ ხილვა, „ორი მილიონი თვალებით“ ცქერა განესაზღვრა განგებას ქართველი პოეტისთვის.

„ყველგან, ყოველში მარხია ჩემი სულის ნაწილი შეუმჩნეველი“, „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“ — ასეთი კოსმიური იყო პოეტების მეფის თვალსაწიერი.

საკაცობრიო მასშტაბის მიღწევა უსასრულო ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ მზად იყო ამისთვის უყიყმანოდ დაეცალა „წამების თასი“: „...მაგრამ წამებას, ჩემს წამებას არა აქვს ბოლო. მე მასში ვეძებ თავისებურ ბედნიერებას, იგი სავეა ძლიერებით, ვით ცეცხლის ქურა, რომ კვლავ შემეძლოს განმიახლოს ძლევის სიმღერა, რაც სინამდვილემ წამართვა და გამინადგურა“ (როგორც აჩრდილნი) (4, 122).

„უდაბურ სოფელში“ პოეტი „მცირე ბედის“ მადლობელი, მცირე ბედის კმაყოფილი იყო (ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში“ (5, 180).

„...გამოუთქმელი მიტაცებს შვება, რა არის იგი, ბედნიერებით გამოწვეული უბედურება, თუ უბედობა სიმწარე-ვნებით?“; კითხულობდა პოეტი (შემოდგომის დღე) (ხუთტომეული, ტ. 2, „საქართველო“, თბ., 1994, გვ. 28).

ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებული იყო პოეტის თვალსაზრისი ბედნიერებაზე, მისთვის ბედნიერება იყო გულის სისხლით, წამების ფასად მოპოვებული შემოქმედებითი წარმატება და არა ნივთიერი სიმდიდრე.

განაცხადი — „ბედნიერებით გამოწვეული უბედურება“ თანხვედრას ავლენს დიდი ჩინელი ფილოსოფოსის ლაო-ძის „დაო დე ძინის“ უმათავრეს

კრედოსთან: „ო, უბედურებავ! შენ ძირი ხარ ბედნიერების. ო, ბედნიერებავ, შენ ძირი ხარ უბედურების“ (7, 219).

მიწიერი ინტერესების პრიმატი ანადგურებს სულიერებას, დიდ შემოქმედებით იდეალებს. ქართველი პოეტისთვის კი უპირველესია მხატვრული სიტყვა, ჯვარცმის ტოლფასი ტანჯვა ჭეშმარიტების მოსახელთებლად. ამიტომაც გალაკტიონის დევიზია: „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“ „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“ ამაში ვლინდება მოწოდების ერთგულება, ცხოვრების წესი.

გალაკტიონისთვის ერთადერთი ბედნიერება პოეზია იყო, მაგრამ ეს ჯვარცმას მოითხოვდა, ამიტომ ეძებდა წამებაში „თავისებურ ბედნიერებას“. ასევე უკავშირდება მის წარმატებებს „დიდების მწუხარება“ (ვარ გენია რიმაწელი) (4, 389).

ტანჯვას „ციურ წამალს“ უწოდებდა შარლ ბოდლერი ლექსში „კურთხევა“ (8, 13-16).

„შესაძლებლის მიღმა“ მიმსწრაფი ფრანგი პოეტი ბედნიერებად მიიჩნევდა შემოქმედების გამო „ჭმუნვა-ურვის“ დაძლევის: „ბედნიერია, ვინც ჭმუნვა-ურვებს — უხვად რომ გვაწვიმს ყოფიერებით — გადალახავს და ძალუმი ფრთებით წმინდა სინათლის ზვრებს მიაშურებს“ (ამაღლება) (8, 18).

რწმენა („სიცოცხლის ვარდი“) ეიმედებოდა, ბედნიერების გზად ესახებოდა გალაკტიონს: „ადრე თუ გვიან სიცოცხლის ვარდი ბედნიერებად გადაიშლება“ (გრძნობათა ფერფლი) (4, 54).

ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის ბედნიერებას ევედრებოდა პოეტი უფალს: „მზე ივერია, ღვთისმშობლის ხვედრი, ბედნიერებას მისას ღმერთს ვვედრი, უფალო, მოეც გონი და ძალა, რომ აიცილოს შხამის ფიალა“ (4, 88).

ქართველი პოეტის ბედნიერება იყო „ასწლოვან ხეთა“ (სხვაგან მუხების), ერის სულის, მისი მომავლის გადარჩენა: „... არ დაღუპულა, ისევ იქავე დგას ასწლოვანთა ხეთა ჩერება, გულით სიმღერა ვერ შევიკავე და გადარჩენის ბედნიერება“ (არ დაღუპულა) (4, 386).

ამიტომაც უმთავრესი, უპირველესი დევიზი იყო: „სამშობლო უპირველეს ყოვლისა!“ „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“

ბედნიერებაზე ასეთ თვალსაზრისს ვხვდებით გიორგი გურჯიევის ნააზრევში: „ბედნიერია ის, ვისაც სული და გული აქვს, ბედნიერია ის, ვისაც ეს არ გააჩნია, მაგრამ ვაი იმას, ვისაც ეს მხოლოდ ჩანასახში აქვს“ (9, 203).

„მხოლოდ გონება ცხოვრობს ხვალინდელი დღისთვის. გონების უპირატესობა წინასწარი განჭვრეტის უნარია, მაგრამ მოქმედება მხოლოდ სხეულის და გონების წილხვედრია“ (9, 82).

„... ბედნიერია ის, ვინც თავის ჩვეულ სკამზე ზის. ათასჯერ უფრო ბედნიერია ის, ვინც ანგელოზის სკამზე ზის, ხოლო უბედური ისაა, სკამი საერთოდ რომ არ გააჩნია. შეამოწმეთ თქვენი სკამები და გადააფასეთ თქვენი ღირებულებები“ (9, 201).

დამოწმებანი

1. ედგარ პო, რჩეული პოეზია, „დიოგენე“, თბ., 2001
2. ედგარ პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, თბ., 2011
3. ედგარ პო, ოთხ ტომად, ტ. I, მოსკოვი, 1895
4. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993
5. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
6. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1972
7. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმიანაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983
8. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვავილები“, თარგმანი დავით აკრიანის, „იანუსი“, თბ., 1992
9. გიორგი გურჯიევი, „ჭეშმარიტების სამყაროში“, გერმანულიდან თარგმანი ლაშა დადიანის, თბ., 2000

მოგზაურობა მიღმურ სამყაროში

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სული მოგზაურობს, ვიდრე მიაღწევდეს დანიშნულ ადგილს. იგი წარდგება ღვთაებრივი სასამართლოს წინაშე.

ღვთაებრივი სასამართლოს იდეა არსებობს იუდაიზმში, ბუდიზმში, ზოროასტრიზმში, მუსულმანებთან, ეგვიპტეში, ინდოეთში, იაპონიაში, ამერიკაში, ქრისტიანებში.

ცნობილია ეგვიპტური და ტიბეტური მკვდრების წიგნი, რომელიც წარმოადგენდა გარდაცვალების სახელმძღვანელოს.

ოფიციალური ეგვიპტური იდეოლოგიის მიხედვით, ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე იყო მხოლოდ მცირე მონაკვეთი მისი მარადიული არსებობისა, რომელიც მიცვალებულთა ქვეყანაში, ანუ დასავლეთში (მზის ჩასვლის მხარეს) უნდა გავრძელებულიყო.

მიცვალებულის სულს უნდა გაეგლო ოზირისის — მიცვალებულთა მეუფის სამსჯავრო. იქ მიცვალებული წარმოთქვამდა თავისი სიწმინდის დამამტკიცებელ სიტყვებს, ცოდვის უარყოფას. შემდეგ მისი სიმართლის შესამოწმებლად სიმართლის და წესრიგის ქალღმერთი მათი სწონიდა გარდაცვლილის გულს, რომელსაც ფრინველის გული არ უნდა გადაეწონა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთ-ერთი დემონი შთანთქმავდა. უცოდველი ადამიანი ანუბისს — ძალისთავა ღვთაებას იალუს მინდვრებში გადაჰყავდა და იგი ხდებოდა მზის ღმერთის თანმხლები მზიან ნავზე მის მუდმივ მოგზაურობაში.

მიცვალებულთა წიგნის 125-ე თავი ცოდვების უარყოფის ტექსტს წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი მუხლი ასეთია: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“ (1, 130).

ტიბეტის მოაზროვნეთა ასეული წლობით ასწავლიდა თაობებს, თუ როგორ უნდა მომკვდარიყვნენ, რომ მიეღოთ სიკვდილი, როგორც აუცილებლობა.

ტიბეტური წიგნის მიხედვით, სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ემზადებიან სიკვდილისთვის და მას უცქერიან, როგორც სიცოცხლის პროცესის ნაწილს, სიკვდილის შიში საერთოდ დაძლეულია.

ტიბეტურ წიგნში ღვთაებრივ სასამართლოზე მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა-რადჟა აფასებდა მიცვალებულთა საქმეებს კარმის სარგის საშუალებით. სარკეში აირეკლებოდა მიცვალებულთა კარგი და ცუდი საქმეები.

მანუს კანონებში (ძველი ინდოეთი, ძვ. წ. II და ჩ.წ. II ს) გვხვდება სიკვდილის ღმერთი „იამა“. მასში საუბარია გარდასხეულებზე, კარმისგან განთავისუფლებებზე.

ამერიკის მკვდართა წიგნის სახელწოდებაა „გარდაცვალების მეცნიერება“, იგივე „გარდაცვალების ხელოვნება“.

ამერიკელი უ. გოულდი ხალხს ასწავლიდა „შეგნებული სიკვდილის მეცნიერებას“. მისი დევიზი იყო: „მოკვდი სიკვდილზე ადრე“.

დოქტორ უორდენის პროგრამა იყო „სიკვდილის პირადი გაცნობიერება“ (1)

ადამიანმა უნდა გადაიტანოს მინი სიკვდილი, რათა გააკონტროლოს თავისი უკანასკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

გოულდის პრინციპი იყო: „სიცოცხლე არის ილუზია“.

სიკვდილი შემოქმედების გამაღვიძებელი ფაქტორია. შემოქმედებითი ძალები მწვერვალს აღწევს საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებისას.

სიკვდილისთვის ვარჯიში მთავრდება სულიერი განახლებით. ეს სიმბოლური სიკვდილი შეგვაგრძნობინებს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას, სიკვდილისწინა განცდა ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების პოტენციების გამოვლენას. სიკვდილი დიდი გამოცდაა.

იოგების მიხედვით, ადამიანის მიზანია სულიერ სამყაროში, უზენაესის სახლში დაბრუნება. ყოფიერების რა მდგომარეობაც ახსოვს ადამიანს სხეულის დატოვებისას, იმავე მდგომარეობას მიაღწევს, ნათქვამია „ბჰაგავად-გიტაში“.

ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას („სიცოცხლე მოდის სიცოცხლისგან“).

კონსტანტინე გამსახურდია სიკვდილს „ჩვენი ცხოვრების იდუმალ ეტრატზე აღბეჭდილ მეშვიდე ბეჭედს, ჩვენი სულის უკანასკნელ წრთობას, უკანასკნელ ომს, მოუცილებელ მებაჯრეს“ უწოდებდა.

„არ ვარ მეხოტბე მარტოოდენ სიცოცხლის გრძნობის, სიკვდილის ტრფობაც შემიქია, მიდიდება“, აცხადებდა უოტ უიტმენი ლექსში „ჰიმნები სიხარულისადმი“ (2, 36).

ასტრალური, უხილავი სამყაროს, არამიწიერი არსებობის გამოცანების შეცნობაზე საუბრობდა ე. რერიხი (3, 131).

აჩრდილების, ორეულების, ასტრალური სხეულების ნამდვილობაზე მიუთითებდნენ დანტე, გოეთე, ედგარ პო, ვალაკტიონი, ა. ბლოკი.

„ღვთაებრივი კომედია“ კომუნიკაციაა წარსულის, აწმყოს თუ მომავლის ლანდებთან, მისტიურ აჩრდილებთან, რომლებიც დანახულია ჯოჯოხეთის, სალხინებლის, სამოთხის ფონზე.

გოეთეს „ფაუსტში“ სულის აჩრდილის სახით ცხადდება.

მემფისის კოსმოგონიურ სისტემაში თავიანთი სულიერი ორეულები ჰყავდათ ღმერთებს და ადამიანებს, რომელთაც ეწოდებოდათ „კა“ (1, 135).

„სულთა სამეფო არ არის კარდახშული“, აცხადება გოეთე.

„შინაგან, სულიერ ადამიანს ძალუძს ფიზიკური ორგანიზმიდან მთლიანად გამოცალკევდეს, აღიქვას და იმოძრაოს სულიერ სფეროში“, წერდა რუდოლფ შტაინერი (ჩემი ცხოვრება) (4, 4).

შექსპირის ჰამლეტს მამის აჩრდილი გამოეცხადა და ამცნო სასახლის საბედისწერო საიდუმლო.

„მშენიერი სამყარო და სულეთი ისევე რეალურია, როგორც გრძნობადი სამყარო, თანაც რეალურის უფრო მაღალი გაგებით“, გვამცნობს რუდოლფ შტაინერი (თეოსოფია) (5, 135)

„სიყრმითგან საიქიოსთან დამკვებებია კავშირი“, წერდა ვაჟა-ფშაველა (სიყრმითგან საიქიოსთან).

გარდაცვლილ წინაპრებთან „კომუნიკაცია“ ვაჟას ლექსებში: „ერთხელ კი ჩვენაც ვყოფილვართ, დავით გურამიშვილის სსოვნას, მოდი, მოხშირდი ჭადარავ, აკაკის საიუბილაოდ, ილიას საღამო, ხმა მესმის“ (6, 22, 144, 166).

ასეთი ხილვებია აკაკის „სიზმარში“, ილიას „აჩრდილში“.

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია რადიოკონტაქტი მკვდრებთან, აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარდაცვლილთა ხმების ჩაწერა, მიცვალებულის გამოცხადება ცოცხალთა გაფრთხილების მიზნით, ხმის გავონება, სუნთქვის შეგრძნება.

ბიბლიაში საულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის აჩრდილის გამოძახება, რომელმაც საულს თავისი ქვეყნისა და ოჯახის მოსალოდნელი უბედურების შესახებ ამცნო.

ცნობილია ბრუტუსთან იულიუს კეისრის გამოცხადება (პლუტარქეს პარალელური ბიოგრაფიები).

გარდაცვალების შემდეგ დანტე გამოეცხადა თავის შვილს, რათა „ღვთაებრივი კომედის“ მე-13 თავის ადგილსამყოფელი მიესწავლებინა.

გალაკტიონი თანამგრძობად გარდაცვლილ წინაპარ კლასიკოსთა ლანდებს მოიზრებდა (კარს გაუღებენ, ნუ დაღონდები). პოეტს ეცხადებოდა აკაკის ლანდი (აკაკის ლანდი), ხსოვნიდან არ შორდებოდა რუსთაველის ბავშვობა, „ოქროს ნავში“ იმყოფებოდა შელისთან, შენიესთან, ედგარ პოსთან, ნოვალისთან. „აჩრდილი თანაზიარი“ — ასე მოიხსენია ედგარ პო.

„ვით გიოტე, ზის იქ სატანა“, წერს ლექსში „მაგიდა ალემბიკებით“.

პოეტს ხელეწიფებოდა „ბნელი ბინდბუნდით მოცულ მხარიდან“, „ქალწულის აჩრდილის“ გამოძახება. მისთვის „მშვენიერი სახის“ მიცემა, „მშვენიერი სულის“ ჩაბერვა, „ზეშთაგონების ტაძარში“ „უკვდავების უსაზღვრო ენით“ ამეტყველება, მაგრამ ქალწულის სიტყვა და პოეტის ლოცვა მთის კალთებზე ჩამოწოლილი ნისლით იფანტებოდა.

სასწაულებრივ ძალას, გმირულ შემართებას ანიჭებდა, საყოველთაო ყურადღების მისაპყრობ „მთის ზღაპრად“ აქცევდა „გზავარედინზე“ მყოფ სასოწარკვეთილ“ პოეტს უბენაესის „თანამგრძობი და კეთილი ჩრდილი“ (არვინ არის).

გალაკტიონის ერთი ლექსის პერსონაჟი შეუბრალებლად ებრძვის მტერს, მზად არის, დაჭრილიც არ დაინდოს და ხმაღს იშიშვლებს „მტარვალის“ მოსაკლავად, მაგრამ ამ დროს ევლინება „ქრისტეს ჩრდილი, „მზის სხივივით ანთებული და ჩრდილივით მოწყენილი“. მისი სახე „სასოება-მწუხარებით, „საყვედურით“ უცქერის მკვლელს, რაც ბოჭავს შეუბრალებელ მებრძოლს, იარაღის გადაავდებს, ბრძოლის ველს ტოვებს, მაგრამ მეგობრები მოღალატედ მონათლავენ (ქრისტე) (7, 83–84).

სხვაგან „უბენაესის“ თანამგრძობი აჩრდილის მოვლინება გზავარედინზე მდგარ პოეტს გმირად აქცევს, სასწაულებრივ ძალას ანიჭებს, საყოველთაო ყურადღების, ინტერესის საგნად ხდის მის მხატვრულ სიტყვას: „მასხოვს, მე გზავარედინზე ვიდექ სასოწარკვეთილი, როცა ვნახე შენი ჩრდილი თანამგრძობი და კეთილი... მე მას შემდეგ გმირად გავხდი, გადავლახე მთა და ბარი... მთა და ბარი მე მისმენდა და მე ვიყავ მთის ზღაპარი“ (არვინ არის).

პოეტი სულის თვალთ ხედავდა „ოქროს ლანდს, წმინდა, მოწყენილ, არაამქვეყნიურ, უცხო, შორეულ ლანდებს“ (ქალის ლანდი), „ლურჯ

აჩრდილს“, „ქარიშხლიან და ბობოქარ ღამეს“ „რაღაც სპეტაკი, უცხო შევენება“ „თეთრი ლანდივით“ ეცხადებოდა.

„დამხსნელი ჯვარი“ სასწაულებრივ ძალას ანიჭებდა, ყოველგვარ დაბრკოლებას ამარცხებინებდა.

„სულიერ სამყაროში ადამიანს ცნობიერება გააჩნია. სიკვდილი არც იმათთვის არსებობს, რომლებიც მაღალ იერარქიებს განეკუთვნებიან“, ირწმუნებოდა რუდოლფ შტაინერი (8, 78).

სიკვდილი, მიღმურ სამყაროში გამგზავრება გალაკტიონის მიერ აღიქმება არა როგორც სამუდამო გაქრობა, უბედურება, მიუსაფრობა, არამედ ხელახალი დაბადება, უკვდავების სამყაროში თავშესაფრის პოვნა, სულის დაბრუნება თავის მარადიულ სავანეში: „...მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა, სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი, ვინა თქვა შენი მიუსაფრობა? არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი. მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს, მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი, შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს — შენ უკვდავების ხარ ბინადარი“ (მიდიხარ) (9, 383–384).

მერაბ კოსტავა ხაზს უსვამდა პოეტის „ჰადესში ჭვრეტის“ უნარს, „სულიერი სიღრმის“ განცდას, რაც არ ახასიათებდათ არც ლაღო ასათიანს, არც გიორგი ლეონიძეს, ამ შემთხვევაში მხოლოდ „მემენტო მორის“ ავტორთან კეთდება პარალელი.

გალაკტიონმა ახლებურად შეხედა სიკვდილის პრობლემას, „მესამე გზას“, რაც სულით სპეტაკთა მარადიულ სახლში დაბრუნებას გულისხმობს (გალაკტიონი) (10, 144).

გალაკტიონის შემოქმედება, ერთი მხრივ, სავსეა შთაგონების დროს მოვლენილი წარსულის, აწმყოს თუ მომავლის ლანდებით. ამჯერად გვანტერესებს კონკრეტულად სიკვდილის ლანდები. პოეტის მიერ „შედამების ქნართ“ მოახლოებული წინაპრების „ცისფერი ლანდები“ (მთაწმინდის მთვარე) (9, 54).

„საბედნიერო სად არის სული?“ — შფოთავდა მიღმურ სამყაროსთან გაშინაურებული პოეტი.

წარსულის სამეფოდან გამოიხმობდა იუდას სახეს, კანის, დიონისეს ლანდს, ტუტმესის, რამზესის აჩრდილებს, გოიას, ბოტიჩელის ლანდს, მამა—პაპათა აჩრდილებს...

სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებაზე ჩაფიქრებულ პოეტს ევლინებო-
და სიკვდილის აჩრდილი (სილაჟუვარდე ანუ ვარდი სილაში, სარეცელთან,
ისევე ეფემერა).

სიკვდილის სიმბოლოა „საზიზღარი მოლანდება“, „შავი ჩრდილი“,
„ჩრდილი სულთამხიუთავი, აჩრდილი ჩონჩხებით“. დალუპვაზე წინასწარ-
მეტყველებს „შავი აჩრდილი“.

„აჩრდილი თანაზიარია“ ედგარ პო.

სიკვდილის მოციქულია ორთა შორის ჩამდგარი, „ვიღაც მესამე, ვიღაც
მახინჯი“, მისი „ყრუ საუბარი“ (ედგარი მესამედ) (8, 62).

სიკვდილის, ნგრევის წინასწარმეტყველია „სახე გამხდარი, გესლიანად
გაცინებული შიშის ლანდი უზარმაზარი“, რომელმაც „კოშკის ძველისძველ
ფოლიანტზე რაღაც დასწერა და შემოხაზა გამოუცნობ ნების რკალებით“. საშინელს
წინასწარმეტყველებს პოეტის ინტუიცია: „...მოჰყვები ქვეშ ამ
უხემ ლოდებს ჩუმ ხეტიალით, მესაუბრება წინაგრძობა დაჟინებული“ და
მართლაც, „დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული“ (კოშკი) (11, 86).

კოშკი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა საღვთისმშობლო სახის-
მეტყველებაში და მას განაჩენი ათეისტურმა ეპოქამ გამოუტანა.

სიკვდილის მეუფებაზე მიქვანიშნებს რევოლუციის, სოციალიზმის სა-
ხელით, რეპრესიებით, თავისუფალი აზრის დევნით ცნობილი ეპოქალური
უბედურება შედეგებში „მთაწმინდის იქით“, „ათასის მხედველობა, ათასის
იერი“, „ყორანი“, „მითხარი ნანა“.

ანტიქრისტეს ნაშეიერები, თვით არარანი, ფერფლად და ნაცრად აქ-
ცევდნენ ყოველივეს: „ძლიერია უცნობ ჩონჩხის ხელობა... თუმც ფერფლია,
ნაცარია, მტვერია, რევოლუციონურს ის იტოვებს უფლებას“ (ათასის
მხედველობა, ათასის იერი).

ეჭვის, დევნის, ნგრევის მანით ატანილ ეპოქაში „ნაცნობი აჩრდილის“
„სისხლიანი ხელების“ შიში ბატონობდა: „ყოველთვის მგონია: ჩემს სახელს
ნაცნობი აჩრდილი თან დასდევს სისხლიან ხელებით, უცნობებს ეძახის ფა-
რული ხველებით და მე კი თვალს მიხვევს ალერსით და ძმობით“ (ყორანი).

ტოტალური ბოროტების მეუფების ჟამს ქვეყანაც „შავი ლანდის“ სახეს
ღებულობდა: „რაღაც შავ ლანდად მეჩვენება ირგვლივ ქვეყანა, მე
დავიღალე, დავუძღურდი, მძაგს, მძაგს ქვეყანა“ (მითხარი ნანა).

გალაკტიონი ხედავდა ასტრალურ სხეულებს, აურას, ულტრაიისფერ სხივებს, მიღმური, იმქვეყნიური ლანდების სილამაზეც აღელვებდა. პლატონისეულ „სხვა მხარეებთან“, „ზმანეთის ქვეყანასთან“ დაკავშირებულ პოეტს ათრთოლებდა „სხვა მხარე, ქცეული ლანდადა“, სხვა მხარეების ლანდები, „რალაც წმინდა, შორი ქვეყანა“, რომელსაც ბიბლიური წინასწარმეტყველი ახსენებს: „შენი თვალები იხილავენ მეფეს თავის მშვენებაში, დაინახავენ შორეულ ქვეყანას“ (ესაია წინასწარმეტყველი, 33, 17) (11, 97).

პოეტების მეფეს ხშირად უგრძნია მფარველი ანგელოზის, სერაფიმების მოვლინება, უზენაესის ხმა და ბევრჯერ გაუცოცხლებია „გარდასულთა ტკბილთა დღეთა მოჩვენება“, სილამაზე, „შარავანდედ შუქის მფენი“ (დღეთა გარდასულთა) (9, 86).

ასტრალური მოგზაურობისას ევლინებოდა „ნაცნობი ზმანების თანამგრძნობი თვალები“ (ნუგეში) (9, 98).

გალაკტიონს, როგორც უზენაესის რჩეულს, ხშირად ეცხადებოდა თვით ქრისტეს „თანამგრძნობი და კეთილი ჩრდილი“, „მომავლის ჩრდილი“, მაცხოვრის თეთრი ლანდი... „დამხსნელი ჯვარი“ გზაჯვარედინზე მყოფს დაბრკოლებათა დაძლევის ძალას ანიჭებდა, გმირული სულით აღანთებდა (მახსოვს, ქრისტე, მეზღვაურს).

სულები, რომლებმაც მიადწიეს განვითარების უმაღლეს საფეხურს, ტოვებენ თავიანთ ამაღლებულ მდგომარეობას, ჩამოდიან მიწაზე და ეცხადებიან ადამიანებს გამხსნევების, სიბრძნის გადაცემის მიზნით (12, 193).

კლინიკური სიკვდილის გადამტანი ადამიანები ამიტკიცებენ, რომ ისინი სულით მოგზაურობდნენ და ოქროსფერი, დამაბრმაველ სინათლის აჩრდილი ხვდებოდნენ, რომელიც ისევ მიწაზე აბრუნებდა დასახული მიზნების დასამთავრებლად (12, 194).

როგორც უზენაესის ხელდასხმულს, გალაკტიონს დაძლეული ჰქონდა სიკვდილის შიში, მას ტიტანურ ძალას ანიჭებდა პოეტური ნიჭი, გეკაცური შემართებით ამარცხებდა არყოფნის საშიშროებას და სიკვდილს ტრადიციული შავი ფერით კი არ წარმოიდგენდა, არამედ, ვარდისფერად და ამის ფაქტორი იყო საკუთარი ხელოვნების მარადიულობის რწმენა (მთაწმინდის მთვარე).

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება „ლურჯი აჩრდილი“, „შავი ლანდები“, „ლანდი არაქვეყნიური“...

ლექსში „ლურჯი ხომალდი“ „ადევნებული მთვარის მაზარით ანძების ტყეში ლანდები ქრიან“.

პოეტების მეფე ხედავდა „ოქროს ლანდს“, სხვათაგან უხილავ ლანდებს, მათ განცდებს „...მასხოვს, მუდამ მასხოვს ლანდი წმინდა, მოწყენილი, ლანდი არაქვეყნიური, ლანდი უცხო, შორეული (ქალის ლანდი).

ლექსში „ღამე ხეობაში“ „ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს“.

ჩონჩხების, ცხედრების მოლანდება, „სასიკვდილო მახვილებია“ ლექსში „რაც იქნეს, იქნეს“.

„მესაფლავე“, „სასაფლაონი“, „მიცვალებულის სსოვნას“, „სასაფლაო-ზე“, „დღე დაიწურვის“... ამტკიცებს, რომ პოეტი უცდომლად ჭვრეტდა ხილული თუ მიღმური სამყაროს საიდუმლოებებს, ლანდების სვლას ახალ, სამუდამო ბინაში და მატერიალური სამყაროს დატოვებას („ხან უფსკრუ-ლები, ხან მწვერვალები“).

გენიოსის მზერა სხვათათვის უხილავს, მიღმურ სამყაროსაც ახლებურად ხედავდა და შარავანდელით მოსავდა ყველაფერს, რასაც არა ჩვეულებრივნი, არამედ „ათასის მხედველობის, „ათასის მზით“ მომადლებულნი ახერხებენ.

„ვილაც მახინჯი“ — სიკვდილი „იდუმალი ქვეყნების“ „ახალ მოსახლეობას“ ქმნის (ახალი მოსახლეობა) (7, 278).

„ედგან პო კონტრასტების ოსტატია... მის პოეზიაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი იდეა — სიკვდილი და სიცოცხლე“ (ლეილა გამსახურდია, ედგარ პოს ლირიკის თავისებურებანი) (13, 8).

ედგარ პოს „ქვეყნობიერის რებერვუარი“ სავესე იყო ლანდებით. არაქვეყნიური აჩრდილებით, სულის მარადიულობის რწმენით. პოეტს ხელეწიფებოდა საყვარელი ადამიანის აჩრდილის გამომხმობა მიღმური სამყაროდან.

ლექსში „ულალუმი“ ედგარ პო თავისი სანუკვარი, გარდაცვლილი სატრფოს სულთან სეირნობს და „მირიად წლებს“ იხსენებს, ოდესღაც აქ გამოვლილს: „აქ... კიბარისებში მე და სანუკვარი იგი სული ჩემი ფსიქეა ვიდოდით... ვედარ გამოვთვალეთ წლები მირიადი... ჩვენ რომ ოდესღაც აქ გამოვთვარეთ. ლეთას განცხრომა, ტრფობის წმინდა კარავი. მერე ფსიქეასთან გზა ულალუმის საფლავისკენ... და ბოლოს ნატვრა: „ვინატრეთ,

რომ არ წაერთმიათ ვამპირებს სიმართლე, ამ უდაბნოეთში ნამარხი სიმართლე — აღარ მოჰკლებოდა ველური ნათელი მთვარის უღიმამო სულეთის ბინადრებს, რომ ეს მომხუსხველი ცოდვილი ნათელი დაღვროდა პლანეტის უხორცო ბინადრებს“ (18, 206-209).

ედგარ პო იყო მიღმიეთის ბინდის საიდუმლოებების შემცნობი, ხილულის და უხილავის განზომილებებში მოარული შემოქმედი. მას აინტერესებდა „სულეთის ბინადრები“, „პლანეტის უხორცო ბინადრები“.

ამერიკელმა პოეტმა აჩრდილების ველზე იარა, უხორცოთა პლანეტას გაუშინაურდა, შეუცნობი ხაზები გაავლო, მარადიული მშვენიერება გააუკვდავა, ზეციური ღირა ააჟღერა და გრძნეული ხმები გამოაცემინა.

ლექსში „ზარები“ ინტერესის საგანია „მიღმიეთის ბინდი ღრმა“ (13, 77-81).

ედგარ პო ფანტომებზე წერს „ამერების ძველ სახლში“, სიკვდილის, აჩრდილების მეუფება „მალტრემ ში“, „ბოთლში ნაპოვნ ხელნაწერში“.

მკვდართა აღდგომას შეეხება „ლიგვა“.

„წითელი სიკვდილის ნილაბში“ სიკვდილი ცხადდება, როგორც ნიღბიანი აჩრდილი.

პოეტი ხედავდა სულს, მისთვის ბუნებრივი იყო სულის გაპერსონაჟება, ფსიქეასთან საუბარი, ანგელოზის მოვლინება.

„გაფრინდა სული სამარადისოდ, სული მიჰყვება სტიქსის ნაპირებს“ წერს ლექსში „ლინორ“ (13, 43).

ჩაესმოდა როგორც სიცოცხლის, ისე სიკვდილის ზარები, მუდმივი „კომუნიკაცია“ ჰქონდა მიღმურ სამყაროსთან, საყვარელ არსებასთან გარდაცვალების შემდეგაც: „...ვერც დემონები, ვერც ანგელოზები დააშორებს ჩემს სულს დატანჯულ მშვენიერ ანაბელ ლის“.

მათი მთავარი მიზანი გამოთქმულია შემდეგ სტრიქონებში: „... ჩვენ განვიბანოთ სპეტაკი ალით და შევიმოსოთ უწმინდეს ალით. სიბილას ცეცხლით ჩაგვეკოცნება ხარბი თვალები, იმედით მთვრალი“.

ალი, ცეცხლი საღვთო სახელია. ცეცხლშემოსილობა ღმერთშემოსილობას მოასწავებს, არც სულის განბანა და სიბილას ცეცხლია შემთხვევით ნახსენები.

ედგარ პო თვითონ იყო ბრძენი მაგი, მოვლენების წინასწარმჭვრეტი.

„მიღმიეთის ღრმა ბინდში“ თავისუფლად შეღწევის მაგალითია „ზარები“ (13, 77–81).

პოეტს ხილულ სამყაროზე არანაკლებ აინტერესებდა „სულეთის ბინადრები, პლანეტის უხორცო ბინადრები“, ანგელოზების, ქერუბიმების, სერაფიმების გამოცხადება, აჩრდილთა სამყაროს საიდუმლოება, რაც ამქვეყნიურ ქაოსში გზების სწორად გაგნების იმპულსი იყო.

„მესხიერების აჩრდილებზე“, „აყალყებულ ლანდებზე“ საუბარი მოთხრობაში „მოთხრებლი და ქანქარა“ (14, 103–105).

მორალური პრობლემა დასმული მოთხრობაში „შავი კატა“.

აჩრდილების მოვლინება, გარდაცვლილთა ხმის გაგონება იქცევა ყურადღებას ედგარ პოს „ელეონორაში“, „მორელაში“, „ლიგიაში“ ორგანული კავშირია პერსონაჟის უბედურებასა და მხეცობას შორის. ვინც ბოროტებას შეეფიცება, მკვლელობას ჩაიდენს, სამუდამოდ დაკარგავს სიმშვიდეს, „უშავესი და ავზე ავი ფიქრებით“, „საშინელი მოჩვენების“ მოვლინებით დაიტანჯება (14, 121–124).

ანალოგიურ ჭრილში შეიძლება მოვიაზროთ „წინააღმდეგობრიობის ჭინკა“. დემონური სულის მკვლელს თავისი მსხვერპლის აჩრდილი ეცხადება და სიკვდილისკენ უხმობს (14, 155)

სხვის სისხლში გასვრილს საიქიოდან ევლინება, არ ასვენებს თავისი უდანაშაულო მსხვერპლის აჩრდილი (ნაპარავი წერილი) (14, 134–153).

სულით წმინდა ადამიანებს, სიკეთის მსახურთ ანგელოზები, სერაფიმები ევლინებიან და სრულფასოვნების შეგნებას უნერგავენ. ლექსში „ულალუმი“ ლირიკული პერსონაჟი „ფსიქეასთან“, თავისი გაორებული სულის მეორე ნახევართან ერთად მოგზაურობს.

ლექსში „ჰიმნი გარმოდის და არისტოგეტონს“ ასე ესიტყვება პოეტი „ლანდების ბაღში“ დავანებულთა დიად სულებს: „დიდო აჩრდილნო! ხართ უკვდავი იქ, სადაც არის ბაღი ლანდების უყვავილესი, თქვენს ელიზიუმს ასხვაფერებს სინათლე მთვარის და დიომედთან სვამს აქილევსი. თქვენი სახელი ძვირფასია და თქვენი ბედი გაზღაპრებული მარადი ოდით“ (ჰიმნი გარმოდის და არისტოგეტონს, (თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის (15, 398).

მიცვალებულის აჩრდილთან სულიერი სიახლოვის განცდაა სხვაგანაც („ანაბელ ლი“, „მორელა“) (13, 398–399, 81–86).

„ლიგეაში“ ავადმყოფი ქალი გამძვინვარებული შესჭიდებია თავს წამომდგარ სიკვდილის აჩრდილს. მის ლექსშიც აჩრდილთა დასები, „შაფფერი ქარი“, „შავად მოშრიალე ფარდებია“, მაგრამ ანგელოზიც ცხადდება, ისმის ქერუბიმის ზარი (14, 90–102).

ედგარ პოს შემოქმედება სავსეა როგორც გარდაცვილითა აჩრდილებით, ისე მწერლის მიერ გაუკვდავებულ პერსონაჟთა ხილვებით, ზმანებებით, ხმებით, სულთა გამოცხადებით.

ერთგან მიქელ-გაბრიელის მოვლინებაც ხდება საცნაური ხელში დიდი ქანქარით (მთხრებლი და ქანქარა) (14, 103–118).

ედგარ პოს პერსონაჟს ესმის სფეროთა მუსიკა, როგორც გალაკტიონს „მუსიკა უეცარი“.

მხატვრული სიტყვის ამ ტიტანებს გამოარჩევდათ უხილავის ხილვის განსაკუთრებული უნარი, ნათელხილვის, ნათელსმენის ფენომენით მომადლებულებმა სამყაროს, ადამიანის, სულის მრავალ საიდუმლოს ახადეს ფარდა.

დამოწმებანი

1. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990
2. უოტ უიტმენი, „ბალახის ფოთლები“, თბ., 1966
3. ელენე რერიხი, „Мозаика Агии иоги“, Тбилиси, 1990
4. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კ. (ზ) გამსახურდიასი „პითავორა“, თბ., 1994
5. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფეროში, თარგმნეს ზ. გამსახურდიამ და მ. კოსტავამ, 1970 წ., რედაქტირებულია 1995 წ.
6. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. 3, პოეზია, „პალიტრაL“, თბ., 2011
7. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1993 წ.
8. რუდოლფ შტაინერი, ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში, თბ., 1994
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1982
10. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990

11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
12. რაიმონდ მოუდი, ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, თარგმნა ციალა მალრაძემ, „ივერია“, თბ., 1991
13. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ., 2011
14. ედგარ პო, 17 მოთხრობა, თარგმნა ზაურ კილაძემ, თბ., 1990
15. ვალერიან გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივიდან, „მერანი“, თბ., 1990

სიკვდილი ფერებში

სიკვდილ-სიცოცხლის, სიკვდილისა და ხელოვნების პრობლემები უპირველესია ყოველი დიდი შემოქმედისთვის.

ცნობილია, რომ სიმბოლისტები სიკვდილს უცქეროდნენ, როგორც ტანჯვისაგან განთავისუფლებას და ამიტომ იქცეოდა იგი ესთეტიკურ ფენომენად, ამიტომ წარმოიდგენდნენ სიკვდილს ფერებში. არტურ რემ-ბოსთან სიკვდილი ლურჯია, სტეფან მალარმესთან — მზისფერი ან წითელი, ალექსანდრ ბლოკთან — ცისფერი, ვალერი ბრიუსოვთან — თეთრი, გალაკტიონ ტაბიძესთან ვარდისფერი, ტერენტი გრანელთან — ცისფერი.

გალაკტიონის „მააწმინდის მთვარეში“ სიკვდილის ვარდისფერობა აიხსნება არსებობის პოზიტიური შინაარსით — ხელოვნებით.

ხელოვნებით სიკვდილის დამარცხების რწმენა საერთოდ გასდევს გალაკტიონის პოეზიას (შერიგება, ფოთლების ლანდი).

პოეტების მეფისთვის ნიშანდობლივი იყო საკვდილისა და ხელოვნების დაპირისპირება. მისი მეორე კრებულის სახელწოდებაა „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“. თავის ქალა სიკვდილის სიმბოლოა, არტისტული ყვავილები — ხელოვნების. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა, ხელოვნებამ. პოეტი სვამს კითხვას და თვითვე პასუხობს: „რა არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახური. ამ საკითხზე სწერდნენ ჩვენი კლასიკოსები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ასე მკვეთრად დაპირისპირებული სიკვდილი სიცოცხლესთან, სიკვდილი ხელოვნებასთან, სიკვდილი რევოლუციასთან“.

გალაკტიონი „მთაწმინდის მთვარეს“ საპროგრამოდ მიიჩნევდა, ერთ— ერთ გასაღებად თავისი შემოქმედებისა“ (საკუთარი ლექსების შესახებ) (1,151).

პოეტი გედები — მაღარმე, ბოდლერი, ტერენტი გრანელი, აკაკი წერეთელი სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ სიკვდილ—სიცოცხლის, სიკვდილის და ხელოვნების პრობლემას.

თავისი წინამორბედებიდან გალაკტიონი ყველაზე ახლოს აკაკი წერეთელთან არის. მის „ქებათა ქებაში“ გედი—პოეტი „საშვილიშვილო გალობას“ მღერის (2, 206—209).

„მოხუცის აღსარებაშიც“ სიმღერის იდეა მსჭვალავს აკაკი წერეთლის სულს: „...და ჩემთვის გაუგებარსა სოფელს ვათავებ მღერითა“ (3, 197—199).

ტერენტი გრანელისთვის სხეულის სიკვდილი, ფიზიკური წასვლა ამქვეყნიდან ტრაგედიის წყარო არ არის, რადგან სული უკვდავია, შემოქმედებაა მარადიულობის გარანტი, ამიტომაც სიკვდილი შავი კი არა, ცისფერია, ზეცის სავანესთან მიმაახლებელი: „...ეს იყო წამი, წამი, როდესაც ელოდნენ ცისფერ სიკვდილის წამებს“.

სიკვდილის ფერებში წარმოდგენის თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა ედგარ პოს „წითელი სიკვდილის ნილაბი“.

მოთხრობაში საუბარია ჟამიანობაზე, წითელ ლაქების დამტოვებელ ავადმყოფობაზე, რომელიც მიჩნეულია, როგორც „ჟამის სამხილი“.

უფლისწული პროსპერო გაურბის გატიალებულ სამფლობელოს. ის იხმობს კარის მანდილოსნებს, ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს და გამოიკეტება ერთ შეუვალ მონასტერში, რომელსაც აქვს გალავანი და რკინის კარი. ყველა შესასვლელი დაგმანეს, კარებს საკეტები დაადეს. ასე ცდილობდნენ ჟამიანობის შიშის განდევნას. გარექვეყნიერების დარდი არ ჰქონდათ. იყო ვართობა, ცეკვა, მუსიკა, ღვინო, თითქოს გაექცნენ საშიშროებას, წითელი სიკვდილი გარეთ იყო. ბოლო არ უჩანდა მასკარადებს, სერობას, მეჯლისებს.

შვიდი სამეფო დარბაზი ეკავათ: I — ცისფერი, II — მეწამული, III — ბალახისფერი, IV — ნარინჯისფერი, V — თეთრი, VI — იისფერი, VII — შავი. სარკმელებს მეწამული, სისხლისფერი შუშები ჰქონდა, შავი ფარდებით. შავი იყო საათიც, რომლის რეკვაზე კანკალი ეწყებოდა ხალხს.

უფლისწული არად აგდებდა კეთილზნეობას, „ბარბაროსული ელვარება მიეღო მის ჩანაფიქრს“. ბიწიერება, ველური მუსიკა სუფევდა ირგვლივ. წითელ დარბაზში არავინ შედიოდა. სისხლისფერ შუშებში მეწამული შუქი ბრწყინავდა. თავზარდამცემი იყო მელნისფერი ფარდები. გაჩაღებული იყო ლხინი, მუსიკა, ცეკვა.

უცბად შემზარავი, სუდარაში გახვეული უცხო ნიღბოსანი გამოჩნდა სისხლით მორწყული სამოსლით. მისი ფართო შუბლი მეწამული ფერის შემზარავ შხეფებს დაელტო.

უფლისწული შიშით და ზიზღით აკანკალდა, მერე განრისხებულმა უბრძანა უცნობისთვის ნიღბის მოხსნა და ქონგურებზე მისი დაკიდება. ეს იყო ცისფერ პალატაში. ყველა გაფითრდა. უცნობმა გზა განაგრძო მეწამული პალატისკენ, მერე ბალახისფერი, იისფერი, თეთრი, შავი პალატებისკენ და ვერავინ გაბედა მისი შეჩერება. მახვილით გაეკიდა უფლისწული, მაგრამ მახვილი გაუვარდა და უსულოდ დაეცა.

ბრბო მისდევდა მომხდურს, რომელიც უძრავად იდგა შავი ხის საათის შავ პალატაში. სუდარა და ნიღაბი მოგლიჯეს ნეშტისასხა უცნობს, მაგრამ ვერ ნახეს ვინმე ხორციელი. მერე მიხვდნენ, წითელი სიკვდილი რომ იყო შემოპარული ქურდივით. ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ მოსეირნენი, სისხლის ღვარი იდგა სამხიარულო პალატებში. ყველას სული დაელია. შავი ხის საათიც გაეყარა სიცოცხლეს, დაიშრიტა სინათლე, ყველგან გამეფდა სიბნელე, ხრწნილება დ წითელი სიკვდილი (4, 95-100).

დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1973
2. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. I, თბ., 2012
3. აკაკი წერეთელი, ხუთტომეული, ტ. II, თბ., 2012
4. ედგარ პო, 17 მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვა და შენიშვნები დაურთო ზაურ კილაძემ, თბ., 1982

ზარები

ედგარ პოს „ზარები“ გამოქვეყნდა ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1948 წელს. ლექსში „ადამიანის ცხოვრების ოთხი ეტაპი (დაბადება, სიყვარული, მძიმე დარტყმა და სიკვდილი) აღნიშნულია, როგორც სემანტიკური, ისე განსაკუთრებული ხმოვანი კოდით — განსხვავებული ტონით, ომის ზართა ხმოვანებით. ზოგადად ადამიანური ბედისწერის „ანატომია“ ედგარ პოს მიერ კოდირებულია განსაცვიფრებელი ევფონიური ელემენტურობითა და შემაშინებელი სიზუსტით“ (თარგმანი და კომენტარები ვ. ჯანდიერის) (გვ. 79–82, 112).

დაბადების მაუწყებელია „ვერცხლის ზარი, აღტაცების ჰანგის, მოწკრილ ბროლის ჰანგის“ შემცველი.

ოქროს ზარი სიყვარულს, ქორწინების სიხარულს, ნათლით მოსილ მომავალს“ გვამცნობს, ის „სხივნათელი იმედის“ გამომხატველია.

ბრინჯაოს ზარი „საგანგაშო ხმას“, შიშს გამოსცემს, ის არის შემზარავი, სისხლთან, ცეცხლთან, მოთქმასთან, ბნელთან, განწირულებასთან დაკავშირებული, „მიღმიეთის ბინდის“ მოახლოების მაცნე, სულის ზარი შემზარავი.

„თუჯის ზარი“ „საზარელი ლანდის“, ბნელის მეუფების მაუწყებელი „ბედისწერის ზარია“, კაცთა სულებს რომ აძრწუნებს „გამოუცნობი ჰანგით“, „სიბნელის, კვნესის, ბორგვის, ავი როკვის უყუჩებელ ზართა ხმა“ (77, 81).

არსებობს ასევე ამ ლექსის სხვა თარგმანიც, შესრულებული ინოლა გურგულიას მიერ, „რომელშიც ვერცხლის ზარები „მოკისკისე ხალისით... არემარეს აზანზარებს“ და „დიდებულ მუსიკად“ იღვრება.

საქორწილო ოქროს ზარი ბედნიერების მოლაღადე-მოუბარია, ოქროს ბგერების გადმომღვრელი, მთვარით რომ ათრობს ქალს.

თუჯის ზარი გლოვის, კვდომის, ცრემლის მაუწყებელია.

გალაკტიონი იყო ნათელმხილველი, პოეტი წინასწარმეტყველი, მომავლის განჭვრეტის უნარით მომადლებული.

ნათელმსმენი პოეტის არსებამდე აღწევდა დიოსკურიის „წყალქვეშა ზარი“ (ქალაქი წყალქვეშ).

ქართველი კლასიკოსები თავიანთი ხმით „გაღვიძების ზარებს“ რეკავენ ლექსში „საუბარი ლირიკის შესახებ“.

გალაკტიონს მშობლიური შემოგარენის დუმილი აძრწუნებდა, თავად კი ეროვნული სატკივრის ზარებს რეკავდა: „ელვარე ბურში ზარებს აიტან, დრო მიდის შურში, ხმა არსაიდან“ (მდუმარე სმენით).

პოეტს ესმოდა გარდაცვლილთა ხმა, წინაპართა ხმა, აფორიაქებდა „გამწარებული ხმა შუალამის“, „სალამოს ზარი“, „ორი ზარი“, სიკვდილ—სიცოცხლის ზარი, ზარის ბგერა, „ზექვეყნიური უკვდავი „ხმები“, „უკვდავების ყრუ ძახილი“, რომელიც მოუწოდებდა „დროთ საზღვარს იქით“ გაღწევისკენ, ანუ ადამიანური შესაძლებლობების გაფართოებისკენ.

წინასწარმეტყველური ინტუიციით მომადლებლები

დიდი შემოქმედების უპირველესი კრიტერიუმებია რელიგიურობა, ობიექტურობა, სიმართლის მსახურება, დინების წინააღმდეგ სვლა, უცდომელი განჭვრეტა წარსულის, აწმყოს მოვლენების და მომავლის წინასწარმეტყველური ხილვა.

ნიჭის, სიბრძნის, წინასწარჭვრეტის უნარის მომადლებელია სული—წმინდა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12, 4–11)(1,941).

არსებობს აზრი, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები გარშემორტყმულია საინფორმაციო ველით, რომელშიც კოდივით ჩადებულია სრული ცნობარი სამყაროს და ცოცხალ არსებათა შესახებ. ვარაუდობენ, რომ ეს ველი შეიძლება წარმოადგენდეს დედამიწის პროგრამასაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, უმაღლესი კოსმიური გონების მატარებელია, მას ხელეწიფება პლანეტის საინფორმაციო ველზე გასვლა და ჩვეულებრივი თვალისა და სმენისთვის უხილავ—მოუსმენელთან ზიარება.

ზეგანვითარებულ ადამიანებს ხშირად ეხსნებათ კოსმიური კავშირის არხი, ენერგეტიკული ველი და ერთდროულად ამყარებენ კონტაქტს მიწიერ და ზენარულ სფეროებთან, დედამიწის იონოსფეროსთან.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ხელოვნება.

საინფორმაციო ველში შეღწევას აღმოსავლურ სამყაროში „აკაშა ქრონიკას“ კითხვა ეწოდება.

სამყაროს რაციონალურ და ინტუიციურ შემეცნებაზე ამახვილებენ ყურადღებას შტაინერი, იუნგი, ფროიდი, ლომბროზო, სტეფან ცვაიგი, ღვთისმეტყველები.

„მომავალში ჩახედვა შეიძლება. მხოლოდ დიად ხელდასხმულს შეუძლია მომავლის ცოდნასთან შეგუება. იგი მომავლის ინტერესებიდან მოქმედებს“ (რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან) (2,125).

„ადამიანი თავიდან ნათელხილვის საფეხურს“ გადის და მხოლოდ შემდგომ ადის სულიერი სმენის საფეხურამდე“.

„დასავლეთის ეზოტერული — ქრისტიანული ტრადიცია თვალშუუდგამი სიმაღლიდან ჭვრეტს შორეულ მომავალს და ამზადებს მას, ხოლო მომავალი გამომდინარეობს წარსულიდან და ასრულებს მას“ (რუდოლფ შტაინერი) (3,22).

სიბრძნე ღმერთია: „წყარო სიბრძნისა — უფალი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 3, 12) (1,618).

წმინდა წერილში გარჩეულია „კაცური, ამქვეყნიური, წარმავალი სიბრძნე“ და „ღვთის სიბრძნე, საიდუმლო და დაფარული“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,4,5,6,7) (1, 935).

ღმერთი — „სიბრძნე“ მხოლოდ „უბიწო სულებს“ განამზადებს ღვთის მოყვარეებად და წინასწარმეტყველებად“ (სიბრძნე სოლომონისა, 4, 27) (1, 494).

„წინასწარმეტყველება არასოდეს კაცთა ნებით არ წარმოთქმულა, არამედ სულის წმიდის შთავგონებით წარმოთქვამდნენ მას ღმერთის წმინდა კაცნი“, გვაუწყებს წმინდა მამა (კათოლიკე ეპისტოლენი, II პეტრესი, თ. I, 16)(1,916).

პავლე მოციქული გმობდა „წუთისოფლის სიბრძნეს“ და შეგვაგონებდა, შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული“ (I კორინთელთა, 2,4,5,6,7)(1,935).

წმინდა მამა ყოველგვარ ნიჭთა მომმადლებლად აცხადებდა ქრისტიანული სამების მესამე წევრს — სულიწმინდას (I კორინთელთა, 12,8-11)(1,941).

ასევე, პავლე მოციქულის ეპისტოლეში გარჩეულია „ხორცის „საქმეები“, რომელსაც გმობს და „სულის საქმეები“, რომელსაც უნდა ითავისებდეს ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი (გალატელთა მიმართ, 5, 16-26)(1,956).

გალაკტიონი „ცრუ სიბრძნეს“ უპირისპირებდა „უკვდავ აზრის ბჭეს“ (უმშვენიერეს კიბებე) (4, 471).

მერაბ კოსტავა მიმართავდა პოეტების მეფეს: „მზეთა ორგია გბანგავდა ძველი, მთვარის მაგიას არც შენ მიჰრიდე, ახალუხლებსაც დაასხი ხელი, სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაეწინდე“. „სიბრძნის ის ერთი დარგი“ საღვთო, უზენაესი სიბრძნეა.

ამავე ლექსში ეროვნული გმირი, პოეტი და შემოქმედი ხაზს უსვამდა გალაკტიონის ინტუიციას, მოსალოდნელი მოვლენების წინასწარმეტყველური განჭვრეტის უნარს, რაც საღვთო მადლია: „...ინტუიციით, განწონით მიზნის, წინათგამჭვრეტი და წინათმგრძნობი, პოეტის გული გულია მისნის“ (გალაკტიონი) (5).

იოჰან ვოლფგან გოეთე, როგორც უფლის ხელდასხმული და ნათელმხილველი, გვამცნობს: „ფრთამალი ფიქრიც — ჩემი ლალი, შორსმჭვრეტი აზრი, როგორც მომავალს, ის წარსულს ნათლად ხედავდა“ (შუალამისას) (5, 41).

ნათელხილვისა და ნათელსმენის უნარით მომადლებულები გადიან საინფორმაციო ველზე და მომავლის განჭვრეტას აღწევენ როგორც უჩვეულო ხილვების, ისე სმენის საშუალებით.

გაოცებას იწვევს გალაკტიონის ხილვები, ხმები, რომელიც მხოლოდ ბებუნებრივი ძალებისგან ხელდასხმულებთან ვლინდება.

გალაკტიონის სიბრძნეზე, შორსმჭვრეტელობაზე ყურადღებას ამახვილებს ნოდარ ტაბიძე: „პოეტს ჰქონდა მომავლის მაწყებელი ხილვები, შეშლილი თვალები“ (6,23).

პოეტი იყო „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“, „უფსკრულში შთამჭვრეტი მზერით“, წინასწარმგრძნობი მოვლენების. ის საუბრობდა „წინაგრძნობათა დენზე“, „წინაგრძნობის ხშირ-ხშირ ფეთქვაზე“, „ბუმბერაზ წინაგრძნობაზე“, „მომავლის განჭვრეტაზე“.

ინტელექტუალურ და გრძნობისეულ ინტუიციას, წვდომას, მიხვედრას, უცარ ხილვას, „განათების წამს“, „ხილვის ტაროსს“ უწოდებდა გალაკტიონი.

პოეტი ერთდროულად ემყარებოდა „ძალას გულისა და გონების“ (მოდის). მისი ყოველისმხილველი თვალი მომავლის მოვლენებს ჭკვრეტდა: „აენტო თვალი, წინ ასე მკრთალი და მომავალი ააციმციმა“ (მშვიდობის წიგნი) (7,288).

გალაკტიონს ესმოდა ქაოსიდან სამყაროს შექმნის ხმა, ხედავდა პირველ სახეებს: „მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს და სახე მელოდიების“ (ვაგნერი).

ასხოვდა რუსთაველის ბავშვობა: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი, ოცნებობდა ოქროს ნავში, ნიქტეროდა და თან თრთოდა, ვით ფოთოლი თრთის ნიავში“ (მთვარის ნაამბობიდან) ან: „მე შოთას ვიცნობ ძალიან კარგად, როგორც თეთრს შავში“.

ქართველი პოეტი „ოქროსფერ ნავში“ იმყოფებოდა ედგარ პოსა და ნოვალისის გვერდით (ის ადგილები).

„საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა, ათას საუკუნის მთელი ტრაგედია მოსდევს მოგონებას, როგორც ანათება“, აცხადებდა პოეტი.

ნეტარი ავგუსტინემ გააგონა „უფლის ხმა“ (აღსარება) (8,240).

გალაკტიონს ესმოდა „სიჩუმის ენა, ციური გალობა, ქერუბიმების კვდომა“.

გამოარჩევდა ასი ათასის მხედველობა, ათასის მზე, სმენა ასი ათასის“, ესმოდა ოცნების შრიალი, ფიქრთა სამოსის შრიალი, წამწამთ კანკალი, გარდაცვლილთა ხმა, სისხლიანი აჩრდილის „ფარული ხველება“, „კოსმიური მუსიკა“.

„მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეული“ მის პოეზიაში „ერთ მთლიან ჰიმნად“, „ერთ მთლიან ქნარად“ იქცეოდა. გამაოგნებელი იყო მისი „სმენამჭვერი ხმა“.

„ვისმენ მიდამოს თავგადასავალს, სიჩუმეში მყოფს, სიჩუმით ნათქვამს, აცხადებდა ნათელმსმენი პოეტი (ქარიშხლის შემდეგ) (9,93).

„ქვეყნიერთა ვნებათა ძახილი“ კი არ იყო მისთვის ფასეული, არამედ „უზენაესის უტეხი ხმები“, რაც ლექსის განახლების საწინდრად იქცეოდა.

მეგობრებივით „ხვდებოდა“ თავის სულიერ ორეულებს: მოცარტს, ბეთხოვენს, პაგანინს.

„გალაკტიონი იყო „განუმეორებელი ორფეოსი ქართული სიტყვის მუსიკისა“ (კონსტანტინე გამსახურდია).

„გალაკტიონი მარადიული ქართული სულია, XX საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული“ — ასეთად ესახებოდა ნოდარ დუმბაძეს „ლურჯა ცხენების“ ავტორის სულიერი ფაზიონომია.

„გალაკტიონ ტაბიძემ უმდიდრეს ცხრაკლიტულებს მოარგო გასაღები და პოეტური აზროვნების უმაღლეს ნეტარებას გვაზიარა.

„ბევრი საიდუმლო ამოგვისხნა.

„კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა.

„მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან“ — ასე აცნობიერებს გალაკტიონის სიდიადეს მისდამი მიძღვნილი შესანიშნავი ბიოგრაფიული რომანის — „უცნობის“ ავტორი ვახტანგ ჯავახიძე (10,623).

გალაკტიონის იყო „მომავლის ღრმა სიბრძნით თვალანახელი“, „ოცნებათა შემოწმების“ უნარით გამორჩეული (უმშვენიერეს კიბეზე, მთვარის ნაამბობიდან). მას ხელეწიფებოდა მომავლიდან საკუთარი გენიის გამოძახება, სულის ხილვა.

სიმბოლურ — მეტაფორული, იგავური აზროვნების დიდოსტატი „მკვდარი მზის“ ამოსვლაზე აქცენტით მიანიშნებდა ურწმუნობაზე, რადგან მზე საღვთო სახელია.

მიუხედავად გულისგარეთ შექებული რევოლუციისა და ეპოქის მოჩვენებითი მეხობებობისა, პოეტმა ბოლომდე ამხილა რევოლუციის სავალალო შედეგები, სოციალიზმის უღდეურობა (რევოლუციონერის ხსოვნას, ორად გაიპო წითელი კლდე, სად იყო სმენა და გაგონება, ზამთრის დღეები).

მისი შემოქმედება იყო „სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუცია“.

პოეტმა განჭვრიტა მეორე მსოფლიო ომის საშიშროება (ჩამავალი მზის ფერადი კიდე), საბჭოთა კავშირის გამარჯვება ომში.

დიდ ინტუციამე მიანიშნებს ლექსები „მიწას კვლავ ეფინება“, „მე ვავკასიის ქედები მთხოვენ“.

წინასწარმეტყველებდა რწმენის იგნორირებას, რეპრესიებს, მსოფლიო ავდარს, მსოფლიო ნგრევებს (კოშკი, ავდრის მოლოდინი, კოსმიური ორკესტრი).

წინასწარმეტყველურ ფენომენზე აქცენტირებაა „წარწერა ხოვლეს ორნამენტზე“, „მახაჯირი“.

პოეტს იტაცებდა ყველაფერი უსაზღვრო, მასშტაბური, კოსმიური, კოსმიური ორკესტრი, კოსმიური სიცივე, მსოფლიოს გამოუცნობი წყლულები.

გალაკტიონმა იწინასწარმეტყველა ჩრდილოელი მეზობლის მუხანათობა და ტერიტორიის ნაწილის დაკარგვა (მშვიდობის წიგნი) ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნება, სამშობლოს გადარჩენა, თავისი შემოქმედების მარადიულობა, მეცნიერების ახალი დარგის — გალაკტიონოლოგიის დაფუძნება. პოეტმა განჭვრიტა „საიმსოფლიო და საამსოფლო“ გზები.

ედგარ პო გამორჩეულია ამ თვალსაზრისით. ის ყურადღებას ამახვილებს „ნათელმხილველურ საათებზე“, „უშორეს კუნჭულებში“ მჭვრეტელ თვალეზზე: „...თვალეზი, მსგავსად შემუსრული სარკისა, თავისი ტანჯვა — ვაების საგანს ამრავლებს და იქნებ, უთვალავ, უშორეს კუნჭულებში ხედავს კარს მომდგარ უბედურებას“ (პაემანი) (11,63).

ამერიკელი მწერალი იყო დიდი და ბრძენი მაგი, მას იზიდავდა ანტიკური ეპოქის წინასწარმეტყველის „სიბილას გზება“, უდაბნოეთში ნამარხი სიმართლე (ულალუმ).

მისი ნაწერების მთარგმნელი კ. ბალმონტი აღნიშნავს, რომ ედგარ პო მიანიშნებდა კავშირზე ადამიანის სულსა და უსულო საგნებს შორის, მწერალმა წინასწარმეტყველურად იგრძნო ჩვენი დღეები, იწინასწარმეტყველა ხომალდის ცხოვრება, როგორც გასულიერებული არსების, დაიჭირა დიდი სიმბოლურობა ზღვის მოვლენის“ (11,121).

„ეშერთა სახლის დაცემა“ მოასწავებს პიროვნებას სულიერ დაცემას მომავალი დროისთვის (11,12).

ედგარ პოს ერთ-ერთი გმირი, კაპიტანი ფანტასტიკური ხომალდისა, სამხრეთ პოლუსზე დინების მხარეს მავალი, აღმოჩენის, ცნობიერების გახსნის წყურვილით, იჩქაროდა სიკვდილისკენ, „თუმცა, მცირე ნაოჭი ჰქონდა, მის სახეზე იყო მირიადი წლების მაუწყებელი წუხილი“ (კ. ბალმონტი) (11,13).

„მისი მეფური ცნობიერება შიშით უყურებდა ველური ქაოსის გარდუვალობას“ (კ. ბალმონტი) (11,14).

„ყორანშიც“ გალაადის მთა ეზმანებოდა, „ოქროს საწმისის“ მაძიებლად რჩებოდა.

„საწმისი, გრაალი არის სიმბოლო კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, ღვთისმშობლის“ (ზ. გამსახურდია) (12,223).

საოცარი წინაგრძნობით გამოირჩევა ედგარ პოს მოთხრობა „წითელი სიკვდილის ნილაბი“ (14,951-100).

სიბრძნის სასუფეველებისადმი, სულისადმი, სულიერებისადმი, ადამიანის სულის უცნაური და გამოუცნობი მოვლენებისადმი ყურადღება შეინიშნება ედგარ პოს მთელ შემოქმედებაში.

მწერალმა შეძლო წინასწარ ეგრძნო ფსიქიკის სფეროების ზოგიერთი მიღწევა, რაც ეკუთვნის მეოცე საუკუნეს (ოქროს ხოჭო) (11,7).

„ლიგეაში“ ნათქვამია: „...მივიკვლევდი გზას მეტაფიზიკური გამოკვლევების ქაოსურ სამყაროში... შეუჭირვებლად, თანდათან გადამეშლებოდა ნათელი თვალსაწიერი და წინმიმავალი, შორი, მზიანი, მთლად გაუკვალავი ბილიკი, სიბრძნის კარიბჭეებით ესოდენ ფასდაუდებ, ღვთაებრივ ნაკრძალთან რომ მიმიყვანდა“ (11,92).

„სფინქსში“ ყურადღება მახვილდება წინაგრძნობაზე, რომელიც ხშირად უცდომელია: „...ადამიანის უნებური რაიმე წინაგრძნობა თავისთავად შეიცავს-მეთქი უცდომელი ჭეშმარიტების ყურადსაღებ კვალს“ (11,39).

ყოვლისმხილველი თვალის წყალობით, „შეუცნობელი შეცნობილი გახდა, ბრწყინვალე აწმყოს შეერია განჭვრეტილი მომავალი“ (ეიროსისა და ქარმიონის გასაუბრება) (11,55-60).

ედგარ პო იყო დიდი და ბრძენი მაგი, შორსმჭვრეტელი.

ასტრალურ სამყაროში ოქტომბერი იმედის თვეა. „ღამეთა ღამე“ წინ უძღვის 31 ოქტომბერს. შუასაუკუნეობრივი გადმოცემის თანახმად, ამ დროს გარდაცვლილთა სულები იძენენ ძალას და გავლენას ცოცხალ ადამიანებზე, „ღამეთა ღამეს“ ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

ედგარ პო ოქტომბრის ბოლოს, „ღამეთა ღამის“ დადგომამდე სამი დღით ადრე გარდაიცვალა.

„ულალუმზე“ მუშაობის დროს პომ ასტრონომიულად გამოთვალა საკუთარი სიკვდილის დრო და რიცხვი (10,11).

„მუმისთან საუბარი“ არის სატირა ამერიკის ინტელექტუალობაზე, მის დემოკრატიაზე, რომელშიც მწერალმა იწინასწარმეტყველა ამერიკული დემოკრატის დემაგოგიად ქცევა.

მისთვის დამახასიათებელი იყო შეფარვით გამჟღავნება სიმართლის. პოსთვის უმაღლესი რეალობა იყო ხელოვნება, ხოლო ამერიკა იყო „კოლოსალური, გაუნელელებელი აუტოდაფე“ (იქვე).

ედგარ პოს აინტერესებდა „შეუცნობი ხაზები“, გალაკტიონს — „შეუცნობთა დაქანდაკება“.

გალაკტიონს ესმოდა „ციური გალობა“, ედგარ პოს — ანგელოზების მიერ დარხეული საცეცხლურების წკარუნი“, „არამიწიერი ბგერები“.

ამერიკელი პოეტის თვალეები „ნათელმხილველურ საათებში უშორეს კუნჭულში ხედავდა კარს მომდგარ უბედურებას“.

ორივე შემოქმედს ეცხადებოდნენ ანგელოზები, სერაფიმები, ქერუბიმები.

ედგარ პო ხაზს უსვამდა „სულის გაღვიძებას“.

გალაკტიონს ეიმედებოდა თავისი „სასტიკი, უღმობელი გამოღვიძება“, „მთვარისაგან გაღვიძება“.

ქართველი პოეტი ელტვოდა „შუქს“, თვრებოდა „ცეცხლით, ყოფნით“ ანუ რწმენით. მის შემოქმედებაში სამოცდაათამდე საღვთო სახელია, გამრავალფეროვნებული აქვს საღვთისმშობლო სიმბოლოები“, კანონიკური სახეები.

ედგარ პო დაეძებდა „ცისკრის შუქს, ტრფობის ღმერთს, შეუცნობელ ნათელს, წმინდა ნათელს, უწმინდეს ალს, სპეტაკ ალს“.

მისი იდეალი იყო „ნაზი სხივი, შორი სხივი“.

„ულალუმის“ პერსონაჟი იმოსებოდა „სპეტაკი ალით“, „უწმინდეს ალით“, თვრებოდა „იმედით“.

„ზარებში“ საუბარია „მთვარით თრობაზე“.

უზენაესი ეცხადებოდა, როგორც „ყოვლისმპყრობელი მამა“, „ბესთა-სოფლის მეუფე“.

ედგარ პოს იდეალი იყო ამაღლება, „ავფრინდეთ ცაში“ — ეს იყო მისი დევიზი.

გალაკტიონს გამოარჩევდა ასტრალური მოგზაურობის უნარი: „გავფრინდით, ჩვენ ხომ გვასხია ფრთები“.

ამერიკელ პოეტს სიტყვები ესახებოდა, როგორც „პარაბოლები“, „მარგალიტის მძივი“.

„ხელოვნება მარგალიტს ჰგავს“, აცხადებდა გალაკტიონი.

ამერიკელი პოეტის მიზანი იყო „ჩაკეტილი ცნობიერების გაღება“.

იგივეს მიელტვოდა გალაკტიონი: „...ფეთქავდა ტვინი გამძაფრებული, ვით გასაღები, მდუმარე ქურდის დაკეტილ განძთან ჩასაფრებული“ (დღითა და ღამით).

დემონი მათ შემოქმედებაში, ერთი მხრივ ბოროტი ძალაა, ამასთან, სიბრძნის, ნიჭის სინონიმი. „ზღაპრები, რომელთაც მიყვებოდა დემონი“, წერს ედგარ პო (დუმილი).

გალაკტიონს მთელი ციკლი აქვს დემონებზე. გარდა მაცდური ძალისა, დემონი, ერთ—ერთი გაგებით, როგორც პლატონთან, სიბრძნის სიმბოლოა.

ედგარ პოს მოთხრობებს „ინტელექტუალურ რებუსებს“ უწოდებდა ნ. ანასტასიევი.

გალაკტიონს გამოარჩევს პოეტური ლიცენციები, ენიგმები.

ორივე შემოქმედის მხატვრული სამყარო მომავლის კუთვნილებაა, მათ გადაფასება არ უწერიათ.

დამოწმებანი

1. ბიბლია, თბ., 2013
2. რუდოლფ შტაინერი, იდუმალთმეტყველების კარიბჭესთან, მთარგმნელები ლ. ბაბლუანი, ა. კვარაცხელია, თბ., 2014
3. რუდოლფ შტაინერი, თეოსოფია, შესავალი ადამიანის დანიშნულებისა და სამყაროს ზეგრძნობადი შემეცნების სფეროში. თარგმნეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ. 1970წელს, რედაქტირებულია 1995წელს
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „მერანი“, თბ., 1982
5. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
6. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, ლექსები, პუბლიცისტიკა, მიმოწერა, „განათლება“, თბ., 1989
7. გალაკტიონ ტაბიძე, თბზულებანი 12 ტომად, ტ. XI, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973
8. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1990
9. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად ტ. I, თბ., 1993

10. ვახტანგ აჯავახიძე, „უცნობი“, „ნაკადული“, თბ., 1991
11. ედგარ პო ოთხ ტომად, ტ. I, თარგმანი ინგლისურიდან კ. ბალმონტის, მოსკოვი, 1911
12. ზვიად გამსახურდია, წერილები, ესეეები, თბ., 1991
13. ედგარ პო, მოთხრობები, ინგლისურიდან თარგმანი ზაურ კილაძის, „პალიტრა L“, თბ., 2011
14. ედგარ პო, 17 მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ, თბ., 1982

თავი III სახისმეტყველების საკითხები

ედგარ პო და გალაკტიონი — ზღვარგადამლახველი მეზღვაურები და მოგზაურები

ედგარ პოსა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ერთ-ერთი ფენომენია ზღვა, ოკეანე.

ზღვის სიმბოლური გააზრების მაგალითებით უპირველესად ყურადღებას იქცევს წმინდა წერილი, ღვთისმეტყველება, სასულიერო მწერლობა.

„ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრის ლაფს და ტალახს“, გვამცნობს ესაია წინასწარმეტყველი (57, 20) (1,116).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, „ზღვა, მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხალთაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“.

იოანეს სახარების ნეტარი ავგუსტინეს განმარტების მიხედვით, ამ „ზღვაზე გადასასვლელი გემია ძელი, იგივე ჯვარი, ჯვარცმა“ (2, 219).

წმინდა წერილის ენაზე ზღვა აჯანყებული, მოუსვენარი, ღვთისმოსაობის მტერი ხალხის სიმბოლოცაა, რაც უფლის სასჯელით მთავრდება და ამის მაგალითია ბაბილონის აღსასრული (გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, 18,21) (3,996).

გალაკტიონს ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდა ზღვის სახით და მის ბობოქრობას კლდისებურ სიმტკიცეს უპირისპირებდა: „იბობოქრე, ცხოვრების ზღვავე, ჩემს ირგვლივ, იბობოქრე, მე რა უნდა დამაკლდეს, პიტალო კლდეს რას დააკლებს ზღვის ტალღა, რას დააკლებს ზვირთი გამობრძმედილ კლდეს“ (იბობოქრე) (4,210).

ბიბლიაში ზღვის გადავლა ცოდვების დამარცხების, ზნეობრივი ამაღლების სიმბოლოა.

ქრისტემ ზღვაზე სიარულის სასწაული აჩვენა, რაც მის სიწმინდეს, სულის ძლევამოსილება-ყოვლისშემძლეობას უსვამს ხაზს (მარკოზი, 4,48,49) (5,81).

ასევე, ძე ღმერთმა დააწყნარა ქარი და ზღვა (მარკოზი, 4,39) (5,76).

ანალოგიური ძალისხმევა არ აღმოაჩნდა მოციქულ პეტრეს, როგორც „მცირედმორწმუნეს“ (მათე, 15,18,29,30,31) (5,32).

ებრაელი ხალხის წინამძღოლმა მოსემ ღმერთის ნაბოძები სასწაულ-მოქმედი კვერთხით გადალახა ცოდვის ზღვა და სამშვიდობოს გაიყვანა თავისიანები, მისი მღევნელები კი დაიღუპნენ) (6,71-72).

იტალიელი გენოსის — დანტეს სულის ხომალდი არ ეპუებოდა ზღვის აზვირთებას: „ამიერიდან სულის ჩემის ხომალდი მალი უკეთეს წყალთა საუფლოში ზეასწეეს აფრას, ჩვენს უკან დარჩა ზღვა ასევე აზვავებული.

„ის ზღვა, რომელსაც აწ ხომალდი მიაპობს ჩემი, არც მცირე ნავის ასპარეზი ეგონოს ვინმეს, არცთუ ძაბუნი მენავისგან გადასალახი“ (7,166,437).

წმინდა მამა მოგვიწოდებს: „გქონდეს რწმენა და წრფელი სინდისი, რაც უარყო ზოგ-ზოგმა და მარცხი განიცადა რწმენის წიაღში, როგორც ხომალდმა ზღვაში“ (პავლე მოციქული, I ტიმოთეს მიმართ, 1,12) (3,971).

ზღვის — ცხოვრების ცოდვების და ამალღებული ოცნების დაპირისპირება გალაკტიონის ლექსში „თეთრი ოცნება“, რომელშიც დამარცხება ბოროტეულთა ხვედრი.

„მილიონებში ხელისმრეველი“ პოეტი თავისი აურაცხელი შემოქმედებითი სიმდიდრეებიდან უპირველესად ზღვას ასახელებდა: „ამ საუკუნის სადიდებლად კვლავ მოიმართა ზღვის ჩანგი მკვეთრი“.

გალაკტიონის პოეზიაში გვხვდება „ზღვა სიცხადის და ოცნებისა, ცხოვრების ზღვა, აღტაცების ზღვა, სიბრძნის ზღვა, ფიქრთა ოკეანე“...

პოეტი საკუთარ არსებაში გრძნობდა ზღვის მშფოთვარებას (ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა), ფიქრთა ოკეანეს (გურიის მთები).

ზღვა, ოკეანე ესახებოდა დიადის შექმნის სტიმულად (რომ შეჰქმნა რამე დიადი).

„რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა? — კითხულობდა პოეტი და განმარტავდა: „ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“.

პოეტის საასპარეზოა ზღვა, ოკეანე, ტრანსპორტი — გემი, ნავები, ხომალდები, ოცნების ნავი, ოქროს ნავი, ფიქრთა ნავი, ლაჟვარდის გემი.

გალაკტიონის ლექსში მეზღვაურები ღვინოს მიირთმევენ, რაც მორწმუნეობის სიმბოლოა, რადგან წმინდა წერილში ძე ღმერთის მოვლინება დაემსგავსება ნადიმს, რომელშიც გამასპინძლება მოხდება

„დაწმენდილი ღვინით“, „ძველი ღვინით“: „გაუმართავს ცაბათ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძვლის ტვინიანი მსუყე კერძებით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (1,546).

ქართველი პოეტი „ოქროსფერ ნაწი“ იმყოფებოდა შოთა რუსთაველთან (მთვარის ნაამბობიდან), ედგარ პოსთან და ნოვალისთან (ის ადგილები), რაც წინაპრებთან გენეტიკური კოდების მსგავსებით, რენკარნაციის თეორიით აიხსნება.

გენიის ზღვისეური აბობოქრება განაპირობებდა გალაკტიონის და ბეთხოვენის შემოქმედების მსგავსებას: „სად ზღვის ჭავლებია, ყვავილთა მთოველი, კვლავ ვხვდებით ერთმანეთს მე და ბეთხოვენი. სიზმარი მგონია, ზღაპარი მგონია, ქართული მოტივი — მეცხრე სიმფონია“.

დაღუპული ხომალდების რექვიემია ლექსი „დაიღუპა ის ხომალდი (8,320).

ზღვაში მოგზაური პოეტის თანამდევია ცინულის მთები, ცინულის კოშკები, ცინულის სასახლეები, ცინულოვანი ქალაქია ირგვლივ, მაგრამ დიდი ძალისხმევით, პოეტის გულის სითბოთი იმსხვრევა ეს საბედისწერო გარემოცვა და თავისუფლდება გზა „საოცნებო ედემისკენ“, ანუ სიმბოლურად მინიშნებულია ტრაფარეტის, სტანდარტის დამარცხებაზე, ახალი პოეტური სამყაროს შექმნაზე (შეხედეთ, მიწა!“) (9,232-237).

„ღრიანცელში“, „ქაფიან ქარებში“ მავალი პოეტის „ცისფერ ხომალდს გზა არ ერევა, ის უცდომლად აგნებს ნავსადგურს, მიზანს (გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ) (9,236).

გრიგალები, დემონები, ღრუბლები, დაღეწილი ცა, მეკობრეები, დაღუპული ხომალდის ხილვა და აღსასრულის მოლოდინია „ზღვის ეფემერაში“, მაგრამ ლექსის პერსონაჟის ურთულესი მიზანი მაინც მიღწეულია, ეს არის „მალსტრომთა ძირით მარგალიტის“ ძიება და პოვნა, ანუ ფიქრების ზღვასა თუ ოკეანეში სიბრძნის მიგნება (8, 234).

ლექსში „გრიგალი“ ზღვა სავსეა ჩაძირული ხომალდებით, მაგრამ ძიების, იდეალის მოხელთების სტიმული მაინც არ იკარგება (9,248).

ზღვა მნგრეველი ძალების, სცილასა და ქარიბდას, „მეკობრეების“ სავანეა, მაგრამ პოეტის „ოცნებათა უდიდესი გემი... უწრფელესი და გამირულია“. რწმენა, ღმერთთა ბოროტეულთა დამარცხების უნარის

მომნიჭებელი: „მტევნები, სავსე მზის ალუბლებით გულში რეკავენ სიცოცხლის ქარად, მახარებს ჩემი თავისუფლება და სიყვარული მახარებს მარად. გადავიარეთ მრისხანე ზღვები ქარიშხალის და ზღვის მონობაში, გატაცებები სხვისი და სხვისი იფანტებიან მოგონებაში“ (გადავიარეთ მრისხანე ზღვები) (10,385).

მზე, სიცოცხლე, სიყვარული საღვთო სახელება.

გალაკტიონის იდეალია ისეთი მხატვრული სიტყვა, რომელიც ადამიანს დაეხმარება ცოდვების დამარცხებაში, სიბრძნის, რწმენის ძალით ზღვის გადალახვაში: „გევედრები, გამაგონე, ის სიმღერა, მე რომ მიყვარს, ლაჟვარდოვან ფრთების მქონე, შუა ზღვად რომ გადამიყვანს“ (ოდეს მძიმე რამე დარდი) (8, 415).

„და მაინც ჰგავდნენ შენი ლექსები თვალუწვდენ ზღვაში გაჭრილ პირატებს“, მიმართავს მერაბ კოსტავა გალაკტიონს (გალაკტიონი) (11,144–162).

დიდი ფრანგი პოეტის შარლ ბოდლერის აზრით, ადამიანს ზღვა იმიტომ იზიდავს, რომ ის სარკეა, რომელშიც თავის არსებას ჭვრეტს. ადამიანის სული ზღვისებრ „ამლამებულ მორევს“ მიაგავს. ზღვასავით განუზომელია ადამიანის სული, ორთავე განძის და საიდუმლოს მფლობელია: „ორივ წყვილიადით ხართ მოცული, ორივ კრძალული, ადამიანო, შენს ფსკერამდე ვინ ზომავს მანძილს! ზღვაო, ვინ იცის, მფლობელი ხარ რამდენი განძის! გაქვთ საიდუმლო თქვენ ორთავს ღრმად ჩამალული“ (ადამიანი და ზღვა) (12, 31).

„ზღვათა დიდი პოემა მბანდა“, წერს არტურ რემბო და „ზღვად ნაზღაპრალზე“ აკეთებს აქცენტს. პოეტს „სივრცეთა იისფერი ნისლი“ მოსავს, ხოლო ოკეანის ძლევა მოსილების მითს აქარწყლებს უფლის დედა: „ვინ იფიქრებდა, მარიამთა ფერხნი ციერნი უცებ დადრეკდნენ ოკეანის ღუჟიან ჩიჩვირს“...

ეს ლექსი ქართულად პირველად უთარგმნია პაოლო იაშვილს.

„რემბო თვითონ იყო ეს მთვრალი ხომალდი“, წერს ცნობილი ცისფერყანწელი ქართველი პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი (14,586).

„უძველესი დროიდან სული წარმოედგინათ მიწიდან ცისკენ ხან ცხენით, ხან მზე-ღმერთის ნავით, ხან კი კიბის საშუალებით მიმავალ არსებად“, წერს ვიქტორ ნოზაძე (15,335).

კ. გილბერტი და გ. კუნი აღნიშნავენ, რომ შუა საუკუნეებში წარმოსახვას ადარებდნენ პატარა ნავთან, რომელიც „ზეცისა და მიწიერ სფეროთა შორის დაცურავს“ (16, 144).

„სიბრძნის ნავით“ „ცოდვათა მორევის“ გადალახვაზე საუბარი „ბჰაგავად-გიტაში“ (17,1.8).

„ისევ აყვავდა ია-ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით“, აცხადებდა გალაკტიონი. „ოცნების ნავი“ მისი პოეზიის სიმბოლოა, საღვთო სახელებით გამორჩეული, რადგან ია მარიამ ღვთისმშობელზე, ვარდი ქრისტეზე მიმანიშნებელია.

მხოლოდ ზღვა, უსაზღვროება, ია-ვარდია გალაკტიონის პოეზიის მთავარი მახასიათებელი: „წიგნიც ყოველთვის ზღვა არის გრძნობის, ვარდთა ვარდობის, იათ იობის“.

პოეტის „ოცნების ნავი“ მშვენიერია ია-ვარდით, რწმენით: „კვლავ გამოცოცხლდა ია-ვარდი ოცნების ნავზე, ოცნების ნავზე სიხარული დაჰქრის ვედრებით და ალტაცებით შეიმოსა ბუნება სავსე, ბუნება, სავსე იმედებით და შეხვედრებით“ (მზის ამოსვლა ზღვაზე) (15,241).

პოეტურ სულთან, შთაგონებასთან არის კავშირში გალაკტიონის ოქროს ნავი, ფიქრთა ნავი, ლაჟვარდის გემი, ზღვა სიცხადის და ოცნებისა.

გალაკტიონისათვის მთავარი იყო „სიბრძნის ზღვაში“ გადაშვება, განახლების ზღვა, ალტაცების ზღვა, ზღვის გზებით სვლა „ჟამიეთის შარავზიდან“ მარადიულობისკენ, „ოკეანესთან დამეგობრება“.

პოეტის „სიცოცხლის ნავი“ მიემართება იქ, „სადაც მთელი მსოფლიოს ბრწყინავს ვარსკვლავი“ (იალქანი დაუცხრომელი). ამ გზაზე ეიმედება „შორეული მზის“ (უზენაესის) ხილვა.

ზღვისა და ოკეანის გზით პოულობს „მომავლის სავანეს“, აღწევს განახლებას (მშვიდობის წიგნი).

პოეტისთვის მთავარია „სიბრძნის ზღვის“, „ფიქრთა ოკეანის“, „მსოფლიო ვარსკვლავის“ მიგნება.

მისი „ზღვის ჩანგი“ „საუკუნეთა სადიდებლად“ არის მიმართული (მილიონებში ხელისმრეველი).

პოეტის „მოგონებები, პარაბოლები“ ზღვას უკავშირდება (ბათუმი).

ზღვაში ბობოქრობს სიტყვის მეუფის „ცისფერი ხომალდი“ (პორტრეტი).

„მგრვინავი ოცნება“ იმედის აფრებს აფრიალებს.

ასევე გვხვდება გრიგალისაგან ჩაძირული გემები, ხომალდები, სადაც გრიგალი ურწმუნოებაა, ხომალდი — ეკლესია, რწმენა, რითაც ეპოქის არსს გვიცნობიერებს (გრიგალი).

ტერენტი გრანელთან საუბარია „ზღვა გრძნობაზე“, „ფიქრის ნავეებზე“, „ოცნების ხომალდზე“.

გალაკტიონი გრიგალეებს გადარჩენილი ხომალდის სახით გვაუწყებს რწმენის გადარჩენას (გრიგალს, ქარიშხალს ესვამთ ამის შემდეგ) (18,372).

ხომალდი ალევგორიულად ტაძარს განასახიერებს (19,121).

„ლურჯა ცხენების“ ავტორი „ოქროს ნავში“ იმყოფებოდა რუსთაველთან (მთვარის ნაამბობიდან)(19,415).

ცოცხლებივით ეხმიანება ქარველი პოეტი უცხოელ წინაპრებს „...ოდესმე, ჯერ ისევ ბავშვი, ვგრძნობდი, რა არის ველთა ხალისი და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“ (ის ადგილები) (9,641).

გალაკტიონი ბოლომდე რჩება „უცხო მხარეების“, კერძოდ, ედგარ პოს თაყვანისმცემელი: „...უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა“ (საუბარი ედგარზე).

პოეტების მეფე „ოქროსფერ ნავში“ მოცარტის, შენიეს, შელის სულებთან სიახლოვეს ამყარებს (ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი).

ასევე, გალაკტიონისთვის მახლობელია ჰომეროსის პოემიის ხომალდი (ის წაიყვანა ოცნებამ მისმა), თამარ მეფის ხომალდი.

ქართველ პოეტს ესმოდა „ხომალდის რჩევა“ და „იალქნების ნანა“ (ხომალდისას ვისმენ რჩევას) (20, 353).

ლექსში ხომალდი ტაძრის იდენტურად მოიაზრება, ტაძარი კი მარიამ ღვთისმშობლის სახელია (19,124).

გალაკტიონმა განსაკუთრებული ინტერესის საგნად აქცია აფრა, იალქანი, ანძა, საჭე, წარმოიდგინა ისინი ფერებში და მათში მრავალმნიშვნელოვანი შინაარსი იგულისხმა.

პოეტს სიზმრებში მოესმოდა „იალქნების ნანა, იალქნების შრიალი“.

ლექსში „ეს მშობლიური ქარია“ (8,214–319). შთავგონების მოვლინება ასე წარმოიდგინება იალქნების გამოყენებით: „...არც ხმა, არც ჩურჩული,

ბინამინაგნები თვალუბდალურჯული თრთიან იალქნები. ძილი მეგონება: უცებ ქაოსიდან მთვარემ ამოზიდა ლურჯი მოგონება“.

„მთაწმინდის მთვარეში“ ფიგურირებს „ოცნებათა ლურჯი იალქნები“.

„ცხრაას თვრამეტში“ იალქნები „ზმანეთის ქვეყანაში“ მიიჩქარიან.

„გემთ იალქნების ფიქრზე“ საუბარი ლექსში „იალქნები“ (18,423).

დიადის შესაქმნელად აუცილებელია ზღვის იდენტური ოცნება, ზღვის იალქანივით სული (რომ შექმნა რამე დიადი) (18, 136- 137).

საუბარია „იალქნის თვალზე“, „იალქანდაულალ სულზე, „თვალუბდალურჯულ იალქნებზე“.

გვხვდება ნეოლოგიზმი „მეიალქანე“ (შორს მოჩანს მთები ამწვანებულნი) (20,92).

მუზის მოვლინების ნიშანია იალქნებში გამოჩენილი ცისარტყელა (შორს იალქნები ჩანდა).

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი საუბრობს „სათნოების მშვიდ ნავსადგურზე“, საითკენაც უნდა ილტვოდეს ნათელღებული ადამიანის სული (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, თბ., „მერანი“, 1990).

ციური მენავე — ღმერთია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ (7,141).

გალაკტიონი იყო ცხოვრების ზღვის ტალღებთან შეჭიდებული „ფანტასტიკური მენავე“ (ისევ ახალგაზრდობას) (8, 319), „წარმოსახვის ფარული ნავით“ მიმსწრაფი ახალი განზომილებებისკენ.

ლექსში „გადამწვანებული მწვერვალებისკენ“ — „მოგონებები ლამაზი ნავის მოგზაურებია“ (9, 304).

ყურადღებას იქცევს „რიტმის ბგერა ზვაური, ზღვა მუსიკა, „ზღვა სიცხადის და ოცნებისა“.

პოეტი საუბრობს „მოგონების ხომალდზე“, „ფარულ ნავზე“, ერთგან „სიმაღლეებს მიჰყვება ფიქრი ოქროს ნავებით“.

ამ სახეებს გალაკტიონმა პოლიტიკური შინაარსიც შესძინა.

გოდება აღმგზავრება უცხოეთისკენ გადამისამართებულს: „რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არავინ, ისევ უცხოეთისკენ მიმდარენენ ნავები“ (მზადება გასამგზავრებლად) (9,267).

„მწუხარე თოვლის“ სამეფოსთან ერთმორწმუნეობის მოტივით დაკავშირება საბედისწერო აღმოჩნდება „ქართული პატიოსნებით სავსე“ ერისთვის, რადგან მსხნელის ნაცვლად ჯალათი მოველინება: „მწუხარე

თოვლში წამიყვანა ფერადმა გემმა, წინათ ანგელოზს — დედამიწას ვუცქერი ჯალათს, ო, შურს იძიებს უსათუოდ როსმე ბოჰემა, გული გრძნობს ღალატს“ (გული გრძნობს ღალატს) (9, 397).

პოეტების მეფე მეოცნებე აგასფერია, აგასფერის ხომალდის მესაჭე, მარადიული მოგზაური და მეზღვაური, დედამიწის ყველა კიდებე მოხეტე.

აგასფერი, შუა საუკუნეებში შექმნილი ლეგენდის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმის მაყურებელია, რომელიც არ დაეხმარა ქრისტეს გოლგოთის გზაზე ჯვრის ზიდვაში და ამიტომ განწირულია, რომ მარადიულად იხეტილოს დედამიწაზე.

გალაკტიონი, პირიქით, არათუ განმცდელია ძე ღმერთის ჯვარცმის, თვითონაც ჯვარზე გაკრულია, გულის სისხლის გამღებია პოეტური იდეალებისთვის.

პოეტის ხომალდი იყო „ქარის პირდაპირ“, დინების წინააღმდეგ მავალი.

ოკეანესთან, ზღვასთან „დამეგობრება“ პოეტის ბედისწერა იყო, რადგან მისი შემოქმედებითი ფენომენი მართლაც ზღვასავით, ოკეანესავით ამოუწურავია.

ერთგან „ლურჯა ცხენების“ ავტორი აფიქსირებს „სიგიჟემორეულ ზღვაში გადაშვებას“, „შორეული მზის“ ნახვას, ანუ ოცნების, ფიქრების, წარმოსახვების სამყაროში ტრიალს და მზის, ანუ ღვთის მოვლინებას, რადგან მზე საღვთო სახელია.

პოეტი მეზღვაურის ნავები, გემები, ხომალდები ყოველგვარ ფათე-რაკებს სძლევადა, ყოველთვის იმარჯვებდა, მრავალგვარ წინააღმდეგობათა გადალახვის უნარით იყო გამორჩეული, რადგან რწმენა, სულიერი სიმტკიცე, სიწმინდე, გმირული სული, სამშობლოს სიყვარული აძლიერებდა: „ჩემს სამშობლოშიც აღტაცებას ვგრძნობ მეზღვაური“, წერდა პოეტი (მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები) (8, 320).

გალაკტიონის პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. აფრა, ანძა, იალქანი.

„ვერხვებში“ ნათქვამია: „...მას შემდეგ ბედი და იალქანი ქარის სიმძიმით გადაიხარა“...

ლექსში „მზადება გასამგზავრებლად“ პოეტი „ლურჯი იალქნებისკენ“ მიისწრაფვის.

„ზღვის ეფემერაში“ „ზღვის უდაბნოში ვერც ერთ იალქანს ვერ ხედავს თვალი“ (20,236), ამასთან, სხვაგან პოეტს ევლინება „მფარველი იალქნები“.

სტეფან მალარმე დაქვევებული კითხულობდა: „... ნუთუ გრიგალში ეს იალქნები ოდესმე გვერდზე გადაიხრება და გადახრილი ნელა გაქრება იქ, სადაც არის უნაყოფობა და კუნძულები ქვიშის ფერია“ (ზღვაური) (23,68-69).

გრიგალის მეთაურობით მოგზაური ანძაა გალაკტიონის ლექსში „ზღვა ახმაურდა“.

ანძა და აფრა ერთდროულად გვხვდება ლექსში „მკაცრია ამ დროს (8, 11).

ანძა „ცისფერი ხომალდის“ მეგზურია ლექსში „ანძები“.

აქცენტირებულია „ანძების ტყე, მგლოვია რე ანძა, საომარი აფრა“.

ყურადღებას იქცევს „მფარველი და თვალეზღაღურჯული იალქნები, მეოცნებე აფრები, საიმედო ღუზა და საჭე, მესაჭე“.

ლექსში — „ხომალდისას ვისმენ რჩევას“ სრულიად ახალ კონტექსტში მოიაზრება ხომალდი და იალქნები: „ ხომალდისას ვისმენ რჩევას, როგორც ძვირფას მცნებას და ოცნებას მიცემული ვიგრძნობ დავიწყებას“.

შემდეგ საუბარია „იალქნების ნანაზე“, „იალქნების შრიალზე“: „ტკბილ სიზმრებში მე მომესმის იალქნების ნანა, იალქნების შრიალი და ჟრჟოლა გრძნობისთანა“ (18,358).

პროფესორი ტიტე მოსია წერს: „შატბერდის კრებულში“ მოცემულ ერთ პასაჟში ზღვა ალევორიულად დასახულია ცხოვრებად, ნავი — ეკლესიად, მენავეთ — მოძღვარი — ქრისტედ, ხოლო აფრა სულიწმინდად“ (22,679).

სხვაგან გვხვდება მეცნიერის ასეთი განაცხადი: „ჰიმნოგრაფი ქრისტეს ცხოვრების ნავსაყუდელს უწოდებს“ და დამოწმებულია „ნევმირებული ძლისპირნი“ (გვ. 847): „არამედ შენდა მოვილტვი, ქრისტე, ცხოვრებისა ნავთსაყუდელი“ (23,412).

ფიქრობთ, გალაკტიონის ზემოხსენებულ ლექსში ანალოგიურ ჭრილში უნდა მოვიაზროთ „ხომალდის“ (ეკლესიის) რჩევა“, როგორც „ძვირფასი მცნება“. ხოლო ამავე კონტექსტის „იალქნების ნანა“ — სამების მესამე წევრის — სულიწმინდის მოვლინებად. ანძაც ასეთივე ქვეტექსტის მატარებელია.

ზღვა, ოკეანე, ხომალდები ერთ-ერთი უმთავრესი სიმბოლოა ედგარ პოს სახისმეტყველებაში.

„შეუცნობელი ნათლის უკიდევანო ოკეანე, ბნელეთის ზღვა, ნეტარების ზღვა, ზღვის ხახა — მთვლემარე გველეშაპი“ მიგვანიშნებს პოეტის მიერ ამ ცნების მრავალმნიშვნელოვან გააზრებაზე.

„ბოთლში ნაპოვნ ხელნაწერში“ საუბარია ზღვაში მავალ ხომალდზე, რომელიც იალქანაღმართულია ქარის საწინააღმდეგოდ. ირგვლივ უდაბნოა. ზღვის აბობოქრებას, საოცარ მძვინვარებას დალუპვის შიში აემგზავრება. მოთხრობის პერსონაჟი ჩანაწერებს აკეთებს და გადარჩენის მიზნით გადაწყვეტს, ბოთლში ჩადოს ხელნაწერი, მერე კი ზღვას მისცემს. გემი ქარის საწინააღმდეგოდ მოძრაობდა და სასწაულთ სასწაული ის იყო, რომ ვეებერთელა ხომალდი ზღვამ არ ჩაყლაპა.

„ჩვენი ბედისწერა უთუოდ ეს უნდა იყოს, სასრულუქონელი ქროლვა მარადისობის ნაპირზე. ბუმბერაზი მთები წამოგვდგომოდა თავს, ვითარცა ზღვასქვეშეთის დემონები, ვისთვისაც ჩვენი დალუპვა აუკრძალავთ, მუქარის უფლება მიუნიჭებიათ“, ასე გაიაზრება ნაწარმოებში საფრთხე, როგორც ბედისწერა, როგორც სიძნელეებთან შერკინების, ცნობიერების გამდიდრების საშუალება.

მთავარი აქცენტი გემის კაპიტანზე კეთდება, რომელსაც ოდნავ ჰქონდა შუბლი დანაოჭებული და მანაც „მირიადი წელიწადი აღბეჭდილიყო მასზე“. ჟამთა სვლას შერთვოდა მისი ჭაღარა და მისი ჭკუა-გონება სიბილას თვალეზით უჭვრეტდა მომავალს“ (26,52), რაც იმაზე მიმანიშნებელია, რომ ავტორს აინტერესებს არა ჩვეულებრივი ჭკუა-გონების, არამედ მრავალგზის გარდასხეულების შედეგად საუკუნეებში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილების, გამორჩეული სიბრძნის, წინასწარმეტყველური ცნობიერებით საყურადღებო პერსონაჟი, რომელიც თვით ავტორის არქეტიპია.

მწერლის თვალთახედვაში მოქცეულია არა ფიზიკური ხომალდი, არამედ მისი სახით „უხსოვარი დროის სული“, როგორც გალაკტიონის „ოცნების ნავი“, ფიქრის ხომალდი“: „მთელი ხომალდი და ყველაფერი, რაც კი აქ არის, მოუცავს სულს უხსოვარი დროისას, ვითარცა წიაღდანთქმული აჩრდილები“ (24,53).

თავზარდამცემი იყო ქარისა და ოკეანის ორთაბრძოლა, ქარბორბალა და სამუმი, საშინელი სტიქიონი: „გემის სიახლოვეს მარადიული ღამის

ბნელ-უკუნეთი იყო გამეფებული. ირგვლის ყინულის ბუმბერაზი მთები აღმართულიყო, ცისკენ აწვდილი“.

ოკეანის დინებამ ხომალდი სამხრეთისკენ გაიტაცა, რაც შემზარავ გრძნობებს იწვევდა, „მაგრამ ამ თავზარდამცემი მხარის შეცნობის სურვილი სძლევს ჩემს სასოწარკვეთილებას და აღარ ვწუხვარ, თუნდაც ტანჯვით ამომხდეს სული. ჩვენ გულისწარმტაც ცოდნას, ჯერხნობით დაგმანულ საიდუმლოს ვესწრაფვით, რომლის მიკვლევა და დაღუპვა ერთი იქნება“.

„შემფოთებული მებღაურები ბარბაცებენ გემბანზე, მაგრამ იმათ სახეებს უფრო იმედის ალი დასთამაშებს, ვიდრე შავი აღმური უსასოობის“.

„შემზარაობა უშემზარავესი! მაგრამ დრო აღარ არის, ჩემს ბედზე ფიქრს ვეღარ მოვასწრებ... ოკეანის ღმუილში დაბლა მივიმზღვრევით“ (24,54).

მწერლის მიზანია „...საჭის უქონლად და გზის უცოდნელად შეაღწიონ შეუცნობელი ნათელის უკიდევანო ოკეანეში და კვლავ თავგადასავლების მოყვარული ნუბიელი გეოგრაფისა არ იყოს, თითქოსდა შეიჭრებიან ბნელეთის ზღვაში იქაურობის მოსაკვლევად“ (ელეონორა) (25, 74).

აშკარაა, როგორც ედგარ პოს, ისე გალაკტიონს სულიერების ზღვაში, შეუცნობ სამყაროში შეღწევა და ცნობიერების გამდიდრება სწადიათ. ორივეგან სიმბოლურია ზღვა, ოკეანე, ხომალდი.

ედარ პოს „პაემანში“ საუბარია „ნეტარების ზღვაზე“ (25,70).

აქცენტი მოდის „შეუცნობელი ნათლის უკიდევანო ოკეანეზე“ (2,61-73).

„უსასრულობის საზღვარია“ ინტერესის საგანი მოთხრობაში „მოხრებლი და ქანქარა“ (24,118).

ლექსში „ელენეს“ ნათქვამია: „მშვენიერება ელენე შენი, მაგონებს ხომალდს ძველი ნიკეის, რომლითაც მგზავრმა დიდ ჭირთა თმენით სურნელოვანი ზღვა გადასერა და მშობელ ნაპირს მიადგა გემით. ბევრი მივლია შფოთიან ზღვებით... შენ ხარ ხატება ანტიკურ რომის და საბერძნეთის წარსულ დიდების“ (26,47).

„მალშტრემში დანთქმა“ (22,37) ოკეანის, უფსკრულის, გემის სახეებით ისევ სულიერი სიღრმის ძიებას, სიბრძნის ზღვას უტრიალებს და შეუცნობლის მაძიებელი პერსონაჟის გადარჩენა მიზნის მიღწევაზე მიმანიშნებელია.

ნაწარმოებში საუბარია „მალშტრემის გიგანტურ მორევზე, უფსკრულში მიტაცებულ გემზე“. ოკეანის დინებას ემსხვერპლებიან ვეშაპი, დათვი,

სანაპიროზე მიწაზე ენარცხებიან დიდი ნაგებობები. ქარაშოტი ანძას გადატეხავს და უმცროსი ძმა ზღვაში დაინთქმება. ხომალდი ზვირთებში შეიძალდება, უსაზღვრო სტრემის მორევი. შიში და სასოწარკვეთილება გამეფდება ირგვლივ, მაგრამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ისევ თავის მთავარ მიზანს უტრიალებს: „მსურდა შევწიროდი უფსკრულის სიღრმის შეცნობას“.

ხომალდი უფსკრულში გადაეშვება. ღმერთს ლოცვა აღევლინება. მორევში თავქვე ჩაყირავებული ხომალდიდან გადაშვებული ადამიანი ოკეანის ზედაპირზე აღმოჩნდება, მერე დინება მეთევზეთა სიახლოვეს გარიყავს ნაცნობებთან. სახემეცვლილი, გაჭაღარავებულია ზღვის მომვლელი, მაგრამ, რაც მთავარია, გადარჩება „ზღვის ხახას“, „ბნელეთის მორევს“.

ასე იმდიდრებდა ოკეანეში — ცნობიერების უკიდვანო წიაღში შთანთქმული ედგარ პო თვალსაწიერს და იქიდან ყველაზე ძვირფასი მარგალიტი — სიბრძნე ამოჰქონდა.

„პომ იგრძნო, იწინასწარმეტყველა ხომალდის ცხოვრება, როგორც გასულიერებული არსების, დაიჭირა დიდი სიმბოლურობა ზღვის მოვლენის“ — ასე მიგნებულად იყო მითითებული კ. ბალმონტის მიერ ზღვის და ხომალდის ციკლის თავისებურება, მისი დაფარული აბრი (25, 11).

ედგარ პოსთან მოიხილება „შეუცნობი ხაზები“, გალაკტიონთან — „შეუცნობთა დაქანდაკება“.

დამოწმებანი

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II თბ., 1990
2. ნეტარი ავგუსტინე, აღსარება, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1985
3. ბიბლია, თბ., 2013
4. გალაკტიონ ტაბიძე, ლექსები, თბ., 2016
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ., 1990
7. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“ თბ., 2012

8. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1992
9. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ., 1977
10. გალაკტიონ ტაბიძე 15 ტომად, ტ. 4, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2017
11. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
12. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, თარგმანი დავით აკრიანის, თბ., 1992
13. დავით წერედიანი, ანარეკლი, ესეებად, დიალოგებად, თარგმანებად არეკლილი კლასიკური პოეზია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2014
14. ვალერიან გაფრინდაშვილი, ერთტომეული, „მერანი“, თბ., 1990
15. ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება, თბ., 1956
16. К.Гулберт, Г.Кун, История эстетики, М.1992
17. ბჰაგავად—გიტა, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თამაზ ჩხენკელმა, „განათლება“, თბ., 1983
18. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 2, თბ., 1993
19. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
20. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1993
21. სტეფან მალარმე, ლექსები და პროზა, წინასიტყვაობა და შენიშვნები გასტონ ბუაჩიძის, ქუთაისი, 1919
22. ტიტე მოსია, დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში, თბ., 2011
23. ტიტე მოსია, ქართული სასულიერო მწერლობის სახისმეტყველებიდან, თბ., 2016
24. ედგარ ალან პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, „პალიტრა L“, თბ., 2011
25. ედგარ ალან პო, თხზულებათა კრებული ოთხ ტომად, ტ. I, ინგლისურიდან თარგმანი და წინასიტყვაობა ვ. ბალმონტის, მოსკოვი, 1911
26. ედგარ ალან პო, რჩეული ლირიკა, „დიოგენე“, თბ., 2001

ყორანი და მისი ვარიაციები. პრობლემის შესწავლის ისტორიიდან

„ცისფერყანწელთა“ დადებითი მიმართება ედგარ პოს პოეზიასთან შესწავლილი აქვს ეთერ მგალობლიშვილს ნაშრომში „ედგარ პო „ცისფერყანწელბთან“ (ალმანახი „კრიტიკა“, №6, (67), „მერანი“ თბ., 1987).

შემდეგ ეს გამოკვლევა გაერთიანებულია მის დისერტაციაში მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, რომლის ხელმძღვანელი იყო პროფესორი დავით ლაშქარაძე. დაცვა შედგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 1987 წელს(1).

ნაშრომი შეიცავს სამ თავს და სამ ქვეთავს. პირველ თავში საუბარია ედგარ პოს ნაწარმოებთა ქართული თარგმანებზე, მეორე თავში შესწავლილია ედგარ პო „ცისფერყანწელბთან“, ედგარ პო ს. შანშიაშვილისა და ი. გრიშაშვილის პოეზიაში. მესამე თავის სახელწოდებაა „ედგარ პო გალაკტიონის შემოქმედებაში“.

უპირველესად, დამოწმებულია დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას ობიექტური განაცხადი გალაკტიონის პოეზიის უპირატესობაზე ედგარ პოსთან მიმართებაში (კ. გამსახურდია, თხზულებები ათ ტომად, ტ. 8, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985, გვ. 222).

ასევე, მკვლევარი ემყარება ირაკლი კენჭოშვილის წიგნს „გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა“, და იზიარებს მეცნიერის მიერ გამოთქმულ შეხედულებებს გალაკტიონის მიმართებაზე წინარე პოეტურ ტრადიციებთან — ნ. ბარათაშვილის, ბაირონის, შელის, ჰიუგოს, მიუსეს, ედგარ პოს პოეზიასთან (გვ. 94).

ასევე, დისერტაციაში ვლინდება დადებითი მიმართება რევამ თვარაძის წერილისადმი „ედგარი მესამედ“, რომელიც დაიბეჭდა „ცისკარში“ (1980 წ. №9, გვ. 128-133).

მკვლევარი ეძებს მსგავსება-განსხვავებულობას ედგარ პოსა და გალაკტიონის თეორიულ-ესთეტიკურ პრინციპებსა და მხატვრულ ნიმუშებს შორის, ამერიკელი პოეტის ნაწერების გამოძახილს და უშუალო გავლენებს (1, 80).

შედარებულია ედგარ პოსა და გალაკტიონის მიერ სიკვდილის თემაზე, სიყვარულზე, წარმავლობაზე, მარტოობაზე შექმნილი ნიმუშები (1, 110).

აქცენტირებულია ყოფნის სიმძარეულობის, სიყვარულის თემაზე შექმნილი ნაწარმოებები ორივე ავტორთან.

მეცნიერი საუბრობს გარდასხეულების იდეაზე.

შეპირისპირებულია ედგარ პოს „ელეონორა“ და გალაკტიონის „მესაფლავე“ (1, 105).

მარტოობის თემასთან დაკავშირებით საუბარია „მე და ღამეზე“, მაგრამ ვფიქრობთ, ეს არის შემოქმედებითი პროცესის მარტოობა. იდეალია პოეზია, რომელიც მაღლა დგას სიყვარულზე, მიწიერ ინტერესებზე. ლექსში რელიგიური სახეებია „საიდუმლო შუქი“, „ლურჯი სვეტები“. პოეტი ბოლომდე ერთგულია თავისი უზენაესი იდეალის — პოეზიის, რომელიც მხოლოდ გულის სისხლის გაღების, წამების გზით მიიწვდომება.

მეცნიერი ადარებს რა ერთმანეთს ედგარ პოს „ყორანს“ და გალაკტიონის „შავ ყორანს“. ქართველი პოეტის ლექსში როგორც ნ. ბარათაშვილის „მერანის“, ისე ედგარ პოს „ყორანის“ გამოძახილს ხედავს (2, 166).

აქვე დამოწმებულია რევამ თვარაძის ანალოგიური აზრი წერილიდან „ედგარი მესამედ“ („ცისკარი“, 1980, №9, გვ. 128-133) (3, 128-133).

ედგარ პოს „ყორანის“ ფარდების შრიალი ისმის გალაკტიონის ლექსში „ფარდების შრიალი“, ნათქვამია ნაშრომის 66-ე გვერდზე.

ედგარ პოს სიყვარულის გოდებაზე საუბარი გალაკტიონის უიღბლო სიყვარულის გახსენებას იწვევს — „შენ ზღვის პირად“, „მერი“.

„ვიღაც მახინჯი, ვიღაც მესამე“ სიკვდილთან არის მართებულად ასოცირებული გალაკტიონის ლექსში „ედგარი მესამედ“ (3, 127).

„ედგარობა“ ბოროტების სიმბოლოდ გაიაზრება ქართველ პოეტთან, მასში შური და ღალატი უნდა ვიგულისხმოთ“, ვკითხულობთ მონოგრაფიის 130-ე გვერდზე.

სწორია დასკვნა, რომ გალაკტიონის „შავი ყორანი, ყორანი, ფარდების შრიალი, საუბარი ედგარზე, ათოვდა ზამთრის ბაღებს, ედგარი მესამედ“ პოს „ყორანის“ შთავგონებით არის შექმნილი, რაც ამ ორი შემოქმედის სულიერი სიახლოვით და განცდათა თანხვედრით აიხსნება“ (1, 130).

ჩვენი ამრით, ყორანი და მისი ვარიაციები: ყვავი, ჭოტი, ძერა, ბუ, მიკოტი გვხვდება გალაკტიონის 95 ლექსში ფსიქოლოგიურ, ეროვნულ, სოციალურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ, პოლიტიკურ ჭრილში.

ნაშრომში ნათქვამია: „გალაკტიონის „კოშკი“ ედგარ პოს „აშერთა ოჯახის დაქცევის“ მსგავსად, ავისმომასწავებელი წინაგრძობის შიშით შეპყრობილი ადამიანის სულიერ მდგომარეობას გადმოსცემს. კოშკის სიძველე და მისტიკურობა, მასში გამეფებული ატმოსფერო, გამოუცნობი დარდი და ვარამი ამ საგვარეულო სახლის სიმბოლურობაზე მიგვანიშნებს.

„კოშკის“ სარკმელთა ცვენა ისევე, როგორც აშერთა სახლის კედელზე წარმოქმნილი დიდი ბზარი, ლირიკული გმირის მოახლოებულ პიროვნულ დაღუპვას მოასწავებს...

„ორივეგან შიშია... „კოშკში“ „შიშის ლანდი უზარმაზარი“. შიშის საფუძველი სიყვარულია, უფრო მეტად კი სიკვდილის შიში ჩანს ლექსის ბოლო სტროფში: „მოჰყვები ქვეშ ამ უხეშ კედლებს ჩემ ხეტიალით“... და ბოლოს: „დაეცა კოშკი სიყვარულით აშენებული“ (1, 132).

„კოშკიც, აშერთა საგვარეულო სახლიც ხმაურითა და გრგვინვა— გრიალით ეცემა, რაც ედგარ პოს მოთხრობის მსგავს წინაპართა სიძლიერისა და დიდების გაქრობასთან ერთად, მისი უკანასკნელი მობინადრის დაცემაზეც მიგვანიშნებს“, ასეთია ნაშრომის ამ ნაწილის დასკვნა.

ვფიქრობთ, გალაკტიონის „კოშკი“ რელიგიური შინაარსის ლექსია და ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებს წარმოაჩენს, როგორც პოეტის არაერთი ნიმუში.

წმინდა წერილში კოშკი უზენაესის სიმბოლოა.

დავით წინასწარმეტყველი მიმართავს ღმერთს: „შენა ხარ ჩემი მფარველი, ძლიერი კოშკი ხარ მტრისაგან დამცველი“ (ფს. 60 (61, 4) (4, 428).

კოშკი სიყვარულით არის აშენებული, სიყვარული კი საღვთო სახელია: „ღმერთი სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი იოანესი, 1, 4, 8).

ასევე, რელიგიური მნიშვნელობისაა „სვეტი“ (ცეცხლის სვეტი, ნათლის სვეტი).

ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებაში“ ღმერთს ეწოდება „დიადი სიყვარული“ (5, 390).

ამ საყოველთაო ნგრევის რეჟისორია სატანა, რომელმაც „კოშკის ძველისძველ ფოლიანტზე რაღაც დაწერა და შემოხაზა გამოუცნობ ნების რკალეებით“.

ბიბლიაში მეფე ბალთაზარის ლხინის დროს კედლიდან გამოჩენილმა ხელმა სამი სახედისწერო სიტყვის დაწერით მიანიშნა ბაბილონის სამეფოს აღსასრულსა და ბალთაზარის სიკვდილზე, რაც ახდა კიდევ.

„კოშკი“ რწმენის უარყოფას აფიქსირებს, რასაც მოჰყვება დაღამება, ნგრევა სულიერ თუ მატერიალურ სფეროში.

ლექსში რელიგიური სიმბოლოებია კოშკი, სვეტები, სიყვარული, დედა, მამა, რომელთაც უარყოფდა ათეისტური ეპოქა.

ამ სფეროში გალაკტიონის წინამორბედად შეიძლება ჩათვალოს ვაჟა—ფშაველას „მოჩვენება“, რომელშიც ყურადღებას იქცევს „დანგრეული დარბაზები. თავმონგრეული კოშკები და ალის, ქაჯის ცინიკური ხითხითი ყველაფრის ამაოებაზე, მაგრამ შემდეგ „დაუვალი მზის“ (ღმერთის) გამონათება რწმენის უძლეველობის დასტურია. (6, 220–225).

ფშაველი გენიოსის მოთხრობის ფინალი ოპტიმისტურია, „დაუვალი მზის“ გამოჩენა ცაზე საგულისხმო ქვეტექსტებს შეიცავს, რადგან წმინდა წერილის მიხედვით, „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83/84, 12) (6, 438).

ანალოგიური სატკივარია მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ქალის ტვირთი“, რომელშიც კოშკის დამანგრეველია შავი ურჩხული, რაც მოასწავებს რწმენის, სულიერების გაუფასურებას.

აფიქსირებდნენ რა ქრისტიანობასთან ანტიქრისტეს დაპირისპირებას, წინასწარმეტყველური ინტუიციით, ჩვენი ქვეყნის ისევ რწმენისგან განუყრელობაზე მიგვანიშნებდნენ, რაც ახდა კიდევ.

პროფესორი ნანა კუცია იავარქმნილ კოშკს საქართველოს დაცემის სიმბოლოდ მიიჩნევს. (7, 23).

ურწმუნო პიროვნება, რწმენასგანშორებული ხალხი ჭეშმარიტი სახელ–მწიფოებრიობის იდეალს ვერ განახორციელებს.

გალაკტიონის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი იყო სახე–სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, რასაც ამ სფეროშიც ავლენს და დაცემული კოშკის პარალელურად, მის პოეზიაში ფიგურირებს კოშკში ანთებული სანთელი (სანთელი საღვთო სახელია, „სიზმარეთის კოშკები“ —

მისი პოეზიის სიმბოლოა, რაც მსოფლიო მასშტაბით უმკვიდრებს ქართველის პოეტების მეფეს უპირველეს ადგილს (ეფემერა).

ეთერ მაგალობლიშვილი ედგარ პოს „ეშერთა სახლის დაცემის“ ჭრილში განიხილავს გალაკტიონის „დომინოსაც“ და იმოწმებს ირაკლი კენჭოშვილს (1, 66).

ლექსში „დომინო“ „დაწყვეტილი სამარის“ მინამგვან სასახლეში „მკვდრები დაჰქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით, ჰაერი სიკვდილით დაფარეს“.

ამ სახლის ბინადარი „დღეგრძელი მოხუცი“ ათასგვარი წამლის შეზავების და შელოცვის ოსტატია. ამ გრძნეული პიროვნების თანამდევნი იყო „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება! რისხვა, ამხედრება!“

„დომინოს“ დღეგრძელი მოხუცი, ათასგვარ წამალს და შელოცვას რომ მიმართავდა, „გრძნეული შემლოცველია“ (ესაია წინასწარმეტყველი), „სიცრუის მისანი“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი), რომელსაც ასდევნებია „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება“, იგი „რისხვას, ამხედრებას“ იმსახურებს.

პოეტს არ ხიბლავს „ნიღაბები წითელი, ნიღაბები ათასი“. მას ენატრება „უწინდელი, უდიადესი ცა“.

ცა, ცათა ცა, სულიერი ცა, ცათა უვრცელესი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია (8, 119-120).

გალაკტიონი ხედავდა „იქაურ ცას“ (ცათა ცას), ღმერთების, წმინდა სულების სავანეს.

„დამწვარი ცის, გაცრეცილი და მტვრიანი ცის, დალეწილი ცის, დანგრეული ზეცის“ სახეებით გამოხატავდა გალაკტიონი ღმერთისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიებს.

ასევე, მისთვის მიუღებელი იყო, ემტერებოდა „ყრუ ბაიათებს“, ურწმუნოთა ნიღბებს, „ფიფქით მტრობით“ მიგვანიშნებდა ჩვენთვის არაკეთილმოსურნე, ყინულიან-თოვლიანი იმპერიის არაკეთილმოსურნეობაზე.

რას ნიშნავს „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება?“

„დომინოს“ წიგნის, ასევე „მშვიდობის წიგნის“ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ წმინდა წერილი, კერძოდ, ესაია წინასწარმეტყველის ის ადგილი, სადაც ძე ღმერთის მოვლინება აღიქმება, როგორც წიგნის სიტყვების

გახმიანება — წიგნი — მამადმერთი, სიტყვა — იესო: „იქნება თქვენთვის მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები...“

„გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნეთიდან გამოიხედავენ“ (29, 11, 18) (4, 548).

ნეტარი ავგუსტინე ამბობს „აღსარებაში : „არასდროს არ დაიხევა მათი წიგნი, არასდროს არ აიხევა მათი გრაგნილი იმიტომ, რომ თვით ხარ, უფალო, ეს წიგნი მათთვის და ამ წიგნადვე ჰგიებ უკუნისამდე“.

წიგნის სახეში ღმერთი ამოიციწო დანტემ და მას უწოდა „სანუკვარი წიგნი, დიადი წიგნი“ (9, 383).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ფიგურირებს შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც ხსნის კაცობრიობისთვის დაკლული კრავი — ქრისტე.

გამოცხადებაში „ცხოვრების წიგნია“ გადაშლილი, რათა განკითხულ იქნენ მკვდრები წიგნებში ნაწერიდან, მათი საქმისაებრ.

„დომინოში“ „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება“ მიემართება „დღევანდელ მოხუცს“, რომელიც ასოცირდება ცრუ წინასწარმეტყველთან და რომელსაც ბიბლიაში დასჯით ემუქრება უფალი.

„დომინოში“ ქრისტეს სიმბოლური სახელებია: სანთელი, წიგნი, ბაფხული.

მარიამ ღვთისმშობელი გვევლინება როგორც „უღიადესი ცა“, ბამბახები, ბეჭედი.

საანალიზო ლექსში გალაკტიონის პიროვნება გაცხადდა, როგორც „ქრისტეს სხივებით შემოსილი მცენარეული“ (დანტეს ფრაზა), ზეცის ვარდების, ალვის ხის „შემოშენებით“ გატაცებული, უფლისგან კურთხეული მებაღე, ანუ დომინო.

„დომინო“ პოეტის მიერ საკუთარი ზეციური მისიის, უფლის ერთგული მსახურების შეგრძნობა — გაცნობიერებაა ორიგინალური პოეტები ხერხებით და, ამდენად, ეპოქის ყველაზე მწვავე პრობლემის დასმა-გადაჭრა სულიერი ინდივიდუალობის მაუწყებელი სახე-ხატებით, ანუ, პოეტის სიტყვებით, „ესაა გრძნობა კვლავ სიყვარულთა, გადაქცეული სხვისთვის ჭაობად“.

ირაკლი კენჭოშვილი გალაკტიონის „დომინოში“ ანდრეი ბელის „მასკარადის“ გაფლენას ხედავდა (2, 133).

ზეინაბ სერია ეთანხმებოდა ამ აზრს (10, 132).

სოსო სიგუა გამოირიცხავს ამ ასპექტში ანდრეი ბელისა და მითუმეტეს, ედგარ პოს გავლენას ქართველ პოეტზე (11, 211).

გალაკტიონის „დომინო“ განსხვავებულია ალ. ბლოკის, ანდრეი ბელის, ედგარ პოს დომინოსაგან. იგი უფრო დანტეს დომენიკოს უახლოვდება.

„დომინო“ არის გალაკტიონის პოეზიას ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის — ღმერთის ძიების, მისი პოვნისა და ქრისტიანული რწმენის შეუღალავად დაცვა-შენახვას იდეის მხატვრული ხორცშესხმა განუმეორებელი სახე-სიმბოლოებით“ (იხ. ვრცლად „გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო“, „უნივერსალი“, თბ., 2018, გვ. 264-274).

ფიქრობთ, გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა ათეისტური, ღმერთისუარყოფელი ეპოქის ტრაგედიის, კატაკლიზმების ჩვენება, რაზედაც მინიშნებულია სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით.

ურწმუნოებაზე მიმანიშნებელი სახეებია გათელილი, გაყინული, გაუჩინარებული, გადაშენებული, გარდაცვლილი ყვევაილები და მისი ვარიაციები.

ანალოგიური ქვეტექსტის შემცველია ჩასული, ქიმერებში ჩავარდნილი, ლანდად ქცეული, გარდაცვლილი მზისა და დაკარგული მზიანი ღამის, დამშრალი და ამღვრეული წყაროს პარადიგმები.

ულმერთო ეპოქის სატკივარს გამოხატავს დავიწყებული სიყვარული, გამქრალი ზაფხული, დაღუპული ხომალდები, გამხმარი ვაზები, თოვლიანი ალგები, მითოვებული გზა, ძველი წიგნების არეული გვერდები, ძველი დღეების მოგონება, ჩამქრალი სანთლების სახეები, მაგრამ პოეტი მუდმივად „საბედნიერო სულის“ ძიებაშია და მისი პოვნის იმედით ცხოვრობს, არასდროს არ წყვეტს კავშირს უზენაესთან (იქვე, გვ. 10-85).

მარიამ ღვთისმშობლის უარყოფაზე მისანიშნებელი მაგალითებია ჯვარზე გაკრული ელვა—პოეტის ლურჯი და, შედამებული და დაბინდებული მთა, კუბოში ჩასვენებული, დანგრეული ზეცა, გამქრალი ფარული ცა, დაჭრილი ღრუბელი, დანგრეული გრაალის კოშკი, გადაშენებული, დამჭკნარი ია, ელვისგან დაღუნული დედოფალი ალვა, თოვლში დაცემული ზამბახები, უდაბნოში გაუჩინარებული მანდილი, ჩამქრალი ლამპარი, ჩატეხილი ხიდი, გამქრალი სამოთხე, გაუჩინარებული საუნჯე, იაგუნდის ჩამქრალი შუქი, ბაცილებიანი მთვარე, უეზოო სახლი, სეტყვით დაღუპული ვენახები, ოხრად შთენილი ჩარდახი, მგლოვარე ქნარი, რადგან ელვა, და,

მთა, ზეცა, ღრუბელი, გრაალი, ია, ალვა, ზამბახი, მანდილი, ლამპარი, ხიდი, სამოთხე, საუნჯე, იაგუნდი, მთვარე, ეზო, ვენახი, ჩარდახი, ქნარი, მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლური სახელებია (იხ. „მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, „უნივერსალი“, თბ., 2011, გვ. 89–105).

ეთერ მგალობლიშვილს უპოვია გალაკტიონის მიერ ედგარ პოსგან „მზამზარეული ფრაზების დასესხების“ მაგალითები. გალაკტიონი: „მაგრამ სერაფიმს ბედვრულისთვის ესეც შეშურდა“ (გაშლილ წალკოტში).

ედგარ პო: „ჩვენ, მე და ჩემს ანაბელ ლის ერთმანეთი იმ სიყვარულით გვიყვარდა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული, რომელიც ჩემთვის და მისთვის ზეციურ ფრთოსან სერაფიმებს შეშურდათ“ (გვ. 138).

აღნიშნული სტრიქონების ანალოგიურობაზე მიუთითეს ირაკლი კენჭოშვილმა და რევაზ თვარაძემ.

გალაკტიონის „ვერხვების“ ერთი სტრიქონი: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ, პოს „ანაბელ ლის“ დასაწყისის პირდაპირ დასესხებას წარმოადგენს, ორივეგან წარსულზეა საუბარი, ნათქვამია ეთერ მგალობლიშვილის დისერტაციაში (გვ. 139).

ასევე შედარებულია ედგარ პოს „ოქროს ხოჭო“ და გალაკტიონის ჩანაწერის „მაგიური ხოჭო“ და კეთდება დასკვნა: „გალაკტიონის ხოჭო, ედგარ პოს მაგიური ხოჭოს მსგავსად, შეუცნობის შეცნობას, ამასთან ფარული აზრების გაშიფრვას ემსახურება“ (1, 140).

„გალაკტიონთან ედგარ პოს მსგავსი თემები და განწყობილებები და ინტონაციებია, მაგრამ განსხვავებულია გადაწყვეტა“.

„გალაკტიონის ცალკეული ლირიკული ქმნილებანი, მისი პოეზიის ზოგიერთი ნიშან-თვისების მსგავსება თუ სიახლოვე გაპირობებულია არა მხოლოდ ამერიკელი პოეტის უშუალო ზეგავლენით, არამედ ამასთან რომანტიკული ტრადიციით, რომანტიკული ესთეტიკური მრწამსით, სულიერი სიახლოვით, განცდათა თანხვედრით“ ასკვნის ეთერ მგალობლიშვილი (1, 141).

მართებულია საღვთო სიყვარულზე საუბარი გალაკტიონის ლექსში „უსიყვარულოდ“ და პარალელურად ანალოგიური მოტივის ძიება ედგარ პოსთან. ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში ედგარ პოს „იზრაფელ“ წარმოაჩენს ამ ასპექტში ყველაზე მეტად უზენაესი სიყვარულის იდეას.

მართებულია გარდასხეულების იდეის ძიება როგორც გალაკტიონის, ისე ედგარ პოს პოეზიაში.

დამოწმებანი

1. ეთერ აპოლონის ასული მგალობლიშვილი, ედგარ პო ქართულ ლიტერატურაში (1900-1920-იანი წლები) თბ., 1987
2. ირაკლი კენჭოშვილი, „გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა“, „მეცნიერება“, თბ., 1980.
3. „ცისკარი“, 1980, №9
4. ბიბლია, თბ., 2013
5. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, თბ., 1995
6. ვაჟა-ფშაველა ხუთ ტომად, ტ. I, „პალიტრა L, თბ., 2011
7. ნანა კუცია, უტაძრობის ტრაგედია, თბ., 1998
8. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
9. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ., 2012
10. ზეინაზ სარია, გ. ტაბიძის ინტიმურ-მედიტაციური და სამოქალაქო პუბლიცისტური ლირიკა, ნაწ. 1, თბ., 2011
11. სოსო სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002

ყორანი და მისი ვარიაციები გალაკტიონის პოეზიაში

მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა გამოირჩა განსაკუთრებული სიახლით როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. ამ პერიოდის ქართული მხატვრული სიტყვის რენესანსი დაკავშირებულია გალაკტიონის სახელთან, ის გვევლინება, როგორც ქართული პოეზიის ნოვატორი და რეფორმატორი.

თვითშეცნობილ პოეტურ გენიას — გალაკტიონს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული როგორც ერის, ისე საკუთარი მისია. ის ჩაბმული იყო „საერთო და სათვისტომო ომში“ და სრულიად ობიექტურად აცხადებდა: „...არცერთი ომი არ წაგვიგია“.

მსოფლიო პოეტობაზე პრეტენზია ნიშნავდა პარნასზე დამკვიდრებულებთან გაჯიბრებას, შეხმიანებას საკაცობრიო აზრის საჭეთმპყრობელებთან, პრეტენზიულთა „ქარავანისგან“ გამორჩევას, ხოლო ამის საწინდარი

იყო ღვთისგან მომადლებული ნიჭი. მისი ხვედრი ზეცაში იყო გადაწყვეტილი, ამიტომაც გაბედულად აცხადებდა: „...ზეცაზე სწერია ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები“.

ამ ურთულეს გზაზე პოეტის წანამძღვარი იყო ქრისტიანული ჯვარი, „გვიანი მტევნები“, „ზენიტზე მდგარი შორი პალმები“ — სიცოცხლის ხე, „დიდი საიდუმლო“, „უსაზღვრობა“ (ღმერთი), „წმინდა ემბაზი“ (მარიამ ღვთისმშობელი).

„ლექსთა შეჯიბრებაზე“ ცხადდებოდა „ინტეგრალებით“, ანუ მის შემოქმედებაში ინტეგრირებული იყო საკაცობრიო სიბრძნე, „მზეთა ორგია“ და მთვარის მაგია“ სწავადა (მზე ქრისტეს, მთვარე ჩვენი ზეციური დედის მეტაფორაა) პოლუსებს მოიხილავდა, „პირველ მერიდიანს“ ავლებდა პოეტურ გლობუსზე და ეს იყო არა უსაფუძვლო პრეტენზია, არამედ ობიექტური, გაბედული განაცხადი (ეფემერა) (1,225).

არც მაშინ აჭარბებდა, როცა თვითდაჯერებით გვიმხელდა: „მსოფლიო გლობუსს საგულეში თამამად ვიტევ“.

ბუნებრივია, ასეთი პრეტენზიულობის საფუძველს აძლევდა იმის რწმენა, რომ პოეტს ხელეწიფებოდა გაჯიბრება, ტოლივით გაპაექრება მსოფლიო აზრის გიგანტებთან.

ქართველი პოეტის სწრაფვას სიმაღლეებისკენ, კოსმიურისკენ, ბუნებრივია, განსაკუთრებული მონაცემები სჭირდებოდა, რაც გალაკტიონს თვით კოსმიური გადასახედიდან გამოარჩევდა.

სავსებით გასაზიარებელია მერაბ კოსტავას განაცხადი დიდი პოეტის მისამართით: „...გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი“ (გალაკტიონი) (2, 159).

დიდოსტატი კოსტანტინე გამსახურდია განსაკუთრებულად აფასებდა გალაკტიონის შემოქმედებას და ბრძანებდა: „მე ეგრე ვვარაუდობ გალაკტიონზე, მის სიჭაბუკეში განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინეს ვერლენმა და ედგარ პომ, მაგრამ სრულიად მიუდგომლად ვამბობ: გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, შორს გადააჭარბა“.

დიდი შემოქმედი საუბრობს „ქართული პოემის კოლოსალურ მემკვიდრეობაზე“ და ასკვნის: „მე პირადად ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიო

პოეზიას და გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება“.

კონსტანტინე გამსახურდია გენიოსებად მოიხსენიებს რუსთაველს, ვაჟას, გალაკტიონს, „ლურჯა ცხენების“ ავტორს ადარებს ედგარ პოს და ასკვნის: „...გალაკტიონმა ედგარ პოს გადააჭარბა თავისი შესანიშნავი ლირიკით“ (3,536).

ედგარ პოსა და გალაკტიონის შორეულ ნათესაობაზე საფუძვლიანი დაკვირვება ათქმევინებს როსტომ ჩხეიძეს: „გალაკტიონი ვერლენს დაღუპულ მამასთან აიგივებდა, ედგარ პო კიდევ უფრო მძაფრად და მოუცილებლად ასდევნებოდა მის ლირიკულ ხილვებს.

„ქართულ ხუთეულში თავისთვისაც დაიბევებდა ადგილს, მსოფლიო ხუთეულში კი ძალდაუტანებლად მოიხსენებდა ვერლენსაც და პოსაც და, რაც მთავარია, საკუთარ თავს არც აქ გამოტოვებდა“ (4, 352).

„გალაკტიონისთვის რომ გეკითხათ, მისი სიყმაწვილის ხანა გაცი-კროვნებულები ედგარ პოსა და ნოვალისის ლანდებით, თითქოს ეს სამნი ნავითაც მიუყვებოდნენ მდინარის ჩქერალებს და გალაკტიონს ოდნავადაც არ აკვირვებდა თვალნათლივი ხილვა ამ ორი პიროვნების, რომელნიც სხვათათვის შორეულნი გახდნენ და მართოდენ დიდი სახელები და წიგნის ბინადარნი — როგორც ლიტერატურის კლასიკოსებად აღიარებულნი, მაგრამ გალაკტიონი უფროს ძმებად მიიჩნევა ერთსც და მეორესაც. ძმები იყვნენ აბა რა, ისე ემშობლიურებოდა ერთიც და მეორეც“ (4,428).

„კონსტანტინე გამსახურდია ედგარ პოსა და შარლ ბოდლერს რომ შეუდარებდა და მტკიცედ განაცხადებდა, გალაკტიონმა შორს გაასწრო თავის მასწავლებლებს, ძალიან შორს გაასწრო — ეს სიტყვები გალაკტიონის სიცოცხლეში რომ თქმულიყო, ოდნავადაც არ იგრძნობდა თავს უხერხულად“ (4, 599).

ედგარ პოს პირველი კრებული გამოიცა 1827წ. მეორე -1829წ. მესამე -1831წ.

„ყორანი“ დაიწერა 1845წელს.

„ყორანმა“ გამოხატა პოეტის ტრაგიკული მსოფლმხედველობა. ცხოვრებაზე გულგატეხილი პოეტი შავი ყორნის სახეს თავის სიმბოლოდ ირჩევს.

„ლექსს გამოარჩევს მუსიკალობა, ალიტერაცია, რეფრენი“ (ნ. ორლოვსკაია, ამერიკული რომანტიზმი) (5,265).

საქართველოში 1886 წ. ჟურნალ „თეატრში“ გამოქვეყნდა ედგარ პოს „წითელი სიკვდილის ნილაბი“. თარგმანი შესრულებული იყო ი. რევიშვილის მიერ.

„ყორანი 1906წ. თარგმნა ვაჟა ფშაველამ. პოეტი ხელმძღვანელობდა ს. ანდრიაშვილის რუსული თარგმანით. დაიბეჭდა გაზ. „მეგობარში“ 1906წ. ერეკლე ტატიშვილმა თარგმნა ედგარ პოს მოთხრობა „სიჩუმე“.

1967 წ. კრებულში „ამერიკული ნოველა“ გამოქვეყნდა ახალი თარგმანები.

ჟურნალ „საუნჯეში“ 1979წ. №1 ასევე დაიბეჭდა ედგარ პოს თარგმანები.

ამერიკელი შემოქმედის პროზის თარგმანები, შესრულებული ზაურ კილაძის მიერ გამოქვეყნდა ორჯერ 1990წ. 17 მოთხრობა, 2011წ. ედგარ პოს მოთხრობები.

„ყორანი“ 1878 წლიდან ოცდამეორე თარგმნა (ედგარ პო, რჩეული ლირიკა, „დიოგენე“, 2001წ.)

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1845 წელს ნიუ იორკის გაზეთში და ავტორმა პონორარად მიიღო ხუთი დოლარი.

ინგლისში ეს ლექსი იმთავითვე ბესტსელერად იქცა.

ედგარ პო სიამაყით იგონებდა პოეტი ქალის – ედნა ბარეტის სიტყვებს: „ყორანმა“ ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ხალხი მოკადრებულია ამ ლექსის მუსიკით. ბევრისგან მსმენია, რომ რეფრენი „ნევერმორე“ აჩრდილივით თან სდევს ადამიანებს“ (6,4).

1913 წ. „ოქროს ვერძში“ დაიბეჭდა ედგარ პოს „ყორნის“ თარგმანი.

„ცისფერყანწელები“ დაინტერესდნენ ამერიკელი კლასიკოსის შემოქმედებით.

გალაკტიონ ტაბიძე გამუდმებით თვალყურს ადევნებდა ქართულ თუ მსოფლიო პროცესებს და 1955წ. წერდა: „რაც შეეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფილოსოფიურ და ლიტერატურულ შეხედულებებს, მას ძლიერ ბევრი საერთო ჰქონდა ედგარ პოსთან“ (ძვირფასი საფლავები) (7,63).

ყორნის სახით დაინტერესებას უძველესი დროიდანვე იჩენდა მითოლოგია, მხატვრული ლიტერატურა. ეს ფრინველი ითვლებოდა უბედურების, ტრაგედიის მაცნედ, ამიტომაც მისი მოვლინება იწვევდა წუხილს, შფოთვას. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემას ყოველი დროის შემოქმედი თავისას

მიუზღავდა, მაინც მსოფლიოში გახმაურებული სახე — სიმბოლოა დიდი ამერიკელი პოეტის ედგარ პოს „ყორანი“.

„ყორანის“ შინაარსობრივმა გამჭვირვალობამ და უაღრესმა მუსიკალურობამ ეს ლექსი ინგლისურენოვან სამყაროში საყოველთაოდ მისაღები გახადა.

„პოს ლექსში ორი პლანი უნდა გამოვარჩიოთ: გარეგნულ-შინაარსობრივი და სიმბოლურ-მეტაფორული“ (როლანდ ბურჭულაძე, ედგარ პო და გალაკტიონი) (8, 148-170).

„ყორანის“ სიუჟეტში თავად ყორანი შემდეგ გაჩნდა, პირველად პოეტს მის ადგილას თუთიყუში ჰყავდა გამოყვანილი, ...რაც ყორნით შეიცვალა, ეს ქმნიდა შესაძლებლობას, რომ ლექსში წარმოშობილიყო წყალქვეშა დინება. ყორანი მიჩნეული იყო აპოლონის წმინდა ფრინველად, ის მზის ღმერთის მაცნეს წარმოადგენდა“ (8,165).

ედგარ პოს ლექსში ყორანი ავტორის მიერ დახასიათებულია, როგორც „ბნელი უფსკრულის რაინდი, მისანი, ქაჯის მოგზავნილი (ყორანი, თარგმანი ვ. ჭიჭინაძის) (6,123). დემონური თვალების, სიკვდილის შავი გედი, ეშმაკის სული, მოგზავნილი (თარგმანი ვ. თუმანიშვილის (6, 124-126). „ბნელი ასსახა, ჯოჯოხეთის ძველი სული ჰადესიდან, ბნელმეტყველი, შავი სული, ავის მაცნე, შავი მისანი, ბნელბუნებოვანი (თარგმანი ვ. ჯანდიერის) (6, 121-124), უნასი, ავბედითი, მაცილი, იქედნე, გველის ნაშიერი, ბილწი ხიზანი, ბორბოტი სული, მაცილი, დემონი (თარგმანი ვ. ნიშნიანიძის) (6,200-206).

ლექსის მიხედვით, ღამე ვიღაც აკაკუნებს პოეტის კარზე, რომელიც დაოსებულია „სიბრძნის წკვარამით“. პოეტი გონებაში წამდაუწუმ იმეორებს თავისი ძვირფასი მიჯნურის — ლენორას სახელს. კაკუნის ორჯერ გამეორების შემდეგ ოთახში შემოფრინდება შავი ყორანი, როგორც „სეფე-კაცი ანუ თავადი გულგოროზი, ამპარტავანი“ და ათინას ღამამ ბიუსტზე იკავებს ადგილს. ხოლო როცა მასპინძელი სახელს ეკითხება, მისი პასუხია „აღარასოდეს“. პოეტი იმედოვნებს, რომ ძველი მდგმურივით ისიც გაეცლება, მაგრამ როცა ეს შესთავაზა, პასუხი იყო იგივე — „აღარასოდეს“.

ძალზე ძლიერია პოეტის ინტერესი, ჩაწვდეს, რა იმალება ამ ერთ სიტყვაში და ყორნის პირისპირ დაჯდა, რათა გაეგო, თანაგრძნობის იყო ეს სიტყვა, თუ მუქარის: „მან ისევ შემკრა ჯადო-თილისმით, ისევ გამიწყდა

ფიქრის გვირისტი. — უნდა ჩამოვჯდე ყორნის პირისპირ, იქნებ მივუხვდე ოინბაზობებს, უნდა გავიგო, ასე უგვანი სახე აღსავსე ოდენ მუქართ და ეს უნდოთა ურცხვნი გუგანი დამცინიან თუ მითანაგრძნობენ, დიახ, ეს ურცხვი და ეს წუნკალი თვალეები იქნებ მითანაგრძნობენ ცივი ყრანტალით — „აღარასოდეს!“

ლექსის ავტორს ისეთი განცდა ეუფლება, რომ მის წინ იქედნეა, გველის ნაშიერი.

უცებ ოთახში ამო საკმევლის სურნელი დატრიალდება, თითქოს სერაფიმიმა მოაფინა ეს ნელსურნელება „უნაპირო სევდის“ დასავიწყებლად, ჭმუნვის დასაძლევად, რაც ლენორას სახელს უკავშირდებოდა, მაგრამ ფრინველმა ავის მაცნესავით ისევ გაიმეორა „აღარასოდეს“.

ამ „ბილწ ხიზანს“, „მაცდურს თუ გულთმისანს“ პოეტი ისევ და ისევ ეკითხებოდა, მოეფლინებოდა თუ არა იმედი, მაგრამ პასუხად ისევ გაისმა „აღარასოდეს“.

და ლექსში ისევ გრძელდება ყორნისადმი შეკითხვა, ლენორას სულს თუ მისწვდება პოეტი: „მარქვი თუ ჩემი სული ხანდახან მისწვდება ლენორას გარსთა გადაღმა და იმ ღვთაებრივ ცეცხლით დადაღავს, მიწას რომ ცასთან ათანასწორებს? ყორანმა ბრძანა: „აღარასოდეს“.

შემდეგ კი წყევლა აღევლინება უნასს, მაცილს: „მაშინ ბოროტო სულო, გამცილდი, კვლავ გვაშორებდეს დრო და მანძილი და დაუბრუნდი ისევ მაცილის კარს, უნასები სად უნასობენ, აღილე შენი შავი ნისკარტი, გულს უმოწყალოდ რომ მისისხლავდი და განერიდე მიწყვი სიცხადის ზღვარს და სიზმართეს მიესასოვე, განვედ, ცხოვრების ვით განმკიცხავი და სიზმარეულს მიესასოვე, ხოლო ყორანმა: „აღარასოდეს“.

ლექსში ყორანი წარმოისახება, როგორც „ცივი და ქუში ყომრალი, დემონი, მძორი მეტყველი და მოაზროვნე“, რომელსაც სულში დამის სიმრუდე შემოაქვს.

ლექსის უკანასკნელი სტროფის ბოლო სტრიქონში ირკვევა ავტორის განზრახვა, ყორანი აქციოს „მწუხარე და დაუსრულებელი მოგონების სიმბოლოდ“ (6, 108).

პოსთან ყორანი გვხვდება ასევე მალშტრემის ანძაზე.

ედგარ პოს შემოქმედებაში ასევე ყურადღებას იქცევს ყორნის ვარიაციები: ქორი, სვაი.

ლექსში „სონეტი მეცნიერებას“ პოეტი ეკამათება ვაიმეცნიერებს, რომლებიც თავიანთი უმართებულო კომენტარებით „ელფერს უკარგავენ ყველა თემას, რასაც მცდარად განჭვრეტენ. ასეთი მეცნიერი „ქორის ბრჭყალებით“ კორტნის პოეტის გულს, მოსაწყენ რეალობაში ტრიალებს, შებლუდული მოაზროვნეა და სხვასაც ბოჭავს მიწაზე მოსული, როცა „თვალმარგალიტი, სიბრძნე ზეცაშია საძიებელი“ და მხოლოდ სულის ფრთებით მომადლებულთა ხვედრია „მისი წვდომა“ (6,38).

მოთხრობაში „ლიგეა“ სვავის სახე ამორალურ, ავხორც ადამიანზე მიგვანიშნებს: „გარეგნულად სულ სახემშვიდი ლიგეა უფრორე მოუდრეკდა თავს დაუოკებელი ვნების მძვინვარე სვავეს“ (9,91).

ედგარ პო მრავალგზის აკეთებს თვალზე აქცენტს, ხოლო მოთხრობაში „გული გამოქმელი“ (9, 128-133) „მოხუცს სვავისას მიუგავდა თვალი“, რაც აღიზიანებდა ერთ მეზობელს და ამიტომ გადაწყვიტა მისი მოკვლა.

ამ ნაწარმოების თარგმნა უცდია გალაკტიონს, რასაც გვამცნობს გალაკტიონისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის „უცნობის“ ავტორი ვახტანგ ჯავახიძე.

„ედგარ პოს პოეტურ სამყაროში გასეირნებამ გალაკტიონის პოეზიაზეც დატოვა წარუშლელი კვალი, მისი არაერთი ლექსი ამის დადასტურებაა“, (8,169).

მსოფლიო მასშტაბით ყორანზე შექმნილი ნიმუშებიდან გალაკტიონი განსაკუთრებით გამოარჩევს ედგარ პოს. „კოსმიურ ორკესტრში“ ნათქვამია: „მაგრამ შავ ყორანის სუნთქვა ვინ აზიდა? ეს ხომ იგი არის... ედგარს გაუმარჯოს“ (10,318-322).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში მრავალგზის გვხვდება ყორანი და მისი ვარიაციები: ყვავი, ქორი, ძერა, ჭოტი, ბუ, მიკოტი. ეს სახეები გამოყენებულია ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ ჭრილში.

ამ ციკლიდან ყორანის ედგარ პოსეულ გააზრებას ყველაზე მეტად უახლოვდება გალაკტიონის „შავი ყორანი“ (10,12).

სიმაღლისკენ მზირალ ლექსის ლირიკულ პერსონაჟს სურს იხილოს „მთისა ქედები“, მაგრამ როგორც ამერიკელი პოეტის ლექსში ყორანი კრძალავს ბედნიერებას და აცამტვერებს იმედებს, ამ შემთხვევაშიც ყორანი თავისი ჩხავილით ხელს უშლის იდეალისკენ სწრაფვას: „გზა გავიარე...

მსურს მოვიხედო და დავინახო მთისა ქედები. შავი ყორანი გზაზე მომჩხავის: „ნუ იხედები“, ნუ იხედები!“.

დიდ გზაზე მავალ, მაღალი მიზნისკენ ორიენტირებულ პოეტს ისევ ყორნის ჩხავილი უშლის შორს ცქერას, უკლავს იდეალის მიღწევის რწმენას: „გზაზე მივდივარ, მსურს გავარკვიო გასავლელი გზის სივრცე უცვლელი, შავი ყორანი ისევ მომჩხავის, შორს ნუ გასცქერი, შორს ნურვის ელი!“

ირგვლივ ბნელდება, უფრო და უფრო ჭირს უკუნეთში გზის გაგნება, ხოლო ყორანი ისევ ჩხავის გამარჯვების ნიშნად და „ფრთას ფრთას“ შემოჰკრავს.

როგორც ედგარ პოს „ყორანში“, გალაკტიონის ლექსშიც შავი ყორანი წარსული უბედობის მოგონებაა, განცდილი ტრაგედიების შეჯამება: „გადიფრინა და მომაგონა დრო — უბედობის გვერდით მხლებელი, ჟამი — ყველაფრის მქნელ — გარდამქნელი, სივრცე — ყველაფრის მიმტვევებელი“.

„გალაკტიონის „შავ ყორანში“ შესაძლებელია იგრძნობოდეს როგორც ნ. ბარათაშვილის „მერანის“, ასევე ედგარ პოს „ყორანის გამოძახილი“, წერს ირაკლი კენჭიშვილი (გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა, „მეცნიერება“, თბ., 1980, გვ.66).

ამასთან, მეცნიერი საუბრობს „ედგარ პოს „ყორანის“ და გალაკტიონის „ფარდების შრილის“ მსგავსებაზე (იქვ. გვ. 66).

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს რევაზ თვარაძე წერილში „ედგარი მესამედ“ („ცისკარი“, 1980, №9, გვ. 128-133).

ამერიკელი პოეტის ლექსში ყურადღებას იქცევს ლირიკული პერსონაჟის დგომა გალაადის მთებთან (კოტე ყუბანეიშვილის თარგმანი), ხოლო კოტე ჯანდიერის ნათარგმნ „ყორანში“ ფიგურირებს „ჰალაადის ძველი ეკვდერი“.

ორივე შემთხვევაში პოს გალაადის მთა და გალაკტიონის მთა ოქროს საწმისს, ანუ გრაალს გვაგონებს, რადგან ოქროს საწმისს უკავშირდება „ხსნის მთა“ და გალაადი.

„ოქროს საწმისი“ ედგარ პოს „მოჯადოებულ ბოქლომშიც“ გვხვდება, ხოლო გრაალი, გრაალის კოშკი, საწმისი გალაკტიონის ორი ლექსის (მზეო თიბათვისა, ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი) თემაა.

„გრაალი არის სიმბოლო კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდის, ღვთისმშობლის (ზვიად გამსახურდია) (11,38).

რენე გენონი დასაშვებად მიიჩნევს გრაალისა და წიგნის იგივეობას (გრაალის სიმბოლიზმი, ფრანგულიდან თარგმნა თამარ ჯაყელმა, (12,3).

ამკარაა, გალაკტიონი არა შევირდის თავმოდრეკილობით, არამედ თავდაჯერებით მიჰყვება დიდი წინაპრის გზას, ედგარ პოსავით მოიაზრებს ყორანს ბოროტების სიმბოლოდ, თვითონაც უმაღლესი იდეალისკენ ილტვის, თუმცა ამჯერად, დახშული აქვს სიმაღლისკენ სავალი გზა.

ერთნაირი უბედობის მაცნეა ედგარ პოს „ყორანში“ ყორნის მიერ გახმაურებული ნეგატიური შინაარსის „აღარასოდეს“ და გალაკტიონის ყორნის „ნუ იხედები“, „შორს ნუ გასცქერი, შორს ნურვის ელი“.

ედგარ პოს „ყორანის“ „ინტერტექსტუალურ კვალს“ ხედავს ზაზა შათირიშვილი გალაკტიონის ლექსებში „ედგარი მესამედ, ათოვდა ზამთრის ბაღებს, მე მოვალ, რამდენიმე დღე პეტროგრადში, შიში, საუბარი ედგარზე „ყორანი, მწოლარე, ახალი მოსახლეობა“ (გალაკტიონის „მშობლიური“ და „უცხო“ ინტერტექსტები“ (13, 124).

გასტონ ბუაჩიძის აზრით, „პოს აჩრდილი, მეტადრე მისი ყორნისა, ოღონდ პერიფრაზირებულად, ბატონობს მთელს კრებულში“ (იგულისხმება „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“). ამერიკელი პოეტის შემოქმედება სახელდება, როგორც „განწირულთა შავი პოეზია“ (13,215).

თეიმურაზ დოიაშვილი აღნიშნავს: „გალაკტიონს ედგარ პოს ერთი სურათი აქვს დახატული თავს ზემოთ შავი ფრინველით, წარწერით — ედგარ პო. გალაკტიონი პოს საკუთარ ორეულად აღიქვამდა. ეს დიდებული ედგარ პო ლამის უსასრულობის სიმბოლოდ იქცა ქართველი პოეტისთვის“ (14, 273).

გოჩა კუჭუხიძეს ედგარ პოს „ყორანის“ გამომხატვრებად მიაჩნია გალაკტიონის ლექსები: „ყორანი“, „მე მოვალ“. მისი აზრით, „ობელისკში“ ბედისწერათან შებრძოლების ბარათაშვილისეული სული ცოცხლობს“ (14,270).

ზაზა შათირიშვილი ედგარ პოს კეთილისმყოფელ გავლენას ხედავს გალაკტიონის ლექსებში: „ედგარი მესამედ, ათოვდა ზამთრის ბაღებს, მე მოვალ, რამდენიმე დღე პეტროგრადში, ახალი მოსახლეობა, შიში, საუბარი ედგარზე“.

„მე მოვალ“ ცალსახადაა დავალებული ნ. ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას ყვაგ-ყორნებისგან, აცხადებს ზაზა შათირიშვილი, ამასთან, პოს ყორანთან

ავლებს პარალელურს ლექსებში „ათოვდა ზამთრის ბაღებს, რამდენიმე დღე პეტროგრადში, შიში“ (13,144-147).

გალაკტიონის ლექსში „ყორანი“ ყორნის მოვლინების, სანთლის ჩაქრობის და წვალებით სიკვდილის მოლოდინია: „ყოველთვის მგონია, გადიფრენს ყორანი და სანთლებს ჩააქრობს თვალების ალვაში, თვალები, ეს ლოცვით დამწვარი ქალ-ვაჟი, წვალებით მოკვდება (ოხვრა, პასტორალი)“.

შემოჩვეული აჩრდილის სისხლიანი ხველების მოლანდების, მისი თვალთმაქცური ძმობის მიღმა იკითხება სისხლის წყურვილი, „ფარულ ხველებით“ მის წინააღმდეგ ავი სულების მოგროვების სურვილი: „ყოველთვის მგონია: ჩემს სახელს ნაცნობი აჩრდილი თან დასდევს სისხლიან ხელებით, უცნობებს ეძახის ფარული ხველებით და მე კი თვალს მიხვევს ალერსით და ძმობით“.

ყორნის გახსენება იწვევს სიბნელეს, მათხოვარ-ქურდების მოლანდებას, თვალთმაქცობას: „ყოველთვის მგონია, რომ სცივათ ნაპრალებს და როცა ბნელ ღამით ბინაში ვბრუნდებით, ის მიცდის კარებთან მათხოვარ-ქურდებით, ტირილით წარსულში ვიღაცას მამბრალებს“ (ყორანი) (15, 96).

სხვადასხვა სიტუაციაში, მრავალგვარი ვარიაციით მოიაზრებს გალაკტიონი მსოფლიო პოეზიის ამ მარადიულ სახეს.

„თეთრ პელიკანში“ (15,170) მადათოვზე ყორნის გადმოფრენის ფიქრი ჩნდება ზამთარში, „უქმი, შემაქცევარი საზანდარის“ რეკვისას, როცა ისმის „საიათნოვას დაჟანგული ჰანგები“, როცა სული ტირის და „ფიროსმანის სევდიანი ტვირთების“ გახსენება „სიზმარივით მღვეარი ზამთრის“ წასვლის მოლოდინით იცვლება. ლექსი იმედიანი აკორდებით მთავრდება, რადგან ძველი ოცნებით ღამეთა მთვეულ პოეტს კიდევ ბევრი სადღეგრძელოს აღვლენის მოლოდინი ავსებს: „ოცნებაო, ჩემო ძველო, ვართ ღამეთა მთველო, კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაუღვეველი“.

ლექსში ზამთარი, ყორნის მოვლინების შიში პოეტის დიდი ძალის-ხმევით მარცხდება.

ყორნების ჩხავილი, „უნაზესი დამის მენესტრელის“ (ალ. ბლოკის) გარდაცვალება, ნოვალისის ოცნების ყვავილის თოვლსა და სილაში დამარხვა, ბნელი ღამის ფიქრების მოძალებაა ლექსში „აღარ არის მენესტრელი“: „ეს ოცნება არის ჭრელი, ფიქრი ბნელი ღამისა, აღარ არის მენესტრელი“.

უნამესი დამისა. იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი, თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილი“.

მაგრამ ცხოვრების კანონზომიერების, მისი ავ-კარგის მონაცვლეობის შემცნობი პოეტი დარდებს ებრძვის, მიზნის ერთგულებით, მარადიული განმეორების იმედით ამარცხებს მწუხარებას: „მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ, ოცნება ნუ გშორდება, ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება“ (15, 207).

ლექსში „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ რევოლუცია აღიქმება, როგორც ყაჩაღობა, შავი გულისნადების ქარი, სიავის გრძნობა, უგზობობა, გარების დაღეწვა, ურწმუნობა, ძარცვა, გულცივობა, ძალმომრეობა, სიკვდილი, რასაც მოასწავებს უამინდობაზე მიმანიშნებელი ყორნის მოვლინება: „...ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა, თან მეფიცება ძმობას და დობას და ყორანივით უცნობის სკრიპკა ჩემს მხართან ტირის უამინდობას“ (15, 135-136).

განუკითხაობა — შეუბრალებლობის შემზარავი დაგვირგვინება ყორნის ბრჭყალებით ქალის ნაზი ხელების ჰაერში დათრევა: „და როგორც ყორანს დააქვს ბრჭყალებით ჰაერში ნაზი ხელები ქალის — სიმები სწეწენ შეუბრალებლად ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს“.

რევოლუციის შთაბეჭდილებით არის დაწერილი „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, რომელშიც თოვლის, ქარის, უდაბურების ფონზე შავი კუბო და ყორნების საუბრები გვზარავს: „ყორნების საუბარი: დარეკე! დაუბარე! ათოვდა ზამთრის ბაღებს“ (15,91).

შემთხვევით არ უჩნდებოდა პოეტს ყორნების ასოციაცია, როცა რევოლუციაზე წერდა. წინასწარმეტყველური ინტუიციის მომადლებულმა უცდომლად გაიაზრა რევოლუციის სახით მოვლენილი ძალმომრეობის შედეგები.

ყორნის კლანჭებით ქენჯნაა ლექსში „მე მოვალ“, რომელშიც ლექსის ლირიკული პერსონაჟი მიჯაჭვული ამირანია: „...თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები, ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს ვიღაც ფრთებს მივეცავს, აჰა, ვიტანჯები“ (16,171).

ლირიკული პოეზიის ეს ნიმუში აკაკი წერეთლის „ამირანის“ ასოციაციას იწვევს, რომელსაც ასევე ყვავ-ყორნები ესევიან...

სიკვდილის, აღსასრულის მომლოდინე სულს ყორნის ფრთის მოქნევა ელანდებოდა: „დღე დაიწურვის და საცაა დამიღამდება, გაქრება ყორნის ფრთის მოქნევით ჩემი სანთელი“ (დღე დაიწურვის) (16,431).

ყორნის ხმა და „ვაზა ვატეხილი“ წინასწარ ამცნობს პოეტს ხოლერის მოვლინებას, რასაც ეწირებიან მისი თანამემამულეები (შიში) (17, 184–187).

ცრემლიანი, დაღუპვაზე მღალადებული „შავი ყვავილის“ სახით გვევლინება ყორანი ლექსში „ყორანის ცრემლები“. ნისლი, წვიმა, უბინაო ბავშვების სიცვიეში ძრწოლა, უპატრონოდ მიგდებულთა ხილვა, ცრემლიანი ყორანი აღვიძებს სიბრაულის გრძნობას: „ყორანს ცრემლით უმძიმს უბე, როგორც შავი ყვავილი — დავილუბე, დავილუბე ისმის მისი ჩხავილი, ნისლი, წვიმა, თრთიან გარეთ უბინაო ბავშვები. მეცოდება ვილაც მწარედ, ვილაც ხელგანაშეები (15,133).

ფილოსოფიურია „ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა“. ლექსის მიხედვით, ცათა ცა (ბიბლიის მიხედვით, „ცანი ცათანი“) ღმერთის, ანგელოზების, წმინდა სულების სავანეა, სადაც იხსნება, „ლაჟვარდი ბროლის“ და მზე უდაბნოშიც ანათებს.

უბნეაესი ცის პარალელურად, არსებობს ჯოჯოხეთის ცა, ჯოჯოხეთის მზე, ანგელოზების მონაცვლეა შავი ყორანი: „...ერთნი დასქერენ ცას სიმაღლიდან, ჯოჯოხეთიდან ცას მეორენი. ანგელოზები პირველთ ვერ ღლიდნენ, ვერც დანარჩენებს — შავი ყორანი“.

საბოლოოდ კი „ერთია ორივე ჩრდილი“, ანუ ცხოვრებაში სიკეთე — ბოროტების, წარმავლობა — მარადიულობის, ანგელოზისა და სიკვდილის დემონის მონაცვლეობაა (17,136).

ზღვა, ოკეანე პოეტის გენიის მახასიათებელია: „ზღვა ახმაურდა, ეს ნიშნავს, რომ ახმაურდა გენია“, აცხადებდა პოეტი ლექსში „რას ნიშნავს ზღვა ახმაურდა?“

ლექსში „ჩვენი შავი ზღვა“ პოეტის ზღვისებური ფიქრების გაღვიძებას ყორნისფერი გემი აღმგზავრება: „ზღვა იღვიძებს, ვით ფიქრი ჩემი. მის ხერხემალზე ყორნისფერი ქანაობს გემი“ (18,204).

„აფრიალებული ყორნების გუნდი“ გრიგალთან ერთად, ცას ფარავს ლექსში „აფრიალებულ ყორნების გუნდი“ (17,531).

ბარათაშვილის ხალხის თანამდევია „თვალბედიტი შავი ყორანი“ (საუბარი ლირიკის შესახებ)(18,124–125).

ყორნის პარალელურად, გალაკტიონი ხშირად მიმართავს ქორის, ყვავის, ჭოტის, სვავის, მიკიოტის სახეებს სხვადასხვაგვარ ჭრილში.

ქორი საუკუნის მახასიათებელი სახეა ლექსში „ბრმა ცალი თვალით“, რომელშიც პოეტმა თავისი თანამედროვე ეპოქა, ერთი მხრივ ქორს, ამასთან მეფისტოფელს — გოეთეს „ფაუსტის“ ბოროტ სულს შეადარა: „მან დაიბრმავა ეს თვალი განგებ და ამნაირად გახდა ცბიერი, მეორე თვალში არის განგება, მეტი სიმკაცრე და სიძლიერე. უმარუდლინ დენათა შორის მწარე დაცინვით მათი მგმობელი, იგი ტრიალებს, ვით თვალი ქორის, ეს საუკუნე — მეფისტოფელი“ (15,189).

ფეიქრობთ, ცალი თვალით ხედვა ათეიზმის, ურწმუნოების მახასიათებელია, რომელიც შეფიცულია ბოროტ სულთან-მეფისტოფელთან.

ლექსი „მე მივდიოდი ერთი“ — ეს „ერთი“ თვითონ პოეტია, ნიჭით, შედეგებით გამორჩეული, რომელსაც აემგზავრებიან მიმდევრები — „ლეგიონები“, მაგრამ შურიანი „ქორი“ ვერ ისვენებს და ბოროტად უთვალთვალებს ოსტატ-შეგირდთა ტანდემს (1, 531).

ქარისგან ბუდიდან გადმოვდებული, ტყეში მიწას მიხილილი ყვავის ბახალის ტირილია“ ლექსმა „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა“ (1, 287).

„ავდრის მოლოდინში“ ქორი და არწივი სულიერ ავდარს, ურწმუნოებას უმზადებენ პოეტის ეპოქას, მაგრამ „სერაფიმის ცისფერი სულით“ გამორჩეული პერსონაჟი ლექსისა მებაღესთან (ღმერთთან), „ძველ გაბაფხულთან“ (გაბაფხული, ძველი ქართულით ზაფხული საღმრთო სახელია დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში) კავშირს არ წყვეტს, რათა სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ მრწამსს უერთგულოს.

ლექსში „კავშირი გულთა შორის“ ქვეყნის გამარჯვების საწინდრად დასახულია ხალხის ერთიანობა, თანამემამულეთა მიერ გამოვლენილი ორბისებური და ქორისებური შემართება: „უძლეველია ციხე ბუდე ორბის და ქორის, რაიც აავო დიდმა კავშირმა გულთა შორის“ (20,211).

ლექსში „ჰაერი“ „მარმარილოდან უდროო დროს არენილ ქორის ზეცად ავარდნილ შადრევნებით“ მიგვანიშნებს პოეტი მარადიულთან წარმავლობის დაპირისპირებას (20,55).

„ღამის რაინდი ჭოტი“ და „ავდრის მგელი“ ელანდება პოეტს ევროპაში და მათი „ბუნაგების“ მიგნების იმედი ასულდგმულებს (ევროპა, როგორ არ იცი) (20,195).

ქარშიც, წინააღმდეგობების დროსაც ცდილობს ქორი რაღაც გაიტაცოს: „ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს“ (მატარებელში) (20,119).

პოეტის მიერ ჩვენი ისტორიის, წარსულის მოვლენებში ჭკრეტა წარმოაჩენს მტრობას, ქვეწარმავალთა სისინს, სიბნელის მაცნეებს, გესლს, რომელსაც სურდა რუსთაველის გენიის ჩაკვლა, ვაჟა-ფშაველას დეკას და ღვიის მოშხამვა, რომელმაც მოახერხა ილია ჭავჭავაძის მზიურ შუბლში ტყვიის დამიზნება, ბარათაშვილის მოწყვეტა მშობლიური მიწიდან, ყაზბეგის გაგიჟება.

პოეზიის მარადიული თანამდევი ეს ბოროტი სული სიმბოლიზებულია „ბედითი ძერის“ სახეში: „...და პოეზიას, ვით ბედისწერა, ბნელ მწუხარებით იცვალა ჟღერა, ყოველი მხრიდან, ყოველი მხრიდან დასტრიალებდა ბედითი ძერა“.

პოეტს სურს ირწმუნოს, რომ ჭაობები, ურწმუნობა შეცვალა სალი კლდიდან წყაროს ამოხეთქვამ, ანუ რწმენამ (კლდე მარიამ ღვთისმშობლის, წყარო ძე ღმერთის სიმბოლოა), რომ ათეიზმი შეიცვლება ღმერთისკენ მიბრუნებით, მარადიული ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებით (ისტორიის ახალი გვერდი) (16, 555).

ლექსში „ობელისკი“ „თეთრი მხრიდან“, ანუ თოვლიან-ყინულიანი ჩრდილოეთის იმპერიიდან მოტანილ დასაგმობ ობელისკს (არ სახელდება კონკრეტული ადრესატი, მაგრამ იგულისხმება, რომ ის სატანურ ბოლშევიზმს უკავშირდება) ავის მაცნედ თავს დასტრიალებს სასაფლაოს მხრიდან მოვლენილი ძერა (სასაფლაოც არ არის შემთხვევითი მინიშნება): „ობელისკს, თეთრი მხრიდან მოტანილს, ჩვენ შევცქეროდით ძახილით, დაგმეთ! და სასაფლაოს მხარიდან ძერა თავს დასტრიალებს, ვით ბედისწერა“ (16,175).

ოცნებისა და სინამდვილის დაპირსპირება ქორის ინტერესებშია: „...და უბოლოდ მიჰქრის, როგორც გაშვება ქორის, მწარე გათიშვა ფიქრთა და სინამდვილეს შორის“ (ოცნება და სინამდვილე) (15,339).

„ყორნის ყრანტალად ქვეულა ბულბულის სტვენა ჭალებში“, ჩიოდა ვაჟა-ფშაველა ლექსში „პასუხი ბაჩანას. მისი ლექსის გამო“ (21,188-189).

ფშაველი გენიოსის „ქებათა ქებაში“ ისევ ჭეშმარიტ ფასეულობათა აღრევადგა წუხილი: „ვირები ბედაურობენ, სვავი ბულბულობს დიახო“ (21,181).

ეს მარადიული სატკივარი, ჭეშმარიტების გამრუდების პრობლემა თავს იჩენს გალაკტიონის ლექსში „სხვები ჩხავიან, როგორც ყვავები“. უნიჭოთა

ნაბოღვარი ყვავის ჩხავილს არის შედარებული, ხოლო მათგან განსხვავებულია ორი შემოქმედი — პოეტი და დრამატურგი (თვით პოეტი და გრიგოლ რობაქიძე).

ამასთან ხაზგასმულია ავტორის ხილვების განსაკუთრებულობა, ქართლის გენიის მარადიული დიდება: „სხვები ჩახვიან, როგორც ყვავები. ვერ გრძნობენ, რაა კარგი, ფაქიზი. არის განსხვავება: ორი ღიმილი ორთა ბაგებზე. პირველში ფანტასტი მეტია, მეორეში — ნაკლები. პირველი პოეტია, მეორე სპექტაკლები“.

აქცენტირებულია დიონისოს ორეულის ხილვა, ფანტაზიის განსაკუთრებულობა, მარადიული დიდების თანმხლები ქართლის გენია: „ემანება რა დიონისე, სხვაა მოჩვენება გალაკტიონისა, მას ვით არ სმენია დიდება მარადი და ქართლის გენია“ (15,122).

ლექსში „918“ ჭოტის კვილი, ძაღლის ყმუილი მოასწავებს უბედურებას: „...ეგოში სამჯერ იკვილა ჭოტმა, ზარით აზუვლდა ბებერი ძაღლი“, აქვე ლიანდაგს აცდენილი მატარებელით არის მინიშნებული ეროვნული იდეალების უარმყოფელ სამშობლოზე, ხოლო სახლის (ქვეყნის) ჩუმი ტირილი, ჭოტის კვილი და ძაღლის ყმუილი გვამცნობს მთავარი ორიენტრების დაკარგვას: „...არ მოგვესმოდა სახლიდან მოთქმა, მაგრამ საოცრად ტიროდა სახლი, ეგოში სამჯერ იკვილა ჭოტმა, ზარით აზუვლდა ბებერ ძაღლი“ (16, 269–271).

ევროპაშიც დაულანდავს პოეტს „ღამის რაინდი ჭოტი“, „ავდრის მგელი“, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მიგნებული იქნებოდა მათი ბუნაგები და ავდარი შეიცვლებოდა ზაფხულით (ევროპა, როგორ არ იცი) (15,195).

ლექსში „მუხა“ გალაკტიონის წუხილის მიზეზია მუხის ძველ ღრუში დაბუდებული ჭოტი (16,52).

მუხა ერის სულის სიმბოლოა და პოეტი ამხელს საქვეყნო საფრთხეს.

გურიის მთებშიც ყორნებისა და ჭოტების გადაფრენას შეუძრწუნებია პატრიოტი პოეტი (ავერ ღობიდან გიცქერს კამური) (20,68).

სასახლის აივანზე გამოჩენილი „თავხედი ყვავის“ ბოროტების მხილვებაა ლექსი „სასახლე ძველი“ (20,187).

„თებერვალს უხმობენ, თებერვალს, სამრეკლოს ჯვარიდან ყვავები“, წუხს პოეტი და ავბედითი 1921 წლის 25 თებერვლის ასოციაცია გვიჩნდება (შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში) (20,24).

პოემა „მშვიდობის წიგნი“ აჯამებს მეოცე საუკუნის საქართველოს ტრაგედიებს. მასში ჩვენი ქვეყნის მტრები არიან ჩრდილოელი ქაჯები, ვეფხვი, ძაღლები, სატანა, დევები, სვავები, ქორები, ჯოჯოები, ჭოტები. „აქაური და იქაური“ ჭოტები მეთაურობენ შეთქმულებას. მიზანი კი ჩვენი სამშობლოს ცის და მიწის ნაწილის ხელში ჩაგდებაა, რასაც, ნაწილობრივ აღწევენ კიდევ. ნაწარმოებში აქცენტირებულია „ეს საუკუნე“, „მტერი მეორე“, ხოლო ამ საბედისწერო მოვლენების რეჟისორები არიან ურწმუნონი, ისინი მიზანში ამოღებულ ქვეყანას პარავენ „მშვიდობის წიგნს“ — რწმენას, რათა უფრო იოლად დაიმონონ. ესაა სოციალიზმის, სამართლიანობის სახელით მოსული ათეისტური იმპერიის ავბედითი მიზანი. ქვეყანა გადარჩება, მაგრამ დანაკარგების ფასად და ეს მწარე გაკვეთილი კიდევ ერთხელ არწმუნებს შუამთის სახელით მოქმედ სამშობლოს, რომ უპირველესია რწმენა და დამღუპველია ქაჯთა, ჯოჯოების, სვავების, ჭოტების ავბედითი ბრახვების წინაშე ქედის მოხრა. მიუხედავად იმისა, რომ პოემას ლეგენდა ჰქვია, აშკარაა მისი სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათი და მეოცე საუკუნის წინაშე მდგარი გამოწვევები ჩვენი ქვეყნისა, რაც წინასწარ იხილა პოეტმა და გააფრთხილა კიდევ თანამემამულენი არსებული საფრთხის შესახებ, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ ნოველაში „ტაბუ“.

პოემაში ბოროტების მოკავშირეებად წარმოჩენილი არიან ჭოტი, ქორი, სვავები.

„აქ სულის მხრხოლად შეიქმნა შფოთი, საღდაც მახლობლად აკივლდა ჭოტი“, ნათქვამია ნაწარმოების 205-ე გვერდზე.

ფაზისის ტრაგედიას ამზადებს „ზვავი“, ზეცაში გამოჩენილი სვავები: „ფაზისის დაეცა ზვავი ზრიალით, შეირყა ზეცა, გადმოიკეცა სვავთ ძალთა-ძალი“ (გვ. 138).

სვავებს მოსდევს სიბნელე, მუქარა: „...თვალთ მოქუფრება რად არ უქრება, რად ემუქრება სვავების მარაგს?“ (გვ. 141).

ხიფათის შემთხვევაში ბოროტების ქორულ მზერას. ზნე, მარიფათი უნდა დაუპირისპირდეს: „...ქორებრ თვალეები ექებდა მათი, არ იმალება

სადმე ხიფათი? თუ იმალება სადმე წვალეზა, კაცთ ევალეზა ზნე, მარიფათი“, ასეთია პოემეში მთავარი გაფრთხილება (გვ. 273).

აქვე პოეტი ასეთ შეგონებას გააჟღერებს: „ქარს ქარობა ხამს და ქორს ქორობა“ .

„ქარობა“ და „ქორობა“ ნეოლოგიზმებია (22,266).

ლექსში „ავდრის მოლოდინი“ პოეტის იდეალია ია, ზამბახი, ქალწული (მარიამ ღვთისმშობელი) ალვა, მებაღე (უზენაესის სიმბოლოებია), მაგრამ სახეზეა ჩამავალი მზე, „ქარი, ქორი, არწივი“ (წინააღმდეგობები, ურწმუნობა), რომლებიც ამკვიდრებენ უღმერთობას და პოეტი შფოთავს სულიერი ავდრის გამო (1, 88).

გალაკტიონ ტაბიძის დიდ პოლიტიკურ ალღოსა და ინტუიციას მოწმობს ლექსი „მამულო სიცოცხლე“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წინაგრძნობაზე და საზღვართან მოახლოებული „შავზე შავი სვავებით“ პოეტი ფაშიზმის საფრთხეზე მიგვანიშნებს (16,324-325).

საქვეყნო სატკივარს გვაგრძნობინებს გალაკტიონის ლექსი „არწივებს ჩასძინებოდათ“, რომელშიც „მკივანი მიკიოტები“ დროს იხელთებენ, ჩაძინებულ არწივებს ცეცხლს წაუკიდებენ და ისინი ველარ გაფრინდებიან. ვაჟასებური სატკივარი გაჟღერდება ლექსის ბოლოში: „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა, ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ველარა დგებოდა“ (17,120).

ლექსში ასეთი ფრაზა ამხელს მიკიოტების ბოროტებას: „ბნელ ღამეს ააქარცივებს მკივანი მიკიოტები.“ „ააქარცივებს“ ნეოლოგიზმია.

„სტუმართმოყვარე“ ერს არ ელევა ჭოტი, ავი ძაღლები, უმადურები (ჩვენში და მათთან) (20,347).

„გალმა-გამოღმა“ გამოჩენილი ჭოტები მხილებულნი და დამარცხებულნი არიან ლექსში „პროჟექტორი ეძებდა მტერს“ (20,94).

შინაური ჭოტის მხილებაა ლექსში „ჩემი მეეტლე“, რომელშიც „არტელის თავმჯდომარე კაცი კი არა, ჭოტია“ (20,172-173).

ჭიათურაში „შავ ქვაზე“ (მადანზე) მოგების მაძიებელ ეგოსიტთა — ყორანთა და სვავთა ღრიანცელია ლექსში „შავი ოქროს ქალაქი“ (20, 250-251).

„ათასეული ქორის“ ვერაგობებს გადარჩენილი „ჭადარა გორის“ დღეგრძელობის სურვილია ლექსში „მე მეგობრებს ვთხოვ“: „მე მეგობრებს

ვთხოვ, ასწიონ თასი და ადღეგრძელონ ჭაღარა გორი, აქ არა ერთი და არა ასი, არა, ათასი აშლილა ქორი“ (20,390).

ეროვნული ოპტიმიზმის გამომხატველია „ამირანი მიჯაჭვული“, რომელშიც ყორნების გუნდი ახვევია ამირანს, მაგრამ შავი ფრთები დაეწვებათ უკეთურთ, პალოს დააკვდებიან და ამირანი განთავისუფლდება (23, 67).

მამულის საზღვართან შავი ყვავების — ფაშისტების გამოჩენა გამარჯვების რწმენას ვერ აკარგვინებს პოეტს, რაც უტყუარი წინასწარმეტყველება გამოდგება (მამულო სიცოცხლეო) (24, 59-60).

ლექსში „სიმღერავ“ ჩხიკვთა, ყვავ-ყორანთა, ძერების სახით ნეგატიური ძალების მხილების აზრია. მტრების გამოჩენა ბრძოლისუნარიანობას, შემართებას აძლიერებს და უკეთურთათვის ღირსეული პასუხის გაცემის სტიმული ხდება: „...მტერი დაგვაკლებს ვერასა, დაჰკარი მარჯვნივ და მარცხნივ ჩხიკვს, ყვავ-ყორნებს და ძერასა“ (23,98).

მანანა გედევანიშვილი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონის აკადემიური გამოცემის XII ტომში (გვ. 484) დაბეჭდილ, ერთსტროფიან ლექსზე, რომელიც 50-იან წლებში უნდა იყოს შექმნილი. ეს არის ასაკოვანი პოეტის მიმართვა 17 წლის ასულისადმი: „ჩვიდმეტი წლის ასული ხარ ცქვიტი, მე გადავციდი ორმოცდაათს, მჯერა — შენს გულში ფრენს სიყმაწვილის ჩიტი, მე სიბერის დამტრიალებს ძერა“.

შესაძლოა, სწორედ ის ლექსია, რომლის დაწერაც აღუთქვა პოეტმა მშვენიერ გოგონას — მანანა გიგინეიშვილს (25, 484).

სიკეთე-ბოროტების მონაცვლეობის იდეა იკითხება ლექსში „აქ ხილულ ოცნებას“: „აქ ხილულ ოცნებას თან სდევენ ჯადონი. თოლია ქორსა ცვლის, არწივს — იადონი. ორ საწყისს ინახავს ახალი ათონი — აქ გული მონაა და თანაც ბატონი“ (24,197).

„თავდამსხმელი სეავი“ შინაურების გულგრილობის გამო გახდა უტიფარი ლექსში „ჩვენ შევექმენით, ჩვენი არის“ (24, 77-78).

„შავი ფრინველი“ დამცინავი ღიმილით დარაჯობდა სიახლის მსახურს, თავხედურად დასჩხაოდა, გზა-კვალს ურევდა, მაგრამ ორიენტირი მაინც ვერ დააკარგვინა ზღვის დ ოკეანის ტოლფართი სიბრძნით გამორჩეულს და ლექსის პერსონაჟი გაექანა იქ, „სად ხალხის ჰქუხდა უკმართობით დაძრული ზვავი“, სადაც იბოვა „მღელვარე ზღვა და ოკეანე“ (იქ, სადაც ყველა) (26,103).

გალაკტიონი ფართო მასშტაბით, იგავურად, დიდ პოლიტიკურ ჭრილში გაიაზრებდა ამ ნეგატიურ სახეებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დასახასიათებლად.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ღრმააზროვანი პოლიტიკური ქვეტექსტის შემცველი ლექსი „როცა ატლანტა შეუდგა სამხარს (17,193).

ატლანტას ესტუმრება სვავისთვალეზიანი სტუმარი, რომელსაც უმასპინძლდებიან, როგორც ჯერ არს, მაგრამ ის თავის ულუფას არ სჯერდება, ატლანტის ქვაბის კერძს მთლიანად შეხვრიბავს. გაცემული მასპინძელი გარკვევს, რომ სხვის საზრდოს დახარბებული სტუმარი ყოფილა ამერიკა.

ლექსში „სტანსები“ ფსევდოიდებები მხილებულია თბობას და მიკიოტის სახეების გამოყენებით: „...შენს იდეებში თბობა ხლართავს ქსელს და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე“ (26,124-125).

ოცნებასა და სინამდვილეს შორის ჩამდგარი ქორია მხილებული ლექსში „ოცნება და სინამდვილე“: „...და უბოლოოდ მიჰქრის, როგორც გაშვება ქორის, მწარე გათიშვა ფიქრთა და სინამდვილეს შორის“ (17,71).

ჩხიკვის, ყორნების, ძერას—როგორც ნეგატიური ძალების დაგმობის აზრია ლექსში „სიმღერავ“: „...მოყვრის გულს გავახალისებთ, მტერი დაგვაკლებს ვერასა, დაჰკარი მარჯვნივ და მარცხნივ ჩხიკვს, ყვაგ—ყორნებს და ძერასა“ (15,74).

ცრემლიანი, დაღუპვის მდგომარეობაში ყორანი მანც ეცოდება პოეტს (ყორანის ცრემლები) (27,45).

ირონიულია „ყვავის სიმღერა“, რომელშიც ყველაზე „ლამაზს, ფაქიზს, ნაზს უწოდებს ყვაგი თავის ბახალას (27, 54).

და კიდევ ერთი, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი გალაკტიონის ლექსი, რომელშიც ისევ ფიგურირებენ მისი ღირსეული წინამორბედები — არტურ რემბო და ედგარ პო.

ქართველი პოეტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს დინების წინააღმდეგ მავალ ედგარ პოზე, მის ყორანზე, მალშტრემზე, თავის პრინციპებზე: „სხვისთვის შორისა და უსაზღვროსი, ჩემთვის კი მარად უახლოესი — ისევ ხომალდი არტურ რემბოსი, ისევ მალშტრემი ედგარ პოესი“.

გალაკტიონი თავისი ახალგაზრდობის შეცდომებზე დადარაჯებულ მუხანათებს ედგარ პოს ყორნებს ადარებს და საკუთარ გადარჩენაზე

აკეთებს აქცენტს: „ახალგაზრდობის გამო ჩადენილ შეცდომებს ჩემსას უახლოესი ჩასცივებიან მოღალატენი, როგორც ყორნები ედგარ პოესი. იგი მღელვარე ცხოვრება ჩემი იყო პოეტი და იყო ურჩი, აქ თუმც ედგარის იყო მალშტრემი, ფიზიკურ სიკვდილს მაინც გადუარჩი (3,6).

ჭოტს უყვარს ბნელი მღვიმეები, ხის ფუტურო, ყორნების მიერ მიტოვებული საბუდარები“ ... ის ტყეებიდან ჩემს ფანჯარას მოაწყდა დილით, დღის სინათლეზე გამოსული ღამეთა ჭოტი“.

და ბოროტებასთან ჰუმანური და მოკიდებულების იდეა: „...სისხლის მსმელია, მაგრამ მაინც საცოდავია“ (ჭოტი) (22,74).

საერთოდ ჰუმანიზმი, მტრის მიტევება გალაკტიონის პოეზიის გამჭოლი თემა: „...ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით“...

ლექსში „სადაც ტყეების ისმოდა დარდი“ ქორის სახის გამოყენებით იქმნება გორის ტრაგედიის დაუვიწყარი სურათი: „უცებ მიწისძვრით დაქანდა გორი, წარსულთა წმინდა ცრემლით სოველი და სიმაღლეთა ქორით შორი მტკვარში ჩაეშვა სვეტიცხოველი“ (15, 209–211).

ადამიანის ფიზიკური აღსასრულიც ყორნის მიერ სანთლის ჩაქრობასთან არის ასოცირებული: „დღე დაიწურვის და საცაა დამიღამდება, გაქრება ყორნის ფრთის მოქნევით ჩემი სანთელი“ (დღე დაიწურვის) (24,431).

ურწმუნოთ, ბოროტეულთ ასე ემუქრება ღმერთი წმინდა წერილში: „ჭოტი და ზღარბი დაიმკვიდრებენ მას, ბუკიოტი და ყორანი დაიბუდებენ მასში. გასჭიმავს მასზე უსახურობას ლარს და უდაბურების შვეულს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 34,11)(25,551).

გალაკტიონ ტაბიძის ერთ–ერთი და უმთავრესი პრინციპი იყო სახე – სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, რაც განსაკუთრებით ამ ჭრილშიც გამოჩნდა.

პოეტმა ცხრა ათეულზე მეტ ჭრილშიც გამოიყენა ყორნისა და მისი ვარიაციების სახე ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ კონტექსტებში და მრავალ აქტუალურ პრობლემას მოჰფინა ნათელი.

დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
2. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“, თბ., 1990
3. კონსტანტინე გამსახურდია ათ ტომად, ტ. 8, თბ., 2007
4. როსტომ ჩხეიძე, კომიკოსი ტრაგედიაში, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, „ჩვენი მწერლობა“, თბ., 2016
5. გ. ხავთასი, შ. რევიშვილი, ნ. ორლოვსკაია, დ. ფანჩულიძე, ზ. გაჩეჩილაძე, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.) ნაწ. II, სახელმძღვანელო სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რედაქტორი ზ. ჭარხალაშვილი, „განათლება“, თბ., 1985
6. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ., 2001
7. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად, ტ. 12, თბ., 1975
8. როლანდ ბურჭულაძე, მხოლოდ ინტეგრალები, თბ., 2000
9. ედგარ პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, თბ., 2011
10. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, „პალიტრა L“, თბ., 2011
11. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990
12. „ლიტერატურული საქართველო“, 15 ოქტომბერი, 1992
13. გალაკტიონოლოგია, ტ. II, თბ., 2003
14. გალაკტიონოლოგია, ტ. IV, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2008
15. გალაკტიონ ტაბიძე ორ ტომად, ტ. I, თბ., 1988
16. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, „პალიტრა L“, თბ., 2011
17. გალაკტიონ ტაბიძე რჩეული, თბ., 1977
18. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 3, „პალიტრა L“, თბ., 2011
19. გალაკტიონოლოგია, ტ. III, თბ., 2004
20. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. II, თბ., 1994
21. ვაჟა-ფშაველა ხუთ ტომად, ტ. 3, „პალიტრა L“, თბ., 2011
22. გალაკტიონ ტაბიძე 12 ტომად; ტ. 11, თბ., 1975
23. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად; ტ. II, თბ., 1994
24. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1994
25. გალაკტიონოლოგია, I, 2002
26. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად; ტ. I, თბ., 1993
27. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად; ტ. II, „პალიტრა L“, თბ., 2011

ედგარ პოს ლენორა — გალაკტიონ ტაბიძის შთავონება

ედგარ პოს შემოქმედებაში უმთავრესია ორი იდეა: სიკვდილი და სიცოცხლე, ჭიდილი სიყვარულსა და სიკვდილს შორის, რაც სიკვდილის ზემოთ მთავრდება.

მელანქოლიურია „ლინორი“, „იულილი“, „ყორანი“, „ელენე“, „საქორწინო ბალადა“.

ზოგჯერ სიყვარულის ძალა თრგუნავს სიკვდილს და მაშინ სიყვარული ხორცშესხმული სახით უბრუნდება სატრფოს („მორელა“, „ლიგეია“) (ლელია გამსახურდია, ედგარ პოს პოეტური თავისებურება) (1,16).

ლექსში „ლინორ“ (1,43) შავი სიკვდილი სამარადისოდ აცილებს მშვენიერ ასულს ქვეყნიერებას და „სტიქსის“ ნაპირებისკენ მიუძღვის.

ანაბელ ლის გული ადრე დააზრო სუსხიანმა ქარმა, დააშორა სატრფოს, რომელსაც ისღა დარჩენია, მიჯნურის აკლდამასთან, ზღვასთან ახლოს იყოს, ან სიმმარში იხილოს სასურველის სახე (ანაბელ ლი) (1,91-93).

სიკვდილის თემაზე დაწერილი შედევრია „ულალუმ“, რომელიც ეძღვნება ნაადრევად დაღუპული მეუღლის — ვირჯინიას ხსოვნას.

მიუთითებენ, რომ „ულალუმზე“ მუშაობისას ედგარ პომ ასტრონომიულად გამოთვალა საკუთარი სიკვდილის დრო და საათი (კომენტარები კ. ჯანდიერის) (1,110).

შუასაუკუნეობრივი გადმოცემის თანახმად, „ღამეთა ღამეს“ გარდაცვლილთა სულები იძენენ ძალას და გავლენას ცოცხალ ადამიანებზე... ღამეთა ღამეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ედგარ პოს „ყორანში“ გარდაცვლილი სატრფოს სახეება ლენორა. მისი მოგონებით გატანჯული ავტორი ეკითხება ყორანს, თუ შესძლებს ლენორასთან სულით წვდომას, რაზედაც ავი სული პასუხობს: „ადარასოდეს“!

ამერიკელმა პოეტმა გააუკვდავა საწუთროს ნაადრევად განშორებული მიჯნური და ამის შემდეგ სხვა ქვეყნის პოეტები ამ სახეს სამუდამო განშორების, დაუვიწყარი სიყვარულის სიმბოლოდ აქცევენ.

ლენორას თემა, მისი სახელი ექვსგზის მეორდება ტერენტი გრანელის ლირიკაში.

ლექსში „ედგარი მესამედ“ (2,82) გალაკტიონმა ტაძრისკენ მიჯნურთან ერთად ლოცვით, ზარის თანხლებით მავალი წარმოიდგინა ამ მშვენიერი

ქალის სახე: „ ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი. იყო საღამო. ლოცვები ზარი. და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა, რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი“.

მაგრამ ბედნიერ, უბრუნველ, იმედიან წამებს შხამავს ორთა შორის ჩამდგარი „ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი“: „ენატრებოდათ ფრთებს სითამამე უბრუნველობის, შენი სიშორის! მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის“.

მკითხველის ცნობისმოყვარეობას ამძაფრებს „ყრუ საუბარი“ სიკვდილზე, ქარის ტირილი, ტაძრისკენ სამთა სვლა და ვხვდებით, რომ ეს „ვიღაც მესამე“, „ვიღაც მახინჯი“ სიკვდილია: „და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი, საცაა მოვა სიკვდილის წამი! ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი და მივდიოდით ტაძრისკენ სამი“.

ედგარ პოს პოემის თუ პროზის უმთავრესი პრობლემა სიკვდილია. პოეტმა გადაიხედა მიღმურ სამყაროში და სიკვდილის დამლით აღბეჭდილნი იხილა (ელეონორა, მორელა, ლიგეა, შავი კატა, წინააღმდეგობრიობის ჭინკა, წითელი სიკვდილის ნიღაბი).

გალაკტიონი ცდილობდა სიკვდილის „შავი წიგნი“ ბოლომდე წაეკითხა, მაგრამ ასკვნიდა, რომ ეს საიდუმლოება ბოლომდე შეუცნობელია (ხელოვნება) (2,8).

ქართველი პოეტი „ყოფნის წიგნს“ ფურცლავდა, „არყოფნის წიგნს“ აკვირდებოდა, რადგან მისთვის თანაბრად საინტერესო იყო სიკვდილი და სიცოცხლე.

მისი „ქარვისფერი წიგნი“ დასახლებულია „უამრავი ლანდებით, შემკრთალი ლანდებით, სიკვდილის ლანდებით“.

„უკანასკნელი მწუხრის წიგნიც“ შავი წიგნია.

ლექსში „ედგარი მესამედ“ ორთა შორის ჩამდგარი „ვიღაც მესამე“ და ხმა, „საცაა მოვა“ სიკვდილის წამი“ მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია, „მახინჯი“ ჩონჩხის სახით მოვლენილი.

„ვიღაც მესამე, ვიღაც მახინჯი“ მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია, რადგან ამ მახინჯის (სიკვდილის ჩონჩხის) ხმა პირდაპირ აკონკრეტებს მოსალოდნელ უბედურებას და ტაძრისკენ სამნი მიდიან, ანუ შეყვარებულები და სიკვდილი.

„აქ სამკუთხედის მესამე წევრი მხოლოდ სიკვდილის ლანდია. ბოლო სტროფი ეჭვს აღარ ტოვებს. მიღმური ხმა ცხადად ამბობს, რომ „საცაა მოვა სიკვდილის წამი“ და სამნი ტაძრისკენ მიემართებიან“ (დავით წერედიანი, „ედგარი მესამედ“) (3, 130).

სიკვდილის მოახლოებაზე მიმანიშნებელი მოვლენებია ყორნის ხმა, სიკვდილის ცელი, მახინჯი ჩონჩხის მოლანდება, ჭოტის კვილი, ძაღლის ყმუილი.

ბიბლიაში მეფე ბალთაზარმა ნადიმის დროს იხილა კვდილიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტყვის წარწერით ამცნო სიკვდილის განაჩენი და მისი მეფობის აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა) (5, 23-30)(4, 664).

გალაკტიონსაც სიკვდილის ხელი და მწარე ხმა აგრძნობინებდა მოახლოებულ უბედურებას: „თითქოს კედელთან დამენახოს სიკვდილის ხელი.... რაღაც მწარე და საოცარნი ხმანი ისმინან“...

შემადრწუნებელ გაფრთხილებად ისმის ჭოტის კვილი, ძაღლის ყმუილი: „ეზოში სამჯერ იკვილა ჭოტმა, ზარით აზუვლდა ბებერი ძაღლი“ (ცხრაას თვრამეტი) (5, 292-294).

დემონის ხმაც სიკვდილისკენ მომწოდებელია: „სამშობლოს იქით, სიმშვიდის იქით, ისევ მეძახის ჩემი დემონი“ (მზის სადღეგრძელოს) (5, 190).

„ახალი მოსახლეობის“ „ვიღაცა მახინჯი“ „შავი დღის ბადეს“ უმზადებს ლექსის პერსონაჟს და „იდუმალ ქვეყნის მოსახლედ“ აქცევს (გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977/გვ.85).

ორივე ლექსში „ედგარი მესამედ“ და „ახალი მოსახლეობა“ სიკვდილი „მახინჯია“, როგორც ჩონჩხი ან თავის ქალა.

გალაკტიონს ხელეწიფებოდა მიღმურ სამყაროში ჭვრეტა, თავისი ფიზიკური არსებობის დასრულების შემდგომი მოვლენების, მარადიულ სავანეში დამკვიდრების, ღირსეულ წინაპრებთან შეხვედრის განცდა (კარს გაუღებენ). ის შერიგებული იყო სიკვდილის გარდუვალობას, მისი სული საუკუნეებს ითვლიდა (საუკუნეთა სათვალავი მეკარგებოდა, რუსთაველი მახსოვს ბავშვი), პოეტს სჯეროდა, რომ ფიზიკური სიცოცხლის დატოვების შემდეგ მარადისობაში დაივანებდა მისი სული, მშვენიერების გაუკვდავებით

ამაღლდებოდა აკლდამაზე, საკუთარი სულის შუქს ცაზე ხედავდა (შერიგება, დრო).

გენიალური ქართველი პოეტი ღირსეულად ეხმიანებოდა გენიალური ამერიკელი შემოქმედის — ედგარ პოს მარადიულ სულს.

დამოწმებანი

1. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ., 2001
2. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, პალიტრა L“ თბ., 2014
3. დავით წერედიანი, ანარეკლი, ესეებად, დიალოგებად, თარგმანებად არეკლილი კლასიკური პოეზია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2014
4. ბიბლია, თბ., 2013
5. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1993

**EDGAR POE REMINISCENCES IN THE POETRY
OF GALAKTION TABIDZE SYNOPSIS**

Georgian “King of Poets” Galaktion Tabidze through his spiritual gaze saw the roads of East, North, South and West, the poles, mastered the art of playing on all strings, drew a new meridian on the globe with his poetry and with his renaissance creativity became in tune with the outstanding masters of words of the planet.

The author of *The Cosmic Orchestra* was interested in virtuosos of "world music, the world orchestra", wrestling with destiny, seeking the knowledge of the unknowable, seeking the invisible, the hidden truth, swimming against the stream, gifted with the password of renewal, the masters of words ordained by the third member of the trinity - the Holy Ghost, and as such he imagined the great American poet and novelist Edgar Poe, whom he never reappraised.

In some aspects of Galaktion's religious-philosophical outlook and aesthetic credo, there are clear affinities with the work of Edgar Poe.

The main thing for them was allegorical and symbolic thinking, the primacy of symbols, an interest in the invisible, unknowable, mysterious events, the subconscious, the principle of multiple meanings of faces and words, finding new nuances, "discovering, inventing, creating".

The works of these poets draw attention to an interest in rational and intuitive knowledge, "the power of heart and mind", "precise mathematical calculation", "a kind of mathematics and a kind of mysticism".

These poets are related in terms of their interest in allegory, symbols and energies, and intellectual puzzles.

"Music, feeling and beauty" was Galaktion's ideal; "Music, beauty and truth" was the cornerstone of Edgar Poe's quest.

"I discovered the whole universe for myself, hitherto unexplored by the world" Galaktion declared.

Edgar Poe was justly dubbed 'Columbus the discoverer of a new world'.

The American poet journeyed with his soul through "a myriad of years", "I've lost count of the eons", Galaktion declared.

Their work is about the search for gold, pearls, jewels, goldfish, the search for American gold mines - Klondike, Colorado, El Dorado - but in fact their ideal is not precious metals, but the gold of words, the search for eternal truths. In this sense Galaktion declares himself a millionaire and a billionaire.

They were seekers of divine love, divine wisdom, and only believing Creators are endowed with such an ability.

In the works of Edgar Poe and Galaktion there is a special interest in the concepts of dream, fairy tale, shadow, ghost that equals their powerful imagination, an artistic reality that rises above trivial reality and serves to anticipate the mysteries of life.

They were mystics, but at the same time made precise, abstract mathematical calculations in the realm of consciousness.

Those poets often referred to drunkenness of being, life, fire, wine, hope, but this metaphorical statement does not refer to drunkenness of alcohol, but to the faith of Christian religion, because being, life, fire, wine, hope are divine are the divine names according to Holy Scripture. They conceptualised wine according to the Scriptures, they idealised the "wine of wisdom" i.e. faith.

In the writings of Edgar Poe and Galaktion Tabidze special attention refers to the notions of crazy, insane, deranged. This metaphorical application refers not to clinical insanity but to the elevation of the artist above the possibilities of ordinary man, to a higher level of consciousness.

What is characteristic of them is the unmistakable recollection-recognition of centuries-old stories, which is explained by the theory

of reincarnation and memory pioneered by the great Greek philosopher Plato.

The theme of the vanity of this world occupies a special place in their work, but they saw art as a way of rising above their origins.

They believed in providence, but they were given to transcend fate, the limits set for ordinary people, by the superhuman effort inherent only in genius.

For these poets, pragmatic interests, the concern to accumulate things of value and wealth, were unacceptable. Their primary ideal was verbal art, giving the last drop of blood to creation, which was supposed to be the harbinger of happiness.

In their philosophical thinking a great place is occupied by the knowledge of the mysteries of life and death, the belief in the eternity of the soul, the condemnation of men in the afterlife by sin and grace.

Edgar Poe depicted the death of a sinful man, indifferent to the fate of his fellow citizens, in the Red masque of death. With Galaktion the death of a servant of lofty ideals, a creator who has fulfilled his duty to his people, is in pink ("The Moon of Mtatsminda").

These poets have travelled the world in spirit. They were sailors who had gone beyond, faced the greatest challenges, risen above the brink of sin. Their guide was the Holy Spirit, the third member of the gracious Trinity, and by the power of faith they overcame all evils.

Edgar Allan Poe's poem "The Raven", in which the raven symbolizes evil, is famous and universally acclaimed.

The American poet's poem Sonnet to Science describes a scientist as a "hawk's claw".

The immoral man evokes the association of the black vulture in the stories "Ligeia" and "The Tell-Tale Heart".

Edgar Poe's 'The Raven' is considered the impetus for Galaktion's poems about the raven, in which the Georgian poet never loses his identity.

The King of Poets compiled his poems not only about the raven, but his works are also notable for this kind of cycle: the raven, the hawk, Milvus, the owl of Minerva, the owl, the mikiot. These raptors appear in his dozens of poems in psychological, social, philosophical and political contexts, and it becomes clear how far the Georgian poet has advanced the traditions of his foreign and Georgian (N. Baratashvili, Vazha-Pshavel) predecessors.

As with the religious poets, the poetry of Edgar Poe and Galaktion draws attention to examples of Christian imagery.

The Georgian poet's poem "Edgar the Third Time" is dedicated to Edgar Poe's untimely beloved Lenora, in which death is revealed as "someone third, someone ugly".

The works of Edgar Poe and Galaktion Tabidze are distinguished by clairvoyance and clairaudience that enable them to go beyond their era and foresee future events in their lives as well as in the present.

The passage of time has not only exaggerated but also added even more halos, turning the unrivalled creations of these geniuses into a piece of eternity.



ლუარა სორდია არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლემები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემიები.

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ., 1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევამ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ., 1999, რევამ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2001, ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2005 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ., 2005, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფცია, აპოკალიფსური სახეები, გრაალის იდეალი, „უნივერსალი“, თბ., 2009,

საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადებტები ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ., 2009, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ., 2009, ანა კალანდაძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ., 2009, გოდერძი ჩოხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), „უნივერსალი“, თბ., 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფლმხედველობის საკითხები, „უნივერსალი“, თბ., 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ., 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ., 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ., 2011, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ., 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“, „უნივერსალი“, თბ., 2011, ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზაურ და მსოფლიოს რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი), www.sou.edu.ge 2012, ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან (ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“) www.sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზიუმი (ვაჟა ეგრისელის პოეზია) „უნივერსალი“, თბ., 2015. მადლშემოსილი (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა), „უნივერსალი“, თბ., 2015, ბეჟან ხარაიშვილი — ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსალი“, თბ., 2016, ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ., 2016, მერაბ კოსტავას პოეზია, „უნივერსალი“, თბ., 2017, გრაალის ორდენის რაინდი — გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსალი“, თბ., 2017, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო, „უნივერსალი“, თბ., 2018. „სამების სამრეკვლოდან“ („თბილისი“, 2018). ნიკო სამადაშვილის პოეზია, „უნივერსალი“, თბილისი, 2021.

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com